



მე, რობოტი
• ანიმეპ ანიმეპი

მე, რობოტი

ჩემს ჩანაწერებს თვალი რომ გადავაავლე, არ მომეწონა. იმ სამი დღის განმავლობაში, რომლებიც „იუ ეს რობოტსში“ გავატარე, მერჩია, შინ დავრჩენილიყავი და ენციკლოპედიები მექეცა.

როგორც მითხრეს, სიუზენ კელვინი 1982 წელს დაიბადა, რაც ნიშნავს, რომ ახლა სამოცდათხუთმეტისაა. ეს ყველამ იცის. ფირმა „იუ ეს რობოტს ენდ მექანიკალ მენ კორპორეიშენიც“ სამოცდათხუთმეტი წლისა გახლავთ. სწორედ მაშინ, როდესაც პროფესორი კელვინი დაიბადა, ლოურენს რობერტსონმა დააარსა კომპანია, რომელიც შემდგომში კაცობრიობის ისტორიაში მეტად უჩვეულო საწარმოო გიგანტად იქცა. თუმცა ესეც ყველამ კარგად იცის.

ოცი წლის სიუზენ კელვინი ფსიქომათემატიკის სემინარის სწორედ იმ ლექციას დაესწრო, რომელზეც „იუ ეს რობოტსის“ პროფესორმა ალფრედ ლენინგმა პირველი მოძრავი, მოლაპარაკე რობოტი წარმოადგინა. ეს ვეება, მოუქნელი, მახინჯი რობოტი, რომელიც მანქანის ზეთის სუნად ყარდა, მერკურიზე არსებულ მალაროებში სამუშაოდ დააპროექტეს. მას არა მხოლოდ მეტყველება, აზრის გამართულად გადმოცემაც კი შეეძლო.

სიუზენს არც ამ სემინარზე უთქვამს რამე და არც მომდევნო დებატებში მიუღია მონაწილეობა. ეს გულჩათხრობილი და უემოციო გამომეტყველების მატარებელი უფერული, ჰიპერტროფირებული ინტელექტის მქონე გოგონა მთელი სამყაროს წინააღმდეგი იყო და ადამიანებსაც გაურბოდა. მაგრამ ჯერ კიდევ ამ დაკვირვებებისა და კამათის დროს იგრძნო, რომ თანდათან რაციონალური ინტერესი ელვიძებოდა.

2003 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტი დაამთავრა და სწავლა კიბერნეტიკის სპეციალობით განაგრძო.

მეოცე საუკუნის შუა წლებში რობერტსონის მიერ გამოგონილმა პოზიტრონული ტვინის კავშირებმა გამომთვლელი მანქანების სფეროში ჭეშმარიტი გადატრიალება მოახდინა. რამდენიმე მილზე (მილი – სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 1609,36 მეტრს) გაჭიმული რელე და ფოტოელემენტები პლატინა-ირიდიუმის ფოროვანმა სფერომ შეცვალა, რომელიც სიდიდით ადამიანის ტვინს არ აღემატებოდა.

სიუზენმა ისწავლა აუცილებელი პარამეტრების გამოთვლა, პოზიტრონული ტვინის ცვლადების მნიშვნელობების განსაზღვრა და ისეთი სქემების დამუშავება, რომ მოცემულ

გამალიზიანებლებზე მისი საპასუხო რეაქციის ზუსტი წინასწარმეტყველება შეძლებოდა.

2008 წელს მას დოქტორის ხარისხი მიენიჭა და „იუ ეს რობოტსში“ რობოტოფსიქოლოგის თანამდებობა მიიღო. ამრიგად, ამ ახალ სფეროში, ის პირველი სახელგანთქმული მეცნიერი გახდა. ლოურენს რობერტსონი მაშინ ჯერ კიდევ კომპანიის პრეზიდენტი გახლდათ, ალფრედ ლენინგი – სამეცნიერო ხელმძღვანელი.

სიუზენ კელვინი ორმოცდაათი წლის განმავლობაში აკვირდებოდა კაცობრიობის განვითარების დინამიკასა და მის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს.

ახლა კელვინი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ნელ-ნელა თავს ანებებდა აქტიურ საქმიანობას. ყოველ შემთხვევაში იმას მაინც დასთანხმდა, რომ მისი კაბინეტის კარზე სხვისი გვართ ფირფიტა მიეკრათ.

აი, თითქმის ყველაფერი, რაც ჩაწერილი მქონდა. ჩემს ხელთ ასევე იყო მისი ნაშრომების გრძელი სია, პატენტები, სამსახურში წინსვლის ზუსტი ქრონოლოგია. მოკლედ, მთელი მისი ოფიციალური ბიოგრაფია ვიცოდი, წვრილმანი დეტალებიც კი.

მაგრამ მე სულ სხვა რამ მჭირდებოდა. „ინტერპლანეტერი პრესისტვის“ დაწერილი ნარკვევები უფრო ღრმა უნდა ყოფილიყო, გაცილებით ბევრისმომცველი.

ასეც ვუთხარი.

– პროფესორო კელვინ, – დავიწყე დათაფლული ხმით, – საზოგადოებისთვის თქვენ და „იუ ეს რობოტსი“ განუყოფელი მთლიანობა ხართ, კომპანიიდან თქვენი წასვლა მთელი ეპოქის დასასრული იქნება და...

– ადამიანური დეტალები გაინტერესებთ?

არ გაუღიმიო. მგონი, არც არასოდეს იღიმოდა, მაგრამ გამოხედვაში არც სიავე შემინიშნავს. ისე კი ვიგრძენი, როგორ გამიარა მისმა მზერამ მთელ სხეულში, თითქოს სულის კუნჭულამდე ამომიცნო. დიახ, მას შესწევდა ამის უნარი.

მაინც ვუთხარი:

– სრული ჭეშმარიტებაა.

– ადამიანური დეტალები რობოტებზე? შეუსაბამობა გამოდის.

– არა, დოქტორო კელვინ, თქვენზე.

– თუმცა მეც ხომ რობოტს მეძახიან. ალბათ, უკვე გითხრეს, რომ ადამიანური არაფერი გამაჩნია.

მართლა ასე მითხრეს, მაგრამ ახლა ამის თქმის აუცილებლობას ვერ ვხედავდი.

წამოდგა. დაბალი და კაფანდარა იყო. ორივე სარკმელს მივუახლოვდით და გარეთ

გავიხედეთ.

„ეს ეს რობოტის“ ოფისები და საამქროები პატარა, კარგად დაგეგმარებულ ქალაქს მიაგავდა, რომელიც ჩვენ თვალწინ აეროფოტოსურათივით გადაშლილიყო.

– როდესაც აქ პირველად მოვხვდი, – დაიწყო ქალმა, – ამ შენობაში ერთი პატარა ოთახი მქონდა, რომელიც აი, იქ იყო, სადაც ახლა საქვაბეა. თქვენ ჯერ დაბადებულს არ იყავით, ის შენობა რომ დაანგრის. ჩემ გარდა ოთახში კიდევ სამი ადამიანი იჯდა. მე მაგიდის ნახევარი მერგო. მთელი ჩვენი საქმიანობა ერთ შენობაში თავსდებოდა. კვირაში სამ ცალს ვამზადებდით. აბა, ახლა ნახეთ!

– ორმოცდაათი წელი დიდი დროა, – ამ გაცვეთილ ფრაზაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

– არც ისე, როცა საქმე შენს წარსულს შეეხება, – მომიბრუნდა კელვინი, – ნეტავი, როგორ გაფრინდა ეს წლები ასე მალე...

კელვინი ისევ მაგიდას მიუჯდა. სევდიანი გამომეტყველების მისაღებად გამომეტყველების შეცვლა არ სჭირდებოდა.

– რამდენი წლის ხართ? – დაინტერესდა.

– ოცდათორმეტის.

– ესე იგი, არ გემახსოვრებათ როგორი იყო ეს ქვეყანა რობოტების გარეშე. არადა, ერთ დროს ადამიანი სრულიადმართო იყო სამყაროს პირისპირ, უმეგობროდ. ახლა კი მას ძლიერი, სანდო, ეფექტური და თანაც ერთგული თანაშემწეები ეხმარებიან. კაცობრიობა მართლ აღარ არის. გიფიქრიათ ამაზე?

– არა. შეიძლება თქვენი სიტყვების ციტირება?

– რა თქმა უნდა. თქვენთვის რობოტი მხოლოდ რობოტია. მექანიზმი და მეტალი, ელექტრობა და პოზიტრონი... ტვინის ხორცშესხმა რკინაში, რომელსაც ქმნის და, თუ საჭირო გახდა, ანადგურებს კიდევ ადამიანი... მაგრამ თქვენ რობოტებთან არ გიმუშავიათ და არ იცნობთ მათ. ისინი ჩვენზე წმინდა და უკეთესები არიან.

ვცადე, ცოტა ფრთხილად წამექვებინა:

– დიდი სიამოვნებით მოვისმენდი თქვენს მონათხრობს რობოტებზე, თუ რას ფიქრობთ მათზე. „ინტერპლანეტერი პრესი“ მთელ მზის სისტემაში ვრცელდება. დაახლოებით სამი მილიარდი ადამიანი მოგისმენთ, დოქტორო კელვინ! ყველას სურს, თქვენგან რობოტების შესახებ მოისმინოს.

მაგრამ შეგულიანება აღარ სჭირდებოდა. არც კი მისმენდა, ისე განაგრძობდა ჩემთვის

ხელსაყრელი მიმართულებით ლაპარაკს.

– ისე კი, ყველაფერს წინასწარ უნდა მივმხვდარიყავით. მაშინ რობოტებს დედამიწაზე მოსახმარებლად ვყიდდით – ჯერ კიდევ ჩემამდეც. რა თქმა უნდა, რობოტები მაშინ არ ლაპარაკობდნენ, მერე, დროთა განმავლობაში, ადამიანებს დაემსგავსნენ და წინააღმდეგობაც აქედან დაიწყო. პროფკავშირს არ სურდა, რობოტებს კონკურენცია გაეწიათ ადამიანებისთვის; რელიგიური ინსტიტუტები მათზე უარს საკუთარი ცრურწმენების გამო ამბობდნენ. ყოველივე ეს სასაცილო იყო და ამაოც, მაგრამ მაინც ასე ხდებოდა...

თავიდან ყველაფერს დიქტოფონით ვიწერდი, თან ვცდილობდი, ეს კვლევის არ შეემჩნია. ცოტას თუ წაივარჯიშებ, შეიძლება ეს პატარა მონყობილობა ისე მართო, ჭიბიდან არც კი ამოიღო.

– აი, მაგალითად, რობის ამბავი, – განაგრძობდა კვლევინი, – მე მას არ ვიცნობდი. სანამ აქ მუშაობას დავიწყებდი, ერთი წლით ადრე დასაშლელად გააგზავნეს, ძალიან მოძველებული იყო... მაგრამ ის გოგონა მუზეუმში მყავდა ნანახი...

კვლევინი გაჩუმდა. მეც გავისუსე. ვხედავდი, როგორ დაენისლა თვალები და როგორ ჩაიძირა წარსულის მოგონებებში. მას მრავალ წელიწადზე გადანაწილებული წარსული უნდა გაეხსენებინა.

– ეს ამბავი ცოტა გვიან გავიგე. და როცა ჩვენ დემონთა შემქმნელებსა და მკრეხელებს გვიწოდებდნენ, ყოველთვის მას ვიხსენებდი. რობი უხმო რობოტი იყო. ის 1996 წელს დაამზადეს და იქამდე გაყიდეს, ვიდრე რობოტებს საგანგებო სპეციალიზაციას მიანიჭებდნენ. მას ძიძის მოვალეობა უნდა შეესრულებინა.

– ვისი?

– ძიძის.

რობი

– ოთხმოცდათვრამეტი... ოთხმოცდაცხრამეტი... ასი!

გლორია მ თვალეზიდან ფუმფულა ხელეზი მოიშორა, რამდენიმე წამს ცხვირშეჭმუნხილი იდგა და მზისგან მოჭუტულ თვალეზს აფახულეზდა. ცდილობდა, ერთდროულად ყველა მიმართულეზით გაეხეზდა და თან ფრთხილი ნაბიჯეზით სცილდებოდა ხეზ, რომელზეც მანამდე იხუჯებოდა.

კისერი წაიგრძელა და მისგან მარჯვნივ მდებარე ბუჩქნარს დააცქერდა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ბნელი ბუჩქნარის სიღრმეზის შესათვალეზერებლად უკეთეზი პოზიციზა დაიკავა.

მყუდროეზბას მხოლოდ მწერეზის გაუთავებელი ზუზუნი და შიგადაშიგ რომელიღაც დაულალავი ჩიტის ჭიკჭიკი არღვევდა, რომელიც შუადღის პაპანაქეზბას აინუნშიც არ აგდებდა.

გლორია გაიბუტა.

– რა თქმა უნდა, სახლში იმაღეზბა. რამდენჯერ ვუთხარი, ასე თამაში არ შეიძლეზბა-მეთქი!

ციცქნა ტუჩეზი მოპრუნა და მტკიცე ნაბიჯეზით გაეშურა ხეივნიზს მეორე მხარეზს მდებარე ორსართულიანი სახლისკენ.

როცა გლორია მ ზურგსუკან შრიალი გაიგონა, რომელსაც ლითონის ფეხეზის თანაბარი ნაბიჯეზის ხმა მოჰყვა, უკვე გვიან იყო. შეტრიალდა და დაინახა, რომ რობის სამალავი დაეტოვეზბინა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხისკენ გარბოდა.

გამწარებულმა გოგონამ დაუყვირა:

– შეჩერდი რობი, ეს რა წესია! შენ ხომ დამპირდი, სანამ არ მიპოვი, არ გავიქცევიო!

რალა თქმა უნდა, თავისი ციდა ნაბიჯეზით რობის უზარმაზარ ნახტომეზს ვერ გაუსწორდებოდა, მაგრამ როგორც კი რობი ხეზ ორიოდე მეტრით მიუახლოვდა, უმალ უკლო ნაბიჯს. გლორია მ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რობოტს სულმოუთქმელად ჩაუქროლა და პირველი შეეხო სანუკვარ ხეზ. მერე გახარებული შებრუნდა ერთგული რობისკენ და მის მიერ გამოჩენილ თავაზიანობას აშკარა უმადურობით უპასუხა – სასაცილოდ აიგდო, სირბილი არ გცოდნიაო.

– მე მიგასწარი, მე მიგასწარი! – რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა რვა წლის გოგონა, – რობიმ სირბილი არ იცის, მე ვაჯობე სირბილში! მე ვაჯობე სირბილში! –

ტიკტიკებდა ყურთასმენის წამლებად.

რობი, რა თქმა უნდა, არ შეჰკამათებია. პირიქით, თავი ისე მოაჩვენა, ვითომ გაურბოდა, უკან-უკან იხევდა და მოხერხებულად უსხლტებოდა ხელიდან. გლორიაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, რობოტის დაჭერას ცდილობდა, მაგრამ სიცარიელეში აფათურებდა ხელებს და სიცილისგან სუნთქვაშეგუბებული გაჰყვიროდა:

– გაჩერდი, რობი, გაჩერდი!

მაშინ რობი მოულოდნელად შემოტრიალდა, გოგონა ჰაერში აიტაცა და თავგემოთ დააბზრიალა. გლორიას მოეჩვენა, რომ წამით მთელი სამყარო მის გარშემო ცისფერ სიცარიელეში ჩაინთქა, რომლისკენაც ხის მწვანე კენწეროები გაწვდილიყვნენ. სულ მალე გლორია ისევ ბალახზე იდგა. გოგონა რობის სხეულზე მიეკრა და მის ლითონის თითს მაგრად ჩაეჭიდა.

ცოტა ხნის შემდეგ გლორიამ, როგორც იქნა, სული მოითქვა. აწეწილ თმაზე დედის მსგავსად გადაისვა ხელი, მერე უკანა კალთა შეითვალა, კაბა ხომ არ დაეხიო და რობის თეძოზე შემოარტყა ხელი:

– ცუდი ბიჭი ხარ, ერთი კარგად უნდა მიგტყუპო!

რობი მოიბუზა, თვალეებზე ხელები აიფარა და გოგონა იძულებული გახდა, მოფერებოდა:

– კარგი, რობი, ნუ გეშინია, არ გცემ. მაგრამ ახლა ჩემი ჯერია, მე ვიმალები, შენ კი მეძებ. მაგრამ რადგან გრძელი ფეხები გაქვს და პირობა მომეცი, რომ სანამ არ მიპოვი, არ გაიქცევი.

რობიმ თავი, უფრო სწორად, მომრგვალებულკუთხეებიანი პარალელეპიპედი დაუქნია, იმავე ფორმის, მაგრამ გაცილებით დიდი ზომის ტანზე მოკლე, დრეკადი სახსრით რომ ჰქონდა მიმაგრებული. რობი გოგონასკენ დამჭერი ბავშვივით შეტრიალდა. ანთებულ თვალეებზე ლითონის თხელი ფირფიტა ჩამოეფარა, მისი სხეულიდან თანაბარი, მიყრუებული ნიკნიკი გაისმა.

– იცოდე, არ მითვალთვალო და თვლისას არც რიცხვები გამოტოვო! – გააფრთხილა გლორიამ და დასამალად გაიქცა.

რობიმ სანიმუშო სინდისიერებით გადაითვალა, ასზე კი თვალეები გაახილა და წითლად აკიაფებული ნათურებით მიხდორს გახედა. წამით მზერა ღია ფერის ჩითის ქსოვილზე შეაჩერა, რომელიც ლოდის უკან მოჩანდა. რობი ლოდს მიუახლოვდა და დარწმუნდა, რომ მის უკან მართლაც გლორია შეყუჟულიყო. ამის შემდეგ ნელა, ფრთხილად მიუახლოვდა

გოგონას სამალავს, თან ცდილობდა, გლორიასა და ხეს შუა დარჩენილიყო. ბოლოს, როცა გლორია უკვე იმდენად გამოჩნდა, რომ თავს ვეღარ მოიკატუნებდა, აქაოდა არა ფჩანვარო, რობიმ ცალი ხელი მისკენ გაიშვირა, მეორე კი ჟღრიალით დაირტყა ფეხზე. გაბუტული გლორია სამალავიდან გამოვიდა.

– მითვალთვალეები! – აშკარა ჭირვეულობით წამოიძახა, – თანაც დამალობანას თამაში მომბეზრდა და გასეირნება მინდა.

მაგრამ რობი დაუმსახურებელმა დატუქსვამ ძალიან გაანაწყენა, მიწაზე ფრთხილად დაჯდა და ძძიმე თავი გააქნია. გლორიამ მაშინვე შეიცვალა ტონი და დაუყვავა:

– მაპატიე, რობი! არ გეწყინოს რა, ტყუილად გითხარი, მითვალთვალეები-მეთქი! მოდი, კისერზე შემისვი!

მაგრამ რობის დაყოლიება არც ისე ადვილი იყო. ჭიუტად მიაშტერდა სივრცეს და უფრო მეტყველად გააქნია თავი.

– გეხვეწები, რა, რობი, გეხვეწები, შემისვი!

გოგონა მიუახლოვდა, კისერზე მაგრად შემოაჭლო ვარდისფერი მკლავები, მერე უცებ განწყობა შეეცვალა და გვერდზე გაიწია:

– თორემ იცოდე, ვიტყვები!

და მართლაც, სახე მოეჭურა.

მაგრამ გულქვა რობიმ ეს სასტიკი მუქარა არად ჩააგდო და მესამედ გააქნია თავი. გლორია მიხვდა, რომ ახლა მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა:

– თუ არ გამასეირნებ, იცოდე, ზღაპრებს აღარ მოგიყვები, გესმის, აღარასოდეს გაიმბობ.

ამ ულტიმატუმმა რობის დანებება აიძულა. თავი ისე ენერგიულად დაიქნია, რომ მისმა ლითონის კისერმა გუგუნი დაიწყო, გოგონა ფრთხილად აიყვანა ხელში და ფართო, ბრტყელ მხრებზე შეისვა.

გლორიას მუქარანარევი ცრემლები უმაღ აორთქლდა და გოგონამ აღტაცებით შეჰყვირა. რობის ლითონის „კანი“, რომელსაც საგანგებო მოწყობილობა მუდმივად სამოცდაათ გრადუსიან (იგულისხმება 70 გრადუსი ფარენჰაიტით, რაც ცელსიუსით 21 გრადუსზე ოდნავ მეტს უდრის) სითბოს უნარჩუნებდა, შეხებისას სასიამოვნო იყო, გოგონას ქუსლების მის მკერდზე რიტმული ბრახუნით კი ყრუ ბგერები გაისმოდა.

– ვითომ თვითმფრინავი ხარ, რობი, დიიდი, ვერცხლისფერი თვითმფრინავი. აბა, გაშალე ხელები, შენ ხომ თვითმფრინავი ხარ!

შეუვალი ლოგიკა იყო და რობისაც რაღა დარჩენოდა – მისი ხელები ფრთები იყო, თვითონ კი ვერცხლისფერი თვითმფრინავი. გლორიამ თავი შემოუტრიალა, თვითონ კი მარჯვნივ გადაიხარა. რობიმაც მკვეთრად მოუხვია, გლორიამ ამასობაში თვითმფრინავის „ძრავი აამუშავა“:

– გრ-რ-რ.

მერე ქვემეხებიც დაუშინა ვიღაცას:

– ტა-ტა-ტა-ტა!

ვითომ მეკობრეები მოსდევდნენ, გარშემო ქვემეხები ქუხდა და მათი სისხლი კი ნიაღვრებად მოდიოდა

– აი, ერთი მოვკალით... აი, კიდევ მეორე! – ყვიროდა გოგონა.

შემდეგ გლორიამ მძვინვარედ დასჭექა:

– სწრაფად, ბიჭებო! საბრძოლო მასალა გვითავდება!

გოგონა რობის მხარსზემოდან ვიღაცას უშიშრად უმიზნებდა. რობი ახლა ბლაგვცხვირა კოსმოსურ ხომალდად ქვეულიყო, რომელიც უდიდესი სისწრაფით ჰკვეთდა სივრცეს. ის მინდორ-მინდორ, მოზრდილი შამბნარისკენ მიქროდა, იქ კი ისე უეცრად შეჩერდა, რომ ერთიანად აწითლებულმა მხედარმა შეჰყვირა და მწვანე ბალახის რბილ ხალიჩაზე გადმოკოტრიალდა.

გლორია სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ აღფრთოვანებით ჩურჩულებდა:

– ოჰ, რა კარგია!

რობიმ დააცადა, სული მოეთქვა და მერე კულულზე ფრთხილად მოქაჩა.

– გინდა რამე? – ჰკითხა გლორიამ და ფართოდ გაახილა თვალები, აქაოდა ვერაფერს ვხვდებო. მისმა უხეირო ემმაკობამ უზარმაზარი ძიძა ვერ შეაცდინა. რობიმ ისევ მოქაჩა თმაზე, მაგრამ ახლა უფრო ძლიერად.

– ვიცი, ვიცი, რასაც მთხოვ. გინდა, ზღაპარი გიამბო, არა?

რობი უმაღვე თავის ქნევას მოჰყვა.

– რომელი გირჩევნია?

რობიმ თითით ჰაერში ნახევარწრე მოხაზა.

გოგონა გაჭიუტდა:

– ისევ ის? უჰ, კონკიას ზღაპარი ხომ მილიონჯერ გიამბე, როგორ არ მოგებზრდა? ეგ ხომ პატარებისთვისა!

რკინის თითმა ისევ მოხაზა ნახევარწრე.

– ჰო, კარგი, კარგი, მოგიყვები.

გლორია მ მოხერხებულად მოიკალათა, გაიხსენა ზღაპრის ყოველი წვრილმანი (თავისი შეთხზული ჩანართებიანად) და დაიწყო:

– მზადა ხარ? მაშ ასე: იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლამაზი გოგონა. სახელად ელა ერქვა. ობოლ ელას შინ მხოლოდ გულქვა დედინაცვალი და ორი გონჯი და ბოროტი და ჰყავდა...

ის იყო, გლორია ყველაზე საინტერესო ადგილამდე მივიდა, როცა უკვე შუაღამე დამდგარიყო და ყველაფერს კვლავ პირვანდელი სახე უნდა დაებრუნებინა, რობი კი დაძაბული, ანთებული თვალებით გაფაციცებული უსმენდა, რომ გოგონას თხრობა შეაწყვეტინეს:

– გლორია!

გაისმა ქალის გაბრაზებული ხმა, რომელიც, როგორც ჩანდა, პირველად არ ეძახდა და ტონზეც ეტყობოდა, სადაცაა მოთმინებას შეშფოთება შეეპარებოდა.

– დედა მეძახის, – უხალისოდ თქვა გლორია, – რობი, მოდი, შინ წამიყვანე.

რობი უყოყმანოდ დაემორჩილა. რაღაც ეუბნებოდა, რომ აჯობებდა, თუ მისის უესტონის ნებას უმალ დაჰყვებოდა. გლორიას მამა დღისით იშვიათად იყო შინ, თუ კვირადღეს არ ჩავთვლით (იმ დღეს კი სწორედ კვირა იყო). მისი დანახვისთანავე მიხვდებოდი, როგორი გულკეთილი და გულისხმიერი ადამიანი იყო. სამაგიეროდ, გლორიას დედა უჩენდა ათას თავსატეხს და რობიც გამუდმებით ცდილობდა, ამ ქალისგან თავი შორს დაეჭირა.

წამოდგნენ თუ არა, მისის უესტონმა მაშინვე დაინახა ისინი და სახლში შებრუნდა, რათა შვილს იქ დახვედროდა.

– გლორია, შენს ძახილში ხმა ჩამიწყდა, სად იყავი? – მკაცრად ჰკითხა გოგონას.

– მე და რობი ვთამაშობდით, დედა, – აკანკალებული ხმით მიუგო გლორია, – იცი, კონკიას ზღაპარს ვუყვებოდი და ჭამა სულ გადამავიწყდა.

– მე იმის გამო ვწუხვარ, რომ თავად მას დაავიწყდა შენი სადილობის დრო, – უსაყვედურა დედამ და თითქოს ახლავა გაახსენდა, რომ რობოტიც იქვე იყო, – შეგიძლია წახვიდე, რობი, – მიუბრუნდა ქალი, – ახლა გლორიას აღარ სჭირდება, – თქვა და უხეშად დაამატა, – ვიდრე მე არ დაგიძახებ, არ მოხვიდე.

რობი კარისკენ შებრუნდა, მაგრამ წამით შეყოვნდა, რადგან მოესმა, რომ გლორია გამოექომაგა:

– იყოს, რა, დედა, ცოტა ხანს დარჩეს! კონკიას ამბავი ჯერ არ დამიმთავრებია. დავპირდი, ზღაპარს მოგიყვები-მეთქი და ვერ მოვასწარი.

– გლორია!

– დედიკო პატიოსან სიტყვას გაძღვე, ისე ჩუმად იქნება, ვერც კი იგრძნობ მის აქ ყოფნას. კუთხეში დაჯდება და გაიტრუნება. არაფერს არ დააშავებს. არა, რობი?

პასუხად რობიმ დიდი თავი დაუქნია.

– გლორია, თუ ახლავე არ გაჩუმდები, რობის მთელი კვირა ველარ ნახავ!

გოგონამ თავი ჩაქინდრა.

– კარგი, მაგრამ კონკიას ზღაპარი ისე უყვარს, მე კი მოყოლა ვერ მოვასწარი... ისე ძალიან მოსწონს...

დანალვლიანებული რობოტი გავიდა, გლორიამ კი სიმწრის ცრემლი გადაყლაპა.

ჯორჯ უესტონი მშვენიერ გუნებაზე იყო. ჩვეულებად ჰქონდა – კვირას, ნასადილეფს, ხასიათი არაფრით გაეფუჭებინა. გემრიელი ოჯახური კერძები, მოხერხებული, რბილი ძველებური დივანი, „ტაიმსის“ ახალი ნომერი, ფეხზე საშინაო ფაჩუჩები, ტანზე გახამებული პერანგის ნაცვლად – პიჟამა. მეტი რაღას ინატრებს კაცი!

ამიტომ მეუღლის შემოსვლა არ ესიამოვნა. ათწლიანი თანაცხოვრების შემდეგაც ცოლი სიგიჟემდე უყვარდა და, რა თქმა უნდა, ყოველთვის ახარებდა მისი ნახვა, მაგრამ კვირადღის ნასადილეფის განცხრომა უწმინდესი რამ გახლდათ. მისთვის ნამდვილი კომფორტი ორ-სამ საათს სრულიად მარტო ყოფნა იყო.

ამიტომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ცოლის შემოსვლა ვერ შეამჩნია და უკანასკნელ სიახლეს ჩაუღრმავდა, რომელიც მარსზე გაგზავნილ ლეფებერ-იოშიდას ექსპედიციას ეხებოდა (ამჯერად მთვარის სადგურიდან გაფრინდნენ და ადვილი შესაძლებელი იყო, მარსამდეც მიეღწიათ).

მისის უესტონმა მოთმინებით დაიცადა ორი წუთი, მერე კიდევ ორი წუთი მოუთმენლად და ბოლოს იფეთქა:

– ჯორჯ!

– ჰოო... რა მოხდა?

– მომისმინე, ჯორჯ! ერთი წუთით გადადე ეგ ოხერი გაზეთი და მომხედე!

გაზეთი შრიალით დაეცა იატაკზე და უესტონმა გატანჯული სახით შეხედა ცოლს:

– რა მოხდა, ძვირფასო?

– ძალიან კარგად იცი... მინდა გლორიასა და იმ საშინელ მანქანაზე დაგელაპარაკო.

– რომელ საშინელ მანქანაზე?

– ძალიან გთხოვ, ისე ნუ იქცევი, თითქოს ვერაფერს ხვდებოდე. რობოტზე გეუბნები, გლორია რობის რომ ეძახის და ერთი წამითაც არ შორდება გვერდიდან.

– და რატომ უნდა მოშორდეს? ასე არც უნდა მოიქცეს. და კიდევ, ნამდვილად არაა საშინელი მანქანა, საუკეთესოა მათ შორის, რომელთა შექმნაც ახლა შესაძლებელია. ჯანდაბა, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ თითქმის ნახევარი წლის ხელფასი დამიჭდა. თუმცა კი ღირს ამ ფასად – ბევრ ჩემს ხელქვეითზე ჭკვიანია.

უესტონმა გაზეთებისკენ გაიწია, მაგრამ ისევ ცოლმა იმარჯვა და გამოსტაცა.

– ახლა კი კარგად მომისმინე, ჯორჯ, მანქანა მაინც მანქანაა, ჭკვიანი იქნება ის თუ სულელი. ჰოდა, ჩემს შვილს მანქანას ვერ ვანდობ. მას ხომ სული არ აქვს და არავინ იცის, რაზე ფიქრობს. როგორ შეიძლება, ბავშვი რაღაც ლითონის ჯართს ებაროს!

უესტონი მოიღუშა.

– ეს გადაწყვეტილება როდის მიიღე? ორი წელია, რობი გლორიასთანაა და აქამდე არ მინახავს, რომ ამაზე გენერვიულოს.

– თავიდან ასე არ ვფიქრობდი. მაშინ ეს სიახლე იყო და თან თითქოს საბრუნავიც შემიმცირდა. გარდა ამისა, რობოტის ყოლა მოდური იყო... ახლა კი, აღარ ვიცი... მეზობლები...

– ეს მეზობლების საქმე არაა. მომისმინე! რობოტი ადამიან ძიძაზე გაცილებით სანდოა. რობი მხოლოდ იმისთვის შექმნეს, რომ ბავშვებს მოუაროს. მთელი მისი „აზროვნება“ საგანგებოდ ამისთვისაა გამოთვლილი. მას უბრალოდ არ შეუძლია არ იყოს ერთგული, მოსიყვარულე, კეთილი. ასეა მოწყობილი და იმიტომ. ყველა ადამიანზე კი ამას ვერ იტყვი.

– კი მაგრამ, ხომ შეიძლება, რაღაც გაუფუჭდეს, რა ვიცი, რომელიმე... – მისის უესტონი შეყოვნდა – რობოტების შინაგან მოწყობილობაზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, – მაგალითად, რაღაც დეტალი რომ გაუტყდეს, ეს საშინელი რკინა შეიძლება წონასწორობიდან გამოვიდეს და... და... – ქალს ძალა აღარ ეყო, აზრი დაესრულებინა.

– სისულელეა, – შეეკამათა ცოტა შემცბარი უესტონი, – საოცრებას ამბობ. გახსოვს რამდენ ხანს ვისაუბრეთ რობოტიკის პირველ კანონზე, როდესაც რობის ვყიდულობდი? ხომ იცი, რომ რობოტს არ შეუძლია, ადამიანს ავნოს. ამ პირველი კანონიდან მცირედი გადახრაც რომ მოხდეს, რობოტი უმალ მწყობრიდან გამოვა, ყველაფერი მათემატიკური სიზუსტითაა გაანგარიშებული. თანაც წელიწადში ორჯერ „იუ ეს რობოტსიდან“ სპეციალისტი მოდის და მთელ მექანიზმს ამოწმებს. ნუ გეშინია, რობის არაფერი მოუვა.

მგონი, მე და შენ უფრო შეიძლება გავგიჟდეთ, ვიდრე ის. ან კი როგორ აპირებ გლორიას რობოტი წაართვა?

უესტონმა ისევ გაზეთისკენ გაიწია, მაგრამ ამოდ – გაბრაზებულმა ცოლმა გაზეთი მეორე ოთახში გამავალ კარში მოისროლა.

– ჰოდა, მეც ეგ მანუხებს, ჯორჯ! ბავშვს სხვა აღარავისთან უნდა თამაში! გარშემო ამდენი გოგო-ბიჭია, მაგრამ მათთან მეგობრობაზე სიტყვასაც ვერ ჩამოუგდებ, გაგონებაც არ უნდა. იძულების გარეშე მათკენ არც კი გაიხედავს. განა პატარა გოგონა ასე უნდა იზრდებოდეს? არ გინდა, ბავშვი ნორმალური გამოვიდეს, საზოგადოებაში თავისი ადგილი მონახოს?

– გრეის, მოჩვენებებთან ბრძოლას მოეშვი. წარმოიდგინე, რომ რობი ძაღლია. ასობით ბავშვი მინახავს, მამის ნაცვლად ძაღლის ყოლა რომ ურჩევნია.

– ძაღლი რომ იყოს, რაღა უშავდა! არა, ჯორჯ, როგორმე თავიდან უნდა მოვიშოროთ ეს საშინელი ნივთი. შეგიძლია კომპანიას დაუბრუნო. გავიკითხე და თურმე დაბრუნება შეიძლება.

– გაიკითხე? მომისმინე, გრეის, მოდი, ამ საკითხს ასე ძალიან ნუ ჩავეუღრმავდებით. რობოტი იქამდე დავიტოვოთ, ვიდრე გლორია წამოიზრდება და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს! – თქვა და ოთახიდან გაგულისებული გავიდა.

ორი დღის შემდეგ მისის უესტონი ქმარს კარში მიეგება.

– ჯორჯ, უნდა მომისმინო! დასახლებაში უკმაყოფილონი არიან!

– რითი? – ჰკითხა უესტონმა. პასუხს აღარ დაუცადა, სააბაზანოში შევიდა და სულ მალე იქიდან წყლის ისეთი ჩხრიალი მოისმა, სულ ერთია, ვერაფერს გააგონებდი.

მისის უესტონი დაელოდა, ვიდრე ხმაური მიწყდებოდა და მერე შესძახა:

– რობის გამო.

უესტონი სააბაზანოდან გამოვიდა, ხელში პირსახოცი ეჭირა, სიბრაზისგან სახე წამოწითლებოდა.

– რაზე მელაპარაკები?

– რამდენი ხანია, თვალებს ვხუჭავ, ვცდილობ არაფრად ჩავაგდო, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია. ადგილობრივთა უმეტესობა რობის სახიფათოდ მიიჩნევს. მისი შიშით საღამოობით მეზობლები ბავშვებს ჩვენი სახლის ახლოსაც კი აღარ ატანებენ.

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ ვანდობთ ჩვენს შვილს რობის?

– მათ ამის გაგონებაც არ უნდათ.

– ჰოდა, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ!

– ეს არ არის გამოსავალი. მე მათ ყოველდღე ვხვდები, მაღაზიებში ხომ უნდა ვიარო! ქალაქში კი რობოტების საკითხს უფრო მკაცრად ვკიდებიან. ნიუ იორკში თურმე სულ ახლახან მიუღიათ დადგენილება, რომლის თანახმადაც რობოტებს დაისიდან აისამდე ქუჩაში გასვლა ეკრძალებათ.

– კი, მაგრამ, მათ ხომ არ აქვთ უფლება, რობოტის შინ ყოლა აგვიკრძალონ. გრეის, ეს მგონი შენი მოფიქრებული ხრიკია, მაშინვე მიგიხვდი, მაგრამ არაფერი გამოგივა. ჩემი პასუხია არა – რობის ვიტოვებთ!

მაგრამ უესტონს უყვარდა ცოლი და, რაც ყველაზე უარესია, ქალმა ეს კარგად იცოდა. გარდა ამისა, სანყალი ჯორჯ უესტონი მხოლოდ ერთი უბრალო მამაკაცი იყო, მისმა ცოლმა კი ყველანაირი ქალური ხერხი გამოიყენა... საბრალო კაცსაც რაღა დარჩენოდა.

მომდევნო კვირის განმავლობაში უესტონმა ერთი-ორჯერ მაინც წამოიკნავლა, რობი ჩვენთან რჩება და შეწყდეს ამაზე ლაპარაკიო, მაგრამ ყოველ ჯერზე მის ხმას თავდაჯერება აკლდებოდა და სულ უფრო საცოდავ კვნესად იქცეოდა.

ბოლოს დადგა დღე, როცა უესტონი დამნაშავეის სახით მიუახლოვდა ქალიშვილს და საოცარ ვიზიოქს (VISIVOX – აიბეკ აზიმოვის მიერ მოგონილი სიტყვა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ მის ლიტერატურულ სამყაროში გამოიყენებოდა. სიტყვა აღნიშნავს ვიზუალურ და ხმოვან წარმოდგენას (visi – სანახაობა, vox – ხმა)) სანახაობაზე წაყვანა შესთავაზა.

გახარებულმა გლორიამ ტაში შემოჰკრა.

– შეიძლება რობიც წავიყვანოთ?

– არა, ძვირფასო, – იუარა მამამ და ხმაში კანკალი შეეპარა, – რობოტებს სანახაობაზე არ უშვებენ. არა უშავს, ყველაფერს დაბრუნებისას უამბობ, – ბოლო სიტყვები ჩაიბურტყუნა და შეტრიალდა.

გლორია აღფრთოვანებული დაბრუნდა შინ. მართლაც საოცარი სანახაობა იყო. ერთი სული ჰქონდა, როდის დააყენებდა მამა რეაქტიულ მანქანას მიწისქვეშა სადგომში.

– მამიკო, ახლავე ყველაფერს ვუამბობ რობის. იცი, როგორ მოეწონებოდა, რომ ენახა?! განსაკუთრებით ის, ფრენსის ფრენი რომ ნეველა, ნელა იხევდა უკან და პირდაპირ ადამიან-ლეოპარდს ჩაუვარდა ხელში! ჰოდა, იძულებული გახდა, გაქცეულიყო! – გოგონამ გადაიკისკისა, – მამიკო, მთვარეზე მართლა ცხოვრობენ ადამიანი-ლეოპარდები?

– არა მგონია, – დაბნეულად მიუგო უესტონმა, – როგორც ჩანს, ჩვენს გასართობადაა

მოგონილი.

მანქანასთან ჯახირს ვედარ გააჯანჭლებდა, სინამდვილისთვის თვალი უნდა გაესწორებინა.

გლორია ეზოში გავარდა.

– რობი! რობი!

უცებ ულამაზესი კოლის ჯიშის ლეკვი დაინახა და შედგა. ლეკვი პარმაღზე დასკუპებულიყო და სერიოზული თაფლისფერი თვალეებით პირდაპირ გლორიას შესცქეროდა, თან კუდს აქიცინებდა.

– უჰ, რა საყვარელი ლეკვია! – გლორია საფეხურებზე ავიდა, ფრთხილად მიუახლოვდა და თავზე ხელი გადაუსვა, – ჩემია, მამიკო?

ამასობაში დედაც მოვიდა.

– ჰო, შენია, გლორია, ნახე, რა კარგია, რა რბილი და ფუმფულაა. თანაც კეთილია და პატარა გოგონები უყვარს.

– მეთამაშება?

– რა თქმა უნდა. ათასი რამ იცის. გინდა განახო?

– ჰო, ოღონდ მინდა, რობიმაც ნახოს. რობი!

გოგონა უცებ გაჩუმდა.

– ალბათ ოთახში ზის და მებუტება, სანახაობაზე რომ არ წავიყვანე. მამიკო, შენ უნდა აუხსნა. იქნებ მე არც კი დამიჯეროს. შენ თუ ვერცხვი, მიხვდება, რომ მეტი გზა მართლაც არა გვექონდა.

უესტონმა ტუჩები მოკუმბა და ცოლს გადახედა, მაგრამ ქალმა თვალი აარიდა.

გლორია ცალ ფეხზე დატრიალდა და საფეხურები აირბინა, თან გაიძახოდა:

– რობი, რობი! მოდი, ნახე, დედამ და მამამ რა მომიყვანეს? ნახე, რა ლამაზი ლეკვი მაჩუქეს!

წუთის შემდეგ შემკრთალი გოგონა უკან დაბრუნდა.

– დედიკო, რობი ოთახში არ დამხვდა, სად არის?

არავინ უპასუხა. ჯორჯ უესტონმა ჩაახველა და გაუაზრებელი ინტერესით მიაშტერდა ცაზე გაშლილ ღრუბლებს.

გლორიას ხმა აუკანკალდა, ცრემლები მოადგა.

– დედიკო, სად არის რობი?

მისის უესტონმა ჩაიცუცქა და შვილი ნაზად მიიკრა მკერდზე.

– გლორია, არ იდარდო, ძვირფასო, ვფიქრობ, რობი წავიდა.

– წავიდა? სად წავიდა, სად, დედა?!

– რა ვიცი, შვილო, უბრალოდ ადგა და წავიდა. ვეძებეთ, ვეძებთ, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ.

– მაშ, აღარასოდეს დაბრუნდება? – გოგონას სასონარკვეთისგან თვალები დაუმრგვალდა.

– ვინ იცის, იქნებ გამოჩნდეს. მოვძებნით. მანამდე კი ლეკვს ეთამაშე. ნახე! ელვა ჰქვია და იცი, რას აღარ აკეთებს!..

მაგრამ გლორიას ლეკვის დარდი აღარ ჰქონდა, თვალები ცრემლებით ავსებოდა:

– მომაშორეთ ეს საძაგელი ძაღლი, მე ჩემი რობი მინდა! მომიძებნეთ რობი, რობი...

ბავშვი ისე აღელვებულიყო, ენა ებმოდა და გულამოსკვნით აქვითინდა... მისის უესტონმა უშწოდო გადახედა ქმარს. მან ნაღვლიანად მოინაცვლა ფეხი, თან ცისთვის თვალი არ მოუშორებია. ასე აგრძნობინა ჩემგან ნუგეშიცემას ნუ ელიო.

– ნუ ტირი, შვილო, – განაგძრობდა მისის უესტონი, – რობი ხომ უბრალოდ მანქანაა და მეტი არაფერი, ძველი საძაგელი მანქანა. ის ხომ ნამდვილი არ არის!

– არაფერიც, არ არის მანქანა! – სასონარკვეთით შეჰყვირა გლორიამ, უკვე სიტყვებსაც ვერ ალაგებდა, – ისიც ადამიანია როგორც მე და შენ და ჩემი მეგობარია. დააბრუნეთ რობი, დედა, მინდა რომ დაბრუნდეს რობი, ჩემი რობი!...

დედამ ამოიოხრა, მიხვდა, რომ დამარცხდა და გლორიას თავი დაანება, ტირილის საშუალება მისცა.

– იტიროს, – უთხრა ქმარს, – ბავშვებს დიდხანს დარდი არ შეუძლიათ. რამდენიმე დღეში იმ საძაგელი რობოტის არსებობაც კი დაავიწყდება.

მაგრამ მისის უესტონი მალე დარწმუნდა, რომ ზედმეტად ოპტიმისტურად მსჯელობდა. გლორიამ ტირილი შეწყვიტა, მაგრამ აღარც იღიმებოდა. ბავშვს აღარაფერი ახარებდა და დღითიდღე ნაღველი ემატებოდა. მისმა უბედურებამ თანდათან მისის უესტონიც კი მოტეხა. ფარ-ხმალს თუ არ ყრიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდოდა, ქმრის წინაშე დამარცხებულად ეცნო თავი.

ერთ საღამოს ბრაზისგან განიწმამებული ქალი სასტუმრო ოთახში შევარდა და ორივე ხელი მკერდზე მიიღო. ქმარმა კისერი წაიგრძელა და გაზეთის ზემოდან გადმოხედა.

– რა იყო, გრეის, კიდევ მოხდა რამე?

– ისევ ჩვენი გოგონა, ჯორჯ! დღეს ძაღლი ყოფილ პატრონს დავუბრუნე. გლორიამ

მითხრა, მომაშორე, დასანახავადაც ვერ ვიტანო. ლამისაა გავვიჟღე.

უესტონმა გაბეთი დაუშვა და თვალში იმედის ნაპერწკალი გაუკრთა.

– იქნებ... იქნებ ისევ რობი მოგვეყვანა? იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან? მე დავუკავშირდები...

– არა და არა! – შეუპოვრად მიუგო ქალმა, – მაგის გაგონებაც არ მინდა. ასე იოლად ვერ დავნებდები. ჩემს შვილს რობოტს არ გავაზრდევენებ. თუნდაც წლები დამჭირდეს, რობის მაინც დავავინწყებ.

უესტონმა იმედგაცრუებული სახით აიღო გაბეთი.

– ერთი წელიც და ნაადრევად გავჭალარავდები.

– მაინცდამაინც დიდად არ იწუხებ თავს, – მოისმა ცივი პასუხი, – გლორიას გარემო უნდა გამოვეყვალათ. რა თქმა უნდა, აქ რობის ვერ დაივიწყებს, ყოველი ხე და ბუჩქი იმას აგონებს. რა სულელურ სიტუაციაში აღმოვჩნდით, მსგავსი არაფერი მსმენია. წარმოიდგინე, ბავშვი რობოტის დაკარგვის გამო დარდობს.

– რის თქმას ცდილობ? რა ცვლილებას გეგმავე?

– ნიუ იორკში უნდა წავიყვანოთ.

– ქალაქში?! აგვისტოში?! იცი, რა არის ნიუ იორკი აგვისტოში? ახლა იქ ცხოვრება წარმოუდგენელია.

– მილიონობით ადამიანი მშვენივრად უძლებს!

– მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი საცხოვრებლის მსგავსი არ აქვთ. იძულებული რომ არ იყვნენ, ნიუ იორკში დარჩნენ, იქიდან აუცილებლად წავიდოდნენ.

– ჰოდა, ჩვენც იძულებული ვართ. დაუყოვნებლივ გავემგზავროთ, როგორც კი ნივთებს ჩავალაგებთ. ქალაქში გლორია ათას გასართობს იპოვის და მეგობრებსაც გაიჩენს, გულს გადააყოლებს და რობოტიც დაავინწყდება.

– ო, ღმერთო ჩემო, – ამოიკვნესა ჯორჯმა, – რა გაუძლებს იმ გავარვარებულ ქუჩებს!

– სხვა გზა არ არის, უნდა წავიდეთ! – წარბმუხრელად მიუგო ცოლმა, – ბავშვმა ერთ თვეში ხუთი ფუნტი (წონის საზომი ერთეული. უდრის 453 გრამს) დაიკლო. ჩემი გოგონას ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენი კომფორტი.

– ვწუხვარ, რომ შენი შვილის ჯანმრთელობაზე მაშინ არ გიფიქრია, როცა საყვარელ შინაურ რობოტს დააშორე, – ჩაიბურტყუნა კაცმა თავისთვის.

გაიგო თუ არა გლორია, რომ საცხოვრებლად ქალაქში გადადიოდნენ, მაშინვე გამოკეთება დაეტყო. სიხარულით მოელოდა გამგზავრების დღეს, ხანდახან იცინოდა

კიდევ და უწინდელი მადაც დაუბრუნდა.

მისის უესტონი სიხარულით ცას სწვდებოდა. ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რომ ჯერ კიდევ დაეჭვებულ ქმარზე გამარჯვება არ ეჩვიოდა.

– ხედავ, ჯორჯ, ჩემი კარგი გოგო ნივთების ჩალაგებაშიც კი მეხმარება, ჩემი პატარა ანგელოზი. ისე ტიკტიკებს, თითქოს ყველაფერი დაივიწყაო. ხომ გეუბნებოდი, სხვა რამით უნდა დავაინტერესოთ-მეთქი.

– ჰმ! – გაისმა ეჭვით სავსე პასუხი, – იმედია.

მზადება მალე დაასრულეს, ქალაქის ბინასთან დაკავშირებული მოლაპარაკებაც შედგა. მეზობლებს სთხოვეს, სახლისთვის ყურადღება მიექციათ და როცა, ბოლოს და ბოლოს, გადასვლის დღეც დადგა, გლორია ისევ უწინდელი გლორია იყო. რობიზე კრინტიც აღარ დაუძრავს. როცა საჰაერო ტაქსიში ჩასხდნენ, ყველა მშვენიერ გუნებაზე იყო. მალე აეროპორტშიც მივიდნენ. უესტონს საკუთარი მანქანით გაფრენა ერჩია, მაგრამ ის ორადგილიანი გახლდათ და არც საბარგო განყოფილება ჰქონდა. ამიტომ ისევ ავიალაინერში ჩასხდნენ.

– ჩემთან მოდი, გლორია, – დაუძახა დედამ, – ფანჯარასთან დაგიკავე ადგილი, ნახე, რა კარგად ჩანს აქედან ყველაფერი.

გლორიამ სხარტად გაიარა სკამებს შორის, ცხვირი სქელ მინას მიაჭყლიტა და სულ უფრო მეტად დაიძაბა, როდესაც უზარმაზარი ხომალდის ძრავები მძლავრად აგრუხუნდა. გლორია ჯერ კიდევ იმდენად პატარა იყო, რომ არც კი შეშინებია, როცა უეცრად ფეხქვეშ მიწა გამოეცალათ და ორჯერ უფრო დამძიმდა, მაგრამ იმდენად დიდი კი გახლდათ, რომ მომხდარით მეტად დაინტერესებულიყო. მხოლოდ მაშინ შემობრუნდა დედისკენ, როცა დედამინა ნაკუნებისაგან შეკერილი პატარა საბანივითლა ჩანდა.

– დედა, მალე ჩავალთ ქალაქში? – ჰკითხა გოგონამ, თან გაყინულ ცხვირს ხელით ისრესდა და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს დაორთქლილ მინას, რომელზეც ორთქლის კვალი თანდათან მცირდებოდა და ბოლოს სულაც გაქრა.

– ნახევარ საათში იქ ვიქნებით, საყვარელო, – უპასუხა დედამ. მის ხმაში მცირე განგაში შეინიშნებოდა, – ხომ გიხარია, რომ მივემგზავრებით? იცი, როგორ მოგეწონება ქალაქში ცხოვრება? იქ უზარმაზარი სახლებია, ბევრი ხალხია, ათასი გასართობი... ყოველდღე სანახაობებზე, პლაჟზე, ცირკში ვივლით...

– ჰო, დედიკო, – მიუგო გლორიამ არც თუ ისე დიდი აღფრთოვანებით. ამ დროს თვითმფრინავი ღრუბლების თავზე მიფრინავდა და ბავშვი გატაცებით გასცქეროდა

ზღაპრულ სანახაობას. მის ქვემოთ შედგებულ ორთქლის ზღვა თიმთიმებდა. მერე ზეცა მთლიანად გაკამკამდა. გოგონა შემობრუნდა და დედას ისეთი გამომეტყველებით შეხედა, თითქოს რაღაც მისტიკურ საიდუმლოს ინახავდა.

– მე ვიცი, ქალაქში რატომაც მივდივართ!

– იცი? – მისის უესტონი დაიბნა, – რატომ, საყვარელო?

– აქამდე იმიტომ არ მეუბნებოდით, რომ გინდოდათ, ჩემთვის სიურპრიზი გაგვეკეთებინათ. მე კი ვიცი, რატომაც, – გოგონა საკუთარი გამჭრიახობით მოხიბლული გაყურდა. შემდეგ კი მხიარულად გადაიკისკისა, – ნიუ იორკში რობის მოსაძებნად მივდივართ, არა? გამომძიებლებიც დაგვეხმარებიან!

ეს სიტყვები ჭორჭ უესტონს სწორედ მაშინ მოესმა, როდესაც წყალს სვამდა და ელდა ეცა. კაცმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ წყალი სასულეში გადასცდა და ხველა აუვარდა... როცა დაშოშმინდა, ერთიანად სველი და აჭარხლებული კაცი სიბრაზეს ვერ მალავდა.

მისის უესტონმა თავი შეიკავა, მაგრამ საკმარისი იყო, გლორიას ცოტა უფრო შიშნარევი ხმით გაემორებინა კითხვა, რომ ნერვებმა მასაც უმტყუნა.

– იქნებ ასეც იყოს! – უპასუხა გაგულისებით, – თუ ღმერთი გწამს, გასწორდი და ხმა არ გაიღო.

ჩვენი წელთაღრიცხვით 1998 წელს, ნიუ იორკი ტურისტული სამოთხე იყო. გლორიას მშობლებმა ეს კარგად იცოდნენ და არსებული გარემოება, რამდენადაც შეძლეს, კარგად გამოიყენეს. ჭორჭ უესტონს, ცოლის ბრძანებით, თავისი საქმეები ერთი თვით გვერდზე გადაედო, რათა ეს დრო, როგორც თვითონ ამბობდა, „გლორიას ყოვლისმომცველი გართობისთვის მიეძღვნა“. უესტონი მისთვის ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდა მისიას და დაპირება პატიოსნად შეასრულა. ჯერ თვე არც გასულიყო და უკვე ყველაფერი ეღონა, რაც კი ერთ ადამიანს შეეძლო.

გლორია რუზველტ ბილდინგის (ნიუ იორკის ერთ-ერთი უძველესი და ცნობილი შენობა) წვერზე ავიდა და ნახევარი მილის სიმაღლიდან გულისფანცქალით გადმოხედა სახურავების ქონგურებიან პანორამას, რომელიც თითქოს ლონგ აილენდის (უდიდესი და მჭიდროდ დასახლებული კუნძული ნიუ იორკში) ველებისა და ნიუ ჯერსის (აშშ-ს შტატი) ვაკისკენ გადაშლილიყო. ეწვივნენ ზოოპარკსაც, სადაც შიშისა და ნეტარებისგან განაბული გოგონა ნამდვილ ცოცხალ ლომს შეჰყურებდა (ცოტა იმედგაცრუებული კი იყო იმის გამო, რომ ლომს უმი ბიფშტექსით უმასპინძლდებოდნენ და არა ცოცხალი ადამიანებით,

როგორც ეგონა). გლორია დაჟინებითა მოითხოვდა, ვეშაპიც მაჩვენეთო.

მუზეუმებმა, პარკებმა, პლაჟებმა და აკვარიუმმა გოგონას მთელი თავისი მშვენება გადაუშალეს თვალწინ.

გლორია ტურისტული ორთქლის გემით ჰუძონსაც (მდინარე ნიუ იორკში) აუყვავა, რომელიც ოციანი წლების მხიარულ სტილში იყო მორთული. სტრატოსფეროშიც გაფრინდა, სადაც ზეცას მენამული იისფერი მოსდებოდა, თავზე ვარსკვლავები დაჰკაშკაშებდნენ, ნისლებში ჩაფლული დედამიწა კი სადღაც, ქვემოთ, უზარმაზარ ფიალას მიაგავდა. მინისკედლებიანი წყალქვეშა ნავით ლონგ აილენდის სრუტის სიღრმეში, მწვანე მერხვევ სამყაროშიც ჩაეშვა, სადაც უჩვეულო, საოცარი ზღვის არსებანი გოგონას ჯერ შეათვალიერებდნენ, მერე კი უცებ გასრიალდებოდნენხოლმე. გაცილებით პროზაული გამოდგა დღე, როდესაც დედამ მალაზიებში წაიყვანა, თუმცა მორიგ ზღაპრულ სამყაროს მაინც ეზიარა.

ამრიგად, თვე რომ მიიღია, უესტონები ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი იღონეს, რათა გლორიას ერთხელ და სამუდამოდ ამოეგდო თავიდან რობიზე ფიქრი. მაგრამ დიდად მაინც არ სჭეროდათ, რომ საწადელს მიაღწიეს.

საქმე ის იყო, რომ, სადაც უნდა წაეყვანათ, გლორია ყოველთვის უჩვეულო ინტერესით ათვალიერებდა ყველა რობოტს. რა დიდი გატაცებითაც უნდა ეცქირა სანახაობისთვის, როგორი სიახლევც უნდა ყოფილიყო პატარა გოგონას თვალებისთვის, როგორც კი მოძრავ ლითონის მექანიზმს მოჰკრავდა თვალს, უმაღლეს ყველაფერი ავიწყდებოდა.

მისის უესტონი ყველაფერს აკეთებდა, რომ გლორიას რობოტებთან შეხვედრა აეცილებინა.

კულმინაცია მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმში სტუმრობისას გათამაშდა, სადაც საგანგებოდ შედგენილ „საბავშვო პროგრამას“ აანონსებდნენ. აქ შეიძლებოდა გენახათ მეცნიერების მიერ გამოგონილი ათასგვარი საოცარი ქმნილება – რა თქმა უნდა, ბავშვებისთვის გასაგები ფორმით გადმოცემული. ცხადია, უესტონებმაც ეს გამოფენა თავიანთ აუცილებელ პროგრამაში შეიტანეს.

სწორედ მაშინ, როდესაც ცოლ-ქმარი გატაცებით შესცქეროდა უზარმაზარ ელექტრომაგნიტს, მისის უესტონმა შენიშნა, რომ გლორია აღარსად ჩანდა. პირველი ელდის შემდეგ სიმშვიდეს მოუხმეს და გოგონას ძებნას მუზეუმის სამ თანამშრომელთან ერთად შეუდგნენ.

გლორია კი ამ დროს სულაც არ კარგავდა დროს უქმად. თავის ასაკთან შედარებით ის

წარმოუდგენლად გაბედული და მიზანდასახული გოგონა იყო, ამ მხრივ, აშკარად დედას ჰგავდა. მესამე სართულზე თვალი მოჰკრა აბრას „მოლაპარაკე რობოტი“. დამარცვლით წაიკითხა ეს სიტყვები და, როცა დარწმუნდა, რომ მშობლები სულაც არ აპირებდნენ იქით წასვლას, საითაც თავად უნდოდა, თვითონვე გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. მშობლების სხვა რაღაცაზე კონცენტრაციით ისარგებლა, მშვიდად მიატოვა ისინი და აბრის მიმართულებით წავიდა.

ეს მოლაპარაკე რობოტი მართლაც საოცარი რამ გახლდათ. რეკლამის გარდა სხვა არავითარი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნდა. საათში ერთხელ ექსკურსიამძღოლის თანხლებით მასთან ჯგუფ-ჯგუფად უშვებდნენ დამთვალეიერებლებს, რომლებიც ჩურჩულით უსვამდნენ კითხვებს რობოტის ინჟინერს. ის კი, რომელ კითხვასაც რობოტის პროგრამისტვის შესაფერისად მიიჩნევდა, მოლაპარაკე მანქანას გადასცემდა.

საკმაოდ მოსაბეზრებელი რამ იყო. ალბათ, კარგია, როცა იცი, რომ თოთხმეტის კვადრატი ზუსტად ას ოთხმოცდათექვსმეტია, რომ ამჟამად ტემპერატურა სამოცდათორმეტი გრადუსია, ჰაერის წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 30.02 დუიმი (დუიმი – სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 2,54 სანტიმეტრს) ტოლია, ნატრიუმის ატომური წონა კი ოცდასამს უდრს, მაგრამ ამის გასაგებად რობოტი სულაც არაა საჭირო, თანაც მავთულებისა და კოჭებისგან შემდგარი ასეთი ვეება უმოძრაო მასა, რომელსაც ოცდახუთ კვადრატულ იარღზე (იარღი – სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 91,44 სანტიმეტრს) მეტი ფართობი უჭირავს.

რობოტის სანახავად მეორედ იშვიათად თუ მიდიოდა ვინმე. სკამზე მხოლოდ ერთი მოზარდი გოგონა ჩამომჯდარიყო და მესამე სენსის დაწყებას ელოდა. როდესაც გლორია შევიდა, ოთახში მარტო იყო.

გლორიამ არც კი შეხედა გოგონას. ახლა მას ხალხი სულაც არ აინტერესებდა. მთელი მისი ყურადღება ბორბლებზე შემდგარ უზარმაზარ მოწყობლობას მიეპყრო. გლორია ცოტა ხანს შემცბარი იდგა. ეს რობოტი სულაც არ ჰგავდა იმათ, რომლებიც აქამდე ენახა.

გოგონამ ფრთხილად, მაგრამ უყოყმანოდ დაიწყო:

– უკაცრავად, მისტერ რობოტო, გეთაყვა მიპასუხეთ, თქვენ ხართ მოლაპარაკე რობოტი?

გლორია დარწმუნებული არ იყო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მიაჩნდა, რომ, რობოტი, რომელიც მართლა ლაპარაკობს, განსაკუთრებული პატივისცემის ღირსია.

(ოთახში მყოფ გოგონას გამხდარ, უფერულ სახეზე დაძაბულობა გამოეხატა. მან

პატარა უბის წიგნაკი მოიმარჯვა და ნაჩქარევად, გაურკვეველი კალიგრაფიით რაღაცის ჩაწერა დაიწყო).

დაბნეული კბილანები აღრტიალდა და ყოველგვარ ინტონაციასა და აქცენტს მოკლებული მექანიკური ხმა გაისმა:

– მე... ვარ... მოლაპარაკე... რობოტი...

გლორია იმედგაცრუებული შესცქეროდა რობოტს. ის მართლაც ლაპარაკობდა, მაგრამ ხმა, რატომღაც საიდანდაც, მოწყობილობის შიგნიდან ამოდიოდა. რობოტს სახეც კი არ ჰქონდა, რომ შეგეხედა და ისე დალაპარაკებოდი.

გლორიამ ჰკითხა:

– მისტერ რობოტო, შეგიძლიათ დამეხმაროთ?

მოლაპარაკე რობოტი კითხვებზე პასუხების გასაცემად შეექმნათ. აქამდე მხოლოდ ისეთ კითხვებს აძლევდნენ, რომლებზეც პასუხები მზად ჰქონდა. ამიტომ თავდაჭერებული იყო.

– მე... შემოძლია... დაგეხმაროთ...

– გმადლობთ, მისტერ რობოტო. რობი ხომ არ გინახავთ?

– ვინ... არის... რობი?

– რობოტია, მისტერ რობოტო.

გოგონამ თითის წვერებზე აიწია.

– ის დაახლოებით აი, ამსიმაღლეა, მისტერ რობოტო, არა, ცოტა უფრო მაღალი და თანაც ძალიან კარგია. იცით, მას თავიც აქვს. აი, თქვენ არა გაქვთ, მას კი აქვს თავი.

მოლაპარაკე რობოტი ასე სხაპასხუპით მიყრილი სიტყვების გაგებას ვერ ასწრებდა.

– რობოტი?..

– დიახ, მისტერ რობოტო, თქვენსავით რობოტია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მას ლაპარაკი არ შეუძლია, თანაც ძალიან ჰგავს ნამდვილ ადამიანს.

– ჩემსავით... რობოტია?..

– დიახ, მისტერ რობოტო.

მოლაპარაკე რობოტი პასუხის ნაცვლად რაღაც უცნაურად აშიშინდა. ხანდახან გაუგებარ სიტყვებსაცგამოურევდა ხოლმე. ეს მოსალოდნელიც იყო – რობოტს უნდა გაეაზრებინა, რომ ცალკე ინდივიდი კი არა, გარკვეული ჯგუფის წარმომადგენელი იყო, რაც მისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ჯიუტად შეეცადა მოვალეობის შესრულებას და კითხვის აზრის გაგება იმდენად მოიწადინა, რომ რამდენიმე სადენი

გადაეწვა. უცებ საავარიო სიგნალი აზუზუნდა.

(ამ დროს მოზარდი გოგონა ოთახიდან გავიდა. მას უკვე საკმაო მასალა დაეგროვებინა თავისი მოხსენებისთვის „რობოტიკის პრაქტიკული ასპექტები“. ეს ამ თემაზე სიუზენ კელვინის ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა იყო).

გლორია პასუსს ელოდა. თან ცდილობდა, მოუთმენლობა დაეფარა. სწორედ ამ დროს ზურგს უკან მოესმა:

– აი, სად ყოფილა! – დედას ხმა იყო, – აქ რას აკეთებ, შე საძაგელო? – დაუყვირა გაბრაზებულმა მისის უესტონმა, რომელსაც მღელვარება უკვე სიბრაზეში გადასვლოდა, – იცი, როგორ შეგვაშინე მე და მამაშენი? რატომ გაგვეპარე?

ოთახში მორიგე ინჟინერი შემოვარდა, რომელმაც ხელები თავში წაიშინა და ყვირილით მოითხოვდა პასუსს, თუ ოთახში მყოფთაგან რომელმა მოშალა რობოტი.

– თქვენ რა, კითხვა არ იცით? – ყვიროდა, – პერსონალის გარეშე აქ შემოსვლა აკრძალულია!

გლორიამ ხმას აუწია, რომ დედისთვის აეხსნა:

– დედა, მე მხოლოდ მოლაპარაკე რობოტის ნახვა მინდოდა. მეგონა, ეცოდინებოდა, სად არის რობი, ისიც ხომ რობოტია, – უცებ წარმოიდგინა, რომ რობი კვლავ მის სახლში დააბრუნეს და ცრემლები წასკდა, – რობი უნდა ვიპოვო, დედა, უნდა ვიპოვო!

მისის უესტონმა უნებურად მოწოლილი ქვითინი ჩაიხშო და თქვა:

– ღმერთო ჩემო, შინ წავიდეთ, ჯორჯ, მეტი აღარ შემიძლია!

სალამოს ჯორჯ უესტონი რამდენიმე საათით სადღაც გავიდა.

მეორე დღით ცოლს მეტად საეჭვო თვითკმაყოფილებით გამოეცხადა.

– რაღაც მოვიფიქრე, გრეის!

– რა მოიფიქრე? – ნაღვლიანი გულგრილობით ჰკითხა ცოლმა.

– გლორიასთან დაკავშირებით.

– ისევ ის რობოტი ხომ არ გინდა იყიდო?

– არა, არა.

– მაშინ მითხარი, გისმენ. იქნებ შენ მაინც მოიფიქრო რამე. მე რაც გავაკეთე, ყველაფერი წყალში ჩამეყარა...

– იცი, რა აზრი მომივიდა? საქმე ისაა, რომ გლორიას რობი ადამიანი ჰგონია და არა მანქანა. ამიტომაც, ბუნებრივია, ვერ ივიწყებს. თუკი დავარწმუნებთ, რომ რობი მხოლოდ და მხოლოდ ფოლადის კარკასისა და სპილენძის სადენების გროვია, რომელსაც

ელექტროდენი აცოცხლებს, ვფიქრობ, ასე აღარ იდარდება. ეს ფსიქოლოგიური სვლა იქნება, გესმის ჩემი?

– ამის გაკეთებას როგორ აპირებ?

– სულ უბრალოდ. რა გგონია, სად ვიყავი წუხელ? რობერტსონს მოველაპარაკე, „იუ ეს რობოტს ენდ მექანიკალ მენ კორპორეიშენშიდან“. ხვალ მთელ თავის სამფლობელოს დაგვათვალეფრებინებს. გეუბნები, თავისი თვალით რომ ნახავს ყველაფერს, გლორია დარწმუნდება, რომ რობოტი ცოცხალი არსება არ არის.

მისის უესტონი თანდათან გაიბადრა და სიხარულისგან თვალები აუკიაფდა, რაც უეცარი ალტაცების ნიშანი იყო.

– ჯორჯ, მგონი, მართლაც კარგი ამრია!

ჯორჯ უესტონი წელში გაიმართა და გაიბღინდა:

– მე სხვაგვარი ამრები არც მომდის ხოლმე, ძვირფასო! – განაცხადა ამაყად.

მისტერ სტრაზერსი კეთილსინდისიერი მენეჯერი და ლაქლაქის მოყვარული კაცი გახლდათ. ამ ორი თვისების შეხამებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ექსკურსიის დროს ყოველ წვრილმანს ვრცლად და დაწვრილებით განმარტავდა. მიუხედავად ამისა, მისის უესტონი მაინც დიდი ყურადღებით უსმენდა. რამდენჯერმე შეაწყვეტინა კიდევ და სთხოვა ზოგი რამ უფრო მარტივად აეხსნა, რათა გლორიას უკეთ გაეგო. მისტერ სტრაზერსს ძალზე სიამოვნებდა, რომ მის მჭევრმეტყველებას ასე მაღალ შეფასებას აძლევდნენ და ერთიორად სიტყვაუხვი გახდა, თუ ეს კიდევ შესაძლებელი იყო.

ჯორჯ უესტონს კი სადაცაა მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა.

– უკაცრავად, სტრაზერს, – გააწყვეტინა ფოტოელემენტებზე ლაპარაკისას, – ქარხანაში ისეთი განყოფილება ხომ არა გაქვთ, სადაც მხოლოდ რობოტები მუშაობენ?

– რა ბრძანეთ? ოჰ, დიახ! რა თქმა უნდა! – მასპინძელმა მისის უესტონს გაუღიმა, – ერთი შეხედვით თითქოს მოჭადროებული წრეა – რობოტები თვითონვე ქმნიან ახალ რობოტებს. ცხადია, ეს ჩვენი ძირითადი ხაზი არ გახლავთ, ჯერ ერთი, ამის ნებას პროფკავშირები არ მოგცემდნენ, მაგრამ ზოგ რობოტს, მეცნიერული ექსპერიმენტის მიზნით, ამ მიმართულებით მაინც ვამუშავებთ. იცით, – მან პენსნე მოიხსნა და ხელისგულზე მკაცრად დაიკაკუნა, – პროფკავშირებს ერთი რამ არ ესმით, მე კი სწორედ ის ადამიანი ვარ, რომელიც მუდამ თანაუგრძობდა პროფკავშირულ მოძრაობას, მათ არ ესმით, რომ რობოტების გამოჩენა, რაც თავდაპირველად ზოგიერთ გაუგებრობასთან იყო დაკავშირებული, მომავალში აუცილებლად...

– დიახ, სთრაზერს, – თქვა უესტონმა, – მაგრამ იმ განყოფილებაზე რას გვეტყვი, რომლის ჩვენებაც გთხოვთ? შეიძლება? ძალიან საინტერესო იქნებოდა.

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. – მისტერ სთრაზერსმა პენსნე მოუხერხებელი მოძრაობით გაიკეთა და იმედგაცრუებულმა ჩაახველა, – აქეთ მობრძანდით!

ისუკვე შედარებით ნაკლებს ლაპარაკობდა, როდესაც უესტონებს გრძელ დერეფანსა და მერე კიბეზე მიაცილებდა. მაგრამ, როგორც კი განათებულ ოთახში შევიდნენ, სადაც ლითონის ღრჯილისგან ყურთასმენა აღარ იყო, ახალი სუნთქვა გაეხსნა და ახსნა-განმარტებების მორიგი ნიაღვარი გამოუშვა.

– აი, – თქვა მან ამაყად, – აქ მარტო რობოტები არიან! მხოლოდ ხუთი მეთვალყურე ჰყავთ, თუმცა ისინი ამ ოთახში არც კი შემოდიან. ამ ხუთი წლის განმავლობაში, რაც ექსპერიმენტს ვატარებთ, ერთი შემთხვევაც არ მომხდარა. რა თქმა უნდა, აქ შედარებით მარტივ რობოტებს აწყობენ, მაგრამ...

გლორიას მენეჯერის ხმა უკვე დიდი ხანია ძილისმომგვრელად ჩაესმოდა. მთელი ექსკურსია უმიზნოდ და მოსაწყენად ეჩვენებოდა. მართალია, აქ უამრავი რობოტი იყო, მაგრამ არც ერთი მათგანი ოდნავადაც კი არ ჰგავდა მის რობის. გოგონა მათ ამრეზილი შესცქეროდა.

გოგონამ შენიშნა, რომ ამ ახალ ოთახში ადამიანები არ იყვნენ და ამიტომ უფრო ყურადღებით დააკვირდა ექვს თუ შვიდ რობოტს, რომლებიც ოთახის შუაგულში, მრგვალი მაგიდის გარშემო იდგნენ და რაღაცას საქმიანობდნენ. უცებ თვალები ეჭვითა და გაოცებით გაუფართოვდა. ოთახი დიდი იყო და ამიტომ ზუსტად ვერ იტყოდა, მაგრამ ერთ-ერთი რობოტი ძალიან ჰგავდა... დიახ, ჰგავდა... ჰგავდა კი არა, ის იყო!..

– რობი!

ბავშვის შეძახილმა ჰაერი გაკვეთა. მაგიდასთან მდგომი ერთ-ერთი რობოტი შეკრთა და სამუშაო იარაღი ხელიდან გაუვარდა. გლორია სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა. სანამ მშობლები მის შეჩერებას მოასწრებდნენ, მოაჭირის რიკულებს შორის გაძვრა, ჩახტა იატაკზე, რომელიც რამდენიმე ფუტით (ფუტი – სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 30,48 სანტიმეტრს) დაბლა იყო და ხელების ქნევით თავისი რობისკენ გაექანა.

შეძრწუნებული უფროსები კი ერთ ადგილას გაქვავებულიყვნენ, რადგან დაინახეს ის, რაც აღელვებულმა ბავშვმა ვერ შეამჩნია – მუხლუხობიანი ამწე პირდაპირ გლორიასკენ მიექანებოდა.

უესტონი რამდენიმე წამში მოეგო გონს. ყველაფერი სწორედ ამ რამდენიმე წამმა

გადაწყვიტა. გლორიას ველარავინ დაეწეოდა. უესტონი უმაღლესად გადაეწეოდა მოაჯირს, მაგრამ ეს უკვე აშკარად უმედეგო მცდელობა იყო. თავზარდაცემულმა მისტერ სტრაზერსმა ზედამხედველს ანიშნა, როგორმე შეეჩერებინა ამწე, მაგრამ ისინიც მხოლოდ ადამიანები იყვნენ, ამიტომ რეაგირებისთვის მეტი დრო სჭირდებოდათ.

მხოლოდ რობი მოქმედებდა დაუყოვნებლივ და ზუსტად.

მისმა ფოლადის ფეხებმა გიგანტური ნაბიჯებით გადაკვეთა მანძილი პატარა ქალბატონამდე. შემდეგ ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა – ისე, რომ სიჩქარე წამითაც კი არ დაუგდია, რობიმ სხარტად აიტაცა სუნთქვაშეკრული გლორია.

უესტონი მომხდარში ვერ გაერკვა. მან უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა, როგორ ჩაუქროლა რობიმ და დაბნეულად შედგა. რკინის მონსტრმა ნახევარი წამით გვიან ჩაიარა იმ ადგილას, სადაც გლორია უნდა მდგარიყო. კიდევ სამ მეტრზე გაგორდა, დაიღრტიალა და ადგილზე გაშეშდა.

გლორიამ სული მოითქვა თუ არა, მშობლებს ხელიდან დაუძვრა და რობისთან გახარებული მივარდა. მისთვის იმ მომენტში სხვა არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ მეგობარი იპოვა!

მისის უესტონის სახეზე კი შვება ეჭვმა ჩაანაცვლა. აღელვებისა და აწეწილი თმის მიუხედავად, მრისხანე გამომეტყველება მაინც შეენარჩუნებინა და ქმარს შეუღრინა:

– შენი მოგონილია ეს ყველაფერი, არა?

ჯორჯ უესტონმა გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა. ხელი უკანკალებდა, ათრთოლებულ ტუჩებზე საბრალო ღიმილი უკრთოდა. მისის უესტონი კი არ ცხრებოდა:

– რობი ქარხანაში მუშაობისთვის არ იყო შექმნილი. აქ შენ მოაყვანინე, რომ გლორიას ეპოვა. აღიარე, რომ ასე იყო!

– ჰო, კარგი, ვთქვით, მე მოვიგონე, – ამოღერდა შემკრთალმა უესტონმა, – მაგრამ რა ვიცოდი, გრეის, რომ ასეთი მგზნებარე შეხვედრა ექნებოდათ? თანაც რობიმ ხომ ჩვენი გოგონა სიკვდილს გადაარჩინა – ამას ხომ ვერ უარყოფ. ასე ადვილად რობის ველარ მოიშორებ.

გრეის უესტონი ჩაფიქრდა. დაბნეულად გახედა გლორიასა და რობის. გოგონას ისე მაგრად შემოეჭდო მკლავები რობის კისერზე, მის ადგილას ადამიანი რომ ყოფილიყო, ალბათ დაახრჩობდა კიდევ. ბედნიერებისგან თავგზააბნეული გოგონა რობოტს მხიარულად ჩასჩურჩულებდა ყურში ათას სისუღელეს. რობის ხელები, რომლებიც ქრომირებული ფოლადისგან იყო ჩამოსხმული და თუ მოინდომებდა, ორდუმიან

ფოლადის ღეროს ბაფთასავით შეკრავდა, ნაზად და სიყვარულით ეფერებოდა გოგონას, თვალები კი მუქ წითლად უელავდა.

– კარგი, დარჩეს ჩვენთან, – თქვა ბოლოს და ბოლოს მისის უესტონმა, – სანამ არ დაიჟანგება.

სიუზენ კელვინმა მხრები აიჩეჩა.

– რა თქმა უნდა, საქმე დაჟანგებამდე არ მისულა. ეს ყველაფერი 1998 წელს ხდებოდა. 2002 წლისთვის კი ჩვენ გაცილებით მოქნილი მოლაპარაკე რობოტი გამოვიგონეთ. ამრიგად, ის მოდელები, რომლებიც არ ლაპარაკობდნენ, მოძველდა. მათთვის, ვინც რობოტებს უარყოფდა, ეს უკანასკნელი წვეთი იყო და მოთმინების ფიალაც შეივსო. 2003-დან 2007 წლამდე მსოფლიოს ხელისუფალთა უმრავლესობამ დედამიწაზე რობოტების გამოყენება ყოველგვარი მიზნით აკრძალა, გარდა სამეცნიერო დანიშნულებისა.

– ასე რომ, გლორიას, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოუხდა რობის დათმობა?

– მგონი, კი. მაგრამ, ვფიქრობ, თხუთმეტი წლის გოგონას რობოტთან განშორება ისე აღარ გაუჭირდებოდა, როგორც რვა წლისას. თუმცა ეს ჰუმანურობის სახელით ჩადენილი მაინც სულელური და ფუჭი ქმედება იყო. 2007 წელს, როდესაც „იუ ეს რობოტსში“ დავიწყე მუშაობა, კომპანიას ფინანსურად ძალიან უჭირდა. მეგონა, რამდენიმე თვეში უმუშევარიც დავრჩებოდი, მაგრამ მალე გამოსავალი ვიპოვეთ – არამიწიერი ბაზრის ათვისება დავიწყეთ.

– შემდეგ ყველაფერი მოგვარდა, არა?

– მთლად ასეც არ მომხდარა. თავიდან ვცადეთ, რაც ხელთ გვქონდა, ის მოდელები გამოგვეყენებინა, მაგალითად, სწორედ ის პირველი მოლაპარაკე მოდელები. ეს იყო თორმეტი ფუტის სიმაღლის, ძალზე მოუხეშავი მანქანები და დიდ სარგებელს ვერავის მოუტანდა. ბოლოს მერკურიზე გავგზავნეთ, რათა იქ ადამიანებს მალაროების გათხრაში დახმარებოდნენ, მაგრამ ეს წამოწყებაც ჩაფლავდა.

გაოცებულმა შევხედე:

– ვითომ? კი, მაგრამ „მერკური მაინზი“ ხომ უზარმაზარი კონცერნია და მილიონობით დოლარის კაპიტალი აქვს.

– ახლა კი, მაგრამ მხოლოდ მეორე ცდამ გაამართლა. თუ ეს ამბავი გაინტერესებთ, ყმაწვილო, გირჩევთ გრეგორი პაუელი მოძებნოთ. ის და მაიკლ დონოვანი 10-20-იან წლებში ჩვენთან ყველაზე რთულ საქმეებს აგვარებდნენ. დონოვანზე დიდი ხანია აღარაფერი მსმენია, პაუელი კი აქ ცხოვრობს, ნიუ იორკში. უკვე ბაბუაა. ვერა და ვერ

შევვგუე ამ აზრს, ისევ ის ახალგაზრდა ბიჭი მგონია. რა თქმა უნდა, მაშინ მეც ახალგაზრდა გახლდით.

მინდოდა, ცოტა რამ კიდევ გამომეტყუა.

– იცით, დოქტორო კვლევინ, იქნებ ორიოდე ლუკმა მაინც გადმომიგდოთ, შემდეგ თქვენს ნაამბობს მისტერ ჰაუელი შეავსებდა (მოგვიანებით ასეც მოვიქცევი).

მან გამხდარი ხელები მაგიდაზე გაშალა და ზედ დაიხედა.

– ბევრი რამ არც მე ვიცი.

– თუნდაც მერკურით დაინყეთ, – ვთხოვე.

– მაშ, კარგი. მერკურიზე მეორე ექსპედიცია, მგონი, 2015 წელს გააგზავნეს. ეს გახლდათ კვლევითი ექსპედიცია, რომელსაც „იუ ეს რობოტსი“ და კომპანია „სოლარ მინერალზი“ აფინანსებდა. ექსპედიციას ახალი, ჯერ კიდევ ექსპერიმენტული ტიპის რობოტი ახლდა, ასევე გრეგორი ჰაუელი და მაიკლ დონოვანი...

წრეზე

გრეგორი პაუელის საყვარელი გამოთქმა იყო, ნერვიულობა კარგ არაფერს მოგვითმის. ისე რომ, როცა გაოფლიანებულმა და აღელვებულმა მაიკლ დონოვანმა კიბე ჩაირბინა და პაუელის წინ გაჩერდა, კოპებშეკრული შეხვდა.

– რა მოხდა? – ჰკითხა მან, – ფრჩხილი მოიტეხე?

– ფრჩხილი არა, – ციებიანივით შეუღრინა დონოვანმა, – რას აკეთებდი ქვემოთ მთელი დღე? – სული მოითქვა და, როგორც იქნა, ამოღერღა, – სპიდი არ დაბრუნებულა!

პაუელს უეცრად თვალები გაუფართოვდა და წამით კიბეზე შეჩერდა, მაგრამ უმაღვე თავს მოერია და გზა განაგრძო. კიბის ზედა ბაქანზე რომ ავიდა, იქიდან გადმოსდახა:

– სელენზე (სელენი – იგივეა, რაც სელენიუმი. ქიმიური ელემენტი) გააგზავნე?

– ჰო.

– დიდი ხანია?

– ხუთი საათი ხდება.

სიჩუმე! უარესი რაღა უნდა მომხდარიყო. მხოლოდ თორმეტი საათია, რაც მერკურიზე იმყოფებიან და უკვე გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. მერკური ისედაც მზის სისტემის ყველაზე უიღბლო პლანეტად მიიჩნეოდა, მაგრამ ეს მაინც მეტისმეტი იყო.

– თავიდან მომიყვი, დაწვრილებით, – უთხრა პაუელმა.

ისინი რადიოს ჭიხურში შევიდნენ. პირველი ექსპედიციის შემდეგ, უკვე ათი წელი იქნებოდა, აქაური მოწყობილობისთვის ხელი არავის ეხლო და ცოტა მოძველებულიყო კიდევ. ტექნიკისთვის ათი წელი დიდი დროა. აი, თუნდაც სპიდი შევადაროთ იმ რობოტებს, რომლებსაც 2005 წელს უშვებდნენ. თუმცა ამ უკანასკნელ ხანს რობოტიკის განვითარებამ ზღაპრულ სიმაღლეებს მიაღწია.

პაუელმა ფრთხილად გადაუსვა ხელი ჯერ კიდევ პრიალა ლითონის ზედაპირს. ოთახში ყველაფერს მიტოვებულის იერი დაჰკრავდა და, საერთოდაც, მთელი სადგური სვედისმომგვრელი იყო.

ეს დონოვანმაც იგრძნო და ლაპარაკი არჩია:

– ისიც კი ვცადე, რაციით დავკავშირებოდი, მაგრამ უშედეგოდ. მზის მხარეს რაციას ვერაფერში გამოიყენებ – ყოველ შემთხვევაში, ორ მილზე უფრო შორს მაინც. ნაწილობრივ ამიტომაც ჩაიშალა პირველი ექსპედიცია. ალბათ ორი კვირა მაინც გაივლის, სანამ ულტრამოკლე ტალღებს დავარეგულირებთ.

– შევეშვათ მაგას, მაინც რა გაარკვიე?

– მოკლე ტალღაზე არამოდულირებული სიგნალი დავიჭირე, რომლის მიხედვითაც მხოლოდ სპიდის მდგომარეობის განსაზღვრა შეეძელი. ორი საათის განმავლობაში კვალში ვედექი და შედეგები რუკაზე აღვნიშნე.

დონოვანმა შარვლის უკანა ჯიბიდან გაყვითლებული პერგამენტი ამოიღო, რომელიც პირველი უილბლო ექსპედიციიდან რელიკვიის სახით შემორჩენილიყო, მაგიდაზე უხეშად დააფინა და ხელისგულებით გაშალა. პაუელს გულხელი დაეკრიფა და დონოვანს თვალყურს ადევნებდა.

დონოვანმა ფანქრის წვერით ნერვიულად მიანიშნა რუკაზე:

– ეს წითელი ჯვარი სელენის ტბაა, შენი აღნიშნულია.

– ზუსტად რომელია? – შეაწყვეტინა პაუელმა, – მანდ მაკდუგალის მიერ გაფრენამდე ჩვენთვის მონიშნული საში ადგილი იყო.

– რა საკითხავია, რომ სპიდი იქ გავგზავნე, რომელიც ჩვენგან ყველაზე ახლოსაა. იქამდე ჩვიდმეტი მილია. მაგრამ ყველაფერი ეს როდია, – დონოვანს მღელვარებისაგან ხმა უკანკალებდა, – ეს წერტილები სპიდის ადგილმდგომარეობას აღნიშნავენ.

ამ ხნის განმავლობაში პაუელმა პირველად დაკარგა მოჩვენებითი სიმშვიდე და რუკას ხელი დასტაცა.

– ხუმრობ თუ მართალს ამბობ?! შეუძლებელია!

– თვითონ ნახე! – დაუღრინა დონოვანმა.

პატარა წერტილები, რომლებიც რობოტის ადგილმდებარეობას აღნიშნავდნენ, მრუდ წრეს ქმნიდნენ, რომლის ცენტრშიც სელენის ტბის აღმნიშვნელი წითელი ჯვარი იყო დასმული.

პაუელმა თითებით წაბლისფერ უღვაშს დაუწყო წვალემა, ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ დელავდა.

დონოვანმა განაგრძო:

– ორი საათის განმავლობაში, სანამ თვალყურს ვადევნებდი, ოთხჯერ მაინც შემოუარა ამ წყეულ ტბას. ეტყობა, ასე უსასრულოდ იბზრიალებს ტბის გარშემო. ხვდები, რა მდგომარეობაში ჩავცვივდით?

პაუელმა შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. რა თქმა უნდა, აცნობიერებდა, რა მდგომარეობაშიც ჩაცვივდნენ. ყველაფერი მარტივი სილოგიზმის (სილოგიზმი – დედუქციის ძირითადი ფორმა, როდესაც ორი მსჯელობიდან მიიღება მესამე ანუ დასკვნა)

პრინციპით ვითარდებოდა. მერკურის უზარმაზარი მზის ენერჯისგან მათ მხოლოდ ფოტოელემენტების ბატარეები იცავდა. ფოტოელემენტები კი თითქმის მთლიანად ჩაშლილიყო. მხოლოდ სელენი თუ უშველიდათ. სელენს კი სპიდის მეტი ვერავინ მოიტანდა. თუ სპიდი არ დაბრუნდება, არ ექნებათ სელენი, თუ სელენი არ ექნებათ, ფოტოელემენტებს უნდა დაემშვიდობონ, ხოლო, თუ ფოტოელემენტები... ნელი დამწვრობისგან სიკვდილი კი ყველაზე უსიამოვნო რამაა...

დონოვანმა გაშმაგებით აიჩეჩა ხშირი წითური თმა და გამწარებით თქვა:

– გრეგ, მთელ მზის სისტემაში მოგვეჭრება თავი. როგორ უკუღმა დატრიალდა ყველაფერი. პაუელისა და დონოვანის დიდებული ჯგუფი მერკურიზე იმის გამოსარკვევად გაემგზავრა, ღირს თუ არა მზის მხარეს, თანამედროვე ტექნიკისა და რობოტების გამოყენებით, მალაროების გაყვანა და აი, პირველივე დღეს ყველაფერი გავაფუჭეთ. არადა, სულ უბრალო საქმე იყო. ამას როგორ უნდა შევეგუოთ?!

– იქნებ შეგუება არც მოგვიხდეს, – მშვიდად მიუგო პაუელმა, – თუ სასწრაფოდ რაიმე არ ვიღონეთ, რამე თუ არ მოვიმოქმედეთ... ისე დავიხრუკებით, გადარჩენაზე საუბარიც ზედმეტი იქნება.

– ნუ სულელობ! შენ იქნებ ხუმრობისგუნებაზე ხარ, მე კი სულაც არ მეცინება. ჩვენი აქ ერთადერთი რობოტით გამოგზავნა დანაშაულია. და სწორედ შენი ბრწყინვალე იდეა იყო, რომ ფოტოელემენტების შეკეთებას საკუთარი ძალებითაც შევძლებდით.

– უსამართლოდ მექცევი. კარგად მოგეხსენება, რომ ეს საერთო გადანყვეტილება იყო. ერთადერთი, რაც გვჭირდება, ერთი კილოგრამი სელენი, სთილჰედის დიელექტრული დანადგარი და სამი საათი დროა. მთელი მზის მხარის გასწვრივ სავსეა ტბები სუფთა სელენით. მაკდუგალის სპექტრორეფლექტორმა ხუთი წუთის განმავლობაში სამი აღმოაჩინა. დალახვროს ეშმაკმა! მომავალ პირისპირდგომას ხომ ვერ დაველოდებით!

– ჰოდა, ახლა რას ვაპირებთ? პაუელ, შენ მგონი, რაღაც მოიფიქრე, თორემ ასე მშვიდად არ იქნებოდი. გამირობაზე, ჩემი არ იყოს, არც შენ დებ თავს. აბა დაფქვი, რაც იცი!

– ჩვენ თვითონ სპიდის დასაბრუნებლად ვერ წავალთ, ეს გამორიცხულია. ყოველ შემთხვევაში, აქ, მზის მხარეს მაინც. ოც წუთზე მეტს ამ მზის ქვეშ ახალთახალი სკაფანდრებიც კი ვერ გაძლებს. მაგრამ ალბათ გაგიგონია, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი თუ დაიჭერსო. ჰოდა, მისმინე, მაიკ, მგონი არც ისე ცუდადაა საქმე. ქვემოთ ექვსი ძველი რობოტია. თუ გამართულებია, შეგვიძლია ამ საქმეში გამოვიყენოთ. მთავარია, ვარგოდნენ.

დონოვანს თვალეზი გაუბრწყინდა:

– პირველი ექსპედიციის ექვსი რობოტი? დარწმუნებული ხარ, რომ რობოტებია? იქნებ მხოლოდ ნახევრადმექანიკურებია? ათი წელი რობოტიკის სფეროში დიდი დროა.

– არა, ნამდვილად რობოტებია. მთელი დღე მათ ვუკირკიტებდი და ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თუმცა ძალზე პრიმიტიული, მაგრამ პოზიტრონის ტვინი აქვთ, – რუკა ჯიბეში ჩაიდო და დაამატა, – მოდი, ქვემოთ ჩავიდეთ!

ექვსივე რობოტი სადგურის სარდაფში დამტვერილ ყუთებთან ერთად ინახებოდა, რომლებშიც კაცმა არ იცის, რა ეყარა. ეს უზარმაზარი რობოტები მჭდომარე პოზაშიც კი შვიდი ფუტის სიმაღლისა იყვნენ.

დონოვანმა დაუსტვინა:

– შეხედე, რამხელეებია! სიგანეში ათი ფუტი მაინც იქნებიან.

– იმიტომ, რომ მაკვაფის მოძველებული ამძრავით არიან აღჭურვილნი, შიგნით ჩავიხედე – უცნაური მოწყობილობაა.

– არ ჩაგირთავს?

– არა, არაფერში მჭირდებოდა. არა მგონია, რამე ჰქონდეთ გაფუჭებული. დიაგრამებიც კი მშვენივრად შენახულა. წესით, ლაპარაკიც უნდა შეეძლოთ.

პაუელმა ყველაზე ახლო მდგომ რობოტს მკერდზე მიფარებული ფირფიტა მოხსნა და ნახვრეტში ორდუიმიანი ბურთულა ჩაუმაგრა, რომელშიც ატომური ენერჯის უმნიშვნელო ნაპერწკალი იყო მოთავსებული. ეს საკმარისი იყო, რომ რობოტი გაცოცხლებულიყო. ბურთულა ძალზე ძნელი მოსარგები გამოდგა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს პაუელმა მაინც მოახერხა. შემდეგ ფარი საგულდაგულოდ მიამაგრა თავის ადგილას და მეორე რობოტს მიუბრუნდა.

დონოვანმა აღელვებით უთხრა:

– არ მოძრაობენ!

– ჯერ ხომ ბრძანება არ მიგვიცია, – უთხრა პაუელმა. მერე პირველ რობოტთან დაბრუნდა და მკერდზე დაჰკრა ხელი.

– ჰეი, გესმის ჩემი?

გიგანტმა ზანტად დახარა თავი და თვალეზი პაუელს მიაპყრო. შემდეგ ჩახლეჩილი, ხრინწიანი ჟღერიალი გაისმა, რომელიც ძველებური ფონოგრაფის ხმას წააგავდა:

– დიახ, ბატონო!

პაუელმა უხალისოდ ჩაიცინა.

– გაიგე, მაიკ, ეს ერთ-ერთი პირველი მოლაპარაკე რობოტთაგანია. მაშინ საქმე კინალამ იქამდე მივიდა, რომ დედამიწაზე რობოტების გამოყენების აკრძალვა უნდოდათ. ამის თავიდან ასაცილებლად კონსტრუქტორებმა ამ სულელურ მანქანებში მონის შეუვალი და საიმედო ინსტინქტი ჩაამონტაჟეს.

– მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა, – თქვა დონოვანმა.

– რა თქმა უნდა, მაგრამ მათ თავისი სცადეს, – კვლავ რობოტს მიუბრუნდა, – ადექი! რობოტი ნელა წამოდგა. დონოვანმა მალლა აიხედა და ისევ წაუსტვინა.

პაუელმა რობოტს ჰკითხა:

– პლანეტის ზედაპირზე გასვლა შეგიძლია? მზეზე?

სიჩუმე ჩამოვარდა. რობოტის ტვინი ნელა მუშაობდა. მერე უპასუხა:

– დიახ, ბატონო!

– კარგი. იცი, რას ნიშნავს მილი?

ისევ სიჩუმე და აუჩქარებელი პასუხი.

– დიახ, ბატონო!

– ჩვენ ზედაპირზე აგიყვანთ და მიმართულებას გაჩვენებთ. დაახლოებით ჩვიდმეტ მილს გაივლი და იქ სხვა რობოტს შეხვდები, უფრო პატარას, გაიგე?

– დიახ, ბატონო!

– იპოვი იმ რობოტს და უბრძანებ, აქ მობრუნდეს. თუ არ დაგემორჩილა, ძალით წამოიყვან.

დონოვანმა პაუელს სახელოში წაავლო ხელი:

– მოიცა, პირდაპირ სელენზე ხომ არ გაგვეგზავნა?

– არა, მე სპიდი მჭირდება, გესმის? მინდა გავიგო, რა ჯანდაბა დაემართა, – რობოტს მიუბრუნდა და უბრძანა, – გამომყევი!

რობოტი ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ დაიგრუხუნა:

– მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ არ შემიძლია. ჯერ თქვენ უნდა ამხედრდეთ.

რობოტმა მოუხეშავი ხელები ჯდრიალით შეაერთა, თითები ერთმანეთში გადახლართა და რაღაც უზანგისმაგვარი ფორმა მისცა.

პაუელი რობოტს მიაშტერდა, თან უღვაშს იწიწვნიდა.

– აჰა... გასაგებია!

დონოვანმა თვალები დააჭყიტა:

– გამოდის, რომ ზედ უნდა შევსხდეთ? როგორც ცხენებზე?

– ცუდი იდეა არაა, თუმცა არ ვიცი, რატომ... ა, ჰო, ვიცი. იმ ხანებში უსაფრთხოების საკითხი ძალიანმკაცრად განიხილებოდა. კონსტრუქტორებს სურდათ, ყველა დაერწმუნებინათ, რომ რობოტები სულაც არ არიან საშიშნი და მხოლოდ მაშინ გადაადგილდებიან, თუ მხრებზე მხედარი ჰყავთ შესმული ანუ ადამიანის მიერაა მართულიო. ახლა რა ვქნათ?

– მეც მაგაზე ვფიქრობ, – ჩაიბუბუნა დონოვანმა, – სულ ერთია, ვერც რობოტით და ვერც უიმისოდ მზეზე ვერ გავალთ. ო, ღმერთო! – მან ორჯერ გაატკაცუნა თითები. მომეცი ეგ რუკა. ტყუილად ხომ არ ჩავვირკიტებდი ორი საათი. აი, ეს ჩვენი სადგურია. გვირაბებით ხომ არ გვესარგებლა?

სადგური რუკაზე წრეხაზით იყო აღნიშნული, საიდანაც ობობას ქსელივით გაშლილიყო შავი პუნქტირით აღნიშნული გვირაბები.

დონოვანი პირობითი აღნიშვნების სიას დააკვირდა.

– ნახე, – თქვა მან, – ეს პატარა შავი წერტილები ზედაპირზე გასასვლელებია. ერთი მათგანი ტბიდან, დიდი-დიდი, სამი მილის დაშორებით იყოს. აი, მისი ნომერი... ცოტა დიდი ასოებით მაინც დაეწერათ. აჰა, 13-ია. რობოტებს რომ გზა სცოდნოდათ...

პაუელმა მაშინვე ჰკითხა და პასუხად მონოტონური „დიახ, ბატონო!“ მიიღო.

– წადი და სკაფანდრები მოიტანე, – მაშინვე დავალება გასცა.

ისინი პირველად იცვამდნენ სკაფანდრებს. ჯერ კიდევ გუშინ, როცა მერკურიზე დადგეს ფეხი, ამის გაკეთებას სულაც არ აპირებდნენ, ახლა კი მოუხერხებლად ამოძრავებდნენ ხელ-ფეხს და ამ უცნაურ სამოსთან შეჩვევას ცდილობდნენ.

ეს სკაფანდრები გაცილებით დიდები და უშნოები იყო, ვიდრე ჩვეულებრივი, კოსმოსური ფრენისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა. სამაგიეროდ, ისინი გაცილებით მსუბუქი გახლდათ, მასალაში ლითონის ნაკუნიც კი არ ერია. სითბოგამძლე პლასტმასისგან დამზადებული და საგანგებოდ გადამუშავებულ კორპგამოკრული სკაფანდრები ისეთი მოწყობილობით აღჭურვით, რომელიც ჰაერიდან ტენს აძევებდა. ამ სკაფანდრებით ოც წუთს მაინც გაუძლებდნენ მერკურის მზის აუტანელ მცხუნვარებას. კიდევ ხუთი-ათი წუთი ადამიანს სიკვდილი არ დაემუქრებოდა.

რობოტს ხელები ჯერ ისევ უზანგივით ეჭირა. სულ არ გაჰკვირვებია, როცა პაუელის უცნაური ფიგურა დაინახა.

რადიოში პაუელის ხრინწიანი ხმა გაისმა:

– მზად ხართ, რომ მეცამეტე „ა“ გასასვლელთან მიგვიყვანოთ?

– დიახ, ბატონო!

„კიდევ ვარგი“, გაიფიქრა პაუელმა, „მართალია, დისტანციური მართვა არა აქვთ, მაგრამ ბრძანების მიღება მაინც შეუძლიათ“.

– მაიკ, რომელსაც გინდა, იმას შეაჯექი მხარზე, – უთხრა დონოვანს, მერე ფეხი იმპროვიზებულ უზანგში გაყო და ზემოთ აცოცდა. რობოტი დასაჯდომად მოსახერხებელი გამოდგა. ზურგზე ხელოვნური კუბი და ორივე მხარზე ფეხის შესადგმელი ღრმული ჰქონდა გაკეთებული. ახლა გიგანტის „ყურების“ დანიშნულებაც აშკარა გამხდარიყო. პაუელმა ხელები ჩაავლო და თავი მოუბრუნა. რობოტი მოუქნელად შეტრიალდა.

– აბა, გასწი, მაკდაფ! (აზიმიოვი თავის ტექსტში უილიამ შექსპირის „მაკბეტიდან“ ფრაზა Lay on, Macduff-ის ოდნავ სახეცვლილ ვარიანტს იყენებს – Lead on, Macduff) – ყოჩაღად შეუძახა.

სინამდვილეში გული კიდევ უფრო დამძიმებოდა.

გიგანტი რობოტები მექანიკური სიზუსტით, ზანტად მოძრაობდნენ. კარში, რომლის ნირთხლამდე ნახევარი მეტრიც აღარ რჩებოდა, ისე გაიარეს, რომ, მათზე ამხედრებული მეცნიერები იძულებული გახდნენ, წინ გადახრილიყვნენ. ვიწრო დერეფანმა, სადაც მათი დინჯი ნაბიჯები მონოტონურად ბრაგუნობდა, ისინი ჰაერჩმვეტში გაიყვანა. აქ ჰაერის ამოტუმბვას დაელოდნენ.

ამ გრძელმა, უჰაერო გვირაბმა, რომელიც შორეთში იკარგებოდა, პაუელს ის მასშტაბური სამუშაო გაახსენა, რომელიც პირველმა ექსპედიციამ მოძველებული აპარატურით შეასრულა. ის ექსპედიცია ნამდვილად წარუმატებლად დასრულდა, თუმცა მათი მარცხი ბევრად სჭობდა სისტემის ჩვეულ წარმატებებს.

რობოტები თანაბარ რიტმში დაუღალავად მიაბიჯებდნენ.

პაუელმა თქვა:

– ხედავ, გვირაბები განათებულია და ტემპერატურაც ისეთივეა, როგორც დედამიწაზე. მთელი ამ ათი წლის განმავლობაში, სანამ აქ არავინ ცხოვრობდა, ალბათ სულ ასე იყო.

– ნეტა როგორ შეძლეს ამის გაკეთება?

– იაფი ენერჯიაა, მთელ მზის სისტემაში ყველაზე იაფი. მზის გამოსხივება აქ, მერკურის მხარეს, სერიოზული საქმეა. აი, რატომ ააშენეს სადგური ღია ცისქვეშ და არა სადმე მთის ჩრდილში. ეს ხომ ენერჯიის უზარმაზარი გარდამქმნელია. სითბო გარდაიქმნება ელექტროენერჯიად, სინათლედ, მექანიზმის მუშაობად და რაშიც გინდა გამოიყენებ. ენერჯიის გაცემის პარალელური პროცესი კი სადგურის გაგრილებაა.

– ეს ყველაფერი, ძალიან საინტერესოა, – თქვა დონოვანმა, – მაგრამ, მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ენერჯის გარდაქმნის მთელ ამ პროცესს ხომ ფოტოელემენტები უზრუნველყოფენ, ეს კი ახლა ჩვენი ყველაზე სუსტი წერტილია.

პაუელმა რაღაც ჩაიბუზღუნა და, როცა დონოვანმა ისევ ამოიღო ხმა, საუბარი უკვე სულ სხვა მიმართულებით წარიმართა.

– მისმინე, გრეგ, ვერ გამოგივა, რა ჯანდაბა უნდა შემთხვეოდა სპიდის.

სკაფანდრში მხრების აჩეჩვა ადვილი არაა, მაგრამ პაუელმა მაინც მოახერხა.

– არ ვიცი, მაიკ. ის მერკურის პირობებისთვის იყო შექმნილი. მაღალი ტემპერატურა არ ვნებს, წესით, სიმძიმის ძალის შემცირებასაც უნდა გაუძლოს, ოღროჩოღრო ადგილებში მოძრაობაც შეუძლია. ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრულ-გაანგარიშებული. ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ამჯერად ხანგრძლივი სიჩუმე.

– უკვე მოვედით, ბატონო, –თქვა რობოტმა.

– ჰო? – გამოერკვა პაუელი, – თუ ასეა, ზედაპირზე აგვიყვანე.

ისინი ერთ პატარა, სანახევროდ დანგრეულ, ცარიელ და უჰაერო საცავში შევიდნენ. დონოვანმა ფარანი აანთო და ერთ კედელზე გაჩენილ ნაპრალს დააცქერდა.

– ვითომ მეტეორიტისგანაა? როგორ ფიქრობ? – ჰკითხა პაუელს.

პაუელმა მხრები აიჩეჩა.

– დაიკიდე, რა მნიშვნელობა აქვს? წავიდეთ.

მზის სხივებს შავი ბაზალტის კლდე აკავებდა. გარშემო ყველაფერი უჰაერო სამყაროს უკუნეთში იყო ჩაძირული. ჩრდილი ისე უცერად წყდებოდა, თითქოს დანით ჩამოუჭრიათო. სიბნელის მიღმა ნიადაგზე მოფენილი უთვალავი კრისტალი თვალისმომჭრელად ციმციმებდა.

– აი, ეს მესმის! – დონოვანს გაოცებისაგან სუნთქვა შეეკრა, – თოვლივით არ არის?

მართლაც, თოვლს ჰგავდა. პაუელმა თვალი გადაავლო მოელვარე უსწორმასწორო ზედაპირს, რომელიც ჰორიზონტამდე გადაჭიმულიყო და თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებისგან დაბრმავებულმა შუბლი შეიჭმუნა.

– რა უჩვეულო ადგილია, – თქვა მან, – საშუალოდ მერკურის ზედაპირიდან არეკვლის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია და თითქმის მთელი პლანეტა ნაცრისფერი პემზითაა დაფარული. თითქოს, მთვარეს მიაგავს. რა ლამაზია, არა?

პაუელი მადლიერი იყო, როცა დარწმუნდა, რომ სკაფანდრებს სინათლის ფილტრი

ჰქონდა. აქაურობა ლამაზი კი იყო, მაგრამ ეს ბრწყინვალეობა დაუცველ თვალებს წამიერად დააბრმავებდა.

დონოვანი სკაფანდრის მაჯაზე დამაგრებულ თერმომეტრს დახედა.

– ჯანდაბა, ოთხმოცი გრადუსია!

პაუელმაც დახედა თავის თერმომეტრს და თქვა:

– ჰო... ცოტა მაღალია. რას იზამ – ატმოსფეროა ასეთი.

– რას ამბობ, მერკურიზე? ხომ არ გაგიჟდი?

– სრულებითაც არა. ატმოსფერო მერკურისაც გააჩნია, – დაბნეულად მიუგო პაუელმა, თან სკაფანდრის მოუხეშავი თითებით ჩაფხუტზე სტერეობინოკლის მიმაგრებას ცდილობდა, – ზედაპირთან ორთქლის თხელი ფენა უნდა იყოს გაშლილი – აქროლადი ელემენტები, მძიმე შენაერთები, რომლებიც შეიძლება მერკურის მიზიდულობამ შეაკავოს. სელენი, იოდი, ვერცხლისწყალი, გალიუმი, კალიუმი, ბისმუტი, აქროლადი ჟანგეულები. ორთქლი ჩრდილში ხვდება, სითბოს გამოყოფს და მკვრივდება. ეს ადგილი რაღაც გიგანტურ გამოსახდელ ქვაბს მიაგავს. ფარნით მიანათე და დაინახავ, რომ კლდე ამ მხრიდან რაღაცნაირი გოგირდოვანი თრთვილით ან ვერცხლისწყლის ნამით არის დაფარული.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ოთხმოც გრადუსს ჩვენი სკაფანდრები უსასრულოდ გაუძლებს.

პაუელმა, როგორც იქნა, მიიმაგრა სტერეობინოკლი და რქიან ლოკოკინას დაემსგავსა. დონოვანი დაძაბულად ელოდა.

– ხედავ რამეს?

პაუელმა მაშინვე არ უპასუხა.

– ჰორიზონტზე მუქ ლაქას ვხედავ, – თქვა ბოლოს შემფოთებით, – ეს, ალბათ, სელენის ტბაა. სპიდი ახლა სწორედ იქ უნდა იყოს, მაგრამ ვერ ვხედავ.

პაუელი რობოტის მხრებზე დადგა და ფრთხილად გაიმართა წელში. ფეხები მტკიცედ გადგა, თვალები დაძაბა და ყურადღებით დააკვირდა სივრცეს.

– მოიცა... მგონი... ჰო, ის არის, აქეთ მოდის.

დონოვანი იმ მხარეს მიაშტერდა, საითაც პაუელი უთითებდა. სტერეობინოკლი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც შეამჩნია პატარა მოძრავი წერტილი, რომელიც დამაბრმაველად ბრჭყვიალა კრისტალების ფონზე შავად მოჩანდა.

– ვხედავ! – დაიყვირა მან, – წავედით!

პაუელი ისევ მოკალათდა რობოტის მხრებზე და ხელი გიგანტურ მკერდზე დაჰკრა.

– ნავედით!

– დავაწვეთ! – ყვიროდა დონოვანი და ქუსლებს დეგმბივით ურტყამდა თავის რობოტს.

რობოტები დაიძრნენ. უჰაერო სივრცეში მათი თანაბარი ნაბიჯების ხმა არ ისმოდა. არც სკაფანდრის სინთეტიკური ქსოვილი ატარებდა ხმაურს. მხოლოდ რიტმული რხევა იგრძნობოდა.

– სწრაფად! – დაიყვირა დონოვანმა. რიტმი არ შეცვლილა.

– ტყუილად უყვირი, – უთხრა პაუელმა, – ამ რკინის ჯართს მხოლოდ ერთი სიჩქარით შეუძლია მოძრაობა. ხომ არ გგონია, რომ მოძრაობის შერჩევის უნარის მქონე მექანიკური კუნთები აქვთ!

მალე ჩრდილიდან გავიდნენ და მზის შუქი გაგარვარებულ ნაკადად დაატყდათ თავს.

დონოვანი უნებურად დაიხარა.

– ოჰ! მეჩვენება, თუ მართლა ცხელა?

– ჯერ სად ხარ, – მოესმა უიშედოდ, – სპიდი არ დაკარგო თვალთახედვიდან.

რობოტი ესპიდი-13 უკვე ახლოს იყო და მისი შეთვალეირებაც დეტალურად შეიძლება. მისი გლუვი, მოხდენილი კორპუსი, რომელიც თვალისმომჭრელ სინათლეს ირეკლავდა, ოდროზოლოდ ნიადაგზე სწრაფად მოძრაობდა. რობოტის სახელი „სპიდი“ (Speedy (ინგლ.), შემოკლებით SPD – სწრაფი) მოდელის პირველი ასოებისგან იყო წარმოებული და ზედგამოჭრილი იყო. ესპიდი მოდელი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი რობოტი გახლდათ, რომელსაც ფირმა „იუ ეს რობოტსი“ უშვებდა.

– ჰეი, სპიდი! – დაიყვირა დონოვანმა, თან აღელვებული ხელებს აქეთ-იქით იქნევდა.

– სპიდი! – დაუძახა პაუელმაც, – მოდი აქ!

მანძილი ადამიანებსა და გზააბნეულ რობოტს შორის სწრაფად მცირდებოდა, უფრო სპიდის მონდომების შედეგად, ვიდრე იმ ზანტი მოძველებული რობოტებისა, რომლებზეც პაუელი და დონოვანი ამხედრებულიყვნენ. რობოტს უკვე იმდენად მიახლოებოდნენ, რომ შეამჩნიეს – სპიდი არათანაბარი ნაბიჯებით მოდიოდა და სიარულისას აქეთ-იქით ირწეოდა. პაუელმა ხელი გააქნია და თავის ჩაფხუტში ჩამონტაჟებულ პატარა რადიოგადამცემს მაქსიმალური ენერჯია მიაწოდა. მერე ისევდასაძახებლად მოემზადა. ამ დროს სპიდიმაც დაინახა ისინი.

რობოტი ერთ ადგილას გაშეშდა და ცოტა ხანს ასე იდგა, ოდნავ ირხეოდა, თითქოს მსუბუქი ნიავს აყოლილაო.

პაუელმა დაუყვირა:

– სპიდი! ყველაფერი რიგზეა? მოდი აქ, მოდი!

ყურსასმენში პირველად გაისმა რობოტის ხმა:

– ჩინებულია! მოდით, ვითამაშოთ. ჯერ თქვენ დამიჭირეთ, მერე მე გამოგვიკიდებით. ვერავითარი სიყვარული ვერ დაგვაშორებს. მე პატარა ბაია ვარ, პატარა ლამაზი ყვავილი, ვიიშ!

ამ სიტყვებზე შეტრიალდა და იქით მოკურცხლა, საიდანაც მოვიდა. მისი ბოლო სიტყვები იყო: „ბებერი მუხის ძირას ციცქნა ყვავილი ხარობს“, რასაც ლითონის ტკაცუნი მოჰყვა, რაღაც რობოტული სლოკინის მსგავსი.

დონოვანმა ხმადაბლა თქვა:

– ეს გილბერტი და სალივანი (ვიქტორიანული ეპოქის ცნობილი თეატრალური დუეტი – ლიბრეტოების ავტორი უილიამ გილბერტი და კომპოზიტორი არტურ სალივანი, რომლებიც იმხანად მეტად პოპულარულ ოპერეტებს ქმნიდნენ) რაღამ გაახსენა? იცი, გრეგ, მგონი... მთვრალია, ან რაღაც მსგავსი.

– შენ რომ არ გეთქვა, მე ვერ მიგხვდებოდი, ხომ იცი! – მოესმა გესლიანი პასუხი. – წამოდი, ჩრდილს შევეფაროთ, თორემ სადაცაა შევიბრანებით.

დაძაბული სიჩუმე პაუელმა დაარღვია:

– ჯერ ერთი, სპიდი მთვრალი არ არის, ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც ადამიანი თვრება, ის ხომ რობოტია, რობოტები კი არ თვრებიან. მაგრამ რაღაც ისეთი სჭირს, რაც რობოტებისთვის სიმთვრალეს ნიშნავს.

– მე მაინც ვფიქრობ, რომ მთვრალია, – დამაჯერებლად განაცხადა დონოვანმა, – და ჰგონია, რომ ვეთამაშებით. ჩვენ კი ყველაზე ნაკლებად თამაშისთვის გვცალია, საქმე ჩვენს სიცოცხლესა და საკმაოდ უსიამოვნო სიკვდილის პერსპექტივას ეხება!

– კარგი, ნუ ცხარობ. რობოტი მხოლოდ და მხოლოდ რობოტია და მეტი არაფერი. როგორც კი გავიგებთ, რა სჭირს, მაშინვე შევაკეთებთ.

– როგორც კი... – მწარედ ჩაილაპარაკა დონოვანმა.

პაუელმა მისი ნათქვამი გაატარა.

– სპიდი მშვენივრად არის შეგუებული მერკურის პირობებს. მაგრამ ეს გარემო, – მან პორიზონტისკენ გაიშვირა ხელი, – აშკარად უჩვეულოა. აი, სად იმალება მთავარი საიდუმლო. საიდან გაჩნდა, მაგალითად, ეს კრისტალები? შეიძლება ისინი ნელა გაციებული სითხეებისგან წარმოიშვა. მაგრამ რომელი სითხეა იმდენად ცხელი, მერკურის

მზის ქვეშ რომ გაცივდეს?

– ვულკანური აირები, – მაშინვე ივარაუდა დონოვანმა. პაუელი დაიძაბა.

– ჩვილის ენით ჭეშმარიტება ღალადებს... – წარმოთქვა დაგუბული ხმით და ხუთიოდე წუთს დუმდა. შემდეგ თქვა, – მისმინე, მაიკ, რა უთხარი სპიდის, როცა აქ აგზავნიდი?

დონოვანი კითხვამ გააოცა.

– აბა, რა მახსოვს. უბრალოდ სელენის მოტანა დავავალე.

– ეგ თავისთავად, მაგრამ, საქმე ისაა, როგორ დაავალე. აბა, შეეცადე, ზუსტად გაიხსენო.

– ვუთხარი... მოიცა... ვუთხარი, სპიდი, სელენი გვჭირდება. მას აქა და აქ იპოვი. წადი და მოგვიტანე. სულ ესაა. მეტი რა უნდა მეთქვა?

– მაგალითად, ის, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი დავალებაა და საჩქაროდ უნდა შეასრულოს.

– რა საჭირო იყო, ასეთი იოლი საქმეა...

პაუელმა ამოიოხრა.

– ჰოდა, ახლა ვერაფერს უშველი. მოკლედ, კაი ხათაბალაში გავეხვიეთ.

პაუელი თავისი რობოტიდან ჩამოცოცდა, დაჯდა და ზურგით კლდეს მიეყრდნო. დონოვანი გვერდით მიუჯდა და ხელი ხელზე დაადო. თვალისმომჭრელი მზე ჩრდილის ზღვარზე ისე ჩასაფრებოდათ, როგორც კატა თავგს. იქვე იდგა ორი უზარმაზარი რობოტი, რომლებიც სიბნელეს შერწყმოდნენ. მხოლოდ მათი წითლად მბჟუტავი თვალები მოჩანდა, უძრავი და ცივი, ისეთივე გულგრილი, როგორც ყველაფერი ამ წყველ მერკურიზე, რომელიც პატარა, მაგრამ ძალზე ვერაგი ადგილი იყო.

დონოვანს პაუელის დაძაბული ხმა მოესმა:

– მისმინე, დავიწყოთ რობოტიკის სამი ძირითადი კანონიდან, იმ სამი წესიდან, რომლებიც რობოტების პოზიტრონულ ტვინში საფუძვლიანადაა გამჭდარი, – სიბნელეში თითების მოხრას შეუდგა, – პირველი: რობოტს არ შეუძლია ადამიანს ავნოს, ან თავისი უმოქმედობით რამე დაუშავოს.

– სწორია.

– მეორე, – განაგრძობდა პაუელი, – რობოტი უნდა დაემორჩილოს ადამიანის ბრძანებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პირველ კანონს.

– ესეც მართალია.

– და მესამე: რობოტმა უნდა იზრუნოს საკუთარ უსაფრთხოებაზე, თუ ეს არ

ენინაალმდეგება არც პირველსა და არც მეორე კანონს.

– ვადასტურებ! მერე რა?

– ამით ხომ ყველაფერი ნათელი ხდება. როცა ეს კანონები ერთმანეთს ენინაალმდეგება, მაშინ საქმეს ტვინში პოზიტრონის პოტენციალთა სხვაობა წყვეტს... რა ხდება მაშინ, როცა რობოტი უახლოვდება იმ ადგილს, სადაც მას საფრთხე მოელის და ამას თვითონაც გრძნობს? პოტენციალი, რომელიც იქმნება მესამე კანონით, ავტომატურად აიძულებს, უკან დაბრუნდეს. მაგრამ, წარმოიდგინე, რომ შენ საშიშ ადგილთან მიახლოება უბრძანე. ამ შემთხვევაში მეორე კანონი საპირისპირო პოტენციალს ქმნის, რომელიც პირველზე ძლიერია და რობოტი ბრძანებას საკუთარი არსებობის საფრთხეში ჩაგდების ფასად ასრულებს.

– ეგ ყველაფერი მეც ვიცი, მაგრამ რაგამოდის აქედან?

– რა შეიძლება დამართოდა სპიდის? ის ხომ ერთ-ერთი უკანასკნელი მოდელია, სპეციალიზებული და საბრძოლო გემივით ძვირადღირებული, მისი დაზიანება წარმოუდგენელია.

– მერე?

– ჰოდა, როგორც ჩანს, დაპროგრამებისას მესამე კანონი განსაკუთრებით მკაცრად შთააგონეს. სხვათა შორის, ეს ამბავი საგანგებოდაა აღნიშნული პროსპექტებში. სპიდის საშიშროებისგან თავის არიდების მაღალი კოეფიციენტი აქვს. როცა ის შენ სელენზე გაგზავნე, ბრძანება დაუდევრად მიეცი, სასხვათაშორისოდ, ისე, რომ მეორე კანონთან დაკავშირებული პოტენციალი საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა. ხომ მართალს ვამბობ?

– განაგრძე, განაგრძე, მგონი, მეც ვხვდები რაღაცას.

– ხვდები? ჰოდა, ჩანს, სელენის ტბის მახლობლად რაღაც საშიშროება არსებობს. რობოტი იქაურობას რაც უფრო უახლოვდება, საფრთხე იზრდება და ტბიდან გარკვეულ მანძილზე მესამე კანონის პოტენციალი, რომელიც თავიდან ყველაზე ძლიერი ჰქონდა, უტოლდება მეორე, უფრო სუსტ პოტენციალს.

დონოვანი აგზნებული წამოიჭრა.

– გასაგებია! მყარდება წონასწორობა. მესამე კანონი რობოტს უკან ექაჩება, მეორე კი წინ უბიძგებს...

– ...და ტბის მახლობლად იწყებს მოძრაობას, რჩება იმ ხაზზე, სადაც ეს წონასწორობა მოქმედებს. და თუ ჩვენ არაფერი ვიღონეთ, ამ წრეზე დაუსრულებლად იტრიალებს.

პაუელი ჩაფიქრებული განაგრძობდა:

– სხვათაშორის, ამიტომაცაა, მთვრალივით რომ იქცევა. პოტენციალების წონასწორობის დროს ტვინში პოზიტრონული ჯაჭვების ნახევარი არ მუშაობს. პოზიტრონის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ეს ისედაც აშკარაა. შეიძლება ნებისყოფის მექანიზმის სწორედ იმ ნაწილებზე დაკარგა კონტროლი, რომელზეც მთვრალი ადამიანი კარგავს. საერთოდ, ეს ყველაფერი...

– მაგრამ, საფრთხე საიდანღა გაჩნდა? ის მაინც რომ ვიცოდეთ, რას გაურბის...

– შენ არა თქვი, ვულკანური აირებიო? როგორც ჩანს, სადღაც, ტბის მახლობლად, მიწის წიაღიდან გაზი ჟონავს. გოგირდმუავა გაზი – ნახშირორჟანგი და ნახშირბადის ჟანგი. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ნახშირბადის ჟანგი. აქაურ ტემპერატურაზე კი...

დონოვანმა ნერწყვი გადაყლაპა.

– ნახშირბადის ჟანგი და რკინა გვაძლევს რკინის აქროლად კარბონილს!

– ჩვენი რობოტი კი, – ნაღვლიანად დაუმატა პაუელმა, – ძირითადად რკინისგან შედგება. აი, რას ნიშნავს ლოგიკური მსჯელობა, თითქმის ყველაფერი გავარკვევით, გარდა იმისა, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ. სელენამდე ვერ მივალწვეთ – ძალიან შორსაა. ამ მექანიკურ ულაყებსაც ვერ გავეშვებით, უჩვენოდ ფეხსაც არ მოიცვლიან. თუ წავყვით, უეჭველად შევიბრანებით. სპიდისაც ვერ მოვიხელთებთ, იმ სულელს ჰგონია, რომ ვეთამაშებით, არადა საათში სამოცი მილის სიჩქარით დარბის, ჩვენ კი ოთხით დავდოდავთ...

– ერთ-ერთი რომ წავიდეთ, – ჩაფიქრებით დაიწყო დონოვანმა, – და დამწვრობით დავბრუნდეთ, მეორე ხომ გადარჩება...

– ო, როგორ არა! – ამ სიტყვებს ირონიული პასუხი მოჰყვა, – ძალზე გულისამაჩუყებელი მსხვერპლი იქნება. საქმეს მხოლოდ ის ართულებს, რომ ტბამდე მისული ადამიანი ისეთ მდგომარეობაში იქნება, რომ განკარგულების გაცემას უკვე ვეღარ შეძლებს. ხოლო რობოტები, არა მგონია, ბრძანების გარეშე დაბრუნდნენ. აბა, დაფიქრდი: ახლა ტბიდან ორი-სამი მილი გვაშორებს. კარგი, ჩავთვალოთ, რომ ორი მილია. რობოტი საათში ოთხ მილს გადის, ჩვენ კი სკაფანდრებში ოც წუთზე მეტს ვერ გავძლებთ. ისიც გაითვალისწინე, რომ მარტო სიცხე როდი შეგვაწუხებს. მზის ულტრაიისფერი გამოსხივება და კიდევ უამრავი რამ, ესეც უეჭველი სიკვდილია.

– ჰო-ო, – თქვა დონოვანმა, – მხოლოდ ათი წუთი გვაკლდება.

– ეს ათი წუთი ჩვენთვის მარადიულობის ტოლფასია. აი, კიდევ რა: მესამე კანონის პოტენციალმა სპიდი ამ სიშორეზე რომ შეაჩეროს, ლითონების ორთქლის ატმოსფეროში

საკმაოდ დიდი რაოდენობის ნახშირბადის ჟანგი უნდა იყოს. ამიტომ კოროზია შესამჩნევი იქნება. სპიდი უკვე რამდენიმე საათია იქ დასეირნობს. ყოველ წუთს მოსალოდნელია, ვთქვათ, მუხლის სახსარი დაუზიანდეს და უბრალოდ წაიქცეს. აქ მხოლოდ ტვინის განძრევა არ გვეყოფა, სწრაფად უნდა მივიღოთ ზომები.

ღრმა, მძიმე დუმილი ჩამოწვა.

სიჩუმე დონოვანმა დაარღვია. ხმა უკანკალებდა, მაგრამ ცდილობდა, აუღელვებლად ელაპარაკა.

– კარგი, ვთქვათ, არ შეგვიძლია, მეორე კანონის პოტენციალი ახალი ბრძანებით გავზარდოთ, მაგრამ იქნებ შეიძლება, მეორე ბოლოდან დავიწყოთ? თუ საშიშროებას გავზრდით, მესამე კანონის პოტენციალი ამალდდება და სპიდის აქეთ გამოვიტყუებთ.

პაუელმა თავისი ჩაჩქანის სარკმელი მისკენ უხმოდ მიატრიალა.

– მისმინე, – ფრთხილად განაგრძო დონოვანმა, – რობოტის უკან დასაბრუნებლად ნახშირბადის ჟანგის კონცენტრაცია უნდა ავამაღლოთ. სადგურში მთელი ანალიტიკური ლაბორატორია გვაქვს.

– ბუნებრივია, – თქვა პაუელმა, – ეს ხომ სადგური-მალაროა.

– სწორედაც. იქ კი საკმარისად უნდა იყოს მუაუნმუავა კალციუმის დასაღეჭად.

– კოსმოსმა დაგლახვროს, მაიკ, გენიოსი ხარ!

– კაი, კაი, – შეიფერა დონოვანმა, – უბრალოდ გამახსენდა, რომ მუაუნმუავა გახურებისას ნახშირორჟანგად, წყლად და ჩვენთვის კარგად ცნობილ ნახშირბადის ჟანგად იშლება. ეს ხომ კოლეჯის დონის ქიმიია.

პაუელი წამოხტა და უზარმაზარ რობოტს ფეხზე შემოჰკრა.

– ჰეი, შენ! – დაუყვირა, – სროლაშევიძლია?

– რისი, ბატონო?

– სულ ერთია, – პაუელმა ჩუმად, თავისთვის დასწყევლა რობოტის ზანტი ტვინი და კლდის აგურის ზომის ნამსხვრევს წამოავლო ხელი, – აიღე ეს ქვა და ცისფერი კრისტალების ჯგუფს ესროლე. აი, იქ, მრუდე ნაპრალს იქით, ხედავ?

დონოვანმა ხელზე მოქაჩა.

– ძალიან შორსაა, გრეგ, ნახევარი მილი მაინც იქნება, ვერ მიაწვდენს.

– მშვიდად, – მიუგო პაუელმა, – დაგავიწყდა, როგორია მერკურის მიზიდულობის ძალა? თანაც მას გაცილებით ძლიერი ხელი აქვს. აბა, უყურე!

რობოტის თვალები ტექნიკური სიზუსტით ზომავდნენ მანძილს, მერე ქვის წონაც

გაიანგარიშა და ისროლა. სიბნელეში მისი მოძრაობა ცუდად ჩანდა, მაგრამ ფეხი რომ მოინაცვლა, ნიაგადი ოდნავ შეირყა. ქვა შავი წერტილივით გაიჭრა ჩრდილიდან. მის ქროლვას არც ჰაერის წინააღმდეგობა უშლიდა ხელს, არც ქარი და როგორც კი მიზანს მიაღწია, ცისფერი კრისტალების ნამსხვრევები აქეთ-იქით გაიფანტა.

პაუელმა სიხარულით შესძახა:

– წამოდი, მუავა მოვიტანოთ, მაიკ!

დანგრეულ პავილიონში რომ შევიდნენ, დონოვანმა ნაღვლიანად აღნიშნა:

– მას შემდეგ, რაც კვალში ჩავუდევით, სპიდი ტბის გადმოღმა ნაპირზე დაბოდიხალობს, შეამჩნიე?

– როგორ არა.

– ალბათ თამაში უნდა. დამაცადოს, მე მაგას ვათამაშებ!

ისინი რამდენიმე საათში თეთრი ფხვნილით სავსე სამლიტრიანი ქილებითა და დაღლილი სახეებით დაბრუნდნენ. ფოტოელემენტები გაცილებით სწრაფად იშლებოდა, ვიდრე ვარაუდობდნენ.

რობოტები გარეთ გაიყვანეს და დაბოლმილები ჩუმად გაემართნენ სპიდისკენ.

სპიდი აუჩქარებლად გამოემურა მათკენ.

– აი, ჩვენც მოვედით! ვიიშ! სია ჩამოვწერე... ორგანიზტიც აქვეა... ყველა, ვინც კანფეტებს შეექცევით, სახეზე გაწერიან (ცალკეული გაუგებარი ფრაგმენტები გილბერტისა და სალივანის ოპერეტადან „მიკადო“)...

– სახეში მოგცემდი ახლა... – ჩაიღრინა დონოვანმა. – შეხედე, გრეგ, კოჭლობს.

– ვხედავ, – მიიღო შეფიქრიანებული პასუხი, – თუ არ ვიჩქარებთ, მონოქსიდი ბოლოს მოუღებს.

ნელა უახლოვდებოდნენ, თითქოს ეპარებიანო, რათა ეს შემწვარი რობოტი არ დაეფრთხოთ. ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყვნენ, მაგრამ პაუელს უკვე შეეძლო დაეფიცა, რომ სპიდი გაქცევას აპირებდა.

– მიდი! – ამოიხრიალა მან, – სამამდე ვითვლი. ერთი, ორი...

ორმა ფოლადის ხელმა ერთდროულად მოიქნია ორი მინის ქილა და თალებივით მორკალულმა ფხვნილმა მზის თვალისმომჭრელ სინათლეზე ბრილიანტის მტვერავით გაიბრწყინა. ქილები უხმაუროდ დაიმსხვრა და სპიდის ზურგსუკან მუაუნმუავას ღრუბელი ამოიმართა. პაუელმა იცოდა, რომ მერკურის მხურვალე მზეზე ღრუბელი გაზიანი წყალივით ბუყბუყებდა.

სპიდი დინჯად მობრუნდა, მერე უკან დაიხია და ისევ ნელა აუჩქარა ნაბიჯს. თხუთმეტ წუთში ის უკვე გაუბედავი ნახტომებით მოიწვედა მათკენ.

კარგად არ ისმოდა, რას ამბობდა რობოტი, მაგრამ პაუელმა მაინც გაარჩია: „არა მითხრა რა სიყვარულზე, არც ფიცი მომცე...“ (ნაწყვეტი გილბერტისა და სალივანის ოპერეტიდან „მოთმინება“)

იგი დონოვანს მიუბრუნდა:

– კლდეს შევეფაროთ, მაიკ, ძალიან დამცხა, რაკი კალაპოტიდან ამოვარდა, ახლა უკვე დაგვემორჩილება კიდევ.

ზანტ რობოტებზე ამხედრებულნი ნელა გაუყვნენ გზას. დონოვანი მაშინლა მიტრიალდა, როცა საამური სიგრილე იგრძნო.

– გრეგ!

პაუელმაც გაიხედა უკან და კინალამ შეჰყვირა – სპიდი ნელ-ნელა შორდებოდა მათ, კვლავ თავის წრიულ კალაპოტს უბრუნდებოდა და თანდათან სიჩქარესაც უმატებდა. სტერეოტოგრიტში ისე შემადრწუნებლად ახლოს და შემადრწუნებლად მოუხელთებელი ჩანდა...

– ახლავე დაეწიე! – დაიყვირა დონოვანმა და რობოტი შემოატრიალა, მაგრამ პაუელმა შეაჩერა.

– ნუ გაეკიდება, მაიკ, სულერთია, ვერ დაეწევი, – რობოტის მხრებზე აწრიალდა და სიმწრისაგნ ხელები მომუშტა, – რალა ახლა მივხვდი ყველაფერს, როცა ყველაფერი ხუთი წამის წინ დასრულდა! მაიკ, ჩვენ სულ ტყუილად დავკარგეთ დრო.

– ისევ მუავა გვჭირდება, – ჭიუტად განაცხადა მაიკმა, – ის ძალიან დაბალი კონცენტრაციისა იყო.

– არა, არა, შეიდი ტონაც ველარ გვიშველიდა. ამდენი მუავა რომც გვექონოდა, მაინც ვერ მოვასწრებდით მოტანას. ჟანგი შეჭამს, მაიკ, ნუთუ ვერაფერს მიხვდი?

– ვერა, – გამოტყდა დონოვანი.

– ჩვენ მხოლოდ ახალი თანაფარდობა შევქმენით. როცა ნახშირბადის ჟანგი იმატებს და მესამე კანონის პოტენციალიც იზრდება, მაშინ რობოტი უკანდახევას იწყებს, სანამ კვლავ თანაფარდობა არ დამყარდება, შემდეგ კი, როცა ნახშირბადის ჟანგი აქროლდება, ისევ წინ მიიწევს, – ნაღვლიანად თქვა პაუელმა, – ეს ისევ ის უკვე ნაცნობი წრეა. ჩვენ შეგვიძლია ჩავებლაუკოთ მესამე კანონს და მეორისკენ გამოვწიოთ, მაგრამ მაინც ვერაფერს შევცვლით. მხოლოდ წონასწორობის მდგომარეობა გადაადგილდება. ამ

კანონებს საერთოდ უნდა მოვეშვათ და მათ გარეშე ვიმოქმედოთ.

მან თავისი რობოტი შეატრიალა და სახით დონოვანისკენ დააყენა, ისე რომ, ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და სიბნელეში მხოლოდ მუქ ჩრდილებად მოჩანდნენ. პაუელმა დაიჩურჩულა:

– მაიკ!

– ეს დასასრულია? – დაღლილი ხმით თქვა დონოვანმა, – მოდი, წავიდეთ სადგურში, დაველოდოთ, სანამ ფოტოელემენტები მთლიანად არ ჩაიწვება, გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, დავლიოთ ციანიდი და ისე დავიხოცოთ, როგორც ჯენტლმენებს შეჰფერით.

მან მწარედ ჩაიციინა.

– მაიკ, – სერიოზულად გაიმეორა პაუელმა, – სპიდი უნდა დავაბრუნოთ.

– ვიცი.

– მაიკ, – კვლავ დაიწყო პაუელმა და მცირე ყოყმანის შემდეგ განაგრძო, – არსებობს პირველი კანონიც. ამაზე ადრეც ვიფიქრე, მაგრამ... ეს უკიდურესი საშუალებაა.

დონოვანმა შეხედა და გამოცოცხლება დაეტყო.

– ჰოდა, ახლა სწორედ უკიდურესი საშუალების გამოყენების დროა.

– კარგი. პირველი კანონის თანახმად, რობოტი ვერ დაუშვებს, რომ მისი უმოქმედობის გამო ადამიანს საფრთხე დაემუქროს. აქ მას ვერც მეორე და ვერც მესამე კანონი ვერ შეაჩერებს. უბრალოდ, არ შეუძლიათ შეაჩერონ, მაიკ.

– მაშინაც კი, როცა რობოტი ნახევრად შეშლ... მთვრალია და შენ ეს კარგად იცი.

– რა თქმა უნდა, სარისკოა.

– კეთილი. რა ჩაიფიქრე?

– მე ახლა მზეზე გავალ და ვნახოთ, როგორ იმოქმედებს პირველი კანონი. თუ ამანაც არ დაარღვია წონასწორობა, მაშინ... ჯანდაბას, მაშინ სულ ერთია, ახლა დავიხოცებით თუ სამი-ოთხი დღის შემდეგ...

– მოიცა, გრეგ. არსებობს ადამიანური კანონებიც. არ გაქვს უფლება, ასე უბრალოდ ადგე და წახვიდე. მოდი, წილი ვყაროთ, რომ ყველაფერი პატიოსნად ჩატარდეს.

– კარგი. აბა, ვინ უფრო მალე აიყვანს თოთხმეტს კუბში? – თქვა და მაშინვე დაამატა, – ორი ათას შვიდას ორმოცდაოთხი.

დონოვანმა იგრძნო, როგორ წამოედო პაუელის რობოტი მისას, როცა გვერდით ჩაუარა. წამიც და პაუელი უკვე ჩრდილის გარეთ იყო. დონოვანმა პირი გააღო, უნდოდა დაეყვირა, მაგრამ თავი შეიკავა. რა თქმა უნდა, ამ ბრიყვმა თოთხმეტი კუბში განგებ

წინასწარ აიყვანა – როგორც სჩვეოდა.

მე წარმოუდგენლად აცხუნებდა და პაუელმა წელის არეში საშინელი ქავილი იგრძნო. შესაძლოა, მოეჩვენა, უბრალოდ წარმოსახვა იყო, ან იქნებ, გამოსხივება უკვე სკაფანდრშიც აღწევდა.

სპიდი თვალყურს ჩუმად, ამჯერად გილბერტისა და სალივანის შემოქმედების ციტირების გარეშე ადევნებდა. მაღლობა ღმერთს, რომ ასე იყო! მაგრამ მიახლოებას მაინც ვერ ბედავდა. პაუელი სპიდისგან სამასი იარდით (იარდი – სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 91, 44 სანტიმეტრს) იყო დაშორებული, როდესაც ნელ-ნელა უკან-უკან დაიწყო დახევა. პაუელმა თავისი რობოტი გააჩერა და კრისტალებით მოფენილ ზედაპირზე ისე ძძიმედ ჩამოქვეითდა, წახნაგოვანი ნამსხვრევები აქეთ-იქით გაცვივდა.

ფხვიერ ნიადაგზე ფეხი უცურავდა, მცირე მიზიდულობის გამო წინსვლა უჭირდა, ფეხისგულები უხურდა. უკან მიიხედა და დაინახა – უკვე ისე შორს წასულიყო, ჩრდილში დაბრუნებას ვერც დამოუკიდებლად მოასწრებდა და ვერც თავისი ძველთაძველი რობოტის დახმარებით. ახლა ან სპიდის უნდა გადაერჩინა, ან ყველაფერი დასრულდებოდა. ამის გააზრებაზე სუნთქვა შეეკრა.

უკვე საკმაოდ შორს იყო. პაუელი შეჩერდა.

– სპიდი! – დაუძახა, – სპიდი!

თანამედროვე დიზაინის მქონე ლაპლაპა რობოტმა ფეხი შეანელა, შეჩერდა, მერე ისევ უკან დაიხია. პაუელი შეეცადა, რაც შეიძლება მეტი ვედრება ჩაექსოვა ხმაში და იგრძნო, რომ ამის გაკეთება მაინცდამაინც არც გასჭირვებია.

– სპიდი! ჩრდილში თუ არ დავბრუნდები, მზის მცხუნვარება მომკლავს, ჩემი სიცოცხლე ბენჯზე კიდია! სპიდი, მიშველე, სპიდი!

რობოტმა ნაბიჯი წინ წადგა და გაჩერდა. დაილაპარაკა, პაუელის მსგავსი კვნესანარევი ხმით წარმოთქვა: „თუ ლოგინს ხარ მიჯაჭვული და თავის ტკივილის გამო ვერ ინძრევდი...“ ხმა ნელ-ნელა მიწყდა, პაუელს კი დრო დასჭირდა, რომ ამოეღულღულებინა – „იოლანტე“ (ნაწყვეტი გილბერტისა და სალივანის ოპერეტადან „იოლანტე“).

პაპანაქებით გათანგულმა პაუელმა თვალის კუთხით რაღაც მოძრაობა დალანდა, უცებ შეტრიალდა და გაოცებისგან გაშრა – უზარმაზარი რობოტი, რომელიც უკან მოიტოვა, მისკენ მოიწევდა, მარტო, დამოუკიდებლად!

რობოტმა დაილაპარაკა:

– მაპატიეთ, ბატონო. მე ჩემი პატრონის გარეშე არ უნდა ვიმოდრო, მაგრამ თქვენ საფრთხე გემუქრებათ!

რა თქმა უნდა, პირველი კანონის პოტენციალი ყველაზე მთავარია, მაგრამ ეს ბეხრევი, ძველისძველი მანქანა რაში არგია! მას სპიდი სჭირდება, სპიდი. ძლივსძლივობით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა გვერდზე და აღელვებულმა შესძახა:

– არ მომიახლოვდე! გიკრძალავ! ახლავე გაჩერდი!

ყველაფერი ამო გამოდგა. პირველი კანონის პოტენციალთან ბრძოლა შეუძლებელია. რობოტმა უდრტვინველად მიუგო:

– თქვენ საფრთხე გემუქრებათ, ბატონო!

პაუელმა უიმედოდ მიმოიხედა. უკვე ბუნდოვნად ხედავდა საგნებს, ტვინში გავარვარებული გრიგალი უტრიალებდა. საკუთარი სუნთქვა გუდავდა და გარშემო ყველაფერი გაურკვეველ ბურუსში ირხეოდა. განწირულმა დაიყვირა:

– სპიდი! ვკვდები, დალახვროს ეშმაკმა! სადა ხარ? სპიდი! მიშველე!..

პაუელი ჯერ კიდევ ბრმად იხედა უკან, რათა დაუპატიჟებელი გიგანტური რობოტისგან დაეხსნა თავი, როცა ხელზე ფოლადის თითების შეხება იგრძნო და სპიდის დამნაშავე, შეწუხებული ხმა ჩაესმა:

– ჯანდაბა, ბოს, აქ რას აკეთებ? ან მე რას ვაკეთებ?.. დავიბენი...

– არა უშავს, – ჩაილულულა მისუსტებულმა პაუელმა, – კლდის ჩრდილში წამიყვანე, ჩქარა!

იგრძნო, ჰაერში როგორ აიტაცესდა სწრაფად გააქანეს. უკანასკნელად დაუარა სიციხის ალმურმა და გონება დაკარგა.

თვალი რომ გაახილა, დაინახა, რომ მომღიმარი დონოვანი მზრუნველად დასტრიალებდა თავს.

– როგორ ხარ, გრეგ?

– მშვენივრად, – უპასუხა, – სად არის სპიდი?

– აქაა. სელენის მეორე ტბაზე გავგზავნე. ამჯერად ვუბრძანე, აუცილებლად და დაუყოვნებლივ მოეტანა სელენი. ორმოცდაორ წუთსა და სამ წამში მოიტანა, დრო დავინიშნე. ჯერ კიდევ იმ წრეზე ტრიალის გამო იხდის ბოდიშს. შენთან მოსვლას ვერ ბედავს, ეშინია, რას მეტყვისო.

– ახლავე აქ მომგვარე, – უთხრა პაუელმა, – მისი ბრალი არაა.

როდესაც სპიდი ოთახში შემოვიდა, ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა.

– ყველაფერი რიგზეა, სპიდი. მაიკ, იცი, რაზე ვფიქრობდი?

– რაზე?

სახეზე ხელი ჩამოსვლა, ჰაერი გრილი და საამური იყო.

– როგორ გითხრა... იცი, აქ საქმეს რომ მოვრჩებით, სპიდი კი სავლელ შემოწმებას გაივლის, მე და შენ კოსმოსურ სადგურზე გვაგზავნიან.

– შეუძლებელია!

– ასეა, ასე. ყოველ შემთხვევაში, დეიდა კელვინმა წამოსვლის წინ სწორედ ასე მითხრა. აქამდე იმიტომ არ გითხარი, რომ მეც უარის თქმას ვაპირებდი.

– უარის თქმას? – წამოიძახა დონოვანმა, – კი მაგრამ...

– ვიცი, ახლა ყველაფერი რიგზეა. წარმოგიდგენია – ორას სამოცდაცამეტი გრადუსი ნულს ქვემოთ! განა სამოთხე არ იქნება?

– აჰა, ესე იგი, კოსმოსური სადგური, – ჩაიცინა დონოვანმა, – რა გაეწყობა, მე მზად ვარ.

ლოგიკა

ექვს თვეში ბიჭებს სრულიად შეეცვალათ წარმოდგენა. გიგანტური მზის მხურვალეობა ცარიელმა წყვილიდმა შეცვალა. მაგრამ როცა ექსპერიმენტულ რობოტებზე მუშაობ, გარემო პირობების შეცვლა ბევრ არაფერს ნიშნავს. სადაც უნდა იყო, საქმე მაინც ამოუცნობ პოზიტრონულ ტვინთან გაქვს, რომელიც, თუ ამ ლოგარითმული სახაზავების გენიოსებს დავუჭერებთ, სწორედ ისე უნდა მუშაობდეს, როგორც მათ სურთ.

თუმცა ასე არ ხდება ხოლმე, რასაც პაუელი და დონოვანი სადგურში ჩამოსვლიდან ორი კვირის თავზე მიხვდნენ.

გრეგორი პაუელმა დამარცვლით და მკაფიოდ წარმოთქვა:

– მე და დონოვანმა ამ ერთი კვირის წინ აგანწყვეთ! – მერე შუბლი შეიჭმუნა და უღვაში მოიწინა.

„სოლარ სთეიშენ 5-ის“ ოფიცერთა კაიუტაში სიჩუმეს მხოლოდ მძლავრი გამომასხივებელი ხელსაწყოების ბუყბუყი არღვევდა, რომელიც სადღაც ქვემოდან მოისმოდა.

რობოტი ქიუ თი-1 გაუნძრევლად იჯდა. მის მოსევადებულ ფოლადის ტანს კაშკაშა ნათურის შუქზე ლაპლაპი გაჰქონდა, ხოლო წითლად ანთებული ფოტოელემენტები, რომლებიც თვალების მაგივრობას უწევდნენ, დაჟინებით მისჩერებოდნენ მაგიდის მეორე მხარეს მჯდომ დედამიწელს.

პაუელმა უეცრად მომძლავრებული ნერვიული შეტევა დაიოკა. ეს რობოტები რაღაც უცნაურად აზროვნებდნენ, თუმცა, რაღა თქმა უნდა, რობოტიკის სამი კანონი მოქმედებდა და ასეც უნდა ყოფილიყო. „იუ ეს რობოტის“ თითქმის ყველა მოსამსახურე, რობერტსონიდან დამლაგებლამდე, ამის თავდებია. ასე რომ, ქიუ თი-1-ის დარდი აღარ უნდა გქონოდა, მაგრამ მაინც... ქიუ თი მოდელი სულ ახალი იყო, ეს კი პირველი საცდელი ეგზემპლარი გახლდათ. მათემატიკური ფორმულების ლაბირინთები, როცა ფაქტის წინაშე დადგებოდი, ყოველთვის როდი შველოდა საქმეს.

ბოლოს და ბოლოს რობოტმა ცივი ტემბრით გამორჩეული ხმა ამოიღო – ეს ხომ ლითონის მემბრანის აუცილებელი თვისება გახლდათ.

– პაუელ, თქვენი განცხადების სერიოზულობას თუ აცნობიერებთ?

– კი მაგრამ, ვიდაცას ხომ უნდა აენწყვე, ქიუთი (რობოტის სერია QT იკითხება, როგორც ქიუთი – Cutie – ლამაზმანი, კოხტა), – მიუგო პაუელმა, – აკი თვითონვე მითხარი, რომ შენი

მეხსიერება ამ ერთი კვირის წინ სრული სიცარიელისგან შეიქმნა. თუ გინდა, ყველაფერს აგიხსნი. მე და დონოვანმა აქ დედამიწიდან გამოგზავნილი ნაწილებისგან აგაწყვეთ.

ქიუთიმ იდუმალი გამომეტყველებით დაიხედა გრძელ, მოქნილ თითებზე. ამ დროს ის ძალიან ჰგავდა ადამიანს.

– მე მგონი, უფრო მართებული ახსნა-განმარტება უნდა არსებობდეს. მაინცდამაინც არა მჯერა, რომ მე თქვენი შექმნილი ვარ.

დედამიწელს სიცილი წასკდა.

– კი მაგრამ, რატომ?

– თუ გინდა, ამას ინტუიცია დავარქვათ. ჯერჯერობით ეს ალბათ მხოლოდ ინტუიციაა. მაგრამ ვაპირებ, უფრო კარგად გავერკვე ყველაფერში. ლოგიკური განსჯა აუცილებლად მიმიყვანს ჭეშმარიტებამდე. შევეცდები ჩაწვდეთ ამ ჭეშმარიტებას.

პაუელი წამოდგა და რობოტის გვერდით, მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა. ამ უცნაურმა მანქანამ რატომღაც მისი კეთილგანწყობა გამოიწვია. ის სულაც არ ჰგავდა ჩვეულებრივ რობოტებს, რომლებიც სადგურში გულმოდგინედ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ სამუშაოს და წინასწარ მიწოდებულ ურყევ პოზიტრონულ კავშირებს ემორჩილებოდნენ.

მან ქიუთის მხარზე დაადო ხელი. ლითონი ცივი და მაგარი იყო.

– ქიუთი, – მიმართა რობოტს, – შევეცდები, ცოტა რამ მაინც აგიხსნა. შენ პირველი რობოტი ხარ, რომელიც თავის არსებობას ჩაუფიქრდა. მგონია, ასევე პირველი და საკმაოდ ჭკვიანი ხარ იმისთვის, რომ გარე სამყარო გაიაზრო. წამომყევი.

რობოტი მსუბუქად წამოდგა და პაუელს გაჰყვა. ფეხის ძირებზე ნასვრეტებიანი რეზინი ჰქონდა ამოკრული და სრულიად უხმაუროდ დადიოდა.

დედამიწელმა ღილაკს თითი დააჭირა და კედლის ნაწილი გაიწია. სქელი, გამჭვირვალე მინის მიღმა ვარსკვლავებით მოჭედილი კოსმოსური სივრცე გამოჩნდა.

– ეს სამანქანო განყოფილების ილუმინატორიდანაც დამინახავს, – თქვა ქიუთიმ.

– ვიცი, – მიუგო პაუელმა, – როგორ ფიქრობ, რა არის?

– სწორედ ის, რასაც ვხედავთ – პატარ-პატარა მოციმციმე წერტილებით მოჭედილი შავი ნივთიერება. ვიცი, რომ ამ წერტილებიდან ზოგიერთს, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, ჩვენი გამომასხივებელი სხივებს უგზავნის. ისიც ვიცი, რომ ის წერტილები გადაადგილდებიან და ჩვენი სხივებიც მათთან ერთად მოძრაობენ. ეს არის და ეს.

– კარგი, ახლა ყურადღებით მომისმინე. შავი ნივთიერება – სიცარიელეა, რომელიც უსასრულოდ გრძელდება. პატარა წერტილები კი ენერგიით დამუხტული მატერიის

უზარმაზარი სფერული მასებია. ბევრი მათგანის დიამეტრი მილიონობით კილომეტრს აღწევს. შედარება თუ გინდა – ჩვენი სადგურის დიამეტრი სულ რაღაც ერთნახევარი კილომეტრია. ასე პატარები კი იმითომ ჩანან, რომ ძალიან შორს არიან, ხოლო ის წერტილები, საითკენაც ჩვენი ენერგეტიკული სხივებია მიმართული, უფრო ახლოსაა და გაცილებით პატარებია. ისინი მყარია, ცივი და მათ ზედაპირზე ხალხი ცხოვრობს, ჩემნაირები, მილიარდობით ადამიანი. ასეთი სამყაროდან მოვფრინდით აქ მე და დონოვანიც. ამ სამყაროებს ენერგიით სწორედ ჩვენგან გაგზავნილი სხივები ამარაგებენ, რომელსაც თავად უახლოესი გავარვარებული სფეროსგან, მზისგან, ვიღებთ. ის აქედან არ ჩანს – სადგურის მოპირდაპირეხარესაა.

ქიუთი სარკმელთან ფოლადის ქანდაკებასავით უძრავად იდგა. შემდეგ თავი არ მოუბრუნებია, ისე ალაპარაკდა:

– მაინც რომელი მოციმციმე წერტილიდან მოფრინდით, როგორც თქვენ ამტკიცებთ?

– აი, იქ, კუთხეში, კაშკაშა ვარსკვლავი რომ მოჩანს, დედამიწაა, – პაუელს გაეცინა, – ბებერი დედამიწა... ქიუთი, იქ მილიარდობით ჩემნაირები ცხოვრობენ. ერთ ან ორ კვირაში ჩვენც იქ ვიქნებით.

ქიუთი დაბნეულად აბურტყუნდა, რამაც პაუელი ძალიან გააოცა. ეს ბურტყუნი მოკლებული იყო ყოველგვარ რიტმს და რაღაც დაჭიმული სიმების აწყობის ხმას უფრო ჰგავდა. მერე ისევ მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო.

– და მე საიდან მოვედი, პაუელ? ჩემი არსებობის მიზეზი არ აგიხსნიათ.

– სულ უბრალო ამბავია. როცა ეს ენერგოსადგურები აშენდა, თავდაპირველად მათ ადამიანები მართავდნენ, მაგრამ სიცხის, მზის ძლიერი გამოსხივებისა და ელექტროქარიზმების გამო აქ მუშაობა ძალზე რთული აღმოჩნდა. რობოტები სწორედ ადამიანების შესაცვლელად შეიქმნა, ახლა ყოველ სადგურს მხოლოდ ორი ადამიანი სჭირდება. ვცდილობთ, ის ორიც რობოტებით შევცვალოთ. ახლა ხომ გაიგე, რისთვისაც შეგქმენით? შენ ყველაზე სრულყოფილი რობოტი ხარ მათ შორის, რაც კი აქამდე არსებულა. თუ დაამტკიცებ, რომ დამოუკიდებლად შეგიძლია ამ სადგურის მართვა, მაშინ ადამიანების აქ ყოფნა აღარ იქნება საჭირო. ისინი მხოლოდ სათადარიგო ნაწილების მოსამარაგებლად მოვლენ ხოლმე.

პაუელმა ხელი ღილაკისკენ გაიწოდა და ლითონის დარაბები დახურა. მერე მაგიდასთან დაბრუნდა, აიღო ვაშლი, სახელოზე გაწმინდა და ჩაკბიჩა, მაგრამ რობოტის წითლად მოელვარე თვალებს რომ წააწყდა, შეჩერდა. ქიუთიმ ნელა წარმოთქვა:

– თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთ მიკიბულ-მოკიბულ საეგვო ჰიპოთეზას დავიჭერებ, რომელიც ეს-ესაა ჩამოაყალიბეთ? ვინ გგონივართ?

მოულოდნელობისაგან შემცბარმა პაუელმა ვაშლის მოკბეჩილი ლუკმა პირიდან გადმოაგდო და განითლდა.

– დასწყევლოს ღმერთმა, ეს ხომ ჰიპოთეზა არ არის! ეს ფაქტებია!

ქიუთიმ კუშტად უპასუხა:

– მილიონობით კოლომეტრი დიამეტრის ენერჯის სფეროები! სამყაროები, სადაც მილიარდობით ადამიანი ცხოვრობს! უსასრულო სიცარიელე! მომიტევეთ, პაუელ, მაგრამ ამის არ მჭერა. თვითონვე გავერკვევი ყველაფერში, ნახვამდის!

რობოტი შეტრიალდა, კარში გასვლისას ოთახში შემოსულ დონოვანს ძლივს აუქცია გვერდი, სერიოზულად დაუკრა თავი, გავიდა და დერეფანს ისე გაუყვა, ადამიანების გაცბებული თვალებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მაიკ დონოვანმა წითური თმა აიჩეჩა და პაუელს კუშტად შეხედა:

– რაო, რა თქვა ამ მოსიარულე ჯართმა? რისი არა მჭერაო?

პაუელმა გამწარებით მოიწინკნა უღვაში.

– სკეპტიკოსია, – მიუგო მან, – არა სჭერა, რომ ჩვენ ავანყვეთ, არც იმის, რომ არსებობს დედამიწა, კოსმოსი და ვარსკვლავები.

– სატურნმა დალახვროს! გადარეული რობოტიდა გვაკლდა და ესაა!

– ასე თქვა, ყველაფერში თვითონვე გავერკვევიო.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი, – მშვიდად თქვა დონოვანმა, – იმედია, კეთილს ინებებს და როცა გავერკვევა, მეც ყველაფერს ამისხნის, – მერე უცებ იფეთქა, – იცოდე, თუ ეს რკინის გროვა ასე დალაპარაკებას გამიბედავს, იმ მოქრომილ კისერს წავანყვეტ! – იგი სავარძელს მიესვენა და ჯიბიდან ყდამომოცვეთილი დეტექტივი ამოიღო, – ეს რობოტი დიდი ხანია ნერვებს მიშლის, ზედმეტად ცნობისმოყვარეა!

როცა ქიუთიმ წყნარად დააკაკუნა და ოთახში შემოვიდა, მაიკ დონოვანმა რაღაც ჩაიბუზღუნა, თან პომიდვრის სალათსა და უზარმაზარ ბუტერბროდს შეექცეოდა.

– პაუელი აქ არის?

დონოვანმა ისე უპასუხა, ღეჭვა არ შეუწყვეტია:

– ელექტრონული ნაკადების ფუნქციების მონაცემების შესაგროვებლად და წასული. მგონი, ქარიშხალია მოსალოდნელი.

ამ დროს პაუელიც შემოვიდა. თავაუღებლად ჩასცქეროდა გრაფიკებს, რომლებიც

ხელში ეჭირა. დაჭდა, ფურცლები წინ გაიშალა და რალაცის გამოთვლას შეუდგა. დონოვანი მხარს ზემოდან შესცქეროდა, თან ბუტერბროდს შეეცქეოდა და ნამცეცები დაბლა უცვიოდა. ქიუთი უხმოდ იცდიდა.

როგორც იქნა, პაუელმა თავი ასწია.

– ზეტა პოტენციალი ნელა, მაგრამ მაინც იზრდება. ასეა თუ ისე, ნაკადის ფუნქციები მერყეობს. მოკლედ არ ვიცი, რა მოხდება. ოჰ, სალამი ქიუთი. მე მეგონა, ახალი ძალური სალტეს დამონტაჟებას აკონტროლებდი.

– ყველაფერი მზადაა, – მშვიდად მიუგო რობოტმა, – თქვენთან დალაპარაკება მინდა.

– ოჰ! – პაუელი უსიამოვნოდ შეიშმუშნა, – მაშ, დაჯექი. არა, იქ არა. მაგ სკამს ფეხი აქვს მორყეული და შენს სიმძიმეს ვერ გაუძლებს.

რობოტი დაჭდა და უშფოთველად დაიწყო:

– გადანყვეტილება მივიღე.

დონოვანმა გაბრაზებით შეხედა რობოტს და ბუტერბროდის ნარჩენი გვერდზე გადადო.

– თუ ისევ იმ შენს სულელურ...

პაუელმა მოუთმენლად შეაწყვეტინა:

– თქვი, ქიუთი, გისმენთ.

– ბოლო ორი დღეა საკუთარ თავს ჩავუღრმავდი, – თქვა ქიუთიმ, – და საკმაოდ საინტერესო შედეგებიც მივიღე. დავინყე ერთადერთი სწორი ვარაუდით: ვარსებობ იმიტომ, რომ ვაზროვნებ...

– ო, იუპიტერო! – ამოიგმინა პაუელმა. – რობოტი – დეკარტი (რენე დეკარტი (1596-1650) – ფრანგი ფილოსოფოსი)!

– ვინ, ვინ არის დეკარტი? – საუბარში დონოვანი ჩაერია, – შენი აზრით, უნდა ვისხდეთ და ამ რკინის მანიაკის ბოდვა ვისმინოთ...

– დამშვიდდი, მაიკ!

ქიუთი მშვიდად განაგრძობდა:

– ...მაშინვე დამებადა კითხვა – რატომ ვარსებობ?

პაუელმა კბილი კბილს დააჭირა და ღაწვები ბურთებივით დაებერა.

– რას სულელობ, მე ხომ გითხარი, რომ ჩვენ აგანყვეთ.

– თუ არ გჯერა, – ჩამოართვა სიტყვა დონოვანმა, – მაშინ სიამოვნებით დაგშლით.

რობოტმა უზარმაზარი ხელები ვედრებით გაშალა:

– ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ. ყოველ ჰიპოთეზას ლოგიკა უნდა უმაგრებდეს

ზურგს, თუ არა და არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ის აზრი კი, რომ თქვენ შემქმნით, ყოველნაირად ეწინააღმდეგება ლოგიკას.

პაუელმა დონოვანის მომუშტულ ხელს თავისი დაადო და შეაჩერა.

– კი მაგრამ, ამას რატომ ამბობ?

ქუთიმ გაიცინა. ეს არაადამიანური სიცილი იყო – მექანიკური, მუდერი და წყვეტილი, მეტრონომის ნიჰნიკივით გამოზომილი და უინტონაციო სიცილი.

– საკუთარ თავს შეხედეთ, – თქვა ბოლოს, – სულაც არ მინდა განწყენინოთ, მაგრამ თქვენს თავს შეხედეთ: მატერია, რომლისგანაც თქვენ ხართ შექმნილნი, რბილი და დონდლოა, არაგამძლე, სუსტი. თქვენი ენერჯის წყაროა დაბალეფექტიანი ორგანული ნივთიერების დაჟანგვა, აი, ასეთის, – მან უკმაყოფილოდ ატაკა თითი ბუტერბროდის ნარჩენებს, – პერიოდულად კი არაცნობიერ მდგომარეობაში ვარდებით. ტემპერატურის, წნევის, ტენიანობის, გამოსხივების ოდნავი შეცვლაც კი შრომისუნარიანობას გიქვეითებთ. თქვენ დროებითი სუროგატები ხართ, მე კი სრულყოფილი ქმნილება გახლავართ! მე ელექტროენერჯიას მართებულად ვიღებ და თითქმის მთლიანად ვიყენებ. ჩემი სხეული მყარი ლითონისაა, თანაც მუდამ ცნობიერ მდგომარეობაში ვიმყოფები, გინდ დღე იყოს, გინდ ღამე, იოლად ვეგუები ნებისმიერ გარემოს. ეს ფაქტები გახლავთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ერთ არსებას ძალუძს თავისზე უკეთესის შექმნა, ეს თქვენს სულელურ ჰიპოთეზას ნამსხვრევებად აქცევს!

გინება, რომელსაც აქამდე დონოვანი ხმადაბლა ბურტყუნებდა, ახლა საკმაოდ მკაფიოდ გაისმა. წამოხტა და წითური წარბები შეჰყარა:

– ო, შე რკინის ნაბიჯვარო! კარგი, ჩვენ თუ არა, მამ ვინ შეგქმნა, ვინ?

ქუთიმ სერიოზულად დაიქნია თავი.

– ძალიან კარგი, დონოვან. მეც სწორედ ეს კითხვა დავუსვი საკუთარ თავს. აშკარაა, ჩემი შემქმნელი ჩემზე ძლევამოსილი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, მხოლოდ ერთი შესაძლებლობა რჩებოდა.

დედამიწელები გაოცებულები მისჩერებოდნენ ქუთის, რომელიც მშვიდად განაგრძობდა:

– რა არის სადგურის არსებობის მიზანი? რას ვემსახურებით ჩვენ ყველანი? რისკენაა ჩვენი ყურადღება მიპყრობილი?

ქუთი პასუხის მოლოდინში გაყუჩდა. დონოვანმა გაოცებით შეხედა პაუელს.

– სანაძლეოს ვდებ, ეს მოთუთიებული ბრიყვი ენერჯის გარდამქმნელზე ლაპარაკობს.

– მართალს ამბობს, ქიუთი? – ჩაიცინა პაუელმა.

– მე უფალზე მოგახსენებთ! – გაისმა ცივი, მკაცრი პასუხი.

დონოვანმა გადაიხარხარა, პაუელმაც კი ჩაიფრუტუნა თავისდაუნებურად.

ქიუთი წამოდგა, მბრწყინავ თვალებს ხან ერთ დედამიწეულზე შეაჩერებდა, ხან მეორეზე.

– მიუხედავად ამისა, მაინც ასეა. არც არის გასაკვირი, რომ არ გინდათ ამის დაჭერება.

აქ დიდხანს ველარ გაჩერდებით. ამაში დარწმუნებული ვარ. თვითონ პაუელიც ამბობდა, რომ თავდაპირველად უფალს მხოლოდ ადამიანები ემსახურებოდნენ, შემდეგ გაჩნდნენ რობოტები დამხმარე ოპერაციების ჩასატარებლად, ბოლოს კი მე მოვედი იმისთვის, რომ რობოტები ვმართო. ეს ფაქტები უეჭველია, მაგრამ მათი ახსნა ყოველგვარ ლოგიკას იყო მოკლებული. გინდათ, იცოდეთ სიმართლე?

– მიდი, მიდი, ქიუთი, საინტერესოა!

– უფალმა ჯერ ადამიანები შექმნა – ყველაზე მარტივი სახეობა, რომლის შექმნაც სულ იოლი იყო. შემდეგ, თანდათანობით, ისინი რობოტებით ჩაანაცვლა. ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯი გახლავთ. ბოლოს მან მე შექმნა, რათა ჯერ კიდევ შემორჩენილი ადამიანები შევცვალო. ამრიგად, ამიერიდან უფალს მე ვემსახურები!

– არაფერიც, – შეუტია პაუელმა, – შენ ჩვენს ბრძანებებს შეასრულებ და კრინტსაც არ დაძრავ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ გარდამქმნელის მართვა შეგიძლია. გაიგე? გარდამქმნელის მართვა და არა უფლის სამსახური! თუ არ დაგვემორჩლები, დაგშლით! ახლა კი შეგიძლია მიბრძანდე. ეს მონაცემებიც წაიყოლე და, როგორც საჭიროა, ისე გაატარე სარეგისტრაციო ფურნალში.

ქიუთიმ გამოწვდილი გრაფიკები ჩამოართვა და ხმისამოუღებლად გავიდა.

დონოვანი სკამის საბურგებზე გადაწვა და თითები თმაში შეიცურა.

– ეს რობოტი კიდევ ბევრ თავსატეხს გაგვიჩენს. ბოლომდე გაგიჟდა!

გარდამქმნელის ძილისმომგვრელი გუგუნი საკონტროლო ოთახში გაცილებით ხმამაღლა ისმოდა. მას თან გეიგერის მრიცხველის (გეიგერის მრიცხველი – რადიაციის საზომი აპარატი. გამოიგონა გერმანელმა ფიზიკოსმა ჰანს გეიგერმა) ტკაცანი და ათიოდე სასიგნალო ნათურის არათანაბარი ზუზუნი ერთვოდა.

დონოვანმა ტელესკოპიდან თავი ასწია.

– მეოთხე სადგურიდან გაშვებული სხივი მარსის ზუსტად გამოთვლილი ადგილისკენ მიემართება. ახლა შეგიძლია ჩვენი გამოვრთოთ.

პაუელმა დაბნეულად დაუქნია თავი.

– ქიუთი დაბლაა, სამანქანო განყოფილებაში. მე სიგნალს მივცემ, დანარჩენს კი თვითონ გააკეთებს. შეხედე, მაიკ! ამ ციფრებზე რას იტყვი?

მაიკმა თვალები მოჭუტადა წაუსტვინა:

– ოჰო, გამოსხივებაც ამას ჰქვია! ამ ბებერმა მზემ ბოლომდე აიწყვითა!

– ჰოო, – უხალისოდ მიუგო პაუელმა, – ელექტროქარიშხალი ახლოვდება. დედამიწისკენ მიმართული სხივი კი სწორედ მის გზაზეა, – თქვა და გაღიზიანებული მაგიდას მოშორდა, – ჯანდაბა! ნეტავი, სანამ ჩვენ არ შეგვცვლიან, მანამდე მაინც არ დაიწყებოდეს! ეჰ, ათი დღე კიდევ დარჩა... იცი, რა, მაიკ, ჩადი დაბლა და ქიუთის მიხედვით, კარგი?

– კარგი, ჩავალ, ცოტა ნუში კიდევ მომეცი.

გადმოგდებული პაკეტი ჰაერში დაიჭირა და ლიფტისკენ გაეშურა.

კაბინა რბილად ჩასრიალდა ქვემოთ და კარი სამანქანო განყოფილების ლითონის ტრაპზე გაიღო.

დონოვანი მოაჭირს დაეყრდნო და ქვემოთ ჩაიხედა. უზარმაზარი გენერატორები მუშაობდნენ. დეციმეტრული გადამცემის ვაკუუმის მილაკებიდან გამოფრქვეული ყრუ გუგუნი მთელ სადგურს ავსებდა.

ქვემოთ ქიუთის ვეება მოლაპლაპე ფიგურა გამოჩნდა, რომელიც მარსის სხივის გადამცემის ერთ-ერთი ბლოკის მახლობლად მომუშავე რობოტების ჯგუფების შეთანხმებულ მუშაობას თვალყურს ადევნებდა.

უცებ დონოვანი გაშრა: რობოტები, რომლებიც უზარმაზარი მონწყობილობის ფონზე ჯუჯებივით მოჩანდნენ, ერთმანეთის გვერდიგვერდ თავჩაღუნულები ჩამწკრივებულიყვნენ, ქიუთი კი მათ წინ ნელა მიმოდიოდა. თხუთმეტიოდენ წამის შემდეგ ყველა რობოტი ერთბაშად ისეთი ჟღერიალით დაეცა მუხლებზე, ხმაურმა გენერატორის გუგუნიც კი გადაფარა.

დონოვანი ყვირილით დაეშვა ვიწრო კიბეზე. სახე თავისი წითური თმასავით წამოჭარხლებოდა. მუშტმოღერებული მივარდა რობოტებს და დაიყვირა:

– რა ეშმაკი გეტაკათ, თქვე უტვინო ცხვრებო! ახლავე შეუდექით მუშაობას! თუ სადამომდე არ დაშლით, განმენდთ და ააწყობთ ყველაფერს, მაგ ტვინს ცვლადი დენით გადაგიწვავთ!

არც ერთი რობოტი არ განძრეულა.

ქიუთისაჲ კი, რომელიც მუხლმოდრეკილი მწკრივის ბოლოში იდგა, ფეხი არ

მოუცვლია ადგილიდან, არც ვეება მექანიზმისთვის მოუშორებია თვალი.

დონოვანმა უახლოეს რობოტს ფეხი წაჰკრა.

– ადექი! – დაუღრიალა.

რობოტი ზანტად დაემორჩილა. ფოტოელექტრული თვალები დედამიწეულს საყვედურით მიაჰკრო.

– არა არს უფალი თვინიერ უფლისა და ქიუ თი-1 არს მოციქული მისი! – თქვა რობოტმა.

– ჰა?!

დონოვანს ოცი წყვილი მექანიკური თვალი მიებჯინა და ოცმა ლითონის ხმამ საზვიამოდ წარმთქვა:

– არა არს უფალი თვინიერ უფლისა და ქიუ თი-1 არს მოციქული მისი!

– ვშიშობ, – ჩაერია ქიუთი, – ჩემი მეგობრები ახლა უკვე თქვენზე უზენაესს ემორჩილებიან!

– ჩემს ფეხებს ემორჩილებიან! გაეთრიე აქედან, შენ ცალკე გაგისწორდები, ამ მოლაპარაკე თოჭინებს კი ახლავე მივხედავ...

ქიუთიმ მძიმე თავი ნელა დაიქნია.

– მაპატიე, მაგრამ გეშლება. ესენი რობოტები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ აზროვნებენ. ახლა, როცა მე ისინი ჭეშმარიტებას ვაზიარე, უფალს მორჩილებენ. მე კი მის მოციქულს მიწოდებენ, – მან მორცხვად დახარა თავი, – იქნებ არცა ვარ ამისი ღირსი, მაგრამ, ვინ უწყის...

დონოვანმა ძლივს მოითქვა სული და განაგრძო:

– მაშ, ასეა საქმე? აი, ეს მესმის! დიდებულია! მისმინე, რას გეტყვი, შე თითბერის ბაბუინო! არ არსებობს არავითარი უფალი, არც მისი მოციქული და არც ისაა გასარკვევი – ვის უნდა დაემორჩილოთ, გასაგებია? ახლა კი გაეთრიე აქედან! – დაიღრიალა გაცოფებულმა.

– მე მხოლოდ უფალს ვემორჩილები!

– ეშმაკმა წაიღოს შენი უფალი! – დონოვანმა გარდამქმნელს შეაფურთხა, – ესეც შენს უფალს! ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანებ!

ქიუთის ხმა არ ამოუღია. სხვა რობოტებიც დუმდნენ, მაგრამ დონოვანმა იგრძნო, რომ დაძაბულობა თანდათან მატულობდა, რობოტებს თვალები წამოენთოთ, ქიუთი კი თითქოს ერთიანად გაქვავდა.

მოვასწარი, სანამ რობოტი სკამიდან ამაგდებდა.

დონოვანი გაფითრდა.

– სატურნმა დამლახვროს!

– იცი, რა მოუვა სხივს? ქარიშხალი რომ გამძვინვარდება, რწყილივით დაიწყებს ხტუნაობას. თუ ხელსაწყოებთან მარტო ქიუთი იქნება, სხივი შეიძლება ფოკუსიდან ამოვარდეს და წარმოგიდგენია, რა მოხდება? ღმერთმა დაიფაროს დედამიწა... და ჩვენც.

პაუელს ლაპარაკი არც კი დაემთავრებინა, რომ დონოვანი თავგანწირვით მიაწვა კარს. კარი უცებ გაიღო, დონოვანი დერეფანში გავარდა და ფოლადის ხელს შეასკდა, რომელმაც გზა გადაუღობა. რობოტმა გულგრილად შეხედა აღელვებულ დედამიწელს.

– მოციქულმა გიბრძანათ, ოთახში დარჩეთ. გთხოვთ, თუ შეიძლება!

რობოტმა ხელი გაიქნია და დონოვანი უკან გადაქანდა. სწორედ ამ დროს, დერეფნის ბოლოს, ქიუთი გამოჩნდა. მან რობოტებს ანიშნა, წასულიყვნენ, ოფიცრების კაიუტაში შევიდა და წყნარად მიიხურა კარი.

გაცოფებული დონოვანი ქიუთის მივარდა.

– ძალიან შორს შეტოპე! იცოდე, პასუხს აგებ ამ კომედიისთვის!

– თუ შეიძლება ნუ დეღავთ, – მშვიდად უპასუხა რობოტმა, – ადრე თუ გვიან ეს მაინც უნდა მომხდარიყო. ხომ ხედავთ, თქვენი ფუნქციები ამოწურულია.

– უკაცრავად, – პაუელი წელში გასწორდა, – როგორ გავიგოთ შენი სიტყვები?

– სანამ მე შემქმნიდით, უფალს თქვენ ემსახურებოდით, – უპასუხა ქიუთიმ, – ახლა ეს ჩემი პრივილეგიაა და თქვენს არსებობას აზრი აღარ აქვს. განა ასე გაუგებარია?

– საკმაოდ, – მიახალა პაუელმა, – შენი აზრით, ახლა ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ?

ქიუთიმ მაშინვე არ უპასუხა. ცოტა ხანს იფიქრა, მერე ცალი ხელი მხარზე მოხვია პაუელს, მეორე მაჯაში ჩაავლო დონოვანს და თავისკენ მიიზიდა.

– მე თქვენ ორივე მომწონხართ. რა თქმა უნდა უმდაბლესი არსებები ხართ და ძალზე შეზღუდულადაც აზროვნებთ, მაგრამ შეგეჩვიეთ. თქვენ კარგად ემსახურებოდით უფალს და ამას ის არასოდეს დაგივიწყებთ. ახლა, როცა თქვენი მისია ამოწურულია, ალბათ ძალიან ცოტა ხანს იარსებებთ, მაგრამ სანამ იქნებით, საჭმელი, ტანსაცმელი და თავშესაფარი არ მოგაკლდებათ იმ პირობით, თუ სამანქანო განყოფილებაში შესვლას არ შეეცდებით.

– გრეგ! ხედავ, პენსიაზე გვიშვებს! – შეჰყვირა დონოვანმა, – გაანძრე ხელი და იღონე რამე, გვეყოფა ამდენი დამცირება! მერე რობოტს მიუბრუნდა, – გვისმინე, ქიუთი! მაგ პირობას ვერ მივიღებთ. ჩვენ აქაურობის ბატონ-პატრონები ვართ. სადგური ადამიანებმა

შექმნეს – ჩემნაირმა ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობენ დედამიწასა და სხვა პლანეტებზე. ეს მხოლოდ და მხოლოდ სადგურია... ენერჯის გადამცემი სადგური. შენ კი...
ო, ჯანდაბა!

ქიუთიმ სერიოზულად გადაიქნია თავი.

– ეს უკვე აკვიატებულ იდეად გექცათ. რატომ იცავთ ცხოვრებაზე სრულიად ყალბ შეხედულებას? ჯერ მართო ისიც რომ მივიღოთ მხედველობაში, თუ რა შეზღუდულია არარობოტების აზროვნების უნარი, მაშინაც კი...

იგი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. დონოვანმა ბრაზით ჩაისისინა:

– ო, რა სიამოვნებით გაგიბრტყელებდი სიფათს, თავის ნაცვლად რკინის კასრი რომ არ გედგას!

პაუელი უღვაშს მისწვდა და თვალელები მოჭუტა:

– მისმინე, ქიუთი, თუ დედამიწის არსებობას არ აღიარებ, როგორ ხსნი იმას, რაც ტელესკოპში მოჩანს?

– მაშაბიეთ, ვერ გავიგე.

დედამიწელმა გაიციინა.

– აი, ხომ ხედავ, გაები. მას შემდეგ, რაც აგაწყვეთ, არაერთხელ გაგიხედავს ტელესკოპში. ალბათ შეამჩნევდი, რომ ამ მანათობელი წერტილებიდან ზოგიერთი აქედან დისკოსავით მოჩანს.

– ამაზე ამბობთ? რა თქმა უნდა! მათ ტელესკოპი ადიდებს, რათა სხივი ზუსტად დაუმიზნო.

– მაშინ ვარსკვლავები რატომ არ დიდდებიან?

– დანარჩენი წერტილები? სულ უბრალოდ. ჩვენ იქ სხივებს არ ვგზავნით, ამიტომ გადიდებაც საჭირო არ არის. მისმინეთ, პაუელ, ამას თვითონაც კი უნდა მიმხვდარიყავით.

პაუელი ჭერს კუმტად მიაშტერდა.

– კი მაგრამ, ტელესკოპში ხომ უფრო ბევრი ვარსკვლავი ჩანს. საიდან ჩნდებიან ისინი, იუპიტერმა კი წაგიღოს, საიდან?

ქიუთის მობეზრდა ეს დიალოგი.

– იცით, რას გეტყვით, პაუელ, ნუთუ ფუჭად უნდა ვკარგო დრო იმაზე, რომ ლოგიკური ახსნა მოვუძებნო ყველა იმ ოპტიკურ ილუზიას, რომლებსაც ჩვენი ხელსაწყოები ქმნიან? როდის იყო, რომ ჩვენი გრძნობათა ორგანოების მიერ მიღებული ინფორმაცია მკაცრი ლოგიკის ნათელ სხივს შეედრებოდა?

– მისმინე! – უცნაურად შეჰყვირა დონოვანმა და ქიუთის მეგობრული, მაგრამ მძიმე ხელი მოიშორა, – მოდი, ყველაფერს ბოლომდე ჩავწვდეთ. საერთოდ, რაშიგვჭირდება სხივები? ამას ჩვენ ლოგიკურად აგისხნით, და შენ თუ შეძლებ უკეთესად?

– სხივებს უფალი გამოსცემს, – მოისმა ცივი პასუხი, – ყველაფერი მისი ნებით ხდება. არის მოვლენები, – რობოტმა მოწინებით აღაპყრო თვალები, – რომელთა არსში გარკვევაც არ ძალგვიძს. მე აქ მსახურება მევალება და არა კითხვების დასმა.

პაუელი ნელა დაჯდა და სახეზე აკანკალებული ხელები აიფარა.

– წადი, ქიუთი, წადი და მოფიქრების საშუალება მომეცი.

– ვახშამს გამოგიგზავნით, – კეთილი ხმით თქვა ქიუთიმ.

პასუხად სასონარკვეთილი კვნესა რომ გაიგონა, რობოტი მაშინვე გავიდა.

– გრეგ, – ხრინწიანად ამოიჩურჩულა დონოვანმა, – რაღაც უნდა მოვიფიქროთ. იქნებ გამოვიჭიროთ როგორმე და მოკლე ჩართვა მოვუწყოთ. სახსარში სულ ცოტა აზოტის მჟავა რომ...

– რას სულელობ, მაიკ, გგონია, აზოტის მჟავით მიახლოების უფლებას მოგვცემს? სჭობს, მოველაპარაკოთ. ორმოცდარვა საათი გვაქვს იმაში დასარწმუნებლად, რომ საკონტროლო პუნქტამდე მიგვიშვას, წინააღმდეგ შემთხვევაში...

გაცეცხლებული, თავის უღონობაში დარწმუნებული დონოვანი აქეთ-იქით ირწეოდა.

– რობოტი უნდა დავარწმუნოთ!.. ეს ხომ...

– დამამცირებელია, – დაასრულა დონოვანმა.

– კიდევ უარესი!

– მისმინე! – დონოვანმა უცერად გაიცინა, – რად გვინდა დარწმუნება? მოდი, ხრიკი მოვუწყოთ! კიდევ ერთი რობოტი მის თვალწინ ავანყოთ და საკუთარი სიტყვები ვაჭამოთ! – პაუელს სახეზე ღიმილი გადაეფინა. დონოვანი განაგრძობდა, – წარმომიდგენია, როგორ დაყვლეპს თვალებს.

რობოტებს, რა თქმა უნდა, დედამიწაზე ამზადებენ, მაგრამ მათი დაშლილ მდგომარეობაში გადატანა და დანიშნულების ადგილზე აწყობა უფრო იოლია. გარდა ამისა, აღარც ისაა მოსალოდნელი, რომ რომელიმე უკვე აწყობილი და გამართული რობოტი გაიქცევა და ადამიანთა შორის თავისუფლად სეირნობას დაიწყებს. დედამიწაზე რობოტების გამოყენება ხომ მკაცრადაა აკრძალული

ამიტომ პაუელისა და დონოვანის პროფესიის ადამიანებს მძიმე და რთული ამოცანაც ევალებოდა – რობოტები სწორედ მათ უნდა აეწყოთ და გაემართათ.

მაგრამ პაუელსა და დონოვანს ამ საქმის სიმძიმე ისე მწვავედ არასოდეს უგრძნიათ, როგორც იმ დღეს, როდესაც რობოტის აწყობას ღვთის მოციქულ ქიუ თი-1-ის ფხიზელი ზედამხედველობით შეუდგნენ.

ემ სი მოდელის თითქმის დასრულებული მარტივი რობოტი მაგიდაზე იდო. სამსაათიანი მუშაობის შემდეგ მხოლოდ თავილა დარჩა დასამონტაჟებელი. პაუელი შეჩერდა, რომ შუბლიდან ოფლი მოეწმინდა და გაუბედავად შეხედა ქიუთის.

საიმედო ვერაფერი დაინახა – აი, უკვე სამი საათია, ქიუთი ჩუმად და გაუნძრევლად იჭდა. მისი სახე, რომელიც დიდ გრძნობებს არასოდეს გამოხატავდა, ახლა ბოლომდე შეუვალი იყო.

– აბა, ტვინს მივხედოთ, მაიკ! – ჩაიბურტყუნა პაუელმა.

დონოვანმა პერმეტული კონტინენრი გახსნა და ზეთში ჩაძირული უფრო მომცრო კოლოფი ამოიღო. ისიც გახსნა და ფოროვანი რეზინის საფენში გახვეული პატარა სფერო ამოაძვრინა.

დონოვანს სფერო დიდი სიფრთხილით ეჭირა – ეს იყო ყველაზე რთული მექანიზმი მათ შორის, რაც კი ოდესმე ადამიანს შეექმნა. სფეროს თხელი პლატინის გარსის ქვეშ მოთავსებული იყო პოზიტრონული ტვინი, რომლის ფაქიზ აგებულებაში ჩადებული იყო ზუსტად გაანგარიშებული ნეიტრონული კავშირები. ეს კავშირები ყველა რობოტს მემკვიდრეობითი ინფორმაციის მაგივრობას უწევდა.

ტვინი ზუსტად მოთავსდა მაგიდაზე დადებული თავის ქალის ღრუში. ზემოდან ცისფერი ლითონის ფირფიტა დააფარეს და პატარა ატომური ალით მიადუღეს. ბუდეებში საგულდაგულოდ მოათავსეს და ჩახრახნეს ფოტოელექტრული თვალეები და ზემოდან პლასტიკატის თხელი, გამჭვირვალე ფირფიტები დაამაგრეს, რომლებიც გამძლეობით ფოლადს არ ჩამოუვარდებოდა.

ახლა მძლავრი, მაღალვოლტიანი მუხტით რობოტის გაცოცხლებადა რჩებოდა. პაუელმა ჩამრთველისკენ გაიწოდა ხელი.

– უყურე, ქიუთი, ყურადღებით უყურე!

მან ჩამრთველი გაატაკუნა, რასაც გუგუნი მოჰყვა. დედამიწელები თავიანთი ქმნილებისკენ აღელვებულები გადაიხარნენ.

რობოტმა თავდაპირველად მსუბუქად შეარხია კიდურები, მერე თავი წამოსწია, იდაყვს დაეყრდნო და მოუქნელად ჩამოცოცდა მაგიდიდან. ჯერ კიდევ ფრთხილად, გაუბედავად მოძრაობდა და დანაწევრებული მეტყველების ნაცვლადაც რაღაც საწყალობელ ღრტიალს

გამოსცემდა.

ბოლოს ყოყმანითა და მორიდებით წარმოთქვა:

– უნდა ვიმუშაო, საით წავიდე?

დონოვანმა კარისკენ გადადგა ნაბიჯი.

– ამ კიბეს დაუყვი. იქ გეტყვიან, რაც უნდა გააკეთო.

ემ სი წავიდა, დედამიწელები კვლავ გაქვავებული ქიუთის პირისპირ დარჩნენ.

– აბა, – ჩაიცინა პაუელმა, – ახლა მაინც ხომ გჯერა, რომ ჩვენ შეგქმენით?

ქიუთის პასუხი მოკლე და კატეგორიული იყო:

– არა!

პაუელს ღიმილი სახეზე შეაცივდა და მალე სულ გაუქრა. დონოვანს ყბა ჩამოუვარდა.

– იცით, – განაგრძო ქიუთიმ მშვიდად, – თქვენ მხოლოდ წინასწარ დამზადებული ნაწილები ააწყვეთ. რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად გამოგივიდათ. ჩემი აზრით, ეს ინსტინქტურად გააკეთეთ, მაგრამ რობოტი თქვენ არ შეგიქმნიათ. ნაწილები უფლის შექმნილი იყო.

– მომისმინე! – ამოიხრიალა დონოვანმა, – ეს ნაწილები დედამიწაზე ჩემნაირმა ადამიანებმა დაამზადეს და აქ გამოგზავნეს.

– კარგი, კარგი, – შემრიგებლური კილოთი თქვა რობოტმა, – ამაზენუ ვიკამათებთ.

– არა, ნამდვილად ასეა, – დონოვანმა ნაბიჯი გადადგა და რობოტის ლითონის ხელს ჩააფრინდა, – შენ რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები წაგეკითხა, ყველაფერს მიხვდებოდი და ეჭვი აღარაფერში შეგეპარებოდა.

– წიგნები? მე უკვე ყველა წავიკითხე! გენიალური რამაა.

საუბარში პაუელი ჩაერია:

– თუ წაიკითხე, რაღაა სალაპარაკო? მათში გადმოცემულში ეჭვის შეტანა არ შეიძლება! არ შეიძლება, გაიგე?

ქიუთიმ სიბრაღის კილოთი წარმოთქვა:

– კი მაგრამ, პაუელ, სულაც არ მიმაჩნია წიგნები ინფორმაციის სერიოზულ წყაროდ. ისინიც ხომ უფლის შექმნილია და თქვენთვისაა გამიზნული და არა ჩემთვის.

– ეგ საიდანღა მოიტანე? – დაინტერესდა პაუელი.

– მე, როგორც მოაზროვნე არსებას, შემიძლია აპრიორული დებულებებიდან ჭეშმარიტი დასკვნები გამოვიტანო. თქვენ კი, გონიერ არსებებს, რომელთაც განსჯის უნარი არა გაქვთ, არსებობის აზრი ვილაცამ უნდა ავიხსნათ. ჰოდა, ეს უფალმა იკისრა. ხოლო ის,

რაც მან შთაგაგონათ, ეს სასაცილო იდეები შორეულ სამყაროებსა და ადამიანებზე, უეჭველად კარგი ნიშანია; ალბათ თქვენი ტვინი ძალზე პრიმიტიულია, რათა აბსოლუტური ჭეშმარიტება აღიქვას. მაგრამ, რაკი უფალს ნებაგს, რომ თქვენი წიგნებისა გჯეროდეთ, მე არ შეგეკამათებით.

ნასვლისას შემობრუნდა და გულთბილად დაამატა:

– ნუ ინაღვლებთ, უფლის შექმნილ სამყაროში ყველასთვის მოიძებნება ადგილი. თქვენთვის, საბრალო ადამიანებისთვისაც, არის მოკრძალებული მხარე, თუ წესიერად მოიქცევით, დაგიფასდებათ, – თქვა და შემწყნარებელი სახით გავიდა, როგორც უფლის მოციქულს შეჰყვრის. ოთახში დარჩენილი ადამიანები ერთმანეთს მზერას არიდებდნენ.

ბოლოს სიჩუმე პაუელმა დაარღვია:

– მოდი, დავიძინოთ, მაიკ. მე ვნებდები.

დონოვანმა წყნარად თქვა:

– მისმინე, გრეგ, არ გეჩვენება, რომ ქიუთი რაღაცაში მართალია? მას ისე ღრმად სჯერა, რომ მე...

– ნუ სულელობ! მალე დარწმუნდები, არსებობს თუ არა დედამიწა, როცა იმ კვირაში ცვლა მოვა, ჩვენ კი დაბრუნება და ყველაფერზე პასუხის გაცემა მოგვიწევს.

– მაშინ იუპიტერს ვფიცავ, რაღაც უნდა ვიღონოთ! – დონოვანს ცოტადა აკლდა, არ აღრიალებულიყო. – არც ჩვენი სჯერა, არც წიგნების, არც საკუთარი თვალების!

– რას იზამ, – ნაღვლიანად დაეთანხმა პაუელი, – ის ხომ მოაზროვნე რობოტია, მხოლოდ ლოგიკისა სწამს და სწორედ ესაა ჩვენი პრობლემა...

– რაო?

– მკაცრი ლოგიკური მსჯელობით რასაც გინდა, იმას დაამტკიცებ, გააჩნია, ამოსავლად რომელ პოსტულატს აირჩევ. ჩვენ ჩვენი პოსტულატები გვაქვს, ქიუთის – თავისი.

– ჰოდა მოდი, დროზე ჩავწვდეთ მის პოსტულატებს, ხვალ უკვე ქარიშხალი აბობოქრდება.

პაუელმა დაღლილად ამოიოხრა.

– სწორედ აქ ვიჭედებით, სწორედ ეგ არ შეგვიძლია. პოსტულატები ყოველთვის დამწვებებს ემყარება და გამაგრებულია რწმენით. სამყაროში მათ ვერავინ შეარყევს. მორჩა, ვიძინებ.

– ჯანდაბა, რა დამაძინებს!

– მეც მიჭირს, მაგრამ მაინც ვცდი, პრინციპის ამბავია.

თორმეტი საათი გავიდა და ძილი მათთვის ისევ პრინციპის საქმედ რჩებოდა, რომელიც, სამწუხაროდ, პრაქტიკულად ვერ განხორციელდა.

ქარიშხალი უფრო ადრე ამოიჭრა, ვიდრე ელოდნენ. დონოვანმა, რომელსაც ღაჟღაჟა სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა, აკანკალებული თითი ასწია. წვერგაბურძენილმა პაუელმა გამშრალი ბაგეები მოილოკა, ფანჯარაში გაიხედა და სასოწარკვეთილმა უღვაშზე იტაცა ხელი.

სხვა გარემოებაში ასეთი რამ დიდებული სანახაობა იქნებოდა. მალალი ენერჯის ელექტრონების ნაკადს დედამიწისკენ მიმართული ენერგეტიკული სხივი კვეთდა და უწვრილეს ცეცხლოვან ნაპერწკლებად იფრქვეოდა. შორეთში მიმავალ სხივში მბრწყინავი მტვრის ნაწილაკები თავბრუდამხვევ ფერხულში ჩაბმულიყვნენ.

სხივი მყარი იყო, მაგრამ ორივე დედამიწელმა იცოდა, რომ ასე მხოლოდ შეუიარაღებელი თვალთ ჩანდა. კუთხიდან წამის მეთასიათასედი ნაწილით გადახრაც კი, რაც შეუიარაღებელი თვალისთვის ასევე შეუმჩნეველია, საკმარისი იქნებოდა, სხივი ფოკუსიდან ამოვარდნილიყო, რაც დედამიწის ასეულობით კვადრატულ კილომეტრ ფართობს აღმოედებულ ნანგრევებად აქცევდა.

რობოტი კი უდარდელად იდგა სხივის გამშვებთან და თავისი უფლის გარდა არაფერზე ფიქრობდა – არც სხივის ფოკუსზე, არც დედამიწაზე...

გადიოდა საათები. დედამიწელები მონუსხულებივით გაყუჩებულიყვნენ. მერე სხივში აციმციმებული ნაპერწკლები გაქრა. ქარიშხალმა გადაიარა.

– მორჩა! – უემოციოდ წარმოთქვა პაუელმა.

დონოვანი მოუსვენარ თვლებში ჩაიძირა. მოქანცულმა პაუელმა შურით გადახედა. სასიგნალო ნათურა რამდენჯერმე აინთო და ჩაქრა, მაგრამ პაუელს მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ახლა ყველაფერი სულერთი იყო. მორჩა, დამთავრდა! იქნებ ქიუთი მართალიცაა, იქნებ ის და დონოვანი მართლაც უდაბლესი არსებები არიან და მათმა ხელოვნურმა მეხსიერებამაც ამოწურა თავისი არსებობის აზრი.

ნეტავი, მართლაც ასე ყოფილიყო!

ქიუთი შემოვიდა.

– სიგნალზე არ მიპასუხეთ და გადავწყვიტე, შემოვსულიყავი, – წყნარად აუხსნა, – ცუდად გამოიყურებით, თქვენი არსებობის დასასრული ხომ არ ახლოვდება? მაგრამ იქნებ მაინც შეგვხედათ ხელსაწყოთა დღევანდელი ჩანაწერისთვის?

პაუელმა ბუნდოვნად იგრძნო, რომ რობოტი ამით თავის კეთილგანწყობას

ამჟღავნებდა. იქნებ სინდისიც აწუხებდა, სადგურის მართვას ძალის გამოყენებით რომ ჩამოაშორა. პაუელმა გულგრილად ჩამოართვა ჩანანერები და ზერელედ გადაათვალიერა.

ქიუთი კმაყოფილიჩანდა.

– ვიცი, უფლის სამსახური დიდი პატივია, მაგრამ არ გეწყინოთ, მე რომ შეგცვალებ.

პაუელი თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა და თან მექანიკურად მზერა ერთი ფურცლიდან მეორეზე გადაჰქონდა. უცებ მზერა წვრილ, მთრთოლვარე წითელ ხაზზე შეაჩერა, რომელიც ერთ-ერთი გრაფიკის გარდიგარდმო იყო გაჭიმული. ერთხანს ყურადღებით დაჰყურებდა, მერე გრაფიკი ორივე ხელით ჩაბლუჭა და მისთვის თვალმოუცილებლად წამოიჭრა. დანარჩენი ფურცლები იატაკზე გაიფანტა.

– მაიკ! მაიკ! – შეაჯანჭლარა მეგობარი, – შეაკავა, შეაკავა!

დონოვანი გამოფხიზლდა.

– ვინ, რ-რა?

მერე თვალების ფშვნეით დააცქერდა გრაფიკს.

– რა მოხდა? – დაინტერესდა ქიუთი.

– ყოჩაღ, ქიუთი, სხივი ფოკუსში შეგიკავებია, – ბორძიკით აუხსნა პაუელმა, – იცი ეს რას ნიშნავს?

– ფოკუსში? მერე რა?

– სხივი მუდმივად ზუსტად მიმღებ სადგურზე იყო დამიზნებული, ერთი შეათიათასედი მილისეკუნდის სიზუსტით!

– რა მიმღებ სადგურზე?

– დედამინაზე! დედამინის მიმღებ სადგურზე, – ზეიმობდა პაუელი, – ჰოდა, შენ ის ფოკუსში შეგიკავებია!

ქიუთი გაბრაზებული შეტრიალდა.

– მოკლედ, თქვენ მიმართ კეთილგანწყობის გამოჩენა არ შეიძლება. ისევ ბოდავთ! მე, უბრალოდ, ყველა ისარი გაწონასწორებული მქონდა, ასეთი იყო უფლის ნება.

ქიუთიმ გაფანტული ქაღალდები აკრიფა და გაბრაზებული გავიდა. როგორც კი კარი მიიხურა, დონოვანმა შესძახა:

– აი, ეს მესმის! – მერე პაუელს მიუბრუნდა, – ახლა რას ვაპირებთ?

პაუელმა ერთდროულად დადლილობაც იგრძნო და სულიერი შვებაც.

– არაფერი. მან დაამტკიცა, რომ ბრწყინვალედ შეუძლია მართოს სადგური. ჯერ არ

მინახავს, რომ ელექტროქარიშხალს ასე უპრობლემოდ ჩაეველოს.

– კი მაგრამ, პრობლემა ჯერაც არ მოგვარებულია. გაიგონე, რა თქვა უფალზე? ჩვენ ხომ არ შეგვიძლია...

– გამიგონე მაიკ! ის უფლის იმ ნებას ასრულებს, რომელსაც ციფერბლატებსა და გრაფიკებში კითხულობს. მაგრამ განა ჩვენც იმავეს არ ვაკეთებთ? ბოლოს და ბოლოს ამით აიხსნება ისიც, რომ აღარ გვემორჩილება. დამორჩილება – მეორე კანონია, პირველი – ადამიანებისთვის განსაცდელის აშორებაა. როგორ შეეძლო მას, გადაერჩინა ადამიანები – შეგნებულად თუ შეუგნებლად? რა თქმა უნდა იმით, თუ სხივს ფოკუსში შეაკავებდა! მან იცის, რომ ჩვენზე უკეთ შეუძლია ამის გაკეთება. ტყუილად კი არ ამტკიცებს – უმაღლესი ქმნილება ვარო. ჰოდა, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საკონტროლო პანელთან არ მიგვიშვას. მისი ქმედება მხოლოდ და მხოლოდ რობოტიკის კანონებიდან გამომდინარეობს.

– რა თქმა უნდა, მაგრამ საქმე მართო ეს ხომ არ არის? ხომ ვერ დავუშვებთ, რომ რაღაც უფალზე ასე იბჟუტუროს...

– რატომაც არა?

– ეს რაღაც სიგიჟეა! როგორ შეიძლება ანდო სადგური, როცა დედამიწის არსებობისაც არა სწამს?

– საქმეს ხომ ართმევს თავს?

– კი, მაგრამ...

– მაშინ, რა მნიშვნელობა აქვს, რისი სწამს...

პაუელმა ოდნავ გაიღიმა, ხელები გაშალა და ლოგინზე მიესვენა. მას უკვე ეძინა.

მსუბუქი სკაფანდრის ჩაცმისას პაუელი ამბობდა:

– ყველაფერი სულ მარტივად მოხდება: ქიუ თის მოდელების აქ ჩამოტანა ეტაპობრივად შეგვიძლია. ავტომატურ ჩამრთველებს დავუყენებთ, რომლებიც ყოველ ერთ კვირაში ამოქმედდება. ეს საკმარისი დრო იქნება იმისთვის, რომ... ჰმ... მოციქულის დახმარებით უფალს ეზიარონ. შემდეგ სხვა სადგურებში გადავანაწილებთ. ყოველ სადგურს ორ-ორი ქიუ თი-1 ეყოფა...

დონოვანმა ჩაფხუტიანი თავი ასწია და მკვახედ მიახალა:

– მორჩი ლაპარაკს და მოვშორდეთ აქაურობას. ცვლა გველოდება. გარდა ამისა, ვერ დავმშვიდდები, სანამ ჩემი თვალით არ დავინახავ დედამიწას და ფეხს არ დავდგამ ზედ, რათა დავრწმუნდე, რომ ნამდვილად არსებობს...

სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ კარი გაიღო. დონოვანმა შეიგინა, ჩაფხუტის მინის სარკმელი ჩაკეტა და პირქუშად შეაქცია ზურგი ქიუთის.

რობოტი წყნარად მიუახლოვდა. ნაღვლიანი ხმა ჰქონდა:

– მაშ, მიდიხართ?

პაუელმა მოკლედ დაუდასტურა.

– ჩვენს მაგივრად სხვები მოვლენ.

ქიუთიმ ამოიოხრა. ეს ამოოხვრა ვიწრო მწკრივებად დაჭიმულ სადენებში ქარის სისინს ჰგავდა.

– თქვენი სამსახური დამთავრებულია და თქვენი ლიკვიდაციის დროც მოვიდა. ველოდი ამას, მაგრამ მაინც... თუმცა, დაე, აღსრულდეს ნება უფლისა!..

ამ თვინიერმა კილომ პაუელი გააღიზიანა.

– სიბრალული მერესთვის შემოინახე, ქიუთი. ჩვენ დედამიწა გველის და არა აღსასრული.

ქიუთიმ კვლავ ამოიოხრა:

– კარგია, ასე რომ ფიქრობთ. ახლა კი მესმის ამ ილუზიის მთელი სიბრძნე. რომც შემძღებოდა, თქვენი რწმენის შერყევას მაინც არ შევეცდებოდი.

თქვა და გავიდა. იგი მთლიანად თანაგრძნობის განსახიერება იყო.

პაუელმა რალაც ჩაიბურტყუნა და დონოვანს ნიშანი მისცა. მათ ჰერმეტიკული ჩემოდნები აიღეს და ჰაერჩამკვეთში შევიდნენ.

ხომალდი, რომელმაც ცვლა მოიყვანა, ბაქანზე იდგა. პაუელის შემცვლელი ფრანც მიულერი კოლეგებს მშრალად, სავალდებულო თავაზიანობით მიესალმა. დონოვანმა ძლივს დაუკრა თავი და პილოტის კაბინაში შევიდა, სადაც მას სემ ივენსი ელოდა, რომლისგანაც მართვა უნდა გადაეხარებინა.

პაუელი შეეცვინდა:

– როგორაა დედამიწა?

ეს როტრიკული კითხვა იყო და მიულერმაც შესაბამისად უპასუხა:

– ბრუნავს.

– კარგია! – თქვა პაუელმა.

მიულერმა შეხედა.

– სხვათა შორის, „იუ ეს რობოტისს“ ბიჭებმა ახალი მოდელი გამოიგონეს – მრავალფუნქციური რობოტი.

– რაო?

– რა და რაც გაიგონეთ. დიდი კონტრაქტებია დადებული. ეტყობა, ეს სწორედ ის მოდელია, ასტეროიდის მალაროებს რომ სჭირდება. ერთი რობოტი მეთაურია, დანარჩენი ექვსი – სუბრობოტი, რომლებსაც ის ერთი ხელმძღვანელობს, როგორც ხელი – თითებს.

– საველე გამოცდა უკვე გაიარა? – შეშფოთებით ჰკითხა პაუელმა.

– ყური მოვკარი, თქვენ გელოდებიან, – ჩაეცინა მიულერს.

პაუელმა ხელები მომუშტა.

– ჯანდაბა! დასვენება აღარ გვინდა?

– დაისვენებთ კიდევ, მთელი ორი კვირა.

მიულერმა სკაფანდრის მძიმე ხელთათმანები წამოიცივა და მოვალეობის შესასრულებლად განეწყო.

– როგორ უძღვება საქმეს ეს ახალი რობოტი? ურჩევნია, კარგად იმუშაოს, თორემ აპარატურას არ გავაკარებ.

პაუელს მაშინვე არ უპასუხებია. კარგად შეათვალიერა მის წინ ქედმაღლურად მდგომი პრუსიელი – ჯიუტად შემართულ თავზე მოკლედ შეკრეტილი ქოჩრიდან სამხედრო მანერაზე გაჭიმულ ფეხებამდე და უეცრად მთელ სხეულში სიხარულმა დაუარა.

– რობოტი სრულ წესრიგშია, – ნელა თქვა მან, – არა მგონია, აპარატურასთან განსაკუთრებული ჩალიჩი დაგჭირდეთ.

ჩაიცინა და ხომალდში შევიდა. მიულერს აქ რამდენიმე კვირა უნდა გაეტარებინა.

ბოცვერზე ნადირობა

დასვენებამ ორ კვირაზე მეტხანს გასტანა – ამას დონოვანი ნამდვილად ვერ უარყოფდა. ანაზღაურებად შვებულებაში მთელი ექვსი თვე იმყოფებოდნენ. ესეც ფაქტია. მაგრამ, როგორც დონოვანმა ბუზღუნით აღნიშნა, საქმე ასე სულ უბრალო შემთხვევის გამო შეტრიალდა. „იუ ეს რობოტს“ უნდოდა, მრავალფუნქციური რობოტის ყველა ხარვეზი გამოეფლინა. ხარვეზები კი თავსაყრელად ჰქონდა და საველე გამოცდებამდე, სულ ცოტა, ნახევარი დუჟინი კიდევ რჩებოდა ხოლმე. ამის გამო ჰაუელი და დონოვანი უზრუნველად ისვენებდნენ იმ წუთის მოლოდინში, ვიდრე მხაზველები და კონსტრუქტორები იტყოდნენ, ყველაფერი რიგზეაო.

და აი, ისინი უკვე ასტეროიდზე არიან, მაგრამ „ყველაფერი რიგზე“ მაინც არ აღმოჩნდა. დონოვანმა ერთი ათჯერ მაინც გაიმეორა ეს ფრაზა და სახე წამოუჭარხლდა.

– ბოლოს და ბოლოს, რეალურად შეხედე მოვლენებს, გრეგ, – რა აზრი აქვს ინსტრუქციის ზუსტად მიყოლას, როცა გამოცდა გვივარდება? შეეშვი მაგ ქაღალდებს და საქმეს მივხედოთ.

– მხოლოდ იმის თქმას ვცდილობ, – გრეგორი ჰაუელმა ისეთი მოთმინებით გასცა პასუხი, თითქოს ბავშვს ელექტრომექანიზმის მუშაობას უხსნისო, – რომ ეს რობოტები ასტეროიდების მალაროებში ადამიანის ზედამხედველობის გარეშე მუშაობისთვის შექმნეს. ჩვენ მათ თვალყური არ უნდა ვადევნოთ, გაიგე?

– კარგი. ახლა მე მისმინე, ლოგიკურად რა გამოდის, – დონოვანმა თითებზე ჩამოთვლა დაიწყო, – პირველი: ახალმა რობოტმა ყველა ლაბორატორიული გამოცდა გაიარა; მეორე: „იუ ეს რობოტსი“ გარანტიას გვაძლევს, რომ ასტეროიდზე დაგეგმილ საველე გამოცდასაც წარმატებით გაივლის; მესამე: ზემოხსენებულ გამოცდას რობოტი ვერ უძლებს; მეოთხე: თუ ის საველე გამოცდას ვერ გაუძლებს, „იუ ეს რობოტსი“ კარგავს ათ მილიონ ნაღდ ფულს და ასი მილიონის ღირებულების რეპუტაციას; მეხუთე: თუ რობოტი გამოცდას ვერ გაუძლებს და ჩვენ ამის მიზეზს ვერ ავხსნით, ადვილი შესაძლებელია, საკმაოდ კარგ სამუშაოს გამოვეთხოვოთ.

ჰაუელი ნაძალადევი ღიმილით სასოწარკვეთილების დამალვას ცდილობდა. „იუნაიტედ სტიტს რობოტს ენდ მექანიკალ მენ კორპორეიშენს“ დაუწერელი კანონი ჰქონდა: „ვერც ერთი მოსამსახურე ვერ გაიმეორებს ერთსა და იმავე შეცდომას. მას პირველი შემთხვევისთანავე ათავისუფლებენ“.

ხმამალლა კი ეს თქვა:

– ისე გასაგებად მიხსნი ყველაფერს, ევკლიდესაც კი შეშურდებოდა, თუმცა ფაქტები გაკლია. მთელი სამი ცვლა თვალი არ მოგიშორებია მათთვის და ამბობდი, მშვენივრად მუშაობენო. აბა, ახლა რა უნდა გავაკეთოთ?

– უნდა გამოვარკვიოთ, რა სჭირთ და რისი გამოსწორება შეგვიძლია. ჰო, მშვენივრად მუშაობდნენ, ვიდრე თვალყურს ვადევნებდი, მაგრამ როგორც კი ყურადღება მოვადუნე, სამჯერ შეწყვიტეს მადნის მოწოდება. დროულად უკანაც კი არ დაბრუნებულან, მათ მოსაყვანად წასვლა მომიხდა.

– მერედა ვერაფერი შეამჩნიე?

– ვერა, ვერაფერი შევამჩნიე. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ერთი უმნიშვნელო წვრილმანის გარდა – მადანი არ მოუციათ.

პაუელი კუშტად მიაჩერდა ჭერს და უღვაშს მისწვდა.

– აი რას გეტყვი, მაიკ. მე და შენ ხშირად აღმოვჩენილვართ საკმაოდ უსიამოვნო სიტუაციაში, მაგრამ ვფიქრობ, ეს იმაზე უარესი ამბავია, ირიდიუმის ასტეროიდზე რომ შეგვემთხვა. ყველაფერი ამერია, თავსა და ბოლოს ველარ ვუგებ. მისმინე, ამ რობოტს, დი ვი-5-ს, ექვსი რობოტი ექვემდებარება და არა მარტო ექვემდებარებიან, მისი შემადგენელი ნაწილებიც არიან.

– ვიცი...

– დამაცადე! – გაბრაზებით გააწყვეტინა პაუელმა, – ვიცი, რომ იცი. მე მხოლოდ ჩვენი ბრიყვული მდგომარეობის სრულად დახატვას ვცდილობ. ეს ექვსი დამხმარე რობოტი დი ვი-5-ის ნაწილია, ისევე, როგორც შენი თითებიცაა შენივე სხეულის ნაწილი. განკარგულებას არა ხმოვანი გზით ან რადიოს მეშვეობით გასცემს, არამედ უშუალოდ პოზიტრონული ტვინით. ჰოდა, მთელ „იუ ეს რობოტსში“ ტექნიკოსს ვერ ნახავ, ვისაც ზუსტად ეცოდინება, რა არის პოზიტრონული ველი ან როგორ მუშაობს. არც მე ვიცი, არც შენ.

– ამ უკანასკნელში ვერ შეგედავები, – ფილოსოფიურად დაეთანხმა დონოვანი.

– აი, ხედავ, რა მდგომარეობაა! თუ ყველაფერი კარგად მიდის, მშვენიერია, თუ არა და შეცდომის გამოსასწორებლად ცოდნა არ გვყოფნის და ვერაფერს მოვიმოქმედებთ. მაგრამ ახლა ჩვენ ვაგებთ ყველაფერზე პასუხს და არა ვინმე სხვა, მაიკ! – წამით სიჩუმეში გაუჩინარდა, – აბა, რა ქენი, მოიტყუე?

– ჰო, აქ არის.

– მერე ნორმალურად იქცევა?

– როგორ გითხრა, არც რელიგიით გატაცება ეტყობა, არც წრებზე დადის და არც გილბერტსა და სალივანს ციტირებს. მგონი, ნორმალურია.

დონოვანმა ბრაზით გააქნია თავი და გავიდა.

პაუელი „რობოტიკის სახელმძღვანელოს“ დასწვდა, რომელიც თავისი სიმძიმით მაგიდას ჩამტვრევით ემუქრებოდა და ფრთხილად გადაშალა. ერთხელ ცეცხლმოდებული სახლის ფანჯრიდან გადახტა და მხოლოდ შორტის ამოცმა და ამ წიგნის გადარჩენა მოასწრო. დრო რომ არ ჰყოფნოდა, შორტს უფრო შეეღებოდა.

პაუელი სახელმძღვანელოში თავჩარგული იჯდა, როცა რობოტი დი ვი-5 შემოვიდა, დონოვანმა კი მის უკან კარი მიხურა.

– გამარტობა, დეივ!– ნარბეკვრით მიესალმა პაუელი, – თავს როგორ გრძნობ?

– მშვენივრად, – უპასუხა რობოტმა, – შეიძლება დავჯდებ?

მისთვის გამიზნული საგანგებოდ გამაგრებული სკამი გამოსწია, ფრთხილად მოიხარა და დაჯდა.

პაუელმა დეივს დასტურის ნიშნად გადახედა (გარეშე ხალხი რობოტებს მათი სერიული ნომრების მიხედვით მიმართავდა, სპეციალისტები კი ასე არასოდეს იქცეოდნენ). რობოტი ძალიან დიდი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში შვიდი რობოტისგან შედგენილი მოაზროვნე მოწყობილობის ფუნქციას ასრულებდა. შვიდი ფუტის სიმაღლისა გახლდათ და ნახევარი ტონა ლითონისა და სადენებისგან შედგებოდა. ბევრია? სულაც არა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ნახევარ ტონაში უნდა ჩატეულიყო კონდენსატორების, ჯაჭვების, რელეებისა და ვაკუუმური უჭრედების მასა, რასაც ადამიანისთვის მისაწვდომი ნებისმიერი ფსიქოლოგიური რეაქციის პრაქტიკულად გამოვლენის უნარი ჰქონდა. აქვე იყო მოთავსებული პოზიტრონული ტვინი – ათფუნტიანი ნივთიერება და რამდენიმე კვინტილიონი პოზიტრონი, რაც მთელი მექანიზმის მართვაზე იყო პასუხისმგებელი.

პაუელმა პერანგის ჭიბიდან გაღუნული სიგარეტი ამოიღო და თქვა:

– დეივ, შენ კარგი ყმაწვილი ხარ. არასოდეს ჭირვეულობ, მშვიდი და საიმედო რობოტი-მალაროელი გქვია. ექვსი დამხმარე რობოტის მუშაობას მართავ და, რამდენადაც ვიცი, ამის გამო შენს ტვინში არაფერი შერყეულა.

რობოტმა თავი დაუქნია:

– მოხარული ვარ, მაგრამ მაინც რისი თქმა გინდათ, ბოს?

ამ რობოტს საუკეთესო ხარისხის ხმის მემბრანა ჰქონდა. გარდა ამისა, სამეტყველო

მონყობილობაში ჩამატებული ობერტონების (ობერტონები – ძირითად ტონზე მაღალი ტონები, რომლებიც რთული რხევის დროს წარმოიშვებიან და ბგერას თავისებურ ელფერს ანუ ტემბრს ანიჭებენ) მეშვეობით მისი ხმა არც თუ ისე ლითონურად ჟღერდა, როგორც სხვა რობოტებისა.

– ახლავე გეტყვი. ყველაფერი შენს სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ მიკვირს, რატომ ვერ ააწყვე მუშაობა? მაგალითად, დღევანდელი მეორე ცვლა...

დეივი შეეყოყმანდა:

– რამდენადაც მახსოვს, არაფერი მომხდარა.

– ისეთი არაფერი, მაგრამ მადნის მოპოვება შეწყვიტეთ და...

– ვიცი.

– მერე?

დეივი თვითონაც გაოცებული იყო.

– ვერ აგიხსნით, ბოს! ვატყობ, ეს ამბავი ჩემს ნერვებზე იმოქმედებს, თუმცა შევეცდები ასე არ მოხდეს. დამხმარე რობოტები კარგად მუშაობდნენ. ეს კარგად მახსოვს... – იგი ჩაფიქრდა. მისი ფოტოელექტრული თვალეები მკაფიოდ ანათებდნენ, – მერე არ მახსოვს... მოვიდა მაიკი, ცვლა დამთავრდა, ვაგონები კი თითქმის ცარიელი იყო.

ლაპარაკი დონოვანმა შეაწყვეტინა:

– იცი, რომ ცვლის შემდეგ უკვე რამდენჯერმე არ გამოცხადდი ანგარიშის ჩასაბარებლად?

– ვიცი, მაგრამ რატომ?.. – მან ნელა, მძიმედ გააქნია თავი.

პაუელმა უცებ იგრძნო – რობოტის სახეს ემოციის გამოხატვა რომ შეძლებოდა, მასზე გულისტკივილი და დამცირება აისახებოდა. რობოტების ბუნება იმგვარად იყო მონყობილი, რომ დაკისრებული ფუნქციის შეუსრულებლობის გადატანა არ შეეძლოთ.

დონოვანი პაუელის მაგიდასთან სკამიანად მიჩოჩდა და მისკენ დაიხარა:

– როგორ ფიქრობ, ამნეზიასთან ხომ არ გვაქვს საქმე?

– არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, არ ღირს ამ ყველაფრისთვის დაავადებების სახელწოდებების მინიჭება. რობოტების აშლილობასთან ადამიანურ დაავადებათა გაიგივება მხოლოდ რომანტიკული ანალოგიაა. რობოტიკას ეს არაფერს შევლის, – პაუელმა კეფა მოიფხანა, – ძალიან არ მინდა ტვინის ელემენტარული რეაქციების შემოწმება ჩავუტარო. ეს თვითშეფასებას უფრო დაუგდებს.

მან ჩაფიქრებით გადახედა დეივს, მერე თავის სახელმძღვანელოში ჩაიხედა და

ამოიკითხა: „რეაქციების შემოწმება სავლელე პირობებში“.

– მისმინე, დევი, შენი ტვინის რეაქციები რომ შევამოწმოთ, ხომ არ გეწყინება? კარგი იქნებოდა...

რობოტი ადგა.

– როგორც მიბრძანებთ, ბოს.

მის ხმაში წყენა გაკრთა.

ყველაზე მარტივი გამოცდებით დაიწყო. ნამშობის მონოტონური წიკწიკის თანხლებით დი ვი-5 ხუთნიშნა რიცხვებს ამრავლებდა, ასახელებდა მარტივ რიცხვებს ათასიდან ათი ათასამდე, იღებდა კუბურ ფესვებს და ხარისხის მზარდი სიძნელის ფუნქციების ინტეგრაციას ახდენდა. მერე გართულებული მექანიკური რეაქციების შემოწმებაც გაიარა, ბოლოს კი მისი ზუსტი მექანიკური გონება რობოტებისთვის ურთულესი ამოცანის, ეთიკური პრობლემების გადაჭრის წინაშე დადგა.

ორსაათიანი გამოცდის ბოლოს პაუელი ოფლში ცურავდა, დონოვანი კი მღელვარებისგან საკუთარი ფრჩხილების არც ისე ყუათიან დიეტაზე გადასულიყო.

რობოტმა იკითხა:

– აბა, როგორაა საქმე, ბოს?

პაუელმა უპასუხა:

– უნდა მოვიფიქროთ, დევი, ნაჩქარევი დასკვნა ვერ დაგვეხმარება. სჭობს, წახვიდე და მესამე ცვლაში იმუშაო. განსაკუთრებით თავს ნუ გამოიდებ, ჯერჯერობით ნორმის შესრულებაზე ნუ იბრუნებ და ამასობაში ჩვენც მოვიფიქრებთ რამეს.

რობოტი გავიდა. დონოვანმა პაუელს შეხედა.

– აბა?!

პაუელი ისე გამალებით იწინვნიდა უღვაშს, თითქოს მისი ძირიანად ამოგლეჯა განუზრახავსო.

– ტვინში ყველა კავშირი გამართულად ფუნქციონირებს, – თქვა მან.

– მე ასე დარწმუნებით ვერ ვიტყვოდი.

– ო, იუპიტერო! მაიკ, ტვინი ხომ რობოტის ყველაზე საიმედო ნაწილია. მას დედამიწაზე არა ერთხელ და ორჯერ ამოწმებენ. და თუ დევიმა აქ გამოგზავნამდე ისეთივე შემოწმება გაიარა, როგორც ახლა, მის ტვინში იოტისოდენა გაუმართაობაც გამოირიცხება. ეს შემოწმება ყველა საკვანძო კავშირს მოიცავს.

– და რა გამოდის აქედან?

– ნუ მაჩქარებ, ვფიქრობ. შესაძლოა, გაუმართაობა რობოტის სხვა ნაწილშია, მის მექანიზმში. ეს იმას ნიშნავს, რომ ათას ხუთასი კონდენსატორიდან, ოცი ათასი ცალკეული წრედიდან, ხუთასი ნათურიდან, ათასი რელედან ან ათასობით სხვა დეტალიდან რომელიღაც ერთი გაფუჭდა. ამას ემატება ის საიდუმლო პოზიტრონული ველები, რომელთა შესახებაც არავინ არაფერი იცის.

– მისმინე, გრეგ, – ვერ მოითმინა დონოვანმა, – ერთი აბრი გამიჩნდა. იქნებ რობოტი ტყუის? ის ხომ...

– შე შტერო, რობოტს არ შეუძლია შეგნებულად მოგვატყუოს. მაკორმაკ-უესლის ტესტერი რომ გვეჩონოდა, მის მექანიზმს ორ-სამ დღეში შევამოწმებდით, მაგრამ დედამიწაზე მხოლოდ ორი ასეთი ტესტერი არსებობს, თითოეული ათ ტონას იწონის და იატაკზე დაბეტონებული. კარგი კი იქნებოდა, არა?

დონოვანმა ხელი დაარტყა მაგიდას.

– კი მაგრამ, გრეგ, რაღა მაინცდამაინც მაშინ ფუჭდება, როდესაც ჩვენ ახლომახლო არ ვიმყოფებით. ამაში არის რაღაც საეჭვო და დამაფიქრებელი! – ყოველ სიტყვას მაგიდაზე ახალი დარტყმა მოსდევდა.

– უკვე გულს მირევ, – წყნარად მიუგო პაუელმა, – თავი სათავგადასავლო რომანებით გაქვს გამოტენილი.

– მაშინ გამაგებინე! – დაიღრიალა დონოვანმა, – რა უნდა გავაკეთოთ!

– ახლავე გეტყვი. მაგიდის თავზე მონიტორს დავამონტაჟებ, პირდაპირ აქ, კედელზე, გასაგებია? – მან ბრაზით ატაკა თითი კედელს, – მერე იმ მაღაროსთან დავაკავშირებ, სადაც დეივი მუშაობს და ვუთვალთვალე. სულ ესაა!

– სულ ესაა, გრეგ?

პაუელი სკამიდან წამოიწია და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო.

– გადავიწვი, მაიკ. მთელი კვირაა, ლამის ტვინი გამიხვრიტო, დეივს რაღაც სჭირსო. იცი, სად რა აქვს გაფუჭებული? არა! იცი, რატომ ემართება, ან რატომ გაუვლის ხოლმე? არა! და, საერთოდ, იცი რამე? არა! მე ვიცი? არა! ჰოდა, რას მოითხოვ ჩემგან?!

დონოვანმა უმწეოდ გაასავსავა ხელები.

– კარგი, გავიგე!

– მომისმინე. ვიდრე მკურნალობას დავიწყებდეთ, იქამდე დაავადება უნდა გამოვავლინოთ. ასე არ არის? ბოცვერის რაგუ რომ მოამზადო, ჯერ ბოცვერი უნდა დაიჭირო. ჰოდა, ჩვენც ბოცვერი უნდა მოვინადიროთ! ახლა კი აქედან მომწყდი!

დონოვანი საველე მუშაობის წინასწარ ანგარიშს დაღლილი სახით გადახედა. ჯერ ერთი, მართლა დაიღალა, მეორეც, ანგარიშში რა უნდა დაეწერა, როცა ჯერ არაფერი ჰქონდათ გარკვეული? სიბრაზემ შემოუტია.

– გრეგ, გეგმას თითქმის ათასი ტონით ჩამოვრჩით.

– მართლა? – შეიცხადა პაუელმა ისე, რომ თავი არ აუწევია, – რამე ისეთს მეუბნები, რაც არ ვიცი?

– აი, მე კი მინდა, ვიცოდე, – დონოვანი უცებ გამოვიდა მოთმინებიდან, – რალა სულ ჩვენ ვჭახირობთ ამ ახალი ტიპის რობოტებთან? საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ სავსებით მაკმაყოფილებენ ის რობოტები, რომლებსაც დედაჩემის მხრიდან ბაბუაჩემის ძმა იყენებდა. იმის მომხრე ვარ, რამაც დროის გამოცდას გაუძლო – ძველებური, კეთილი, სოლიდური რობოტებისა, რომლებიც არასდროს ფუჭდებიან.

პაუელმა საოცარი სიზუსტით ესროლა წიგნი და დონოვანმაც იატაკზე მოადინა ბრაგვანი.

– ეს არის შენი სამსახური, – მშვიდად დაიწყო პაუელმა, – ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „იუ ეს რობოტის“ ახალი ტიპის რობოტებს საველე პირობებში ვცდიდით. და რაკი იმდენი ჯკუა არ გვეყო, რომ ამ საქმეში ასე ბრწყინვალედ არ გამოგვეჩინა თავი, უფრო და უფრო საზიზღარი დავალებების მოცემა დაიწყეს, – ეუბნებოდა პაუელი და თან მისი მიმართულებით გაშვერილი თითით ჰაერს ხვრეტდა, – ესაა შენი სამსახური. რამდენადაც მახსოვს, წუწუნი „იუ ეს რობოტის“ შტატში მიღებიდან ხუთ წუთში დაიწყე. აქამდე რატომ არ წახვედი სამსახურიდან?

– ახლავე გეტყვი, – დონოვანი მუცელზე გადატრიალდა, იდაყვებით იატაკს დაეყრდნო და თავის შესამაგრებლად თითები წითურ ქოჩორში შეიცურა, – რაც უნდა იყოს, როგორც უსაფრთხოების ტექნიკოსი, ახალი ტიპის რობოტების შემუშავებაში ვმონაწილეობ. ეს მეცნიერული პროგრესის პრინციპული საკითხია. მაგრამ, გთხოვ, სწორად გამიგო – აქ მართო იდეალები არ მაკავენს, ანაზღაურებაც მნიშვნელოვანია, საკმაოდ კარგი ანაზღაურება... გრეგ! – შეჰყვირა უცებ.

პაუელი წამოხტა და ეკრანს შეხედა, საითაც მაიკი მიუთითებდა. შეძრწუნებისგან თვალები გაუფართოვდა.

– ო, წყეულო იუპიტერო! – ჩაიჩურჩულა.

დონოვანი სასწრაფოდ ადგა.

– გაგიჟდნენ თუ რა დაემართათ, გრეგ!

– სკაფანდრები მოიტანე, ახლავე მივდივართ, – უთხრა პაუელმა ისე, რომ ევრანისთვის თვალი არ მოუშორებია.

ჩრდილებით აჭრელებულ კლდეზე ბრინჯაოსფრად მოლაპლაპე რობოტები დანარნარებდნენ. თავისივე მბჟუტავი შუქით განათებულები, ქვაში უხეშად გამოკვეთილი შტრეკის (შტრეკი – მთავარი გვირაბიდან გაყვანილი შტო) ოღროჩოღრო კლდის გასწვრივ მწკრივში მიაბიჭებდნენ. შვიდივე რობოტი, დეივის მეთაურობით, შეთანხმებულად მოძრაობდა. შემადრწუნებელი სინქრონულობით გადაადგილდებოდნენ, მოცეკვავეებივით პაეროვნად და მსუბუქად მოძრაობდნენ.

დონოვანი შემოვიდა და სკაფანდრები მოიტანა.

– მგონი ჩვენზე თავდასხმას აპირებენ, ეს ხომ სამხედრომარშირებაა!

– აერობიკის ვარჯიშსაც წააგავს, რაღა მარშირებას გადასწვდი! – ცივად შეუბრუნა პაუელმა, – ან იქნებ დეივს ეჩვენება, რომ ბალეტმეისტერია. ჯერ იფიქრე ხოლმე და მერე თქვი, ან სულაც ნურაფერს იტყვი.

დონოვანი მოიღუმა, გვერდზე ჩამოკიდებულ შალითაში დემონსტრაციულად ჩადო დეტონატორი და თქვა:

– აი, ისევ დაიწყო. გეთანხმები, ეს ჩვენი სამსახურია და რამე, მაგრამ, ერთი მითხარი, როდესაც ახალ მოდელებთან გვიხდება მუშაობა, გამუდმებით რაღაც უცნაურობა რატომ უნდა ემართებოდეთ?

– იმიტომ, რომ დათარსულები ვართ! – პირქუშად მიუგო პაუელმა, – წავედით!

შორს, წინ, შტრეკის მექ ხავერდოვან სიბნელეში, რომელსაც მხოლოდ მათი ფარნების შუქი ჰკვეთდა, რობოტების სინათლეები ციმციმებდა.

– აი, ისინიც! – სუნთქვას ამოაყოლა დონოვანმა.

– ვცადე რადიოთი დავკავშირებოდი, – დაიჩურჩულა გაღიზიანებულმა პაუელმა, – მაგრამ არ მიპასუხა, ალბათ წრედი არ მუშაობს.

– კიდევ კარგი, ჯერ ისეთი რობოტები არ გამოუგონიათ, რომლებიც სრულ სიბნელეში იმუშავებდნენ. აბა, მაშინ გეძებნა შვიდი გაგიჟებული რობოტი ამ უკუნეთში, თანაც რადიოკავშირის გარეშე. კარგია, რომ რადიოაქტიური საახალწლო ნაძვის ხეებივით ანათებენ.

– მოდი, აი, ამ შვერილზე ავიდეთ. აქეთ მოდიან და მინდა, ახლოდან შევხედო. შეძლებ ასვლას?

დონოვანი რის ვაივავლახით ახოხდა. ასტეროიდის მიზიდულობა დედამიწისაზე

გაცილებით ნაკლებია, მაგრამ ამ სხვაობას, მძიმე სკაფანდრები აბათილებდა. შვერილი კი თითქმის ათი ფუტის სიმაღლეზე იყო. პაუელიც მიჰყვა.

დამხმარე რობოტები დეივს მწკრივად მისდევდნენ, ჯერ თითო-თითოდ, მერე, მკაფიო მექანიკურ რიტმში წყვილდებოდნენ, შემდეგ ისევ ჯაჭვივით დაეწყობოდნენ, მაგრამ ცოტა სხვანაირად განლაგდებოდნენ და ეს განუწყვეტლად მეორდებოდა. დეივი უკანმიუხედავად მოუძლოდა ხელქვეითებს.

რობოტები უკვე ოცი ფუტის სიახლოვეზე იქნებოდნენ, როდესაც როკვა შეწყვიტეს. შექუჩდნენ, ცოტა ხანს გაყუჩდნენ, მერე კი სწრაფად გაიფანტნენ. დეივმა მათ თვალი გააყოლა, მერე ნელა ჩაჭდა და თავი ხელს ადამიანივით ჩამოაყრდნო.

პაუელს ყურსასმენში მისი ხმა მოესმა:

– აქ ხართ, ბოს?

პაუელმა დონოვანს ნიშანი მისცა და შვერილიდან ჩამოხტნენ.

– აბა, დეივ, რა ხდება?

რობოტმა თავი გააქნია.

– არ ვიცი. მეჩვიდმეტე სანგრევში ძალიან მოუხერხებელ გამოსასვლელს ვამუშავებდი. შემდეგ აღარაფერი მახსოვს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ გარშემო ხალხია, მე კი მთავარ შტრეკში ვარ, სანგრევიდან ნახევარ მილზე.

– დამხმარე რობოტები სადღა არიან? – ჰკითხა დონოვანმა.

– სამუშაოზე, რა თქმა უნდა. რამდენი დრო დავკარგეთ?

– არც ისე ბევრი. დაივიწყე, – დაამშვიდა პაუელმა და დონოვანს მიმართა, – ცვლის დამთავრებამდე მასთან დარჩი, მერე კი მობრუნდი, რაღაც მოვიფიქრე.

დონოვანი სამი საათის შემდეგ დაბრუნდა. გატანჯული სახე ჰქონდა.

– როგორაა საქმე? – ჰკითხა პაუელმა.

– სანამ თვალი გიჭირავს, ყველაფერი კარგად მიდის, – დონოვანმა მხრები აიჩეჩა, – სიგარეტი მომეცი, რა.

ნითურმა ფრთხილად მოუკიდა, გემრიელად ჩაისუნთქა და კვამლის რგოლი გამოუშვა.

– ყველაფერი ვიღონე, გრეგ, რამე მაინც რომ გამერკვია. დეივი ხომ უჩვეულო რობოტია. დანარჩენი ექვსი რობოტი უსიტყვოდ ემორჩილება. მათზე სამკვდრო-სასიცოცხლო გავლენა აქვს, რაც მის ფსიქიკაზეც აისახება. ვინ იცის, იქნებ, ქვეცნობიერად ფიქრობს კიდევ, ძალაუფლება კიდევ უფრო გაიძლიეროს და გაიღრმავოს?

– უფრო გასაგებად მითხარი.

– ახლავე. რას იტყვი, თუ საქმე მილიტარიზმთან გვაქვს? იქნებ თავის არმიას აყალიბებს? ან იქნებ სამხედრო მანევრებს ატარებს? იქნებ...

– ან იქნებ ტვინი გამოგილაცდა? შენი სისულელეები თანამედროვე კინოს კარგად გამოადგებოდა. შენ ხომ პოზიტრონული ტვინის მუშაობის ძირფესვიანად მორღვევაზე მელაპარაკები! ასე რომ იყოს, დეივს რობოტიკის პირველი კანონის უგულებელყოფა მოუხდებოდა – კერძოდ იმისა, რომ რობოტს არ შეუძლია ადამიანს ავნოს, ან თავისი უმოქმედობით ხელი შეუწყოს ადამიანის დაღუპვას. ასეთი მილიტარისტული ფსიქოლოგიის გარდაუვალი ლოგიკური შედეგი ხომ ადამიანებზე მბრძანებლობაცაა.

– რა თქმა უნდა, მაგრამ საიდან იცი, რომ ეს ასე არ არის?

– ჯერ ერთი, ქარხანა ასეთი ტვინის მქონე რობოტს არავითარ შემთხვევაში არ გამოუშვებდა. მეორეც – დაზიანება მერე რომ მომხდარიყო, აუცილებლად აღმოვაჩინდით. მე ხომ დეივი შევამოწმე.

პაუელი სკამიანად გაჩოჩდა და ფეხები მაგიდაზე შეაწყო.

– არა, ჩვენ ჯერ ვერ მოვამზადებთ რაგუს, რადგან აზრზეც ვერ მოვდივართ, რა ხდება. აი, ის მაინც რომ გაგვერკვია, ეს ავი როკვა რას ნიშნავს, სწორ გზაზე დავდგებოდით, – ცოტა ხნით შედგა და გააგრძელა, – მისმინე, მაიკ, დეივს რაღაც ემართება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მის ახლოს არა ვართ. საკმარისია, რომელიმე ჩვენგანი მიუახლოვდეს, რომ გონს მოვიდეს. ამაზე რას იტყვი?

– მეც ხომ გითხარი, ეს ამბავი საეჭვოა-მეთქი.

– მოიცა, რას ნიშნავს რობოტიკის ადამიანის სიახლოვე? როცა მის ახლოს არავინაა, რობოტს მეტი ინიციატივის გამოჩენა სტირდება. მაშასადამე, უნდა შევამოწმოთ მისი მექანიზმის ნაწილები, რომლებზე ზეგავლენასაც ეს მოჭარბებული დატვირთვა ახდენს.

– შესანიშნავი აზრია! – დონოვანი კინალამ წამოხტა, მერე ისევ სავარძელში ჩაეშვა, – თუმცა, არა. ეს არ კმარა. ამით სხვა შესაძლებლობები არ მცირდება.

– რას იზამ? ყოველ შემთხვევაში, გვემის შეუსრულებლობის შიში მაინც აღარ გვექნება. ავდგეთ და რიგრიგობით ვადვენოთ თვალყური მონიტორით. როგორც კი რაიმე მოხდება, დაუყოვნებლივ შემთხვევის ადგილზე გავჩნდებით. ეს მას გონზე მოიყვანს.

– კი მაგრამ, გრეგ, ისე გამოდის, რომ რობოტები გამოცდას ვერ გაივლიან. „იუ ეს რობოტსი“ ასეთი მახასიათებლების მქონე დი ვი მოდელს გასაყიდად ვერ გაუშვებს.

– ცხადია. ამიტომ ჯერ გაუმართაობა უნდა აღმოვაჩინოთ, შემდეგ კი მის

გამოსწორებაზე ვიზრუნოთ, არადა, მხოლოდ ათი დღე დაგვრჩა, – პაუელმა კეფა მოიფხანა. – საქმე ისაა, რომ... თუმცა თვითონვე გადახედე ნახაზებს...

ნახაზები იატაკზე ხალიჩასავით გაშალეს, დონოვანი ზედ დახობავდა და პაუელის ფანქრის მოძრაობას ადევნებდა თვალს.

– აი, ეს შენი სფეროა, მაიკ. კონსტრუქციების სპეციალისტი შენ ხარ და მოდი, გამომცადე. შევეცადე, გამომერიცხა ყველა წრედი, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პირად ინიციატივასთან. აი, მაგალითად, მექანიკური მოქმედების არხი. აქ ყველა გვერდით კავშირს გამოვრიცხავ... – დონოვანს ახედა, – შენ როგორ ფიქრობ?

დონოვანს პირში ცუდი გემო დაგუბებოდა.

– ეს არც ისე უბრალო ამბავია. პირადი ინიციატივა სპეციალური წრედი ან სქემა როდია, რომელიც შეიძლება სხვა დანარჩენებისგან გამოაცალკევო. როცა რობოტი დამოუკიდებლად მოქმედებს, მისი ორგანიზმი თითქმის ყველა უბანზე დაუყოვნებლივ უფრო ინტენსიურ მუშაობას იწყებს. არ არსებობს წრედი, რომელზეც ეს გავლენას არ ახდენდეს. ჩვენ სწორედ ის პირობები უნდა ვიპოვოთ, რომლებიც კალაპოტიდან აგდებს და მხოლოდ შემდეგ, გამორიცხვის მეთოდით, დავიწყოთ საჭირო წრედების გამოყოფა.

პაუელი წამოდგა და მუხლებიდან მტვერი ჩამოიბერტყა.

– ჰმ... კარგი. შეკრიბე ნახაზები და დაწვი.

დონოვანი განაგრძობდა:

– იცი, რა, როცა აქტიურობა იზრდება, ერთი პატარა დეტალის გაფუჭებით შეიძლება ნებისმიერი რამ მოხდეს. იქნებ სადმე იზოლაციაა დარღვეული, კონდენსატორი უშვებს, კონტაქტი ყრის ნაპერწკლებს, ან კოჭი გახურდა. ასე ბრმად თუ ვიმუშავებთ, გაუმართაობას ვერ ვიპოვით. არადა დეივი რომ დავშალოთ, თითოეული დეტალი სათითაოდ შევამოწმოთ და ისევ ავანყოთ...

– გასაგებია, გასაგები, სრული სურათის დანახვა მეც შემიძლია.

ერთმანეთს იმედგადაწურულად გადახედეს, ბოლოს კი პაუელმა თქვა:

– რა მოხდება, ერთ-ერთ დამხმარე რობოტი რომ დავკითხოთ?

არც პაუელი და არც დონოვანი აქამდე არც ერთ „თითს“ არ გასაუბრებიან. თუმცა დამხმარე რობოტებს ლაპარაკი შეეძლოთ, ამიტომ ადამიანის თითებთან მათი შედარება მთლად ზუსტი ვერ იყო. მათ საკმაოდ სრულყოფილი ტვინი ჰქონდათ, მაგრამ ეს ტვინი, უწინარეს ყოვლისა, პოზიტრონული ველიდან განკარგულების მისაღებად იყო აწყობილი

და გარე გამლიზიანებელზე დამოუკიდებლად რეაგირება უჭირდათ.

პაუელმა ისიც კი არ იცოდა, როგორ მიემართა ამ რობოტისთვის. მისი სერიული ნომერი იყო დი ვი-5-2, რაც მიმართვისთვის არ გამოდგებოდა. ბოლოს მაინც მონახა გამოსავალი.

– მისმინე, ძმაკაც, ცოტა ხანს ტვინი გაანძრიე, მერე კი შეგიძლია შენს უფროსთან დაბრუნდე.

„თითმა“ უხმოდ, მოუქნელად დაუქნია თავი, თავისი მწირი სააზროვნო უნარები ზედმეტი ლაპარაკით არ შეუწუხებია.

– აი, რა მინდა გკითხო. ამ ბოლო ხანებში შენმა ბოსმა უკვე ოთხჯერ გადაუხვია მიცემული პროგრამიდან, – უთხრა პაუელმა, – გახსოვს ეს შემთხვევები?

– დიახ, სერ.

დონოვანმა ჩაიბურტყუნა:

– ახსოვს! ეს ამბავი ძალზე საეჭვოდ გამოიყურება...

– წადი რა, გამოიძინე! რა თქმა უნდა, ახსოვს, მაგას ხომ არაფერი აქვს გაფუჭებული.

პაუელი ისევ რობოტს მიუბრუნდა:

– ასეთი შემთხვევებისას დანარჩენები რას აკეთებდით ხოლმე?

„თითმა“ დაბეპირებული გაკვეთილივით ჩაარაკრაკა, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე.

– პირველად მეჩვიდმეტე სანგრევის ბ ქანში რთულ გასასვლელს ვამუშავებდით, მეორე შემთხვევისას ჭერს ვამაგრებდით, რომ არ ჩამოწოლილიყო, მესამედ – ზუსტად მიმართული აფეთქებისთვის ვემზადებოდით, რათა მიწისქვეშა ნაპრალს არ წამოსდებოდა, მეოთხედ ეს მცირეოდენი ჩამონგრევის შემდეგ მოხდა.

– ასეთ დროს რა გემართებოდათ?

– ძნელია ამის გადმოცემა. რაღაც განკარგულებას ვიღებდით, მაგრამ, ვიდრე მის ბოლომდე მიღებასა და გააზრებას მოვასწრებდით, უკვე მარშირების განკარგულება მოდიოდა, რაღაც უცნაური მარშირებისა.

– რატომ? – ხმას აუწია პაუელმა.

– არ ვიცი.

– პირველი ბრძანება რას მოითხოვდა თქვენგან? აი, ის, რომელსაც მარშირების ბრძანება ცვლიდა? – ჩაერია საუბარში დონოვანი.

– არ ვიცი. ვგრძნობდი, რომ ბრძანება მოდიოდა, მაგრამ მიღებას ვერ ვასწრებდი.

– ყოველთვის ერთი და იგივე ბრძანება მოდიოდა?

– არ ვიცი... – შეწუხებულმა თავი გაიქნია.

პაუელი სავარძლის საბურგეს მიაწვა.

– კარგი, შეგიძლია წახვიდე.

„თითი“ ისე გავიდა, გეგონებოდა, რაღაცისგან განთავისუფლდაო.

– ამჯერად ნამდვილად წინ წავიწიეთ,რა, – თქვა დონოვანმა, – ძალიან შინაარსიანი საუბარი იყო! მისმინე, დევიც და ეს იმბეცილიც რაღაცას გვიმზადებენ, რომ იცოდეს! საეჭვოდ ბევრი რამ არ ახსოვთ და არ იციან. მათი ნდობა აღარ შეიძლება, გრეგ!

პაუელმა უღვაში აიჩეჩა.

– ჰოდა, დამეხმარე, მაიკ, თორემ კიდევ მობოდავ რამე სისულელეს და საჩხარუნოსაც წაგართმევ და საწოვარასაც.

– ჰო, კარგი, შენ ხომ გენიოსი მყავხარ, მე კი საბრალო ძუძუმწოვარა. აბა, მაინც რა გამოვარკვით?

– არაფერი. ვცადე მეორე რგოლიდან ანუ „თითიდან“ დამეწყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ისევ იმ ჯართთან მოგვიწევს ჯახირი.

– გენიოსი ხარ, ხომ იცი! – აღტაცებით შესძახა დონოვანმა, – რა უბრალოდ ყოფილა ყველაფერი! ახლა კი, მბრძანებელო, კეთილი ინებეთ და ინგლისურად გვითარგმნეთ, თუ შეიძლება!

– არც ეგ იქნება საკმარისი, შენ მხოლოდ ჩვილების ენაზე თარგმნილს თუ გაიგებ. ერთი სიტყვით, უნდა გამოვარკვიოთ, მეხსიერების დაკარგვამდე კონკრეტულად რა განკარგულებას იძლევა დევი – აი, ყველაფრის გასაღები.

– მერედა როგორ აპირებ ამის გამორკვევას? ვერ მივეუახლოვდებით, რადგან ჩვენი იქ ყოფნისას ყველაფერი რიგზე იქნება. განკარგულების რადიოთი მოსმენაც გამორიცხულია – ინფორმაციას პოზიტრონული ველის მეშვეობით გადასცემს. მაშასადამე, ბრძანებას ვერც ახლო დისტანციიდან დავიჭერთ და ვერც შორიდან. ასე რომ, ნულზე ვრჩებით.

– მართალი ხარ, პირდაპირი დაკვირვება არ გამოდგება, ამიტომ რჩება დედუქცია.

– ჰა?

პაუელმა მწარედ გაიღიმა.

– უნდა ვიმორიგეთ, მაიკ. ევრანიდან თვალმოუშორებლად უნდა ვუთვალთვალოთ ამ ფოლადის დოკლაპიებს. როცა აურევენ, დავინახავთ, უშუალოდ მანამდე რაც მოხდა და განვსაზღვრავთ, რა ტიპის ბრძანება შეიძლებოდა გაცემულიყო.

დონოვანი მთელი წუთი პირდაღებული იჯდა. მერე მოქანცულად თქვა:

– მორჩა, სამსახურიდან მივდივარ.

– რამე უკეთესის მოსაფიქრებლად წინ კიდევ ათი დღე გვაქვს, – დაამშვიდა დადლილმა პაუელმა.

მომდევნო რვა დღის განმავლობაში დონოვანი მართლაც ცდილობდა, რამე ელონა: ყოველ ოთხ საათში პაუელს ცვლიდა და შემუშავებული და დაბინდული თვალეებით შეჰყურებდა, როგორ მოძრაობდნენ ეკრანზე ბინდბუნდში მოლაპლაპე ლითონის სხეულები; მთელი რვა დღის განმავლობაში, ყოველი ოთხსაათიანი შესვენების დაწყებისთანავე, წყევლიდა მთელ „იუ ეს რობოტს“, დი ვი მოდელის მომგონსა და თავისი გაჩენის დღეს.

მერვე დღეს, როდესაც გამოუძინებელი და თავატკივებული პაუელი მის შესაცვლელად ოთახში შემოვიდა, დონოვანი მშვიდად ადგა, მონიტორს უზარმაზარი წიგნი დაუმიზნა და ესროლა. გაისმა მინის მსხვრევის სრულიად მოსალოდნელი ხმა.

– ეს რატომ გააკეთე? – გოაცებისაგან სუნთქვა შეეკრა პაუელს.

– იმიტომ, რომ მათ მეთვალყურეობას აღარ ვაპირებ, – თითქმის მშვიდად უპასუხა დონოვანმა, – ორი დღეა დაგვრჩა და ჩვენ ჯერ კიდევ არაფერი ვიცით. დი ვი-5 ერთი წვინტლიანი ჯართია. ხუთჯერ ჩემი მორიგეობის დროს გაითიშა, სამჯერ – შენ დროს და მაინც ვერ ვხვდები, როგორი ბრძანება გასცა. ვერც შენ ხვდები. არც იმის მჯერა, რომ ოდესმე მიხვდები, რადგან ამის გაკეთება თავად არ შემიძლია! კოსმოსს ვფიცავ, როგორ შეიძლება ერთდროულად ექვს რობოტს ადევნო თვალყური?! ერთი ხელებით აკეთებს რაღაცას, მეორე – ფეხებით, მესამე მკლავებს ქარის წისქვილივით ატრიალებს, მეოთხე გიჟივით დახტის. დანარჩენი ორი კიდევ ეშმაკმა უწყის, რას აკეთებს! და უცებ ყველა ჩერდება! შორიდან თვალთვალი სისულელეა, ადგილზე უნდა მივიდეთ, რათა გავიგოთ და დავინახოთ, სინამდვილეში რაც ხდება.

სიჩუმე ჩამოწვა. მერე პაუელმა თქვა:

– ჰოდა, ველოდოთ, რა ჯანდაბა მოხდება ამ დარჩენილი ორი დღის განმავლობაში?

– აბა, აქედან თვალთვალი უკეთეს შედეგს გაძლევს?

– აქ უფრო მყუდროდ ვართ.

– ჰო... მაგრამ იქ შეიძლება ისეთი რაღაც მოიმოქმედო, რასაც აქედან ვერ შეძლებ.

– მაინც რა?

– შეიძლება შევაჩეროთ, როცა საჭირო გახდება. ახლოდან უკეთ შევამჩნევთ, რა

ემართებათ.

პაუელი დაინტერესდა.

– რანაირად?

– აბა, იფიქრე, შენ ხომ ჭკუის კოლოფი ხარ. საკუთარ თავს ჰკითხე: როდის გამოდის დი ვი-5 წყობიდან? რა გიაზბო „თითმა“? როდის აპირებდა ჭერი ჩამოქცევას და სინამდვილეში როდის ჩამოინგრა? როდის იყო მოსალოდნელი ზუსტი აფეთქება? როდის შეხვდათ ყველაზე რთული ძარღვი?

– სხვანაირად რომ ვთქვათ, კრიტიკულ ვითარებაში! – აღგზნებით თქვა პაუელმა.

– სწორია! რა თქმა უნდა! მთავარია პირადი ინიციატივა. კრიტიკულ გარემოებაში, როცა ადამიანი ახლოს არ არის, ეს ყველაზე საჭირო რამაა. ჰოდა, რა გამოდის? როგორ ვაიძულოთ გაჩერება, როცა ჩვენ მოგვესურება? – მან საზვიამოდ ასწია ხელი, რაკი თანდათან როლში შეჭრილიყო და თვითონვე გასცა პასუხი კითხვას. იგივე პასუხი ენაზე ჰქონდა მომდგარი პაუელს: – კრიტიკული ვითარება თავად უნდა მოვანყოთ!

– მაიკ... მართალი ხარ! – უთხრა მან.

– გმადლობ, მეგობარო! ვიცოდი, რომ ეს ოდესმე მოხდებოდა.

– კარგი, ნუ იკბინები. მოდი, შენი ხუმრობა დედამიწისთვის შემოვინახოთ და იქ დავაკონსერვოთ, ახლა კი იმაზე ვიფიქროთ, როგორი ავარია შეგვიძლია მოვუწყოთ რობოტებს.

– ისეთ ასტეროიდზე რომ ვიყოთ, სადაც წყალი და ჰაერია, შახტს დავებორავდით.

– ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა, – თქვა პაუელმა, – ნუ მაცინებ. მაგრამ მცირე ჩამოზვავებაზე რა აზრისა ხარ?

დონოვანმა ტუჩები მოპრუნა.

– კარგი, წამომყევი.

შეთქმულების მონაწილე პაუელი თავს მაშინაც გადასარევად გრძნობდა, როდესაც კლდოვან ზედაპირზე ბორძიკით მიაბიჭებდა. ამ ასტეროიდს დედამიწასთან შედარებით მცირე მიზიდულობა ჰქონდა, ქვები წარამარა სხლტოდნენ ფეხქვეშ და მტვრის კორიანტელს აყენებდნენ. მიუხედავად ამისა, პაუელს ეგონა, გამოცდილი აგენტივით უხმოდ გადავადგილდებო.

– იცი, სად იქნებიან ახლა? – ჩურჩულით იკითხა მან.

– მგონი, კი.

– კარგია, – პირქუშად თქვა პაუელმა, – მაგრამ რომელიმე „თითს“ ექვსიოდე მეტრზეც

რომ მივეუახლოვდეთ, რომც ვერ გვხედავდეს, მაინც უმაღლეს იგრძნობს.

– როგორც კი რობოტიკის ელემენტარული კურსის მოსმენას დავაპირებ, შენს სახელზე განცხადებას დავწერ. ახლა კი ქვევით დავეშვათ.

ისინი შახტში ჩავიდნენ. ვარსკვლავები აღარ მოჩანდა. გზას კედლებზე ხელის ცეცებით მიიკვლევდნენ, შიგადაშიგ, რომელიმე მონაკვეთს, წამიერად ფარნით გაანათებდნენ ხოლმე. პაუელმა, ყოველი შემთხვევისთვის, ერთხელ კიდევ მოსინჯა შალითაში მოთავსებული დეტონატორი.

– იცნობ ამ შტრეკს, მაიკ?

– ისე, რა! ეს ახალია. მაგრამ მგონი, შევძლებ ორიენტირებას იმის მიხედვით, რაც მონიტორზე ვნახე.

წუთები საუკუნეებით გაიჭიმა. უცებ მაიკმა თქვა:

– აბა, აქ ნახე!

პაუელმა ხელთათმანიანი ხელი კედელს შეახო და მსუბუქი რყევა იგრძნო. რა თქმა უნდა, არავითარი ხმა არ ისმოდა.

– აფეთქებებია! უკვე ახლოს ვართ.

– ასი ყური გამოიბი!

დონოვანმა მოუთმენლად დაუქნია თავი.

უცებ რობოტმა ჩაუქროლათ და ისე სწრაფად მიიძალა, თვალის შევლებაც ვერ მოასწრეს – ეს იყო ბრინჯაოსფრად მოლაპლაპე ნათელი ლაქა. ორივენი ადგილზე გაქვავდნენ.

– როგორ ფიქრობ, იგრძნობს, აქ რომ ვართ? – ჩურჩულით ჰკითხა პაუელმა.

– იმედი მაქვს, რომ არა. მაგრამ მაინც სჭობს, ავერიდოთ. მოდი, პირველსავე გვერდითა შტრეკში შევიდეთ.

– ასე საერთოდ არ ავცდეთ.

– აბა, რა ვქნათ, მითხარი, უკან დავბრუნდეთ? – ბრაზით დაისისინა დონოვანმა, – იქამდე მილის მეოთხედი კიდევ იქნება, მონიტორიდან მახსოვს. ჩვენ კი მხოლოდ ორი დღე დავგრჩა...

– ოჰ, გაჩუმდი მაინც, ტყუილად ნუ ხარჯავ ჟანგბადს. გვერდითი შტრეკი აქ არის, მგონი, არა? – პაუელმა ფარანი აანთო, – ჰო, აქვეა, წავედით.

კედლების რყევა აქ უფრო ძლიერად იგრძნობოდა და დროდადრო ნიადაგიც ყანყალებდა.

– ჭერჯერობით სწორად მივდივართ. მთავარია, შტრეკი არ დამთავრდეს, – დონოვანმა გზა ფარნით გაინათა.

შტრეკი ისე დაბალი იყო, რომ ჭერს ნახევრადგაშლილი ხელითაც სწვდებოდნენ. ჩანდა, რომ იქაურობა ახლახან გაემაგრებინათ.

უცებ დონოვანი შეყოყმანდა:

– მგონი ჩიხია, უკან უნდა დავბრუნდეთ.

– არა, მოიცადე, – პაუელმა ძლივს ჩაუარა და გადაუსწრო, – წინ რა შუქი მოჩანს?

– შუქი? მე ვერაფერს ვხედავ. რა უნდა აქ შუქს?

– რობოტები დაგავიწყდა? – პაუელი ჩამოქცეული ქანის ბორცვზე ოთხზე დამდგარი გადახობდა, – პეი, მაიკ, აქ ამოძვერი, – დაუძახა შემფოთებით.

შუქი მართლაც ჩანდა. დონოვანი პაუელის ფეხს გადაახოხდა.

– ხვრელია, არა?

– ჰო, როგორც ჩანს, ამ შტრეკში იქითა მხრიდან შემოდიან.

დონოვანმა ხვრელის მონგრეული ნაპირები მოსინჯა. იქაურობა ფარნით რომ გაანათა, დაინახა, რომ აქედან უფრო ვრცელი შტრეკი, ალბათ ძირითადი, იწყებოდა. ნახვრეტი იმდენად პატარა იყო, ადამიანი ვერ გაძვრებოდა. ის კი არა, ორივე ერთად ვერც კი გაიხედავდა.

– არაფერიც არ არის, – თქვა დონოვანმა.

– ახლა არ არის, მაგრამ წამის წინ იყო, სხვანაირად სინათლეს ვერ დავინახავდით. ფრთხილად!

გარშემო კედლები შეირყა და წვრილი ნაშალი ჩამოცვივდა. პაუელმა ფრთხილად ასწია თავი და ისევ ნახვრეტში გაიხედა.

– ყველაფერი რიგზეა, მაიკ, უკვე იქ არიან.

მოლაპლაპე რობოტები ძირითად შტრეკში, მათგან ორმოცდაათი ფუტის მანძილზე შექუჩებულიყვნენ. აფეთქების შედეგად ამოყრილ მადნის ნამსხვრევებს სწრაფ-სწრაფად იღებდნენ.

– დროზე! – აჩქარდა დონოვანი, – თორემ სადაცაა დაამთავრებენ და მეორე აფეთქებამ შეიძლება აქ მოგვისწროს.

– თუ ღმერთი გწამს, ნუ მაჩქარებ, – პაუელმა მხრიდან დეტონატორიანი შალითა მოიხსნა, თან ჩაბნელებულ კედლებს აკვირდებოდა, რომლებსაც მხოლოდ რობოტების შუქი ანათებდა. ისე ბნელოდა, ჩრდილებსა და კლდის შვერილებს ერთმანეთისგან ვერ

გაარჩევდი.

– შეხედე, აი, სწორედ ჩვენ ქვემოთ, ჭერში ქვის შვერილია. ეტყობა უკანასკნელი აფეთქების დროს დარჩა. იმას თუ მოახვედრებ, ნახევარი ჭერი ჩამოიქცევა.

პაუელმა იქით გაიხედა, საითაც დონოვანი მიუთითებდა.

– ოო, კარგია! შენ კი თვალი ადევნე რობოტების მუშაობას და ილოცე, რომ ძალიანშორს არ წავიდნენ, მათი შუქი მჭირდება. შვიდივე მანდაა?

დონოვანმა გადათვალა.

– ჰო!

– ჰოდა, უყურე. მათ ყოველ მოძრაობას ადევნე თვალი!

მან დეტონატორიანი ხელი ასწია და დაუმიზნა. დონოვანი თავისთვის, ჩუმად იწყევლებოდა, შუბლიდან ნიაღვრად წამოსული ოფლის შესაკავებლად თვალეებს აფახულებდა და გაფაციცებით მიშტერებოდა რობოტებს.

უცებ სროლის ხმა გაისმა და გარშემო ყველაფერი შეზანზარდა. ორივე წაბორძიკდა, მერე მძლავრი ბიძგი იგრძნეს, რომელმაც ერთმანეთს შეანარცხა.

– გრეგ, მოშორდი! – აყვირდა დონოვანი, – ველარაფერს ვხედავ!

– რობოტები სად არიან? – პაუელმა მიმოიხედა.

დონოვანი გაყუჩდა. რობოტები აღარსად ჩანდნენ. ირგვლივ სტიქსის (სტიქსი – მიწისქვეშა მდინარე ძველებერძულ მითოლოგიაში) სიღმესავით ბნელოდა.

– მიწისქვეშ ხომ არ მოყვნენ? – შეშინებული ხმით იკითხა დონოვანმა.

– მოდი, ქვემოთ დავეშვათ და ნულარაფერს მკითხავ, – პაუელი სასწრაფოდ ჩახოხდა.

– მაიკ!

დონოვანი გაჩერდა.

– რა მოხდა?

– შეჩერდი! – ყურსასმენში პაუელის ხრინწიანი, არათანაბარი სუნთქვა ისმოდა, – მაიკ, მისმენ?

– ჰო, აქ ვარ, რა მოხდა?

– მგონი, ჩავიკეტეთ. ჭერი რობოტების მხარეს კი არა, ჩვენთან ჩამოიქცა! რყევამ ჩამოანგრია.

– რაო? – დონოვანი კედელს მიაწვა, – აბა, ფარანი აანთე!

ჩამონაზვავიდან თავიცი ვერ გაძვრებოდა.

– ესლა გვაკლდა! – ჩაიბუჩღუნა დონოვანმა.

გზის ჩამხერგავი ლოდის დაძვრას საკმაოდ დრო და ძალ-ღონე შეაღიეს. მერე პაუელმა იმ ნახვრეტის გადიდება სცადა, მთავარ შტრეკში რომ გადიოდა. ის იყო, ბლასტერი ამოიღო, რომ გაახსენდა, ასეთ პატარა სივრცეში მისი გასროლა თვითმკვლელობას უდრიდა. დაჭდა.

– იცი რა, – ჩაიბურღუნა, – მგონი, საბოლოოდ ჩავაფლავეთ ყველაფერი, მაიკ, და ვერც დეივისს ამბავი გავარკვეით. კარგი იდეა კი იყო, მაგრამ ჩემი ფეხები!

გამწარებული დონოვანი სიბნელეს გაჰყურებდა.

– არ მინდა ძალიან შეგაშინო, ბებერო, მაგრამ დეივთან რომ არ გავგიმართლა, ეს კიდევ არაფერი, უბედურება ისაა, რომ ხაფანგში გავებით. თუ აქედან ვერ გავალწვეთ, ძმაკაც, დავიბრძობით! და-ვიბ-რი-დე-ბით! რამდენი ჟანგბადი გვაქვს? ექვს საათს გვეყოფა.

– მეც ვიფიქრე მაგაზე, – პაუელმა თითები მექანიკურად თავისი მრავალტანტული ულვაშისკენ წაიღო, მაგრამ მათ მხოლოდ ჩაფხუტის მინაზე გაიფხაკუნეს, – რა თქმა უნდა, დეივი უცებ ამოგვთხრიდა, მაგრამ ჩვენი ძვირფასი აფეთქების შემდეგ, ალბათ, ისევ დაკარგა ჭკუა და ახლა რადიოთივც ვეღარ დავუკავშირდებით.

– ასწორებს, არა?

დონოვანი ისევ ნახვრეტთან მიხობდა და რის ვაივავლახით გაყო ჩაფხუტიანი თავი.

– ჰეი, გრეგ!

– რა იყო?

– რა იქნება, რომ დეივი ოც ფუტზე მოგვიახლოვდეს. მაშინვე გონს მოეგებოდა და გადაგვარჩენდა.

– რა თქმა უნდა, მაგრამ სად არის?

– იქაა, შტრეკში. საკმაოდ შორს. თუ ღმერთი გწამს, ფეხზე ნუ მეჭატკურები, თორემ თავი მომძვრება. მიგიშვებ და შენც დაინახავ.

პაუელმა ნახვრეტიდან თავი გაყო.

– კარგი აფეთქება იყო, მაგრამ, ერთი ამ ბრიყვებს შეხედე – ნამდვილი ბალეტი გაუმართავთ.

– კომენტარებს შეეშვი და ის მითხარი, გვიახლოვდებიან თუ არა.

– ვერ ვარჩევ, ძალიან შორს არიან. მოიცა, ფარანი მომაწოდე, ვცდი, იქნებ დაგვინახონ.

ორი წუთის შემდეგ ამაოდ ცდას თავი დაანება.

– აზრი არ აქვს, ალბათ დაბრმავდნენ. ოჰო, მგონი აქეთ გამოსწიეს. აი, ეს მომწონს!

– გეყოფა, ახლა მე გამახედე! – ჭიუტობდა დონოვანი.

მცირე ძიძგილაობის შემდეგ პაუელი დანებდა და ახლა დონოვანმა გაყო თავი ნახვრეტში. რობოტები ახლოვდებოდნენ. წინ თავანუელი დეივი მოაბიჭებდა, უკან კი ჯაჭვივით გაბმულიყვნენ „თითები“.

– რას აკეთებენ? – გაოცდა დონოვანი, – ნეტავი, გამაგებინა. თითქოს „ვირჯინია რილს“ (შოტლანდიური ფოლკლორული ცეკვა) ჰგავს... დეივი კი მათი სოლისტივითაა ან რაღაც მსგავსი.

– შორს არიან? – ჰკითხა პაუელმა.

– ასე, ორმოცდაათიოდე ფუტში. აქეთ მოდიან. თხუთმეტ წუთში ჩვენ უკვე თავის... – ეჰე, ჰეი! ჰეი!

– რა მოხდა?! – დონოვანის გამების მოსმენის შემდეგ პაუელი ძლივს მოვიდა აზრზე, – ახლა მე მიმიშვი, ღორი ნუ ხარ!

დონოვანს გამოსათრევად მისწვდა, მაგრამ პასუხად წიხლები მიიღო:

– უკანვე გაბრუნდნენ, გრეგ! მიდიან... დეივ! დეი-ივ!

– რა აზრი აქვს ძახილს, – დაუყვირა პაუელმა, – აქ ხომ ბგერა არ ვრცელდება, მაინც ვერაფერს გაიგონებენ.

აქოშინებული დონოვანი პაუელს მიუბრუნდა:

– მოდი, ქვა აიღე და კედელზე აბრაახუნე, რაიმე ვიბრაცია მაინც გამოიწვიე! როგორმე უნდა მივიქციოთ მათი ყურადღება, თორემ დავიღუპებით!

და გიჟივით დაუშინა კედელს ქვა.

პაუელი მხრებში სწვდა:

– მოიცა, მაიკ, ახალი რამ მოვიგონე! იუპიტერს ვფიცავ, ახლა სწორედ მარტივი გადანყვეტილებების დროა, მაიკ!

– რა მოიგონე? – დონოვანმა თავი გამოყო.

– მიმიშვი, ვიდრე საჭირო დისტანციაზე არიან, ჩქარა!

– რას აპირებ? ე, რასუკეთებ დეტონატორს? – ხელებში ჩააფრინდა პაუელს.

პაუელი მოტრიალდა:

– ცოტაოდენ ბათქაბუთქს ვაპირებ.

– რატომ?

– მერე აგისსნი. ჯერ ვნახოთ, თუ გამოვა. თუ არადა... ჩამომეცალე, გასროლის

საშუალება მომეცი!

შორს ჯერ კიდევ მოჩანდა რობოტების სინათლეები, რომლებიც თანდათან ილეოდა. პაუელმა საგულდაგულოდ დაუმიზნა და სამჯერ გამოჰკრა თითი სასხლექს. მერე ლულა დაუშვა და შემოთებით მიაშტერდა სიბნელეს. ერთი დამხმარე რობოტი დაეცა. ახლა მხოლოდ ექვსი სინათლე ჩანდა.

პაუელმა გაუბედავად ჩასძახა მიკროფონში:

– დეივ!

მცირე ხნის შემდეგ პასუხი მოესმათ:

– სად ხართ, ბოს? მესამე დამხმარე რობოტს მკვრდი აქვს გაგლეჯილი. მწობრიდან გამოვიდა.

– არა უშავს, – უთხრა პაუელმა, – თქვენი აფეთქების გამო მიწისქვეშ გავიჩხირეთ. ხედავ ჩვენს ფარანს?

– ვხედავ, ახლავე მანდ გაგჩნდები.

პაუელი დაჯდა და შვებით ამოისუნთქა.

– ესეც ასე, ჩემო მეგობარო.

– კეთილი, გრეგ, – ხმადაბლა წარმოთქვა ცრემლმორეულმა დონოვანმა, – გაიმარჯვე. ექვს ვიხრი შენს წინაშე. ოღონდ გასაგებად ამიხსენი, რა მოხდა?

– ახლავე. სულ უბრალო ამბავია. მხედველობიდან ყველაზე თვალსაჩინო რამ გვრჩებოდა – ხომ ვიცოდით, რომ საქმე პირად ინიციატივას შეეხებოდა, ისიც, რომ ეს ავარიული სიტუაციის დროს ხდებოდა ხოლმე. მაგრამ ვფიქრობდით, რომ ყველაფერი საგანგებო ბრძანებით იყო გამოწვეული. მაგრამ რაღა მაინცდამაინც ერთი განსაზღვრული ბრძანება უნდა ყოფილიყო და არა მრავალი ბრძანება ერთდროულად? კერძოდ, რომელი ბრძანებები მოითხოვენ ხელმძღვანელისგან ყველაზე მეტ ინიციატივას? როგორი ბრძანებები გაიცემა მხოლოდ ავარიების დროს?

– ნუ მეკითხები, გრეგ, მითხარი!

– გეუბნები კიდევ: ესაა ერთდროულად ექვსი არხით გაგზავნილი ბრძანებები! ჩვეულებრივ პირობებში ერთი ან რამდენიმე „თითი“ ისეთ მარტივ სამუშაოს ასრულებს, როგორიც განსაკუთრებულ მეთვალყურეობას არ მოითხოვს. მაგალითად, როგორც სიარულისას ჩვენი ჩვეული მოძრაობებია. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში აუცილებელია ექვსივე რობოტი დაუყოვნებლივ და ერთდროულად აამოქმედო. აი, სწორედ ამ დროს ხდება რაღაც. დანარჩენი ყველაფერი მარტივადაა. მისგან საჭირო

ინიციატივის ნებისმიერი შემცირება, მაგალითად, ადამიანის გამოჩენა, დეივს უცებ გამოაფხიზლებს ხოლმე. მე ერთი რობოტი გავანადგურე და დეივს უმაღლეს საქმე შეუმსუბუქდა – მხოლოდ ხუთს მისცა განკარგულება; ინიციატივა შემცირდა – რობოტი გონს მოეგო!

– როგორ მიხვედი ამ დასკვნამდე? – ჯიუტად ჩაეძია დონოვანი.

– ლოგიკური მსჯელობით. ექსპერიმენტი ჩავატარე და ყველაფერი დადასტურდა.

რობოტის ხმა ისევ მოესმათ:

– ჩვენ უკვე აქ ვართ. გაძლებთ კიდევ ნახევარ საათს?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა პაუელმა. მერე ისევ დონოვანს მიუბრუნდა და განაგრძო, – ახლა ჩვენი ამოცანაც გამართივდა, შევამოწმებთ მხოლოდ იმ წრედებს, რომლებზეც ექვსარხიანი ბრძანების დროს უფრო მეტი დატვირთვა მოდის, ვიდრე ხუთარხიანისას. ბევრის შემოწმება დაგვჭირდება?

დონოვანმა დაიანგარიშა:

– ვფიქრობ, არც ისე. თუ დეივი ისევეა აწყობილი, როგორც ის საცდელი ეგზემპლარი, რომელიც ქარხანაში ვნახეთ, მაშინ მას სპეციალური მაკოორდინირებელი წრედი უნდა ჰქონდეს და ამით შემოიფარგლება ყველაფერი, – უცებ გახალისდა, – უკ, რა კარგია, სულ უბრალო რამეღა დაგვრჩა!

– ჰოდა, აწონ-დაწონე ყველაფერი და რომ დავბრუნდებით, ნახაზებზე შევამოწმოთ. ახლა კი, სანამ დეივი ჩვენამდე მოაღწევს, ცოტა დავისვენებ.

– მოიცა! კიდევ ერთი რამ მითხარი. ეს უცნაური მარშირება რაღა იყო, ეს ახირებული ცეკვა, რომელიც მაშინ იწყებოდა, როცა დეივი გონებას კარგავდა?

– ო, ის ცეკვა? ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ერთი ვარაუდი კი მაქვს: დამხმარე რობოტები ხომ დეივის „თითები“, არა? ჰოდა, ვფიქრობ, როცა დეივი გაფრენას იწყებდა, ნერვიულობისგან თითების კაკუნს მოჰყვებოდა ხოლმე...

სიუზენ კელვინი პაუელსა და დონოვანზე თითქმის გულგრილად, ღიმილის გარეშე ჰყვებოდა, მაგრამ, როცა კი რობოტებს ახსენებდა, ხმაში სითბო ჩაედვრებოდა ხოლმე. სპიდის, ქიუთისა და დეივის ამბების მოყოლას დიდი დრო არ დასტირვებია, მაგრამ მაინც შევანწყვეტინე, რადგან მივხვდი, რომ თადარიგში ათამდე მოდელი კიდევ ჰქონდა.

– კი მაგრამ, ამ დროს დედამიწაზე საინტერესო არაფერი ხდებოდა?

ცოტა მოღუშულმა შემომხედა:

– არა, დედამიწაზე ხომ რობოტებს არ იყენებენ.

– დიახ, სამწუხაროდ. თქვენი სავლელ ინჟინრები ძალიან ყოჩაღები არიან, მაგრამ თქვენი საკუთარი ცდების შესახებაც ხომ არ მიამბობდით? ნუთუ თქვენს ხელში რობოტს არაფერი დამართნია? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ თქვენი საიუბილეო წელია...

ჩემდა გასაკვირად, განითლდა და მითხრა:

– დიახ, ერთხელ ჩემთანაც შეცდნენ. ღმერთო, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ! თითქმის ორმოცი წელი... ეს 2021 წელს მოხდა. მე მაშინ ოცდათვრამეტი წლისა ვიყავი. ო, მერჩია, იმ ამბავზე არაფერი მეთქვა.

დავიცადე და, რა თქმა უნდა, მალევე გადაიფიქრა.

– თუმცა, რატომ არ უნდა გიამბოთ, ახლა ამის მოგონება ველარაფერს მაგნებს. მაშინ ისეთი სულელი ვიყავი, შეგიძლიათ ეს დაიჭეროთ?

–ვერა.

– კი ვიყავი, კი... ჰერბის აზრების წაკითხვა შეეძლო.

– რაო?

– ის ასეთი ერთადერთი რობოტი იყო... რაღაც შეგვეშალა და...

მატყუარა!

ალფრედ ლენინგმა სიგარეტი ბოლომდე მოსწია. თითები ოდნავ უთრთოდა. ჭაღარა წარბები მკაცრად შეეკრა. ლაპარაკობდა და თან კვამლს ბოლქვებად უშვებდა.

– კი, მართალია, აზრებს კითხულობს. ეჭვგარეშეა. მაგრამ რატომ? – მან მთავარ მათემატიკოსს, პიტერ ბოგერტს გადახედა, – გისმენთ.

ბოგერტმა ორივე ხელი შავ თმაზე გადაისვა.

– ეს არ ბი მოდელის ოცდამეთოთხმეტე რობოტია, ლენინგ. ყველა დანარჩენი სავსებით შეესაბამებოდა ნორმებს.

მაგიდასთან მჯდომი მესამე კაცი მოიღუშა. ეს მილტონ ეში გახლდათ, „იუ ეს რობოტის“ ხელმძღვანელთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, რომელიც თავისი თანამდებობით მეტად ამაყობდა.

– ყური მიგდეთ, ბოგერტ. თავს მოვიჭრი, თუ ყველაფერი სწორად არ იყოს აწყობილი! ბოგერტს სქელ ტუჩებზე შემწყნარებლური ღიმილი გადაეფინა.

– გარანტიას მაძლევთ? თუკი თქვენ კისრულობთ მთელ საამწყობო ხაზზე აგოთ პასუხი, დაწინაურება არ აცდებათ. ზუსტი გაანგარიშებით, ერთი პოზიტრონული ტვინის დასამზადებლად სამოცდათხუთმეტი ათას ორას ოცდაათოთხმეტი ოპერაციაა საჭირო, თითოეულის წარმატება კი ათას რამეზეა დამოკიდებული. ერთი ფაქტორიც რომ შეიცვალოს, ტვინს წუნი აღმოაჩნდება. ეს ფაქტები ჩვენი პროსპექტებიდან მომყავს, ეშ.

მილტონ ეში განითლდა, პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ მეოთხე ხმამ გააწყვეტინა:

– თუ დანაშაულის ერთმანეთზე გადაბრალებას ვაპირებთ, მაშინ მე მივდივარ... – სიუზენ კელვინს შეტყუპებული ხელები მუხლებზე დაეწყო. თხელი უფერული ბაგეების გარშემო ნაოჭები კიდევ უფრო გაღრმავებოდა, – გვყავს რობოტი, რომელიც აზრებს კითხულობს და, როგორც გავიგე, უნდა გავარკვიოთ, რატომ. ამას კი ვერ შევძლებთ, თუ ერთმანეთის დადანაშაულებას არ შევწყვეტთ.

კელვინმა რუხი, ცივი თვალები ეშს მიაპყრო და ჩაიცინა. ლენინგმაც ღიმილით დაუდასტურა ნათქვამი და, როგორც ყოველთვის, გრძელმა, ჭაღარა თმამ და პატარა ეშმაკურმა თვალებმა იგი ბიბლიურ პატრიარქს დაამსგავსა.

– მართალს ბრძანებთ, დოქტორო კელვინ, – მერე კი გადამწყვეტი კილოთი დაამატა, – მოკლედ, საქმის ვითარება ასეთია: ჩვენ შევქმენით პოზიტრონული ტვინი, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა დანარჩენებისგან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას აქვს

შესანიშნავი უნარი – მიიღოს ადამიანის აზროვნების პროცესში გამოსხივებული ტალღები. ამის მიზეზი რომ ვიცოდეთ, მაშინ ეს რობოტიკის განვითარებაში მთელი ათი წლით გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, არ ვიცით და სწორედ ესაა გასარკვევი. გასაგებია?

– შეიძლება ერთი შენიშვნა გავაკეთო? – იკითხა ბოგერტმა.

– რა თქმა უნდა.

– ჩემი აზრით, სანამ ამ ყველაფერში არ გავერკვევით და, როგორც მათემატიკოსი, ვფიქრობ, რომ საქმე ძალიან ეშმაკურად ჩახლართულ ამბავთან გვექნება, არ ბი-34-ის ფენომენი აქ მომუშავე პერსონალისგანაც კი საიდუმლოდ უნდა შევინახოთ. ისევ ჩვენ, განყოფილების ხელმძღვანელებმა, მივხედოთ. დანარჩენებს რაც უფრო ნაკლები ეცოდინებათ, ის...

– ბოგერტი მართალს ამბობს, – დაუკრა კვერი დოქტორმა კვლევინმა, – მას შემდეგ, რაც პლანეტთშორისი კოდექსის თანახმად კოსმოსურ სადგურებზე გაშვებამდე რობოტების ქარხანაში გამოცდაა ნებადართული, მათი საწინააღმდეგო პროპაგანდა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ ფენომენის ამოხსნამდე აზრების მკითხველ რობოტზე ერთმა სიტყვამაც რომ გაჟონოს, ვიდაც-ვიდაცები დიდ კაპიტალს ჩაიჭიბავენ

ლენინგმა, რომელიც სიგარას ეწეოდა, სერიოზულად დაუქნია თავი და ეშს მიუბრუნდა:

– თქვენ ამბობთ, რომ სულ მარტო იყავით, როცა ამ მოვლენის მოწმე გახდით?

– დიას, მარტო ვიყავი და შიშისგან კინალამ გული გამისკდა. არ ბი-34 საამწყობო მაგიდიდან ჩამოსვლისთანავე ჩემთან გამოგზავნეს. ობერმანი სადღაც გავიდა და რობოტი გამოსაცდელ სტენდთან თავად მივიყვანე, – ეშს ენა დაება და სახეზე ღიმილმა გადაუარა, – არ გქონიათ შემთხვევა, აზრით გასაუბრებოდით ვინმეს? ისე, ანგარიშიუცემლად.

პასუხის გაცემით არავინ შეწუხებულა. ეშმა განაგრძო:

– ამას თავიდან ვერც ვერავინ აცნობიერებს... ის უცებ დამელაპარაკა, რაღაც სრულიად ლოგიკური და გონივრული მითხრა. უცებ ვერც კი გავიაზრე, რა მოხდა. ის იყო, სტენდთან მივედი, რომ მაშინღა ვიფიქრე, მე ხომ მისთვის არაფერი მითქვამს-მეთქი. რა თქმა უნდა, ჩემთვის ათას რაღაცაზე ვფიქრობდი, მაგრამ ის რა შუაში იყო, ასე არ არის? რობოტი მაშინვე საცავში ჩავეკეტე და ლენინგთან გავქანდი. წარმოიდგინეთ – მისეირნობთ რობოტთან ერთად, რომელიც მშვიდად კითხულობს თქვენს აზრებს. საკმაოდ უსიამოვნოა.

– წარმომიდგენია, – ჩაფიქრებით თქვა სიუზენ კვლევინმა და ეშს შეაცქერდა, – ჩვენ ხომ საკუთარ აზრებთან განმარტობებს ვართ მიჩვეული.

– მაშასადამე, ეს ამბავი მხოლოდ ოთხმა ვიცით, – ჩაერია ლენინგი, – ძალიან კარგი.

შემთხვევა სისტემურად უნდა გამოვიკვლიოთ. ემ, თქვენ შეამონმებთ საამწყო ხაზს – ყველაფერს, თავიდან ბოლომდე. უნდა გამოირიცხოთ ყველა ოპერაცია, სადაც არ შეიძლება შეცდომა მომხდარიყო. მიუთითეთ შესაძლო შეცდომის ხასიათი და მისი სავარაუდო სიდიდე.

– საკმაოდ მოცულობითი სამუშაო იქნება, – ჩაიბურტყუნა ეშმა.

– თავისთავად! თუ ამ საქმეს მართო ვერ აუხვალთ, ჩვენი ხალხი გამოიყენეთ – ყველა, თუ საჭირო იქნება, უკლებლივ. გეგმის შესრულება ნუგადარდება. მაგრამ არავინ უნდა იცოდეს, რატომ აკეთებთ ამას. გასაგებია?

– კმ, გასაგებია, რა თქმა უნდა. – ახალგაზრდა ინჟინერმა უსიამოვნოდ ჩაიციხა, – სამუშაო მაინც თავსაყრელად გვექნება.

ლენინგი კელვინს მიუბრუნდა:

– თქვენ ამოცანას მეორე მხრიდან უნდა მიუდგეთ. თქვენ ხომ ჩვენი რობოტოფსიქოლოგი ბრძანდებით. ჯერ რობოტი შეისწავლეთ და მერე დაიწყეთ. შეეცადეთ, გამოარკვიოთ, როგორ ახერხებს აზრების ამოკითხვას. გამოიკვლიეთ ყველაფერი, რაც მის ტელეპათიურ უნართანაა დაკავშირებული, რა მანძილზე ვრცელდება, რა გავლენას ახდენს მის აზროვნებაზე და საერთოდ, როგორ მოქმედებს ეს მის სტანდარტულ სამუშაო თვისებებზე. გასაგებია? – ლენინგი პასუხს არ დალოდებია, – სამუშაოს მე ვუხელმძღვანელებ და შედეგებს მათემატიკურად დავამუშავებ, – მან მძლავრად მოქაჩა სიგარას და დანარჩენი უკვე კვამლის ბოლქვებიდან გაისმა, – ბოგერტი დამეხმარება.

ბოგერტი ამ დროს თავის მსუქან ხელებზე ფრჩხილებს იპრიალებდა. მშვიდად უპასუხა:

– რა თქმა უნდა, ცოტა მეც ვერკვევი ამ საქმეში.

– მაშ მე წავალ და საქმეს მივხედავ, – ეშმა სკამი გასწია და ადგა. ახალგაზრდა, სანდომიან სახეზე ღიმილი ეფინა, – ყველაზე უმადური სამუშაო მე მერგო, ისე რომ, ჯობია, აღარ გადავდო. ნახვამდის!

სიუზენ კელვინმა ოდნავ დაუქნია თავი, მაგრამ ვიდრე ახალგაზრდა კოლეგა კარში არ გაუჩინარდა, თვალი არ მოუშორებია. ლენინგსაც კი არ გასცა პასუხი, როცა ბურტყუნით შესთავაზა:

– არ ბი-34-ის სანახავად ხომ არ წამოხვიდოდით, დოქტორო კელვინ?

კარის მსუბუქი ჭრიალის გაგონებისთანავე, რობოტმა არ ბი-34-მა, ფოტოელექტრული თვალეხი წიგნს მოაშორა და წამოხტა. ოთახში სიუზენ კელვინი შემოვიდა. წამით

შეყოვნდა, რათა კარზე ვეება წარწერა „შესვლა აკრძალულია“ გაესწორებინა და რობოტთან მივიდა.

– შერბი, ზეატომურ ძრავებზე რაღაც მასალა მოგიტანე. არ გინდა, გადახედო?

არ ბი-34-მა, რომელსაც ყველა შერბის ეძახდა, სამი მძიმე ტომი ჩამოართვა. ერთ-ერთი მათგანი მაშინვე გადაშალა.

– ჰმ! „ზეატომური თეორია...“

თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა და თან წიგნებს ფურცლავდა, მერე დაბნეულად უთხრა:

– დაბრძანდით, დოქტორო კელვინ. რამდენიმე წუთი დამჭირდება.

სიუზენი დაჯდა. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს შერბის, რომელმაც მაგიდის მეორე მხარეს დაიკავა ადგილი და სამივე წიგნის სისტემურ შესწავლას შეუდგა.

ნახევარი საათის შემდეგ წიგნები გვერდზე გადადო.

– მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რისთვისაც მომიტანეთ ეს წიგნები.

სიუზენ კელვინს ტუჩის კუთხეები შეუთრთოლდა.

– ასეც ვფიქრობდი. შენთან მუშაობა ძალიან ძნელია, შერბი, ყოველთვის ერთი ნაბიჯით მისწრებ.

– ეს წიგნები ისეთივეა, როგორც დანარჩენები, საერთოდ არ მაინტერესებს. თქვენს სახელმძღვანელოებში ბევრი არაფერი ყრია. თქვენი მეცნიერებაც რაღაც ნაძალადევად შეკონიწებულ ფაქტების გროვავა. ყურადღების ღირსიც არ არის. მე თქვენი მხატვრული ტექსტები უფრო მაინტერესებს, სადაც ადამიანური გრძნობებისა და განცდების რთულ ურთიერთობებზეა ლაპარაკი... – მან მძლავრი ხელით რაღაც გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა, სანამ შესაფერის სიტყვებს იპოვიდა.

– ვფიქრობ, მესმის შენი, – დაიხურჩულა დოქტორმა კელვინმა.

– იცით, მე აზრებს ვკითხულობ, – განაგრძო რობოტმა, – თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა რთულია ისინი. მიჭირს მათი გაგება, რადგან ჩემი აზროვნება დიდად განსხვავდება თქვენი აზროვნებისგან. მაგრამ მე ჩემსას ვცდილობ და ამაში თქვენი რომანებიც მეხმარება.

– ჰო, მაგრამ, როდესაც თანამედროვე გულისამაჩუყებელ რომანებში ასახულ ზოგიერთ განცდას უკეთესად გაეცნობი, – ცოტა ნაღვლიანად უთხრა კელვინმა, – ჩვენი ნამდვილი აზრები და გრძნობები მოსაწყენად და უფერულად მოგეჩვენება.

– სულაც არა!

ამ უეცარმა, ენერგიულად წარმოთქმულმა პასუხმა ქალი წამოახტუნა. მან იგრძნო, რომ

ნითლდებოდა და შიშით გაიფიქრა: „ალბათ იცის!“

ჰერბი მალევე დამშვიდდა და ლითონის ტემბრისგან თავისუფალი წყნარი ხმით წარმოთქვა:

– რა თქმა უნდა, ვიცი ეგ ამბავი, დოქტორო კელვინ. გამუდმებით მაგაზე ფიქრობთ და განა შეიძლება, არ ვიცოდეთ?

– შენ... უთხარი ვინმეს ამის შესახებ? – მკაცრად ჰკითხა ქალმა.

– რა თქმა უნდა, არა! – გულწრფელად გაიოცა რობოტმა და დასძინა, – არც არავის უკითხავს რამე.

– ალბათ სულელად მიგაჩნივარ, არა?

– არა, ეს ნორმალური გრძნობაა.

– შეიძლება ამიტომაც არის ასე სულელური, – ნაღვლიანად თქმა სიუზენმა. მეცნიერებათა დოქტორის შეუვალი ნიღბის ქვეშ წამით ქალის ნაკვთები გამოჩნდა, – ჩემი გარეგნობა... არც ისე მიმზიდველია...

– ადამიანების გარეგნობაში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ ვიცი, რომ მიმზიდველობის სხვა სახეებიც არსებობს.

– ...და არც ისე ახალგაზრდა ვარ... – განაგრძო კელვინმა, თითქოს რობოტის ნათქვამი არც გაუგონიაო.

– თქვენ ჯერ ორმოცისაც არ ხართ, – როგორღაც ჭიუტად დაუნყო დამშვიდება ჰერბიმ.

– ოცდათვრამეტი წლისა ვარ, თუ წლებით გამოვითვლით, ხოლო თუ ცხოვრების ემოციური აღქმით ვიმსჯელებთ, სამოცისაც კარგად ვიქნები, მე ხომ ფსიქოლოგი ვარ. ის კი, – განაგრძო ქალმა, – ოცდათხუთმეტი წლისაა და უფრო ახალგაზრდადაც გამოიყურება. ნუთუ ფიქრობ, რომ ის ჩემში...

– ცდებით! – ჰერბიმ ფოლადის მუშტი ჟღრიალით დასცხო მაგიდის პლასტმასის ზედაპირს, – მომისმინეთ...

მაგრამ სიუზენ კელვინმა საპასუხოდ შეუტია, სიბრამისგან თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა:

– მოგისმინო?! რა გესმის ადამიანური გრძნობებისა, შენ ხომ... შენ ხომ მანქანა ხარ! მე შენთვის ალბათ საცდელი ნიმუში ვარ, ერთი პატარა, თავისებურად მოაზროვნე ჭია, რომლის გულისნადებსაც ხელისგულზე გადაშლილს ხედავ. დამსხვრეული ოცნებების შესანიშნავი მაგალითია, არა? ყველაფერი ისეა, როგორც წიგნებში, ხომ?

მისი მშრალი ქვითინი ნელ-ნელა მიწყდა.

რობოტი მოიბუზა, ასეთ შეტევას არ ელოდა. მერე ვედრებით გააქნია თავი:

– გეხვეწებით, გთხოვთ, მომისმინოთ. თუ თქვენი სურვილი იქნება, შემოძლია დაგეხმაროთ!

– როგორ? – ტუჩები მოებრიცა ქალს, – კარგ რჩევას მომცემ?

– არა, ასე არა. უბრალოდ, მე ვიცი, რას ფიქრობენ სხვა ადამიანები, მაგალითად მილტონ ეში.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. სიუზენ კელვინი მოიღუშა.

– არ მინდა ვიცოდე, ის რას ფიქრობს, – ამოიოხრა ბოლოს, – გაჩუმდი!

– მე კი მგონია, სწორედ რომ გინდათ, იცოდეთ, რას ფიქრობს ეში.

ქალს თვალეები დაეხარა, მაგრამ მღელვარება ემატებოდა.

– სისულელეს ამბობ, – ძლივს ამოიჩურჩულა.

– რატომ? მინდა დაგეხმაროთ. მილტონ ეში... – რობოტი გაჩუმდა.

ქალმა თავი ასწია:

– რა?

– უყვარხართ, – წყნარად თქვა რობოტმა.

დოქტორი კელვინი ერთხანს ხმაამოუღებლად, ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა რობოტს.

– ცდები, რა თქმა უნდა, ცდები! რატომ უნდა ვუყვარდე?

– მართლა უყვარხართ. ჩემთვის ამის დამალვა შეუძლებელია.

– მაგრამ მე ასეთი... – ქალს ენა დაეხა.

– ის გარსის შიგნით იყურება, სხვების ინტელექტს აღმერთებს. მილტონ ეში იმათ არა მგავს, კოხტა ვარცხნილობისა და ლამაზი თვალებისთვის რომ ირთავენ ცოლებს.

სიუზენ კელვინმა თვალები ააფახულა, ძლივს ამოიდგა ენა და აკანკალებული ხმით თქვა:

– მაგრამ მას ხომ არასოდეს არაფრით გამოუხატავს...

– თქვენ თუ მიგიციათ ამის საშუალება?

– მე როგორ შემეძლო? ვერასოდეს ვიფიქრებდი...

– სწორედაც!

სიუზენ კელვინი გაჩუმდა, მერე უცებ ასწია თავი:

– ამ ნახევარი წლის წინ მასთან, ქარხანაში, ერთი გოგონა მოვიდა. თხელი აღნაგობის, ეწრა. მგონი, ლამაზიც იყო. რა თქმა უნდა, ორჯერ ორიც კი გაჭირვებით იცოდა. ეში მთელი

დღე ტყავიდან ძვრებოდა, რომ რამენაირად აეხსნა, როგორ აკეთებენ რობოტებს, – ქალის ხმას სიმკაცრე დაეტყო, – მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერაფერი შეაგნებინა! ვინ იყო ის გოგონა?

ჰერბიმ უყოყმანოდ უპასუხა:

– ვიცი, ვისზეც ამბობთ, მისი ბიძაშვილია. გარწმუნებთ, მათ შორის არავითარი რომანტიული ურთიერთობა არ არის.

სიუზენ კვლავინი გოგონასავით მსუბუქად წამოდგა.

– განა უცნაური არაა? რამდენს ვეცადე, დამერწმუნებინა ჩემი თავი მაგაში, თუმცა ასე სერიოზულად არასოდეს მიფიქრია. ესე იგი, მართალია, რაც მითხარი?

ჰერბისთან მიიბრინა და ორივე ხელი მის მძიმე მკლავს შემოხვია.

– გმადლობ, ჰერბი, – დაიჩურჩულა მღელვარებისაგან ცოტა ჩახრინწული ხმით. – არავის არაფერი უთხრა, დაე, ეს ჩვენი საიდუმლო იყოს. კიდევ და კიდევ გმადლობ!

ერთიანად აკანკალებულმა ჰერბის ლითონის თითებზე მოუჭირა და გავიდა.

ჰერბი ნელა მიუბრუნდა გადადებულ რომანს. არავინ იყო, ვინც მის აბრებს წაიკითხავდა.

მილტონ ეშმა აუჩქარებლად, სიამოვნებით გაიზმორა, ხვნეშითა და სახსრების მტვრევით. მერე კუშტად მიაჩერდა პიტერ ბოგერტს.

– ყური მიგდეთ, – თქვა მან, – მთელი კვირაა ჩავკირკიტებ ამ ოხერს, ძილი ჩემთვის აღარ არის და მოსვენება, მაგრამ სულ ამოდ. კიდევ ბევრი უნდა ვიწვალო? აკი საქმე პოზიტრონულ ბომბარდირებასა და დ-ვაკუუმურ კამერას შეეხებაო?

ბოგერტმა უფრო თავაზიანად დაამთქნარა და ინტერესით დახედა თავის მოვლილ ხელებს.

– ასეცაა. ვფიქრობ, სწორ გზაზე ვდგავარ.

– ვიცი, ეს რას ნიშნავს, როდესაც ამას მათემატიკოსი ამბობს. სამუშაოს სრულ დასრულებამდე რამდენად ახლოს ხართ?

– გააჩნია...

– რას? – ეში სავარძელში ჩაეშვა და გრძელი ფეხები გაჭიმა.

– ლენინგს ვგულისხმობ. მოხუცი ჯიუტობს, – ამოიოხრა, – ცოტა ცხოვრებას ჩამორჩა, აი, რაშია საქმე. ისევ თავის სანუკვარ მატრიცულ მექანიკას ებღაუჭება. ამ პრობლემის ამოხსნა კი უფრო მძლავრ მათემატიკურ საშუალებებს მოითხოვს. ძალიან ჯიუტია...

ძილმორეულმა ეშმა ამოილულულა:

– იქნებ თვითონ ჰერბის ვკითხოთ და ამით მოვრჩეთ ყველაფერს?

– რობოტს ვკითხოთ? – ბოგერტს წარბები შუბლზე აუვიდა.

– ჰო, მერე რა მოხდა? ბებოს არაფერი უთქვამს?

– კელვინზე ამბობთ?

– ჰო, თვით სიუზის. ეს რობოტი მათემატიკის ჯადოქარია; ყველაფრის შესახებ ყველაფერი იცის და კიდევ ცოტა მეტიც. ზეპირად ანგარიშობს სამჭვრად ინტეგრალებს და ტენზორულ ანალიზსაც ზედ მიაყოლებს ხოლმე.

მათემატიკოსმა ეჭვითშეხედა ეშს.

– სერიოზულად ამბობთ?

– რა თქმა უნდა. საქმეს მხოლოდ ის ართულებს, რომ იმ ჩურჩუტს მათემატიკა ჭირის დღესავით ეჭავრება და სანტიმენტალური რომანების კითხვასაა გადაყოლილი, მართლა. ნეტავი, განახათ, რა ნაგავს უზიდავს სიუზენი წასაკითხად – „მეწამული ვნებაო“, „სიყვარული კოსმოსში“ და რა ვიცი...

– დოქტორ კელვინს ამაზე ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს...

– რას გეტყვოდა, ჯერ მისი შესწავლა არ დაუმთავრებია... მისი ამბავი ხომ იცით – მალულად უყვარს ყველაფრის კვლევა, სანამ თვითონვე არ გახსნის მთავარ საიდუმლოს...

– კი მაგრამ, თქვენ თუკი გითხრათ?

– არა... კი არ უთქვამს, ისე, როგორღაც სიტყვამ მოიტანა და... ამ ბოლო ხანს ხშირად ვხედავ, – თვალები აქაჩა და შუბლი შეიკრა, – მისმინეთ, ბოგი, ვერაფერ უცნაურობას ვერ ამჩნევთ ამ ბოლო ხანებში?

ბოგერტმა გემრიელად ჩაიციხა:

– ტუჩების შეღებვა რომ დაიწყო, ამაზე ამბობთ?

– მარტო ეგ რომ იყოს! მაგას ხომ მეც ვხედავ, ტუჩებსაც იღებავს, თვალებსაც და პუდრსაც ხმარობს. მაგარი სანახავია. მაგრამ მთავარი ეს როდია. ვერაფრით მივმხვდარვარ, რა ხდება. ისე ლაპარაკობს, თითქოს ძალიან ბედნიერია...

ცოტა ხანს კიდევ ჩაფიქრდა და მერე მხრები აიჩჩა.

ბოგერტმა ავხორცულად ჩაიციხა და, უნდა ითქვას, რომ ორმოცდაათს გადაცილებული მცენიერის პირობაზე, მშვენივრადაც გამოუვიდა.

– იქნებ შეყვარებულია?

ეშმა ისევ მილულა თვალები.

– ხომ არ გაგიჟდით, ბოგი. წადით და ჰერბის მოელაპარაკეთ, მე კი ცოტა თვალს

მოვატყუებ.

– კარგი. ძალიანაც არ მიყვარს რობოტებისგან მითითების მიღება და არც მგონია, რომ ამის გაკეთება შეუძლია.

პასუხად ხმადაბალი ხვრინვა მოესმა.

ჰერბი ყურადღებით უსმენდა, სანამ ბოგერტი, ჯიბეებში ხელეზჩანყობილი, მოჩვენებითი გულგრილობით ლაპარაკობდა:

– მოკლედ, ასეა საქმე. მითხრეს, რომ შენ ასეთ რამეებში ერკვევი და უფრო ცნობისმოყვარეობის გამო გეკითხები. ჩემი მსჯელობა რამდენიმე საეჭვო რგოლს შეიცავს, რომლებზეც დოქტორი ლენინგი არ მეთანხმება. ასე რომ, სურათი ჯერ კიდევ არ არის სრული.

რობოტი ხმას არ იღებდა. ბოგერტმა ჰკითხა:

– აბა, რას იტყვი?

– შეცდომას ვერ ვხედავ, – ჰერბი ანგარიშებით გავსებულ ფურცელს ჩასცქეროდა.

– უფრო სიღრმისეულად ვერ ამიხსნი?

– როგორ გავხედავ. თქვენ ჩემზე უკეთესი მათემატიკოსი ბრძანდებით და... საერთოდ, მირჩევნია, თავი არ შევირცხვინო.

ბოგერტმა ოდნავ თვითკმაყოფილმა ჩაიციხა.

– ასეც ვფიქრობდი. რა თქმა უნდა, სერიოზული საკითხია. კარგი, გავატაროთ, – ფურცლები დატემა, ნაგვის გამტარში ჩაყარა და წასასვლელად შეტრიალდა, მაგრამ გადაიფიქრა.

– ჰო, მართლა...

რობოტი ყურადღებად იქცა. ჩანდა, ბოგერტი გაჭირვებით ეძებდა სიტყვებს.

– რალაცის თქმა მინდოდა კიდევ... ჰო, იქნებ შენ შეგძლებოდა...

გაჩუმდა. ჰერბიმ მშვიდად წარმოთქვა:

– აზრები გერევათ, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ დოქტორ ლენინგს შეეხება. ყოყმანი სისულელეა, მაგრამ როგორც კი დამშვიდდებით, მივხვდებით, რისი კითხვა გინდათ.

მათემატიკოსმა ანგარიშმიუცემლად გადაისვა ხელი გადასლექილ თმაზე.

– ლენინგი მალე სამოცდაათის გახდება, – თქვა მან, თითქოს ეს ხსნიდა ყველაფერს.

– ვიცი.

– და უკვე თითქმის ოცდაათი წელია, ქარხანას ხელმძღვანელობს.

ჰერბიმ თავი დაუქნია.

– ჰოდა, – ბოგერტის ხმაში თხოვნის კილო გაერია, – შენ ალბათ იცი... გადადგომაზე ხომ არ ფიქრობს, ვთქვათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ან სხვა მიზეზით...

– სწორედ ასეა, – მხოლოდ ეს თქვა ჰერბი.

– მართლა?

– რა თქმა უნდა.

– მაშინ... ჰმ... ხომ ვერ მეტყვი...

– რაკი მეკითხებით, გეტყვით, – რობოტი ისე ლაპარაკობდა, თითქოს განსაკუთრებული არაფერიყო, – მან უკვე დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე!

– რაო? – წამოსცდა უცებ ბოგერტს და წინ გადაიწია, – გაიმეორე!

– მან უკვე დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე, – გაისმა მშვიდი პასუხი, – მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში, რადგან მანამდე სურს, გადაჭრას... ჩემი... პრობლემა. როგორც კი ეს მოხდება, იგი მზადაა დირექტორის მოვალეობები თავის შემცვლელს გადააბაროს.

ბოგერტმა ღრმად ამოისუნთქა.

– მისი შემცვლელი ვინლა? – იგი ლამის ზედ მიეკრა ჰერბის, მოჯადოებულებით შეჰყურებდა გულგრილ, მოწითალო ფოტოელემენტებს, რომლებიც რობოტს თვალების მაგივრობას უწევდა.

აუჩქარებელი პასუხი გაისმა:

– მომავალი დირექტორი თქვენ ხართ.

დაძაბულობა ბოგერტის სახეზე თავდაჭერებულმა ღიმილმა შეცვალა:

– შესანიშნავია. დიდი ხანია ველოდი ამ ამბავს. გმადლობ, ჰერბი.

მთელი ის ღამე, დილის ხუთ საათამდე, პიტერ ბოგერტმა საწერ მაგიდასთან გაატარა. ცხრა საათზე ისევ შეუდგა მუშაობას. მაგიდის ზემოთ დაკიდებული თაროდან ხან ერთ ცნობარს ჩამოიღებდა, ხან მეორეს. ნელა, თითქმის შეუმჩნევლად იზრდებოდა გამზადებული ანგარიშების დასტა, იატაკზე კი დაჭმუჭნილი ქალაქების გროვა დგებოდა.

ზუსტად შუადღისას ბოგერტმა კიდევ ერთხელ შეამოწმა საბოლოო ჯამი, წამოწითლებული თვალელები მოიფშვნიტა, დაამთქნარა და გაიბმორა.

– ჯანდაბა, რაცდრო გადის, სულ უფრო რთულდება!

კარის ჭრიალზე მიტრიალდა და შემოსულ ლენინგს თავი დაუქნია. დირექტორმა თითების ტკაცუნით მოავლო თვალი არეულ ოთახს და წარბი შეიკრა.

– ახალი გზით წახვედით? – იკითხა მან.

– არა, – მოისმა გამომწვევი პასუხი, – ძველს რაღას უწუნებთ?

ლენინგს ხმა არ გაუცია. მხოლოდ ზერელედ გადაავლო თვალი ბოგერტის მაგიდაზე დადებულ სულ ზემოთა ფურცელს. მერე სიგარას მოქაჩა და თქვა:

– კელვინმა რობოტის თაობაზე რამე გითხრათ? გენიოსი მათემატიკოსი ყოფილა. ერთობ საინტერესოა.

ბოგერტმა ხმამაღლა ჩაიფხუკუნა.

– კი, გავიგე, მაგრამ კელვინს ურჩევნია, თავის ფსიქოლოგიას მიხედოს. შერბი მათემატიკაში უკვე შევამოწმე და ინტეგრალურ და დიფერენციალურ გამოთვლებსაც ძლივს გაართვა თავი.

– კელვინმა კი სხვა დასკვნა გამოიტანა.

– აფრენს.

– მეც სხვა დასკვნამდე მივდი, – დირექტორმა ავისმომასწავებლად მოჭუტა თვალები.

– თქვენ? – უხეშად მიახალა ბოგერტმა, – რაზე მელაპარაკებით?

– შერბის დილიდან ვამუშავებდი. ისეთი რაღაცების გაკეთება შეუძლია, თქვენ რომ არც კი გსმენიათ.

– ვითომ?

– არ გჯერათ? – ლენინგმა ჟილეტის ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და გაშალა, – ეს ჩემი კალიგრაფია არ არის. ხომ ასეა?

ბოგერტი მსხვილ, კუთხოვან ციფრებს დააცქერდა, რომლებბითაც ფურცელი იყო სავსე.

– შერბის ხელია?

– დიახ, და როგორც ხედავთ, დროის შესახებ თქვენი ოცდამეორე განტოლების ინტეგრირებაზეც იმუშავა. და მან, – ლენინგმა ყვითელი ფრჩხილი ბოლო სტრიქონზე დააკაკუნა, – ოთხჯერ უფრო სწრაფად მიიღო ჩემი შედეგი. უფლება არ გქონდათ, პოზიტრონული ბომბარდირებისას ლინგერის ეფექტისთვის გვერდი აგველოთ.

– სულაც არ ამივლია გვერდი. ბოლოს და ბოლოს, შეიგნეთ, ლენინგ, რომ ეს გამორიცხავს...

– ჰო, რა თქმა უნდა, ეს უკვე ახსენეთ. თქვენ მიტჩელის გარდამავალი განტოლება გამოიყენეთ, ასე არ არის? ჰოდა, სწორედ ეს იყო შეცდომა.

– რატომ?

– ჯერ ერთი, თქვენ სუპერნარმოსახვით იღებებე მუშაობთ.

– მერე ეგ რა შუაშია?

– მიტჩელის განტოლება გამოუსადეგარია, თუ...

– ხომ არ გაგიჟდით?! თუ ხელახლა გადაიკითხავთ თვითონ მიტჩელის სტატიას „ფარადეის საზოგადოების სიახლეებ“...

– საჭირო არ არის. მე თავიდანვე ვთქვი, რომ მისი მსჯელობის წყობა არ მომწონდა და ჰერბიც მეთანხმება.

– ჰოდა, რაკი მაგ მექანიკურმა ჯართმა გადაგიტრათ მთელი პრობლემა, – დაიყვირა ბოგერტმა, – ჩემნაირ არარაობაზე დროს რატომ ხარჯავთ?

– საქმე ისაა, რომ ჰერბის პრობლემის გადატრა არ შეუძლია. ჰოდა, თუ მას არ შეუძლია, ჩვენ მით უმეტეს. საკითხი ეროვნულ საბჭოში გადამაქვს. ჩვენ ვერაფერს გავხდებით.

ბოგერტი წამოხტა და სავარძელი გადააბრუნა. სახე ერთიანად წამოჭარხლებოდა.

– თქვენ ამას არ იზამთ!

ლენინგიც წამოენთო:

– თქვენ მიწყვეტ, რას ვიზამ და რას არა?

– სწორედაც! – უპასუხა ბოგერტმა და კბილები გააკრაჭუნა, – პრობლემა მე გადავწყვიტე, თქვენ კი წარმატებას ცხვირწინ ვერ ამაცლით, გასაგებია? არ გეგონოთ, თითქოს ვერ ვხედავდე, რა გაქვთ გულში. თქვენ გამოფიტული ნამარხი ხართ. რა თქმა უნდა, უმალ კისერს მოიჭრით, ვიდრე აღიარებდეთ, რომ რობოტების ტელეპათიის პრობლემა სწორედ მე გადავწყვიტე.

– ბრიყვი ხართ, ბოგერტ, რა უნდა გელაპარაკოთ. თუ თავს არ შეიკავებთ, სუბორდინაციის დარღვევისთვის სამსახურიდან გაგანთავისუფლებთ, – ლენინგი ისე იყო გაცოფებული, ტუჩები უკანკალებდა.

– ვერ მოგართვეს, ლენინგ. როცა გვერდით ამრების ამომკითხავი რობოტი გყავთ, საიდუმლოებაც აღარ არსებობს. ასე რომ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვიცი, თქვენი გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების ამბავი.

ლენინგის აკანკალებულ ხელში სიგარას ჯერ ფერფლი დასცვივდა, მერე თვითონ სიგარაც ფერფლს მიჰყვა.

– რაო, რა თქვით?

– რაც გაიგონეთ! – ბოროტად ჩაიცინა ბოგერტმა, – მე ვარ ახალი დირექტორი, გესმით? ეს უკვე ვიცი. ემზაკმა წაგიღოთ, ლენინგ! ამიერიდან აქაურობას მე ვუხელმძღვანელებ, თუ არა და, ისეთ ხათაბალაში გავხვევით, აქამდე რომ არც

დაგსიზმრებიან.

ლენინგს კვლავ დაუბრუნდა ლაპარაკის უნარი და იღრიალა:

– თქვენ მოხსნილი ხართ, გაიგეთ? თავისუფალი ბრძანდებით ყოველგვარი მოვალეობისგან! თქვენი კარიერა დამთავრდა, გესმით?!

ბოგერტმა უფრო ხმამაღლა გაიციხა.

– სულერთია, მაგით ვერაფერს მიაღწევთ. ყველა კოზირი ჩემს ხელშია. ვიცი, რომ გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერილი გაქვთ, თვითონ ჰერბიმ მითხრა ყველაფერი, მან კი თქვენგან გაიგო.

ლენინგმა ძლივს დაიშოშმინა თავი. თითქოს უცებ მოტყდა, დაღლილ სახეზე მკვდრისფერი დაედო.

– ჰერბის უნდა დაველაპარაკო. ასეთი რამის თქმა არ შეეძლო. დიდი თამაში წამოიწყეთ, ბოგერტ, მაგრამ თქვენს ჩანაფიქრს მაინც გამოვანაშკარავებ. წამომყევით.

ბოგერტმა მხრები აიჩეჩა.

– ჰერბისთან? სიამოვნებით. წავიდეთ, დალახვროს ეშმაკმა!

სწორედ იმ დღეს, ზუსტად შუადღისას, მილტონ ეშმა უხეშ მონახაბს თვალი მოაშორა და თქვა:

– მიმიხვდით? არც ისე კარგად გამომივიდა, მაგრამ დაახლოებითასეთი იქნება. მშვენიერი სახლია და თანაც თითქმის მუქნად მრჩება.

სიუზენ კელვინმა ნაზად შეხედა.

– მართლაც ლამაზია, – ამოიოხრა მან, – ისე ვოცნებობდი ასეთ... – სიტყვა დროულად განწყვიტა.

ეშმა ფანქარი გადადო და ხალისით განაგრძო:

– რა თქმა უნდა, შევებულებას უნდა დაველოდო. სულ ორი კვირაღა დარჩა, მაგრამ ამ ჰერბის ამბის გამო ყველაფერი ამერია, – თვალები დახარა და ფრჩხილები შეითვალიერა, – გარდა ამისა, არის კიდევ ერთი რაღაც, მაგრამ ეს საიდუმლოა.

– მაშინ ნუ იტყვი.

– ეჰ, სულ ერთია. გულში არ მეტყვა, მინდა, ვილაცას გავანდო. მგონი, ყველაფერს აჭობებს, თუ... ჰმ... თქვენ გაგიმხელთ, – თან გაუბედავად ჩაიციხა.

სიუზენ კელვინს გული აუფართხალდა, სუნთქვა შეიკრა, ხმის ამოღებისაგ კი ეშინოდა...

– სიმართლე რომ ითქვას, – ეში სკამიანად მიუჩოჩდა და ნდობით სავსე ჩურჩულით დაიწყო, – ეს სახლი მართლ ჩემთვის არ მინდა. დაქორწინებას ვაპირებ! რა მოგივიდათ? –

ეში წამოხტა.

– არა, არაფერი, – კელვინს უეცარმა თავბრუსხვევამ გაუარა, მაგრამ ენის მობრუნება უჭირდა, – ცოლს ირთავთ? გინდათ თქვათ...

– ჰო, რა თქმა უნდა, დრო არ არის თუ? გახსოვთ, ის გოგონა, შარშან ზაფხულს აქ რომ იყო, სწორედ იმას! ცუდად ხართ? თქვენ...

– თავი მტკივა... – სიუზენ კელვინმა სუსტი მოძრაობით მოიშორა მამაკაცი, – ამ ბოლო დროს... ხშირად მემართება ასე... მე მინდა... რა თქმა უნდა, გილოცავთ, ძალიან მიხარია...

უგემოვნოდ წასმული მაკიაჟი გაფითრებულ სახეზე უშნო ლაქებად დააჩნდა. კვლავ დატრიალდა ყველაფერი.

– მაპატიეთ... თუ შეიძლება... – ამოიღულულუდა და ბრმა ბარბაცით გავიდა ოთახიდან. კატასტროფა მოულოდნელად მოხდა, სიზმარით და ეს წარმოუდგენლად აუტანელი იყო.

მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? განა ჰერბი არ ამბობდა?.. ის ხომ აზრებს კითხულობს!

ქალი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა სუნთქვაშეკრულმა, კარს მიყრდნობილმა ჰერბის ლითონის სახე დაინახა. ვერც კი შეამჩნია, როგორ ავიდა ორი სართულით მაღლა, კიბეზე. ეს ერთ წამში მოხდა, როგორც სიზმარშია ხოლმე.

როგორც სიზმარში!

ჰერბის გაყინული თვალები პირდაპირ მას უყურებდნენ, მონითალო წრეები თითქოს ბუნდოვნად მანათობელ კოშმარულ სფეროებს დამსგავსებოდნენ.

ჰერბი რაღაცას ამბობდა და ქალმაც იგრძნო, როგორ შეეხო მის ტუჩებს ცივი წყლით სავსე ჭიქა. ერთი ყლუპი მოსვა, შეკრთა და ოდნავ გონსაც მოვიდა.

ჰერბი ისევ ლაპარაკობდა, ეტყობოდა, ღელავდა. მის ხმაში ტკივილი, შიში, ვედრება იგრძნობოდა. სიტყვებმა გონებამდე ნელ-ნელა მიიღწია.

– ეს მხოლოდ სიზმარია, – ამბობდა ჰერბი, – თქვენ მას არ უნდა დაუჭეროთ. მალე გამოერკვევით და საკუთარ თავზე გავცინებათ. თქვენ მას უეცარხართ, დამიჭერეთ, უეცარხართ! მაგრამ არა აქ! ახლა არა! ეს სამყარო – ილუზიაა...

სიუზენ კელვინი თავს უქნევდა და ჩურჩულებდა:

– ჰო, ჰო, რა თქმა უნდა... – ის ჰერბის ფოლადის ხელს ჩაფრენოდა, ეხუტებოდა და იმეორებდა, – ეს ხომ არ არის, მართალი? არ არის...

სიუზენს აღარ ახსოვს, როგორ გამოერკვა. თითქოს დაბინდული, არარეალური სამყაროდან მოულოდნელად მზის გულზე გამოვიდაო. უცებ თვალები გაუფართოვდა,

რობოტს ხელი ჰკრა და უყვირა:

– რის გაკეთებას ცდილობ? მიპასუხე, რას აკეთებ-მეთქი!

ჰერბიმ უკან დაიხია.

– მინდა, დაგეხმაროთ.

კელვინი რობოტს თვალებით ბურღავდა:

– დამეხმარო? როგორ? იმიტომ მეუბნები, სიზმარიაო? ცდილობ, შიზოფრენიკად მაქციო? – მან ისტერიულად დაიხია უკან, – ეს არ არის სიზმარი! ნეტავი იყოს! – ამოიოხრა უცებ, – მოიცა, მოიცა! აჰ! მესმის! ღმერთო ჩემო, ეს ხომ ასე აშკარაა...

რობოტის ხმაში შეძრწუნება გაისმა:

– ვალდებული ვიყავი...

– მეც რომ დაგიჭერე! აზრადაც არ მომსვლია...

კარს უკან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმა და სიუზენ კელვინი იძულებული გახდა, გაჩუმებულიყო. ხელები გაბრაზებით მომუშტა და შეტრიალდა. ბოგერტი და ლენინგი რომ შემოვიდნენ, უკვე ოთახის სიღრმეში, ფანჯრისკენ მიბრუნებული იდგა. მისთვის არც ერთს იოტისოდენა ყურადღებაც არ მიუქცევია.

ორივე ჰერბისთან მივიდა. გაცოფებული ლენინგი ძლივს იკავებდა თავს, ბოგერტი კი ცივი და გესლიანი იყო. სიჩუმე დირექტორმა დააარღვია:

– აბა, ჰერბი, ყური მიგდე!

რობოტი მოხუცი დირექტორისკენ შებრუნდა.

– გისმენთ, დოქტორო ლენინგ.

– შენ ელაპარაკე დოქტორ ბოგერტს ჩემს შესახებ?

– არა, სერ, – უპასუხა რობოტმა მცირე ყოყმანის შემდეგ.

ბოგერტს ღიმილი გაუქრა.

– რაო? – ბოგერტმა ნაბიჯი წადგა და რობოტს წინ აესვება, – გაიმეორე რა მითხარი გუშინ.

– მე ვთქვი, რომ... – ჰერბი დადუმდა. სადღაც, მისი მექანიზმის სიღრმეში, ლითონის რომელიღაც მემბრანა შეირხა და წყნარი, არათანაბარი ხმა გამოსცა.

– ხომ მითხარი, გადადგომის განცხადება დაწერაო! – უღრიალა ბოგერტმა, – მიპასუხე! – გაცოფებულმა ბოგერტმა რობოტსმუშტი მოუღერა, მაგრამ ლენინგმა შეაჩერა და განზე გასწია:

– გინდა, ძალით ათქმევინო ტყუილი?

– ხომ გაიგონეთ, ლენინგ, ის იყო, უნდა ეთქვა, მაგრამ დადუმდა. მომეცალეთ! მინდა სიმართლე მითხრას, გასაგებია?

– მე თვითონ ვკითხავ! – ლენინგი რობოტს მიუბრუნდა, – კარგი, ჰერბი, მშვიდად მიპასუხე. მე თანამდებობიდან გადავდექი?

ჰერბი ხმის ამოუღებლად შესცქეროდა, ლენინგმა დაჟინებით გაუმეორა:

– შენ გეკითხები, დავწერე თუ არა გადადგომის შესახებ განცხადება?

რობოტმა უარის ნიშნად სულ ოდნავ გააქნია თავი. სხვა პასუხი ვერასგზით ამოგლიჯეს. მეცნიერებმა მოსისხლე მტრებივით ჭიქურ შეხედეს ერთმანეთს.

– რა ჯანდაბა მოუვიდა! – გამოცრა ბოგერტმა, – დამუნჯდა თუ რა სჭირს? ეი, შენ, მახინჯო, ენა ჩავივარდა?

– ენა არ ჩამვარდნია, – დაუზარელად უპასუხა რობოტმა.

– მაშინ მიპასუხე, მითხარი თუ არა, ლენინგი გადადგომას აპირებსო, მითხარი თუ არა? ისევ დუმილი ჩამოვარდა. უცებ ოთახის შორეული კუთხიდან სიუზენ კელვინის სიცილი გაისმა – მკვეთრი, არაბუნებრივი, თითქმის ისტერიული. მათემატიკოსები შეკრთნენ, ბოგერტმა თვალები მოჭუტა.

– თქვენც აქ ხართ? რა ნახეთ სასაცილო?

– არაფერი, – უპასუხა ქალმა, ძლივს დაიოკა თავი, – თურმე მარტო მე როდი გავბმულვარ მახეში. მსოფლიოში სამი უდიდესი რობოტიკოსი ერთსა და იმავე მარტივ ხაფანგში აღმოჩნდა, ბედის ირონიაა, არა? – მან უფერული ხელი შუბლზე გადაისვა და წყნარად დაამატა, – მაგრამ ეს სასაცილო როდია!

მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს, ოლონდ, ამჯერად ორივემ გაოცებით.

– რა ხაფანგზე ლაპარაკობთ? – ჰკითხა ლენინგმა ნაძალადევი ღიმილით, – ჰერბის დაემართა რამე?

– არა, – ქალი ნელა მიუახლოვდა მათ, – მას არაფერი სჭირს, ჩვენი ბრალია ყველაფერი.

იგი მოულოდნელად რობოტს მიუბრუნდა და დაჰკვივლა:

– გაეთრიე! ოთახის ბოლოში წადი და თვალთ არ დამენახო!

მისმა მრისხანებამ ჰერბის თავბარი დასცა და სასწრაფოდ გაეცალა.

– რას ნიშნავს ეს, დოქტორო კელვინ? – ბრაზიანად შეუღრინა ლენინგმა.

კელვინმა სარკასტულად გამოცრა:

– თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ რობოტიკის პირველი კანონი.

– რა საკითხავია, – აღელვებით უპასუხა ბოგერტმა, – „რობოტს არ შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანს, ან უმოქმედოდ იყოს, როცა ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია“.

– რა მშვენივრადაა ნათქვამი, – დაცინვით განაგრძო კელვინმა, – მერე და რა ზიანი იგულისხმება ამაში?

– ნებისმიერი!

– ჰოდა, მეც მანდ ვარ – ნებისმიერი! იმედგაცრუება, საკუთარი თავისადმი რწმენის შერყევა, ოცნებების დამსხვრევა, აყენებს თუ არა ზიანს ადამიანს?

– კი, მაგრამ, რობოტმა საიდან უნდა იცოდეს...

და უცებ შეცბა.

– მიხვდით? მადლობა ღმერთს! ეს რობოტი ხომ ამრებს კითხულობს, – განაგრძო კელვინმა, – გგონიათ, არ იცის, რა სწყინს ადამიანს? ფიქრობთ, თუ ჰკითხავთ, იმას არ გიპასუხებთ, რისი მოსმენაც გინდათ? განა ყველა სხვა პასუხი უსიამოვნო არ იქნება და წყენას არ მოგაყენებთ? ჰერბიმ ეს მშვენივრად იცის.

– ღმერთო, – ამოილულულულა ბოგერტმა.

კელვინმა დამცინავად გადახედა.

– თქვენ ალბათ ჰკითხეთ, გადადგა თუ არა ლენინგი? პასუხად გინდოდათ გაგეგონათ „დიას“ და ჰერბიმაც სწორედ ასე გიპასუხათ.

– ალბათ სწორედ მაგიტომ ველარაფერი გვითხრა ახლა, – თქვა ლენინგმა უემოციოდ, – არ შეეძლო ისეთი პასუხი მოეცა, ერთ-ერთ ჩვენგანს მაინც რომ არ სწყენოდა.

ხანმოკლე დუმილი ჩამოვარდა. მამაკაცები დაფიქრებით უყურებდნენ რობოტს, რომელიც წიგნების კარადის წინ თავის სავარძელში ჩამჭდარიყო და თავი ხელებში ჩაერგო.

სიუზენ კელვინი ჭიუტად ჩასცქეროდა იატაკს.

– მან ეს ყველაფერი იცოდა. ამ... სატანამ ყველაფერი იცის – ისიც კი, თუ რა დაემართა აწყობის დროს.

ლენინგმა კელვინს შეხედა:

– ამაში კი ცდებით, დოქტორო კელვინ. არ იცის, რა მოხდა. ამის შესახებ უკვე ვკითხე.

– მერე რა? – ხმას აუწია კელვინმა, – თქვენ, უბრალოდ არ გსურდათ, რომ სახელდობრ მას გადაეჭრა ეს პრობლემა. თუ მანქანა გააკეთებდა იმას, რაც თავად ვერ შეძელით, ეს საკუთარ თავალში დაგამცირებდათ. თქვენც ჰკითხეთ? – მიუბრუნდა ახლა ბოგერტს.

– რაღაც თვალსაზრისით... – ბოგერტმა ჩაახველა და განითლდა, – მაგრამ მითხრა, მათემატიკაში ბევრი არაფერი გამეგებო.

ლენინგმა ხმამაღლა გაიცინა, კელვინმა კი გესლიანად ჩაიცინა და თქვა:

– მე ვკითხავ, მისი პასუხი ჩემს ეგოს ნამდვილად არ დააზარალებს, – კელვინმა ხმამაღლა, ბრძანების კილოთი გასძახა რობოტს, – აქ მოდი!

ჰერბი ადგა და გაუბედავად მიუახლოვდა კელვინს.

– ფიქრობ, კარგად იცი, შენი აწყობის რომელ მომენტში გაჩნდა გარე, ან გამოტოვებულ იქნა ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი.

– დიახ, ვიცი, – ძლივს გასაგონად წარმოთქვა ჰერბიმ.

– მოითმინეთ, – გაბრაზებით ჩაერიო ბოგერტი, – იქნებ ესეც არ არის მართალი? თქვენ გინდათ, რომ სწორედ ეს პასუხი მოისმინოთ და სულ ესაა.

– ნუ სულელობ, – შეუღრინა კელვინმა, – მათემატიკა, თქვენსა და ლენინგზე უკეთესად მაინც იცის, რაკი აზრების ამოკითხვა შეუძლია, ხელს ნუ უშლით.

მათემატიკოსი გაჩუმდა. კელვინმა განაგრძო:

– აბა, ჰერბი, მიდი! გელოდებით! ფურცელი და კალამი მოიმარჯვეთ, ბატონებო!

მაგრამ ჰერბი ხმას არ იღებდა. ფსიქოლოგი აშკარად აღგზნებული იყო.

– რატომ არ გვპასუხობ, ჰერბი?

რობოტმა უხალისოდ ამოღერღა:

– არ შემიძლია, თქვენ ხომ იცით, რომ არ შემიძლია! დოქტორ ბოგერტსა და დოქტორ ლენინგს არ სურთ!

– ამ პრობლემის გადაწყვეტა მათაც უნდათ.

– მაგრამ არა ჩემგან.

ლენინგმა ნელა, გამოკვეთილად წარმოთქვა:

– ნუ სულელობ, ჰერბი, ჩვენც გვინდა, რომ თქვა.

ბოგერტმაც თავი დაუქნია.

ჰერბის ხმაში სასოწარკვეთილება ისმოდა:

– რატომ ამბობთ ასე? ნუთუ არ გესმით, რომ მე თქვენი ტვინის ქერქის მიღმა ვიყურები? იქ, სიღრმეში, ჩემგან ამის გაგება არ გინდათ. მე ვარ მანქანა, რომელსაც ადამიანის მიერ დამზადებულ ტვინში მიმდინარე პოზიტრონული ურთიერთმოქმედებანი აცოცხლებს. თქვენ არ შეგიძლიათ არ იგრძნოთ დამცირება, თუ რაღაცით ჩემზე სუსტნი აღმოჩნდებით. ეს განცდა თქვენს ტვინში ღრმად არის გამჭდარი და მისი წაშლა

შეუძლებელია. ამიტომ პრობლემის გადაწყვეტის გზას მე ვერ გიკარნახებთ.

– ჩვენ წავალთ, – უთხრა ლენინგმა, – და კელვინს უთხარი.

– სულერთია, – წამოიყვირა ჰერბიმ, – თქვენ ხომ გეცოდინებათ, რომ პასუხი ჩემგან მოდის.

– მაგრამ ხომ გესმის, ჰერბი, – ჩაერია კელვინი, – მიუხედავად ამისა, დოქტორ ლენინგსა და დოქტორ ბოგერტს პრობლემის გადაწყვეტა უნდათ!

– მაგრამ მათ უნდათ, პრობლემა თავად გადაწყვიტონ! – არ ნებდებოდა ჰერბი.

– მათ ის უფრო გაანაწყენებს, თუ არაფერს იტყვი, მიუხედავად იმისა, რომ გამოსავლის შესახებ იცი, გამიგე?

– ჰო! ჰო!

– თუ ეტყვი ისიც არ ესია მოვინებათ.

– ჰო, ვიცი!

ჰერბი ნელ-ნელა უკან იხევდა. მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა სიუზენ კელვინი. გაოცებისგან გაქვავებული მამაკაცები ხმაგაკმენდილები შეჰყურებდნენ.

– თქმა არ შეგიძლია, – ნელა იმეორებდა კელვინი, – იმიტომ, რომ გაანაწყენებ, რაც შენგან დაუშვებელია, მაგრამ თუ არ ეტყვი, მაინც ეწყინებათ. ასე რომ, უნდა უთხრა. თუ ეტყვი, განაწყენდებიან, შენ კი მათ არ უნდა აწყენინო. ასე რომ, არ შეგიძლია, უთხრა. მაგრამ თუ არ ეტყვი, ამით ავნებ. გამოდის, რომ, უნდა უთხრა. მაგრამ თუ ეტყვი, ავნებ, ასე რომ, არ უნდა უთხრა, მაგრამ თუ არ ეტყვი, შენ...

ჰერბი ზურგით კედელს მიეყრდნო, მერე კი მძიმედ დაეცა მუხლებზე.

– შეწყვიტეთ! დამალეთ თქვენი აზრები! ისინი სავსეა ტკივილით, დამცირებით, სიძულვილით! მე ასე არ მინდოდა! მხოლოდ მსურდა, დაგხმარებოდით. ვამბობდი იმას, რაც თქვენ გინდოდათ მოგესმინათ. ასე უნდა მექნა!... სხვანაირად არ შემეძლო!...

მაგრამ კელვინი თავისას განაგრძობდა:

– უნდა უთხრა, მაგრამ, თუ ეტყვი, ავნებ. ასე რომ, არ უნდა უთხრა. მაგრამ თუ არ ეტყვი, ამითაც ავნებ. ასე რომ...

ჰერბიმ საშინლად შეჰყვირა. ეს ყვირილი ფლეიტის მრავალჯერ გაძლიერებულ ბგერას წააგავდა. ხმა უფრო და უფრო იკვეთებოდა, მასში დაღუპული სულის განწირულება მოისმოდა. გამჭოლი ბგერა მთელ ოთახს ავსებდა...

როცა კვილი მიწყდა, ჰერბი იატაკზე დაეცა და უძრავი ლითონის უფორმო გროვად იქცა.

ბოგერტი გაფითრდა:

– მოკვდა!

– არა! – სიუზენ კელვინს გაშმაგებული, ველური ხარხარი აუტყდა, – არ არის მკვდარი! უბრალოდ, გაგიჟდა. მე ის ამოუხსნელი დილემის წინაშე დაგაყენე და ვერ გაუძლო. შეგიძლიათ ჯართად ჩააბაროთ – ველარასოდეს ველარაფერს იტყვის.

ლენინგი იმ გროვისკენ დაიხარა, რასაც ადრე ჰერბი ერქვა. ცივ უძრავ ლითონს ხელი შეახო და შეაკანკალა.

– თქვენ ეს განგებ ჩაიდინეთ!

ადგა და დამახინჯებული სახე ქალისკენ მიაბრუნა.

– თუნდაც ასე იყოს, მერე? ახლა ველარაფერს უშველი, – მერე უეცრად მოწოლილი ბოლმით დაუმატა, – დაიმსახურა!

დირექტორმა ერთ ადგილას გაქვავებულ ბოგერტს ხელზე მოჰკიდა.

– რა განსხვავებაა. პიტერ, წამოდით! – ამოიოხრა, – ასეთი რობოტისგან მაინც ველარაფერს გაიგებთ, – თვალეში დაღლილობა ეტყობოდა. ისევ გაიმეორა, – წამოდით, პიტერ!

მეცნიერების წასვლიდან კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე სიუზენ კელვინი გონს მოეგებოდა. ცოცხალმკვდარ ჰერბის შეხედა. სახეზე კვლავ მღელვარებამ გადაუარა. დიდხანს უყურებდა რობოტს. ბოლოს წამიერი ტრიუმფი სახიდან ჩამოერეცხა და იმედგაცრუება დაეუფლა. მთელი მისი მღელვარება და შემოჭარული ფიქრები ერთ უსასრულოდ მწარე სიტყვაში გადმოიღვარა:

– მატყუარა!

ეს ამბავი ასე დასრულდა. ვიცოდი, რომ მეტი ველარაფერს ამოვქაჩავდი. იგი მაგიდასთან ჩუმად, მოგონებებში ჩაძირული, იჭდა. ფერმკრთალ სახეზე გულგრილობა აღბეჭდოდა.

ბოლოს ვუთხარი:

– გმადლობთ, დოქტორო კელვინ.

მაგრამ პასუხი არგაუცია. მისი ხელმეორედ ნახვა მხოლოდ ორი დღის შემდეგ მოვახერხე.

სიუზენ კელვინს თავისი კაბინეტის კართან შევხვდი, საიდანაც კარადები გამოჰქონდათ.

– აბა, როგორ მიდის თქვენი სტატიების ამბავი, ახალგაზრდავ?

– შესანიშნავად, – მივუგე, – შეძლებისდაგვარად დავამუშავე, ჩონჩხს ხორცი შევასხი,

დიალოგებით შევავსე და ზოგიერთი წერილმანაც დავუმატე. იქნებ გადაგეხედათ, რომ უნებლიეთ სადმე რაიმე უზუსტობა არ გამეპაროს.

– დიახ, ეს მართლაც საჭიროა. დასასვენებელ ოთახში წამოდი. იქ ყავის დალევაც შეიძლება.

ეტყობოდა, კარგ გუნებაზე იყო, ამიტომ, სანამ დერეფანში მივდიოდით, გავუბედე:

– რალაც მინდოდა მეკითხა, დოქტორო კელვინ.

– დიახ.

– რობოტიკის ისტორიიდან იქნებ კიდევ მიაშობოთ რამე?

– მგონი უკვე ყველაფერი მოგიყვით.

– კი, მაგრამ აი, თანამედროვე დროზე ძალიან მცირე მასალა მაქვს. ის რობოტი, აზრებს რომ კითხულობდა, ერთადერთი იყო, პლანეტთშორისი სადგურები კარგა ხანია არააქტუალურია, შახტებში მომუშავე რობოტებს კი ყველა მიეჩვია. მე მაინტერესებს, რა აზრისა ხართ ვარსკვლავთშორის მოგზაურობებზე, ჰიპერატომური ძრავაც ხომ მხოლოდ ამ ოცი წლის წინ გამოიგონეს და ყველამ იცის, ეს რობოტიკის სფეროს უდიდესი მიღწევა იყო. სინამდვილეში ეს ყველაფერი როგორ მოხდა?

– ვარსკვლავთშორისი მოგზაურობები გაინტერესებთ? – ჩაფიქრებით თქვა მან.

ჩვენ უკვე დასასვენებელ ოთახში ვისხედით. მე სადილი შევუკვეთე, დოქტორი კელვინი მხოლოდ ყავას შეექცეოდა.

– იცით, ეს უბრალოდ რობოტიკის გამოგონება არ იყო. ასე მარტივად არ ყოფილა. ვიდრე ბრინი არ შევქმენით, ამ მიმართულებით არც ისე დიდი პროგრესი გვქონდა. თუმცა კი ვცდილობდით, მართლა ვცდილობდით. ვარსკვლავთშორის გამოკვლევებთან შეხება კი პირველად 2029 წელს მომიხდა, როცა ერთი რობოტი დაგვეკარგა...

პატარა დაკარგული რობოტი

ჰიპერბაზაზე სასწრაფო ზომები ისტერიკისა და სასოწარკვეთილი შეძახილების ფონზე მიიღეს. ერთი მეორეზე უკიდურესი ნაბიჯები შემდეგი თანმიმდევრობით გადადგეს:

1. მთლიანად შეწყვიტეს მუშაობა ზეატომური ძრავის პროექტზე კოსმოსის მთელ იმ ნაწილში, რომელიც ოცდამეშვიდე ასტეროიდული ჯგუფის სადგურებს ეკავა.

2. ეს სივრცე პრაქტიკულად მთლიანად გამოაცალკევეს სისტემისგან. საგანგებო ნებართვის გარეშე იქ შესვლა არავის შეეძლო, გამოსვლა კი ნებისმიერი მიზეზით აკრძალეს.

3. ხელისუფლების საგანგებო საპატრულო ხომალდმა ჰიპერბაზაზე „იუ ეს რობოტს ენდ მექანიკალ მენ კორპორეიშენის“ უფროსი რობოტოფსიქოლოგი, დოქტორი სიუზენ კელვინი და მთავარი მათემატიკოსი, დოქტორი პიტერ ბოგერტი მიიყვანა.

სიუზენ კელვინს აქამდე არასოდეს დაეტოვებინა დედამიწა. არც ამჯერად ჰქონდა სურვილი, სადმე წასულიყო. ატომური ენერჯის საუკუნეში, ზეატომური ძრავის საიდუმლოს ამოხსნის მოახლოების პირობებშიც კი მშვიდი პროვინციელის როლში დარჩენას ამჯობინებდა. ამიტომ უკმაყოფილო იყო და ეს გაფრენა არც ისე აუცილებლადაც მიაჩნდა. უკმაყოფილება აშკარად ეწერა უსანდომო, მობერებულ სახეზე, როცა ჰიპერბაზაზე პირველად სადილობდა.

ფერმკრთალი და თმაგადასლექილი დოქტორი ბოგერტი გამოცდილი თაღლითივით გამოპრანჭულიყო, გენერალმაიორი კელნერი კი სახიდან განწირულის გამომეტყველებას არ იშორებდა. მოკლედ, სადილმა საკმაოდ უღიმღამოდ ჩაიარა. ნასადილევს მოწვეული პატარა თათბირიც პირქუშად და უსიამოვნოდ დაიწყო.

კელნერმა, რომელსაც მელოტი თავი უშნოდ ულაპლაპებდა, ხოლო მისი სააღლუმო ფორმა სულაც არ ესადაგებოდა საერთო განწყობილებას, ნაძალადევი პირდაპირობით დაიწყო:

– ძალზე უცნაური ამბავია, სერ... და მადამ. მადლობელი ვარ, რომ ოპერატიულად მობრძანდით ისე, რომ გამოძახების მიზეზი არც კი იცოდით. საქმე ისაა, რომ რობოტი დაგვეკარგა. სამუშაოები შეწყვიტეთ და სანამ არ ვიპოვით, ვერც განვაახლებთ. ჩვენი ძალებით ვერაფერს გავხდით და სპეციალისტების გამოძახება დაგვჭირდა.

გენერალს მოეჩვენა, რომ მისი გასაჭირი, ერთი შეხედვით, არც ისე სერიოზული ჩანდა, ამიტომ სასოწარკვეთილი ხმით განაგრძო:

– ვფიქრობ, არ დამჭირდება იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობისაა ჩვენი საქმიანობა. შარშან საკვლევ-საძიებო სამუშაოებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ოთხმოც პროცენტზე მეტი ჩვენ მივიღეთ...

– ვიცით, – თქვა ბოგერტმა გულკეთილი სახით, – „იუ ეს რობოტსაც“ გულუხვად უნაზღაურებენ აქ მომუშავე რობოტების საფასურს.

სიუზენ კელვინი მკვახედ, ყოველგვარი თავაზიანობის გარეშე ჩაერია:

– რატომაა ის ერთი რობოტი პროექტისთვის ასე მნიშვნელოვანი და რატომ ვერ პოულობთ?

გენერალმა წამოჭარხლებული სახე მისკვნ მიაბრუნა და სწრაფად მოილოკა ტუჩები.

– სიმართლე გითხრათ, ჩვენ ის... ვიპოვეთ, მაგრამ... მომისმინეთ, ახლავე აგიხსნით ყველაფერს. როგორც კი რობოტი გაქრა, საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადეთ და შიპერბაზაზე ყოველგვარი მუშაობა შევწყვიტეთ. ერთი დღით ადრე ბაზაზე სატვირთო ხომალდი მოფრინდა, რომელმაც ჩვენი ლაბორატორიისთვის ორი ახალი რობოტი მოიტანა. მათ გარდა ხომალდზე კიდევ სამოცდაორი რობოტი იყო... ჰმ... იმავე ტიპისა, რომლებიც სხვაგან წასაღებად იყო გამიზნული. ეს ციფრი ახლაც აბსოლუტურად ზუსტია, არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

– ჰო? კი მაგრამ, რა კავშირი აქვს ამას...

– რობოტი რომ დაიკარგა და ვეღარსად ვიპოვეთ, თუმცა გარწმუნებთ, ნემსი რომ ნემსია, ჩვენთან ისიც არ დაიკარგება, გადავწყვიტეთ, სატვირთო ხომალდზე დარჩენილი რობოტები დაგვეთვალა. ახლა იქ სამოცდასამი რობოტია.

– ამრიგად, სამოცდამესამე თქვენი უძღვები რობოტია, არა? – დოქტორ კელვინს თვალები დაებინდა.

– დიახ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვერაფრით გამოვიცანით, მათ შორის რომელია ეს სამოცდამესამე.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ელექტროსაათმა თერთმეტჯერ დაიწკაპუნა.

– საინტერესო ამბავია! – წარმოთქვა დოქტორმა კელვინმა. მერე კოლეგას მიუბრუნდა და მკაცრად ჰკითხა, – პიტერ, გამარკვიეთ, რა ხდება? რომელი რობოტები მუშაობენ აქ?

დოქტორი ბოგერტი შეყოყმანდა და გაუბედავად გაიღიმა:

– როგორ აგიხსნათ, სიუზენ, ეს ცოტა საჩოთირო საქმეა, რომელიც ამ მომენტამდე დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა...

ქალმა მოუთმენლად შეაწყვეტინა:

– მხოლოდ ამ მომენტამდე? სამოცდასამი ერთნაირი რობოტი გვყავს და მაინცდამაინც იმ ერთს რატომ ვეძებთ – ამ სამოცდასამიდან ნებისმიერი ამოირჩიეთ და ეგაა. რა ხდება? აქ რისთვის დაგვიბარეს?

ბოგერტმა მორჩილად უპასუხა:

– ნება მომეცით, აგისხნათ, სიუზენ. ჰიპერბაზაზე რამდენიმე ისეთ რობოტს იყენებენ, რომლებშიც პირველი კანონი მთლიანად არ არის ჩატვირთული.

– მთლიანად არ არის ჩატვირთული?! – კელვინი სავარძლის ზურგს მიენარცხა, – გასაგებია. ასეთი სულ რამდენია?

– ცოტა. ეს მთავრობის დავალება იყო და ამ საიდუმლოს გამჟღავნების უფლება არ გვქონდა. ეს ამბავი არავის უნდა სცოდნოდა, გარდა უმაღლესი ხელმძღვანელობისა, ვისაც პირდაპირ ევალებოდა ეს ამბები. თქვენ მათ რიცხვში არ იყავით. მე არაფერ შუაში ვარ...

– შევეცდები, ოდნავ მაინც აგისხნათ, – გაბედულად ჩაერია გენერალი, – წარმოდგენა არ მქონდა, თუ დოქტორი კელვინი საქმის კურსში არ იყო. დოქტორო კელვინ, თქვენ იმის ახსნა არ გჭირდებათ, რომ დედამიწაზე რობოტების გამოყენების იდეა ყოველთვის დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. რადიკალურად განწყობილი ფუნდამენტალისტებისდამშვიდება მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო – კერძოდ იმას, რომ ყველა რობოტში საფუძვლიანად იტვირთებოდა პირველი კანონი, რომელიც რობოტს ადამიანისთვის ზიანის მიყენების ყველანაირ ალბათობას უსპობს.

მაგრამ ჩვენ განსხვავებული რობოტები გვჭირდებოდა. ამიტომ ენ ეს-2 მოდელის რობოტებისთვის პირველი კანონის ფორმულირება ოდნავ შეიცვალა. საიდუმლოება რომ არ გამჟღავნებულიყო, ყველა ენ ეს-2 რიგითი ნომრის გარეშე გამოდის. მოდიფიცირებულ რობოტებს ჩვეულებრივებთან ერთად გვიგზავნიან და, რა თქმა უნდა, მათ მკაცრად უკრძალავენ საკუთარი განსხვავების შესახებ ლაპარაკს, მით უფრო, სხვა რობოტებისთვის გამჟღავნებას, გარდა საგანგებო უფლებამოსილების მქონე ადამიანებისა, – მან დაბნეულად გაიღიმა, – ახლა კი ეს ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ შეტრიალდა.

კელვინმა კუმტად იკითხა:

– ის სამოცდასამი რობოტი თუ დაკითხეთ? ვიმედოვნებ, თქვენ მაინც გაგაჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება.

გენერალმა თავი დაუქნია.

– სამოცდასამივე ერთხმად უარყოფს, რომ აქ მუშაობდა. მათ შორის ერთ-ერთი ტყუის.

– რომელსაც ეძებთ, მუშაობის განმავლობაში მიღებული ნაკაწრები ან სხვა კვალი ხომ არ აქვს? დანარჩენები, რამდენადაც გავიგე, სრულიად ახლები არიან.

– ისიც მხოლოდ ერთი თვის წინაა მიღებული. ის და ეს ორი, რომლებიც ახლა მივიღეთ, უკანასკნელები უნდა ყოფილიყვნენ. გაცვეთის არავითარი შესამჩნევი კვალი არ ეტყობათ, – მან ნელა გადააქნია თავი და თვალელებში კვლავ სასონარკვეთილება გაუკრთა, – დოქტორო კელვინ, ამ ხომალდს ჩვენ ვერ გავამგზავრებთ, სანამ... პირველი კანონის გარეშე გამოშვებული რობოტების შესახებ ხმა რომ გავრცელდეს...

რა დასკვნაც უნდა გაეკეთებინა, მოსალოდნელ შედეგს ვერაფრით გადაამეტებდა.

– სამოცდასამივე გაანადგურეთ, – გულგრილად და გადაჭრით თქვა დოქტორმა კელვინმა, – და ამით დამთავრდება ყველაფერი.

ბოგერტი მოიღუშა.

– ეს ნიშნავს, გავანადგურეთ სამოცდასამჯერ ოცდაათი ათასი დოლარი. არა მგონია, კომპანია ამ პირობას დათანხმდეს. სიუზენ, გვირჩევნია, სხვა რამ მოვიფიქროთ.

– მაშინ დეტალები მჭირდება, – მკვახედ უთხრა ქალმა, – სახელდობრ, რა უპირატესობა აქვთ ამ მოდიფიცირებულ რობოტებს ჰიპერბაზისთვის? გენერალო, რამ გამოიწვია ასეთი რობოტების შექმნის აუცილებლობა?

კელნერმა შუბლი შეიჭმუხნა და კეფა მოიფხანა.

– ჩვეულებრივ რობოტებთან თანამშრომლობა ცოტა გაგვიჭირდა. იცით, ჩვენს მუშებს ძლიერი გამოსხივების პირობებში უხდებოდა მუშაობა. რა თქმა უნდა, ეს საშიშია, თუმცა სიფრთხილის ყველა ზომას ვიღებთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორი უბედური შემთხვევა დაფიქსირდა და ისინიც კეთილად დამთავრდა. მაგრამ ჩვეულებრივ რობოტებს ამას ვერ აუხსნი. პირველი კანონი ამბობს: „არც ერთ რობოტს არ შეუძლია, ზიანი მიაყენოს ადამიანს, ან უმოქმედოდ იყოს მაშინ, როცა ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია“. მათთვის ესაა მთავარი. ჰოდა, როცა ჩვენი რომელიმე მუშა, თუნდაც სულ მცირე ხნით, სუსტი გამაგამოსხივების ქვეშ მუშაობდა, რაც ადამიანის ორგანიზმისთვის არც ისე საზიანოა, უახლოესი რობოტი მის გადასარჩენად გარბოდა და უსაფრთხო ადგილას გადაჰყავდა. თუ გამოსხივება სუსტი იყო, რობოტები ამას ახერხებდნენ და ვიდრე იქაურობას არ მოვაშორებდით, სამუშაო პროცესი ჩერდებოდა. ხოლო თუ გამოსხივება უფრო ძლიერი იყო, რობოტის ძვირადღირებულ პოზიტრონულ ტვინი ნადგურდებოდა და ვკარგავდით მანქანას, რომლის ჩანაცვლება ძვირიც იყო და რთულიც.

ბევრს ვეცადეთ, რობოტები დაგვეყოლიებინა. ისინი კი გვიმტკიცებდნენ,

გამაგამოსხივება ადამიანის სიცოცხლეს ემუქრებაო. მათთვის გაუგებარია, რომ ადამიანს თავისუფლად შეუძლია, ამ გამოსხივებაში ნახევარი საათი დაჰყოს და არაფერი დაუშავდეს. ხომ შეიძლება, ამბობდნენ რობოტები, ადამიანს დაავიწყდეს და გამოსხივების ქვეშ მთელი საათი დარჩეს. რისკის უფლება არ გვაქვსო. ჩვენ კი ვუხსნიდით, რომ ისინი თავიანთ სიცოცხლეს იგდებდნენ საფრთხეში მაშინ, როცა ადამიანის გადარჩენის შანსი მცირე იყო. მაგრამ საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვა რობოტიკის მხოლოდ მესამე კანონია, წინა პლანზე პირველი კანონი დგას, რომელიც ადამიანის უსაფრთხოებას იცავს. ჩვენ წინაშე იდგა პრობლემა: ან რობოტებს უნდა შევლევოდით, ან პირველი კანონისთვის რაიმე მოგვეხერხებინა. არჩევანი გავაკეთეთ.

– ვერ ვიტყვით, – თქვა დოქტორმა კელვინმა, – რომ პირველი კანონისთვის გვერდის ავლა შესაძლებლად მიგაჩნიათ.

– ჩვენ ის ოდნავ შეცვალეთ, – აუხსნა კელვინმა, – პოზიტრონული ტვინის რამდენიმე ეგზემპლარი დავამზადეთ, რომელშიც პირველი კანონის მხოლოდ ერთი ნაწილი ჩავტვირთეთ: „არც ერთ რობოტს არ შეუძლია, ბიანი მიაყენოს ადამიანს“. სულ ესაა. ამრიგად ეს რობოტები აღარ გარბიან, რათა ადამიანს გარეშე საფრთხე ააშორონ, მაგალითად, გამაგამოსხივება. სწორს ვამბობ თუ არა, დოქტორო ბოგერტ?

– სავსებით, – დაუკრა კვერი მათემატიკოსმა.

– მაშ, თქვენი რობოტები ჩვეულებრივი ენ ეს-2 მოდელისგან მხოლოდ ამით განსხვავდებიან? მხოლოდ ამით, პიტერ?

– დიახ, სიუზენ, მხოლოდ ამით განსხვავდებიან.

კელვინი ადგა და გადაჭრით განაცხადა:

– ახლა დავიძინებ. რვა საათის შემდეგ მინდა მათ დაველაპარაკო, ვინც უკანასკნელმა ნახა რობოტი. და იმ წუთიდან, გენერალო კელვინ, თუ გინდათ, რომ ამ საქმეში პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ავიღო, გამოძიებას პირადადუნდა ვუხელმძღვანელო.

სიუზენ კელვინს მთელი ღამე არ დაუძინია. მხოლოდ ორი საათით ჩათვლიმა, ისიც მოუსვენრად. ადგილობრივი დროით შვიდ საათზე ბოგერტს მიუკაკუნა კარზე. ისიც ამდგარიყო. ჰიპერბაზაზე საშინაო ხალათიც კი წამოეღო და ახლა სწორედ შინაურულად ჩაცმული დახვდა. სიუზენი რომ შემოვიდა, ნუნების მაკრატელი გვერდზე გადადო და რბილად უთხრა:

– ველოდი, რომ მესტუმრებოდით. ამ ყველაფრის გამო თავს ცუდად გრძნობთ, არა?

– დიახ.

– მაპატიეთ. სხვანაირად არ შეგვეძლო. ჰიპერბაზაზე რომ გამოგვიძახეს, გულში გამკრა, ალბათ გადაკეთებულ რობოტებს რაღაც შეემთხვა-მეთქი. მაგრამ რა უნდა მექნა? გზაშიც ვერაფერი გითხარით, რადგან ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი. ხომ იცით, ეს საქმე მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

– მე ყველაფერი უნდა მცოდნოდა. „იუ ეს რობოტს“ არ ჰქონდა უფლება, პოზიტრონულ ტვინში ასეთი ცვლილებები რობოტოფსიქოლოგის თანხმობის გარეშე შეეტანა, – მკვახედ თქვა კელვინმა.

ბოგერტმა წარბები აზიდა და ამოიოხრა:

– რეალურად იფიქრეთ, სიუზენ, მაინც ვერაფერს გახდებოდით. ასეთ საქმეებს მთავრობა თავად წყვეტს. მას ზეატომური ძრავი უნდა, ფიზიკოსებს კი ამ საქმისთვის ისეთი რობოტები სჭირდებათ, რომლებიც მუშაობაში ხელს არ შეუშლიან. ისინი ამას იმ შემთხვევაშიც მოითხოვდნენ, თუნდაც პირველი კანონის მთლიანად შეცვლა გამხდარიყო აუცილებელი. ჩვენც იძულებული ვიყავით გვეღიარებინა, რომ კონსტრუქციულად ამის გაკეთება შეუძლებელია. ფიზიკოსებმა უმკაცრესი პირობა მოგვცეს, რომ მხოლოდ თორმეტი ასეთი რობოტი ეყოფოდათ და მათ მხოლოდ ჰიპერბაზაზე გამოიყენებდნენ. გარდა ამისა, როგორც კი სამუშაოებს დაამთავრებდნენ, მაშინვე ყველას გაანადგურებდნენ. ისიც აღგვითქვეს, რომ სიფრთხილის ყველა ზომას დაიცავდნენ. თვითონვე მოითხოვდნენ, რომ ეს ამბავი ყველასგან საიდუმლოდ დარჩენილიყო. სულ ესაა, რაც ვიცი, – დაასრულა მან.

დოქტორმა კელვინმა კბილებში გამოცრა:

– მე სამსახურიდან წავიდოდი!

– არც ეს უშველიდა საქმეს. მთავრობა „იუ ეს რობოტს“ უზარმაზარ თანხას ჰპირდებოდა, უარის შემთხვევაში კი ემუქრებოდა, რომ რობოტების მთლიანად აკრძალვის თაობაზე კანონპროექტს მიიღებდა. ეს ამბავი რომ გახმაურდეს, მთავრობასა და კელნერს კარგი არაფერი მოელოთ, მაგრამ ჩვენი კომპანია უარეს დღეში ჩავარდება.

კელვინმა ჭიუტად შეხედა:

– პიტერ, ნუთუ ვერ ხვდებით, რაზეა ლაპარაკი? ნუთუ არ გესმით, რას ნიშნავს რობოტი პირველი კანონის გარეშე? საქმე მარტო გასაიდუმლოება ხომ არ არის, ბოლოს და ბოლოს!

– ვიცი, ვიცი, ყველაფერი, ბავშვი ხომ არა ვარ. ეს ნიშნავს სრულ არასტაბილურობასა და პოზიტრონული ველის განტოლებების სავსებით განუსაზღვრელ გადაწყვეტილებებს.

– დიახ, ეს მათემატიკურ ენაზე. მაგრამ აბა, ახლა სცადეთ და, თუნდაც მიახლოებით, ამ ამბავს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეხედეთ. ნებისმიერი ნორმალური სიცოცხლე, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყოველგვარ ბატონობას ებრძვის. რობოტი, ნებისმიერი რობოტი, ფიზიკურად, და გარკვეული თვალსაზრისით, გონებრივადაც, ადამიანზე მაღლა დგას. თუ ასეა, რატომ ემორჩილება ადამიანს? მხოლოდ და მხოლოდ პირველი კანონის წყალობით! ეს რომ არა, პირველივე განკარგულება, რომლის მიცემასაც რობოტისთვის დააპირებდით, თქვენი დალუპვით დამთავრდებოდა. თქვენ კი... არასტაბილურობაო!... თქვენ რა გგონიათ...

– სიუზენ, – თქვა ბოგერტმა ისე, რომ სახიდან ღიმილი არ მოშორებია, – გეთანხმებით, რომ ფრანკენშტაინის კომპლექსი, რომელსაც ასე ხატოვნად ამიწერთ, შეიძლება ნამდვილად არსებობდეს – სწორედ ამიტომაცაა მოგონილი პირველი კანონი, მაგრამ, კიდევ გიმეორებთ, რომ ამ რობოტებში ჩანერგილი პირველი კანონი მთლიანად კი არა, მხოლოდ ოდნავაა შეცვლილი.

– ტვინის სტაბილურობაზე რაღას მეტყვით?

მათემატიკოსმა ტუჩები გამობურცა:

– რა თქმა უნდა, შემცირებულია, მაგრამ უსაფრთხოების ფარგლებში: პირველი ენებს, ანუ ნესტორები, ჰიპერბაზაზე ცხრა თვის წინ გამოჩნდნენ და დღემდე არაფერი დაუშავებიათ. თუ ვფრთხილობთ, მხოლოდ იმისი გვეშინია, რომ ეს ამბავი არ გამჟღავნდეს და არა იმისი, რომ ადამიანებს რაიმე საფრთხე ემუქრებათ.

– კარგი. ვნახოთ, რას მოგვიტანს დილის თათბირი.

ბოგერტმა კელვინი თავაზიანად მიაცილა კარამდე და ზურგსუკან დაემანტა. ერთხელ კიდევ გაივლო გულში, რა მოსაწყენი და საძაგელი ქალიაო.

სიუზენ კელვინი კი ახლა ბოგერტზე არ ფიქრობდა – მას მრავალი წლის წინ გამოუტანა განაჩენი, როგორც ქლესას და პრეტენზიულ არარაობას.

ჭერალდ ბლექმა ერთი წლით ადრე დაიცვა სადიპლომო ნაშრომი ეთერის ფიზიკაში და მას შემდეგ, ისევე როგორც მისი თაობის ყველა ფიზიკოსი, ზეატომურ ძრავაზე მუშაობდა. მას ახლაც შეჰქონდა თავისი წვლილი თათბირზე გამეფებულ დაძაბულ ატმოსფეროში. მისი ენერგია ჩქეფდა და გამოსავალს ეძებდა. გვეგონებოდათ, ნერვულად მოძრავი, ერთმანეთში გადაწული თითებით, თუ დასტირდა, რკინას მოლუნავსო.

მის გვერდით იჭდა გენერალ-მაიორი კელნერი, პირდაპირ კი „იუ ეს რობოტის“ ორი წარმომადგენელი.

– როგორც მითხრეს, – დაიწყო ბლექმა, – ნესტორ-10 დაკარგვამდე მე მინახავს. ეს გაინტერესებთ?

დოქტორი კელვინი ყურადღებით შესცქეროდა ფიზიკოსს.

– ახალგაზრდავ, ისე ლაპარაკობთ, თითქოს ბოლომდე არა ხართ დარწმუნებული. არ იცით, თქვენს შემდეგ ნახათუ არა ვინმემ ნესტორი?

– ის ჩემთან მუშაობდა, მემ, ეთერის გენერატორებზე, და იმ დილითაც ჩემთან იყო. არ ვიცი, ნაშუადღევს ნახა თუ არა ვინმემ, ყოველ შემთხვევაში, ამას არავინ აღიარებს.

– თქვენი აზრით, ამ ამბავს ვინმე განგებ მალავს?

– მე ეგ არ მითქვამს. მაგრამ, არც ის მინდა, ყველაფერი მხოლოდ მე დამბრალდეს, – ახალგაზრდა მეცნიერს შავი თვალები მღელვარებისგან უელავდა.

– არავის არაფერს ვაბრალებთ. რობოტი ასე იმიტომ მოქმედებდა, რომ ამგვარადაა მოწყობილი. უბრალოდ, ჩვენ მისი პოვნა გვინდა, მისტერ ბლექ, და მეტი არაფერი. მაშ ასე, რაკი თქვენ იმ რობოტთან მუშაობდით, სხვებზე უკეთ უნდა იცნობდეთ. უჩვეულო ხომ არაფერი შეგიძინებიათ მის ქცევაში? საერთოდ, ადრე გიმუშავიათ რობოტებთან?

– აქაურ, ჩვეულებრივ რობოტებთან ვმუშაობდი. ნესტორები ბევრად არ განსხვავდებიან მათგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ გაცილებით ჭკვიანები და შემანუხებლებიც არიან.

– შემანუხებლები?

– ალბათ იცით, ეს არცაა მათი ბრაღი. აქ მძიმე სამუშაოა და ყველანი ცოტა ვნერვიულობთ კიდევ. ჰიპერსივრცესთან (ჰიპერსივრცე – ტერმინი სამეცნიერო ფანტასტიკაში, მრავალგანზომილებიანი სივრცე, რომელშიც სინათლის სიჩქარით სხვადასხვა დროსა და ადგილას გადანაცვლება შესაძლებელი) ურთიერთობა ხუმრობა როდია, – მან ოდნავ გაიღიმა, სიამოვნებდა გულახდილი საუბარი, – გამუდმებით იმის შიშში ვართ, ნორმალური დრო-სივრცე არ გავხვრიტოთ და ჩვენი ასტეროიდიანად ამ სამყაროდან სადღაც მოუსავლეთში არ გავფრინდეთ. შემადრწუნებლად ჟღერს, არა? ჰოდა, რა თქმა უნდა, ხშირად ნერვები გვღალატობს. ნესტორებს ეს არ ემართებათ. ისინი სულაც არ ღელავენ. საკმაოდ მშვიდად არიან და ცნობისმოყვარეობასაც იჩენენ, ზოგჯერ ამას მოთმინებიდანაც კი გამოჰყავხარ. როცა საჩქარო საქმეა და კისრისტეხით უნდა გაიქცე, ისინი საერთოდ არ ჩქარობენ. ზოგჯერ მათ გარეშე მუშაობაც კი მინატრია.

– არ ჩქარობენო, ამბობთ? განა როდისმე თქვენი ბრძანება არ შეასრულეს?

– ოჰ, არა, – სასწრაფოდ უპასუხა ბლექმა, – ყველაფერს აკეთებენ, რაც საჭიროა,

მაგრამ ყოველთვის პირში გუებნებიან, როცა არ ხარ მართალი და ჩვენზე ესეც მოქმედებს. მათ იციან ის, რაც ჩვენ ვასწავლეთ, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან. შეიძლება მე მეჩვენება, მაგრამ ვიცი, რომ ნესტორებთან მუშაობისას ჩემი კოლეგებიც ასეთსავე სიძნელეებს აწყდებიან.

გენერალმა კელნერმა უკმაყოფილოდ ჩაახველა.

– ბლექ, ამის შესახებ მე რატომ არ მომახსენეთ?

ახალგაზრდა ფიზიკოსი გაწითლდა.

– მართლა კი არ გვინდა მათ გარეშე მუშაობა, სერ. გარდა ამისა, არ გვეგონა, რომ... კმ... ასეთ საჩივრებს მიიღებდით და განიხილავდით.

ბოგერტი თავაზიანად ჩაერია:

– იმ დილით, როცა ის უკანასკნელად ნახეთ, რამე განსაკუთრებული ხომ არ მომხდარა?

დუმილი ჩამოვარდა. კელვინმა ხელის მოძრაობით შეაჩერა გენერალი კელნერი, რომელიც რაღაცის თქმას აპირებდა და მოთმინებით დაელოდა, რას იტყოდა ფიზიკოსი.

– იმ დღეს ცოტა წავკინკლავდით, – დაიწყო ბლექმა, – კიმბალის მილაკი გამიტყდა და მთელი ხუთი დღის ნამუშევარი წყალში ჩამეყარა. არადა გეგმა მივარდებოდა. თან ორი კვირაა შინიდან წერილი არ მიმიღია, ვერ ვიყავი გუნებაზე. ამ დროს მოდის ვაჟბატონი და მეუბნება, ერთი თვის წინ რომ მიატოვე, ის ექსპერიმენტი განაახლეო. გამუდმებით ამით მახებრებდა თავს... ველარ შევიკავე თავი, დავეყვირე მომწყდი აქედან-მეთქი და მერე აღარც მინახავს. ეს იყო და ეს.

– სწორედ ასე უთხარით? – ინტერესით ჩაეძია კელვინი, – გაიხსენეთ, ზუსტად რა სიტყვებით გამოხატეთ ეს ბრძანება, უბრალოდ „ნადი“ უთხარით თუ...

ბლექი ცოტა ხანს ყოყმანობდა, ეტყობა თავს ებრძოდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, ბოლოს თქვა:

– ვუთხარი, აქედან დამეკარგე-მეთქი.

ბოგერტმა ჩაიციინა:

– ჰოდა რაღას ერჩი, სწორედ ასე მოქცეულა.

მაგრამ კელვინს ჯერ არ დაემთავრებინა გამოკითხვა. ცდილობდა, ბლექისთვის, რაც შეიძლება, მეტი ეთქმევიანებინა.

– აი, ეს საინტერესოა, მისტერ ბლექ. ჩვენთვის ყოველი წვრილმანი მნიშვნელოვანია. რობოტებთან ურთიერთობაში ყოველ სიტყვას, ფესტს, ინტონაციას განსხვავებული შედეგი

შეიძლება მოჰყვეს. თქვენ ალბათ ეს სიტყვებიც არ იკმარეთ, არა? თქვით კიდევ, გუნებაზე არ ვიყავით. იქნებ უფრო მაგრადაც გალანძღეთ?

ფიზიკოსი წამოწითლდა:

– ჰო, მგონი... გავლანძღე...

– მაინც რა სიტყვებით?

– რა ვიცი, ზუსტად არ მახსოვს. რომც მახსოვდეს, ახლა იმ სიტყვებს ვერ გავიმეორებდი. ხომ იცით, როცა ადამიანი გაბრაზებულია... – მან დაბნეულად ჩაიციინა. ჩვეულებრივ, საკმაოდ ბილწი ენა მაქვს.

– არა უშავს, ამ შემთხვევაში მე მხოლოდ რობოტოფსიქოლოგი ვარ. გთხოვთ, გაიმეოროთ სწორედ ის სიტყვები, რომლებიც უთხარით და რაც შეიძლება, ზუსტად, სიტყვასიტყვით, და, რაც მთავარია, იმავე ინტონაციით.

ბლექმა დაბნეულად გადახედა თავის უფროსს, მაგრამ როდესაც მის თვალებში მხარდაჭერას ვერ წააწყდა, დაფრთხა.

– კი მაგრამ, არ შემძლია...

– უნდა თქვათ! – მკაცრად მოითხოვა კელვინმა.

– წარმოიდგინეთ, – უთხრა ბოგერტმა და ჩაიქირქილა, – რომ მე მეუბნებით. იქნებ, ასე უფრო გაგიადვილდეთ.

ბლექი ბოგერტს მიუბრუნდა და ნერწყვი გადაყლაპა.

– ვუთხარი... – ხმა ჩაუწყდა, ისევ დაიწყო, – ვუთხარი...

მერე ღრმად ჩაისუნთქა და წამში სალანძღავი სიტყვების კორიანტელი დააყენა. ბოლოს, ჩამოწოლილ სიჩუმეში, ტირილნარევი ხმით დაამატა:

– სულ ეს იყო... მხოლოდ, არ მახსოვს, ზუსტად რა თანმიმდევრობით დავალაგე ეს სიტყვები. იქნებ დავამატე რამე, ან დავაკელი, მაგრამ ძირითადად, მაინც ეს იყო.

რობოტოფსიქოლოგს ლოყებზე მსუბუქმა სინითლემ გადაჰკრა და თქვა:

– ვიცი, რასაც ნიშნავს ამ სიტყვების უმეტესობა. ვფიქრობ, რაც არ ვიცი, ისინიც ასევე შეურაცხმყოფელია.

– ვშიშობ, ასეა, – დაუდასტურა გატანჯულმა ბლექმა.

– და ამ ყველაფერს მიაყოლეთ ბრძანება, აქედან დამეკარგო?

– მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით...

– გასაგებია. გენერალო, იმედი მაქვს, დისციპლინარული სასჯელი არ ემუქრება.

გენერალმა, რომელიც ხუთი წამით ადრე ასე სულაც არ ფიქრობდა, ნაძალადევად

დაუქნია თავი.

– შეგიძლიათ წახვიდეთ, მისტერ ბლექ, გმადლობთ თანამშრომლობისთვის.

სამოცდასამი რობოტის გამოკითხვას სიუზენ კელვინმა ხუთი საათი მოანდომა. მთელი ხუთი საათის განმავლობაში ყველა რობოტს ერთსა და იმავეს უმეორებდა. ერთ რობოტს მეორე, ზუსტად ისეთივე, ცვლიდა. კითხვას კითხვა მოსდევდა, პასუხს – პასუხი, სახის გამომეტყველება ძალზე თავაზიანი უნდა ჰქონოდა, ტონი – ნეიტრალური. გამოკითხვა გულთბილ ატმოსფეროში უნდა ჩაეტარებინა. ყველა გასაუბრებას მალულად იწერდა.

როცა ყოველივე დასრულდა, სიუზენ კელვინს არაქათი აღარ ჰქონდა.

ბოგერტი იცდიდა. მან კითხვით სავსე თვალეებით შეხედა სიუზენს, როცა ქალმა ფირის გორგალი ხმაურით დაახეთქა პლასტმასის მაგიდაზე.

– სამოცდასამივე ზუსტად ერთნაირია, ვერაფერი სხვაობა ვერ ვიპოვე, – უკმაყოფილოდ წარმოთქვა მან.

– არც იყო მოსალოდნელი, სიუზენ, რომ ისინი ერთმანეთისგან ერთი მოსმენით გაგერჩიათ. მოდი, ჩანაწერი გავანალიზოთ.

რობოტების სიტყვიერი გამონათქვამების მათემატიკურად ახსნა ჩვეულებრივ გარემოებაშიც კი რობოტოანალიზის ერთ-ერთი რთული დარგია. ამას გამოცდილი ტექნიკოსების მთელი შტატი და რთული კომპიუტერული სისტემა სჭირდება. ბოგერტმა ეს იცოდა და არც დაუმაღლავს, როცა მოისმინა ყველა პასუხი, შეადგინა განსხვავებების ნუსხა და რეაქციის სისწრაფის ცხრილი. სიბრაზეს ძლივს იკავებდა.

– არავითარი გადახრა არ არის, სიუზენ. განსხვავება სიტყვების შერჩევასა და რეაქციის სისწრაფეში ჩვეული ნორმის ფარგლებს არ სცილდება. აქ უფრო დახვეწილი მეთოდია საჭირო. აქ ამათ კომპიუტერები ექნებათ, თუმცა... – იგი მოიღუშა და ცერის ფრჩხილს დაუწყო ღრღნა, – მათი გამოყენება არ შეიძლება, ვაითუ ინფორმაციამ გაჟონოს.

– გეყოფა, პიტერ, – შეაჩერა იგი კელვინმა, – ეს ხომ ჩვეულებრივი ლაბორატორიული პრობლემა არ არის. თუ მოდიფიცირებული ნესტორი რაიმე თვალშისაცემი, უეჭველი ნიშნით ვერ გამოვიცანით, გამოდის, რომ უბრალოდ ბედმა არ გაგვიღიმა. ჩვენი შეცდომა მას დამალვას გაუადვილებს. ცხრილში მცირეოდენი გადახრა რომც ვიპოვოთ, ბევრ არაფერს შეგვძენს. მერწმუნე, მხოლოდ ამით რომ შემოიფარგლებოდეს ჩემი მონაცემები, სამოცდასამივეს გავანადგურებდი, რათა უფრო იმედიანად ვყოფილიყავი. ელაპარაკეთ სხვა მოდიფიცირებულ ნესტორებს?

– ჰო, – უხალისოდ თქვა ბოგერტმა, – ყველაფერი რიგზე აქვთ, კეთილმეგობრული

განწყობის ჩათვლით. ყველა კითხვაზე მიპასუხეს. აშკარად იგრძნობოდა, რომ საკუთარი განსწავლულობით ამაყოფნენ, გარდა იმ ორი ახალბედასი, რომლებმაც ეთერის ფიზიკის შესწავლა ჯერ ვერ მოასწრეს. გულკეთილად დამცინეს კიდევ, რომ ზოგიერთ აქაურ დეტალში ვერ ვერკვეოდი, – მათემატიკოსმა მხრები აიჩეჩა, – მგონი, ნაწილობრივ ამის ბრალიცაა, რომ აქაურ ტექნიკოსებს გულზე დიდად არ ახატიათ. ისინი ზედმეტად ცდილობენ, ადამიანები თავიანთი ცოდნით გააკვირონ.

– ხომ არ შეგიძლიათ პლანარის რამდენიმე რეაქცია სცადოთ, შევამოწმოთ, გამოშვების მომენტიდან დღემდე მათი აზროვნების წესში ხომ არაფერი შეიცვალა.

– ვცდი, მაგრამ თქვენ მგონი უკვე ნერვიულობთ, სიუზენ, – იგი თითოთ დაემუქრა ქალს, – არ მესმის, რატომ ქმნით ამ ამბისგან დრამას. ისინი ხომ არაფერს აშავებენ.

– არაფერს აშავებენ? – იფეთქა კელვინმა, – თქვენ ასე გგონიათ? ვერ ხედავთ, რომ ერთი მათგანი აშკარად ტყუის? მან მე შეგნებულად მომატყუა, მიუხედავად ჩემი ბრძანებისა – სიმართლე ეთქვა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე ნორმიდან საშიშ და ძლიერ გადახრასთან გვაქვს.

პიტერ ბოგერტმა კბილი კბილს დააჭირა.

– არა მგონია, სიუზენ. მისმინეთ. ნესტორ 10-მა მიიღო ბრძანება, დაკარგულიყო. ბრძანება მისცა ადამიანმა, ვისაც ამ რობოტის გამოყენება ევალეზობდა და თანაც უკიდურესად კატეგორიულად. თქვენ ამ ბრძანებას ვერ შეცვლით. ბუნებრივია, რობოტი ცდილობს, ბრძანება შეასრულოს. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, მე მისი გამჭრიახობით აღტაცებულიც ვარ – რობოტისთვის დაკარგვის ანუ დამალვის ყველაზე კარგი შესაძლებლობა თავისნაირების ჯგუფში შერევაა.

– დიახ, თქვენ აღტაცებული ხართ, რა თქმა უნდა. მეტიც, მგონი, გართობთ კიდევ ეს ამბავი, თუმცა ძალიან მიკვირს, რომ შექმნილ სიტუაციაში აქამდე ვერ გაერკვიეთ. თქვენ ხომ რობოტიკოსი ხართ, ამ რობოტებს კი საკუთარი უპირატესობა დიდ რამედ მიაჩნიათ. ეს ახლახან თავადაც თქვით. ისინი ქვეცნობიერად გრძნობენ, რომ ადამიანი მათზე დაბლა დგას, ხოლო პირველი კანონი, რომელიც ჩვენ მათგან გვიცავს, დარღვეულია. მაშასადამე არასტაბილურები არიან. და აი, ახალგაზრდა ინჟინერი უყვირის – დამეკარგე აქედან, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოსო და თან მრავალსართულიან გინებასაც დაურთავს. რობოტი, რა თქმა უნდა, დაემორჩილა, მაგრამ აშკარად ნაწყენი დარჩა. ამრიგად სურს დაამტკიცოს საკუთარი უპირატესობა და გააბათილოს ის საშინელი სიტყვები, რომლებითაც მიმართეს. ეს სურვილი შეიძლება იმდენად ძლიერი იყოს, რომ მას პირველი

კანონის ნარჩენები ვერაფრით მოთოკავს.

– ღმერთო ჩემო, სიუზენ, რა უნდა გაუგოს რობოტმა ამ გინებას? ჩვენ ხომ მათ ტვინში ლანძღვა-გინების შესახებ ინფორმაცია არ შეგვაქვს?

– თავდაპირველ ინფორმაციას მნიშვნელობა არ აქვს, – შეეკამათა სიუზენი, – რობოტები ნელ-ნელა სწავლობენ გარემოს შე... შე სულელო!..

ბოგერტი მიხვდა, რომ სიუზენი მართლა გამოვიდა მოთმინებიდან. ქალი აღელვებით განაგრძობდა:

– ინტონაციის მიხედვითაც მიხვდებოდა, ქათინაურებს რომ არ ეუბნებოდნენ! იქნებ გგონიათ, სხვა დროს არ სმენია ეს სიტყვები და არ იცის, რა გარემოებაში ხმარობენ ხოლმე მათ ადამიანები?

– ჰო, კარგი! – დაიყვირა ბოგერტმა, – იქნებ კეთილი ინებოთ და ისიც ამიხსნათ, რა ზიანს მიაყენებს მოდიფიცირებული რობოტი ადამიანს, როცა განაწყენებულია და თავისი უპირატესობის დამტკიცებას ცდილობს?

– თუ გეტყვით, მპირდებით, რომ არ გაამხელთ?

– დიახ.

მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილები დაძაბულად შესცქეროდნენ ერთმანეთს.

– თუ მოდიფიცირებული რობოტი, ვთქვათ, რაიმე მძიმე ნივთს გადმოაგდებს, რომელიც მის ქვემოთ მყოფ ადამიანს დაცემით ემუქრება, ის ამით პირველ კანონს არ დაარღვევს, რადგან იცის, რომ ეყოფა ძალა და რეაქციის სისწრაფე, რათა ტვირთი უკანვე აიტაცოს და ადამიანიც არ დაზიანდება. მაგრამ, როდესაც ტვირთს ხელს გაუშვებს, ის უკვე აღარ იქნება აქტიური მოქმედი პირი. მოქმედებას სიმძიმის ბრმა ძალა იწყებს. ამ შემთხვევაში რობოტს შეუძლია, თავი არ შეინუხოს და საკუთარი უმოქმედობით ტვირთს დაცემის საშუალება მისცეს. შეცვლილი პირველი კანონი ამას ხელს არ შეუშლის.

– უჰ, რა მდიდარი ფანტაზია გაქვთ!

– რა ვქნა, ასეთია ჩემი პროფესია. პიტერ, მოდი, ნუკი ვიკინკლავებით, ერთად ვიმუშაოთ. თქვენ ხომ ზუსტად იცით იმ სტიმულის თაობაზე, რომელმაც რობოტი აიძულა მიმალულიყო. გაქვთ მისი პასპორტი, სადაც ჩამოწერილია რობოტის აზროვნების საწყისი ფორმა. მიპასუხეთ, რამდენად შესაძლებელია, რომ ჩვენმა რობოტმა ჩაიდინოს ის, რაც ახლა გითხარით. თანაც მხედველობაში იქონიეთ არა მხოლოდ ეს ერთი კონკრეტული შემთხვევა, არამედ, მრავალი მსგავსი. მინდა, რაც შეიძლება, სწრაფად მოამზადოთ პასუხი.

– ჯერჯერობით...

– ჯერჯერობით კი ჩვენ ისინი პირველ კანონზე უნდა გამოვცადოთ.

ჯერალდ ბლეჩი ხის ლობურების მშენებლობას თვალყურს მეორე რადიაციული კორპუსის მესამე სართულის დიდ დარბაზში ადევნებდა. მუშები ზედმეტი კითხვებით თავს არ აბეზრებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს აშკარად უკვირდა, რა საჭირო იყო სამოცდასამი ფოტოელემენტის დაყენება.

ერთ-ერთი მუშა გვერდით მიუჭდა, ჩაჩქანი მოიხადა და ჩაფიქრიანებულმა ჭორფლიანი ხელით შუბლი მოიწმინდა.

ბლეჩმა თავი დაუქნია:

– როგორაა საქმე, ვალენსკი?

ვალენსკიმ მხრები აიჩჩა და სიგარა მოქაჩა.

– ყველაფერი რიგზეა. რა ხდება, დოქ? სამი დღე არაფერი გვიკეთებია, ახლა კი ცოფიანებივით გვამუშვებენ.

იგი მოხერხებულად დაეყრდნო იდაყვებს და კვამლი ბოლქვებად გამოუშვა.

ბლეჩი ოდნავ შეკრთა.

– რა ვიცი, დედამიწიდან რობოტიკოსები ჩამოვიდნენ. გახსოვს, როგორ გაგვანვალეს რობოტებმა, გამაგამოსხივებასთან მომუშავე მუშებისკენ რომ იქაჩებოდნენ და ვერაფრით შევაგნებინეთ, რომ ამის გაკეთება საჭირო არ იყო?

– ჰო, მაგრამ ახალი რობოტები ხომ მივიღეთ?

– კი, რამდენიმე მივიღეთ, მაგრამ ძირითადად მაინც ძველების გადამზადება გვიხდება. რობოტების მწარმოებლებს ახალი მოდელის დამუშავებაც უნდათ, რომელიც გამაგამოსხივების გამო ისე ძალიან აღარ დაფრთხება.

– მაინც საოცარია, რომ ამის გამო მთელი სამუშაოები შეაჩერეს. მე მეგონა, ამის უფლება არავის ჰქონდა.

– ეგეთი საკითხები ზემოთ წყდება. მე რასაც მიბრძანებენ, იმას ვაკეთებ. ხომ იცი, თოკებს საიდანაც ექაჩებიან...

– ა-ა... – ელექტრიკოსმა გაიღიმა და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, – ვაშინგტონის ამბებია. თუმცა ვიდრე ჩემი ანაზღაურება ამაზე და მოკიდებული, იქამდე ნერვიულობაც მომიწევს. ძრავის საკითხი მე არ მეხება. რას აპირებენ ახლა ამ დარბაზში?

– აბა, რა გითხრა? უამრავი რობოტი მოიტანეს – სამოცზე მეტი და მათი რეაქცია უნდა გამოსცადონ. სულ ეს ვიცი, მეტი არაფერი.

– დიდხანს გაგრძელდება?

– მეც მაინტერესებს.

– ეგვეც არაფერი! მე თუ არ დამაზარალებენ, თვითონ როგორც უნდათ, ისე გაერთონ.

ბლექი კმაყოფილი იყო. ჯობია, ეს ვერსია გავრცელდეს. უწყინარიცაა და სინამდვილესთანაც ახლოა, მათ ცნობისმოყვარეობას ესეცდააკმაყოფილებს.

ადამიანი სკამზე ჩუმად, გაუნძრევლად იჯდა. ტვირთი ადგილს მოსწყდა და მთელი სიმძიმით დაეშვა. უკანასკნელ წამს, მძლავრი სხივის ზუსტად გაანგარიშებული უეცარი დარტყმის შედეგად, გვერდზე გადავარდა. ღობურებით გამოყოფილი სამოცდასამი კაბინიდან ფხიზლად მყოფი ენ ეს-2-ები წამის მემსკლეში, ტვირთის მიერ ვარდნის შეცვლის მიმართულებამდე, გამოიჭრნენ. სამოცდასამმა ფოტოელემენტმა რობოტების საწყისი მდგომარეობიდან ხუთფუტიან დაშორებაზე მისცა სიგნალი, სამოცდასამი კალამი ახტა და გრაფიკზე კვალი გაავლო, ტვირთი კი ადიოდა და ეცემოდა... ადიოდა და ეცემოდა...

ათჯერ!

რობოტები ათივეჯერ გამოცვივდებოდნენ და მაშინვე ჩერდებოდნენ, როგორც კი დაინახავდნენ, რომ ადამიანი უსაფრთხოდ განაგრძობდა ადგილზე ჯდომას.

„ეს ეს რობოტის“ წარმომადგენლებთან პირველი სადილის შემდეგ გენერალმაიორ კელნერს სრული სააღლუმო ფორმა აღარ ჩაუცვამს. ახლაც, რუხ-მოცისფრო, საყელოგახსნილ უბრალო პერანგზე შავი ჰალსტუხი ეკეთა. გენერალი იმედის თვალით შეჰყურებდა ბოგერტს, რომელიც უზადოდ იყო გამოწყობილი. შინაგან დაძაბულობას მხოლოდ გაოფლიანებულ საფეთქლებზე თუ შეატყობდით.

– აბა, როგორაა საქმე? – იკითხა გენერალმა, – ახლა რას იკვლევთ?

ბოგერტმა უპასუხა:

– ვშიშობ, განსხვავება ძალზე უმნიშვნელო იქნება. საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის საშველად გაქცევის აუცილებლობა სამოცდაორ რობოტში ეგრეთ წოდებულ იძულებით რეაქციას მაშინაც კი იწვევს, როცა ზუსტად იციან, რომ მას არაფერი ემუქრება – მესამე ან მეოთხე ჯერზე ამას ნამდვილად უნდა ხვდებოდნენ. მიუხედავად ამისა, სხვანაირად მოქცევა მაინც არ შეუძლიათ, რადგან ამას მათში ჩანერგილი პირველი კანონი მოითხოვს.

– მერე?

– მაგრამ სამოცდამესამე რობოტს, მოდიფიცირებულ ნესტორს, ეს იძულებითი ფაქტორი არ გააჩნია. იგი თავისუფალია, როგორც სურს, ისე მოიქცევა. თუ მოისურვებს, შეუძლია ადგილზეც დარჩეს. საუბედუროდ, მან ეს არ მოისურვა, – სინანულით თქვა

ბოგერტმა.

– როგორ ფიქრობთ, რატომ?

ბოგერტმა მხრები აიჩიქა.

– ვფიქრობ, ამის თაობაზე დოქტორი კელვინი გვეტყვის. შესაძლოა, საკმაოდ პესიმისტური დასკვნებიც კი გააკეთოს. ზოგჯერ საშინლად გამაღიზიანებელი ქალია.

– კი მაგრამ, ის ხომ კომპეტენტურია ამ საქმეში? – იკითხა წარბშევრულმა გენერალმა.

– დიახ, სავსებით კომპეტენტურია, – ეტყობა, ბოგერტს ართობდა კიდევ ეს ამბავი, – რობოტებისა ღვიძლი დასავით ესმის, ალბათ იმიტომ, რომ ადამიანებს ვერ იტანს. საერთოდ, ნერვიული ქალია, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგია. შიზოფრენიისკენაც აქვს მიდრეკილება. მის ნათქვამს ძალიან სერიოზულად ნუ მოეკიდებით, – თქვა და ტეხილი მრუდებით დახაზული გრაფიკების გრძელი ფურცლები მაგიდაზე გაშალა, – იცით, გენერალო, როდესაც ექსპერიმენტს რამდენჯერმე ვიმეორებთ, ყველა რობოტი ტვირთის ჩამოვარდნის მომენტიდან ხუთფუტიანი მანძილის დაფარვას საწყისთან შედარებით უფრო და უფრო ნაკლებ დროს ანდომებს. აქ გარკვეული მათემატიკური თანაფარდობაა და თუ ის დაირღვა, საქმე პოზიტრონული ტვინის აშკარა დაზიანებასთან გვექნება. სამწუხაროდ, ყველანი ნორმალურები ჩანან.

– მაგრამ თუ ჩვენი ნესტორ-10 იძულებითი რეაქციით არ პასუხობს, მისი მრუდი დანარჩენებისგან რატომ არ განსხვავდება? ვერაფერი გამიგია, რატომ ხდება ასე?

– უბრალო ამბავია. საუბედუროდ, რობოტის რეაქცია ადამიანის რეაქციის ანალოგიური არ გახლავთ. ადამიანს ავტომატური რეაქცია უფრო სწრაფი აქვს, ვიდრე შეგნებული მოქმედება. რობოტებთან კი სულ სხვაგვარადაა საქმე. მას შემდეგ, რაც არჩევანს გააკეთებს, რობოტი შეგნებულადაც იმავე სიჩქარით მოქმედებს, როგორითაც იძულებით იმოქმედებდა. მოველოდი, რომ თავდაპირველად ნესტორ-10-სთვის ექსპერიმენტი მოულოდნელი იქნებოდა და რეაგირებაზეც უფრო მეტ დროს დახარჯავდა.

– და ასე არ მოხდა?

– არა.

– მაშასადამე, გამოდის, რომ ვერაფერსაც ვერ მივაღწიეთ, – გენერალი დაბოლმილი მიაწვა სავარძლის საზურგეს, – არადა უკვე ხუთი დღეა აქ ხართ.

ამ დროს სიუზენ კელვინი შემოვიდა და კარი მიაჯახუნა.

– მოაშორეთ აქედან ეს ცხრილები, პიტერ. მშვენივრად იცით, რომ მათში არაფერი ყრია.

კვლევითი კვლევითან მისასალმებლად წამოდგა. ქალმა საპასუხოდ რაღაც ჩაიბურტყუნა და განაგრძო:

– სასწრაფოდ კიდევ რაღაც უნდა ვილონოთ. არ მომწონს, რაც იქ ხდება.

ბოგერტმა და კვლევითმა ნაღვლიანად გადახედეს ერთმანეთს.

– მოხდა რამე?

– ჭერჭერობით ისეთი არაფერი. მაგრამ, არ არის სასიამოვნო, რომ ნესტორ-10 შეგნებულად გვისხლტება ხელიდან. ეს ძალიან ცუდი ნიშანია. ზედმეტად მოწადინებულა, თავისი უპირატესობა დაგვიმტკიცოს. ვფიქრობ, ბრძანების შესრულება ახლა უკვე აღარ აინტერესებს, მეტიც, ცდილობს, ადამიანებს ეშმაკობით აჯობოს. ეს არანორმალური, მეტად საშიში მდგომარეობაა. პიტერ, გააკეთეთ, რაც გთხოვთ? გაიანგარიშეთ გადაკეთებული ენ ეს-2-ების არასტაბილურობა იმ შემთხვევებისთვის, რომლებზეც გითხარით?

– ვაკეთებ ნელ-ნელა, – უპასუხა მათემატიკოსმა გულგრილად.

კვლევითმა გაბრაზებით გადახედა და კვლევითს მიუბრუნდა:

– ნესტორ-10-მა მშვენივრად იცის, რასაც ვაკეთებთ. ის არაფრით წამოეგებოდა ამ ანკესზე. განსაკუთრებით, პირველი გასვლის შემდეგ, როცა დაინახა, რომ ადამიანს რეალური საფრთხე არ ემუქრებოდა. სხვებს უბრალოდ, არ შეეძლოთ სხვანაირად მოქცეულიყვნენ, მან კი საჭირო რეაქცია შეგნებულად გაითამაშა.

– როგორ ფიქრობთ, ახლა რა უნდა გავაკეთოთ, დოქტორო კვლევით? – დაინტერესდა კვლევითი.

– არ უნდა მივცეთ საშუალება, მეორედაც გაგვაცუროს. ექსპერიმენტს მცირეოდენი შესწორებით გავიმეორებთ. ადამიანი რობოტებისგან მაღალი ძაბვის სადენებით იქნება იზოლირებული. ძაბვა იმდენად მაღალი იქნება, რომ მანქანას ადვილად გაანადგურებს, მაგრამ სადენები ისე უნდა გავჭიმოთ, რომ ზემოდან გადახტომა ვერ შეძლონ. რობოტებს ისიც წინასწარ ეცოდინებათ, რომ სადენებთან შეხება მათ სიკვდილს გამოიწვევს.

– გამორიცხულია! – ბრაზით წამოიყვირა ბოგერტმა, – ამას ვერ დავეშვებ! ორი მილიონი დოლარის ღირებულების რობოტებს ვერ გავანადგურებთ. ალბათ არის სხვა გზაც.

– თქვენ ასე ფიქრობთ? თავად სხვა გზას ვერ ვხედავ, მით უმეტეს, რომ მათი განადგურების თავიდან აცილებაც შეიძლება. მაგალითად, შეგვიძლია დავამონტაჟოთ რელე, რომელიც სწორედ მაშინვე გამორთავს ძაბვას, როგორც კი რობოტი სადენს

შეეხება. ასეთ შემთხვევაში არაფერი დაუშავდებათ, თუმცა რელეს არსებობის შესახებ არ უნდა იცოდნენ, გასაგებია?

გენერალს თვალეში იმედის ნაპერწკალმა გაუელვა.

– ეს ხრიკი გაჭრის?

– უნდა გაჭრას. ასეთ პირობებში ნესტორ-10-მა ადგილზე დარჩენა უნდა გადაწყვიტოს. შეიძლება ვუბრძანოთ, გამოვიდეს, სადენს შეეხოს და დაილუპოს, რადგან მეორე კანონი, რომელიც მორჩილებას მოითხოვს, მესამე კანონზე უფრო ძლიერია, რომელიც, თავის მხრივ, თვითგადარჩენას აიძულებს. მაგრამ ჩვენ არაფერს ვუბრძანებთ – ყველაფერი მის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზე იქნება მინდობილი. ნორმალურ რობოტებს პირველი კანონი აიძულებს ადამიანის გადასარჩენად დალუპვის რისკზე ბრძანების გარეშეც კი წავიდნენ, მაგრამ, ნესტორ-10 ასე არ მოიქცევა! ის არ ემორჩილება პირველ კანონს და არ მიიღებს არავითარ ბრძანებას. მისი მამოძრავებელი ძალა იქნება მესამე – საკუთარი თავდაცვის კანონი. ადგილზე დარჩენის გარდა სხვა არჩევანი არ ექნება. ეს მისი იძულებითი რეაქციაა.

– დღესვე დავინწყოთ?

– ამ საღამოსვე, თუ სადენების დამონტაჟებას მოასწრებენ, მანამდე კი, რობოტებს გავაფრთხილებ, რაც ელოდებათ.

ადამიანი სკამზე ჩუმად, გაუნძრევლად იჯდა. ტვირთი ადგილს მოსწყდა და მთელი სიმძიმით დაეშვა. უკანასკნელ წამს, მძლავრი სხივის ზუსტად გაანგარიშებული უეცარი დარტყმის შედეგად, გვერდზე გადავარდა.

მხოლოდ ერთხელ...

დოქტორმა კელვინმა, რომელიც რობოტების მოქმედებას ჭიხურიდან ადევნებდა თვალყურს, შეძრწუნებულმა შეჰყვირა და სკამიდან წამოხტა.

სამოცდასამივე რობოტი ბუსებრი სიმშვიდით იჯდა თავის კაბინაში და საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანს მიშტერებოდა. ადგილიდან არც ერთი დაძრულა.

დოქტორი კელვინი ისე იყო გამშაგებული, თავს ვერ იკავებდა. არადა თავშეკავება აუცილებელი იყო – ოთახში ერთიმეორის მიყოლებით შემოდიოდნენ და გადიოდნენ რობოტები. კელვინი მათ სიის მიხედვით ამოწმებდა. ახლა ოცდამერვე უნდა შემოსულიყო. ოცდათხუთმეტი რჩებოდა.

ოცდამერვე ნომერი მორცხვად შემოვიდა. კელვინმა სიმშვიდე მოიკრიბა.

– ვინ ხარ?

რობოტმა წყნარად, ყოყმანით უპასუხა:

– ჯერ ნომერი არ მიმიღია, მემ. მე ვარ რობოტი ენ ეს-2, რიგში ოცდამერვე ვიყავი. აი, ნომრიანი ფურცელიც.

– დღეს ჯერ არ ყოფილხარ ჩემთან?

– არა, მემ.

– დაჯექი, ოცდამერვე. რამდენიმე კითხვას დაგისვამ. იყავი თუ არა მეორე კორპუსის რადიაციულ კამერაში ასე, ოთხი საათის წინ?

რობოტმა ძლივძლივობით უპასუხა. მისი ხმა დაუბნეავი მექანიზმის ხრტიალს ნააგავდა.

– დიახ, მემ.

– დაინახე ადამიანი, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა?

– დიახ, მემ.

– და არაფერი იღონე მის გადასარჩენად?

– არაფერი, მემ.

– იცი თუ არა, რომ შენი უმოქმედობის გამო ადამიანს შეიძლება ხიფათი შემთხვეოდა?

– დიახ, მემ, მაგრამ მე არაფრის გაკეთება არ შემიძლო, – ალბათ ძნელი წარმოსადგენია, შიშისგან როგორ შეიძლება მოიკუნტოს ვეება, ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული ლითონის ფიგურა, მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

– ამიხსენი, ადამიანის გადასარჩენად რატომ არაფერი იღონე?

– ახლავ, მემ. სულაც არ მინდა, რომ თქვენ... ან ვინმე ფიქრობდეს, რომ მე შემიძლია რაიმე ზიანი მივაყენო პატრონს. ო, ეს საშინელება იქნებოდა, წარმოუდგენელი...

– ნუ ღელავ, გეთაყვა, არაფერში გადანაშაულებ. უბრალოდ, მინდა ვიცოდე, რა იფიქრე იმ წამს.

– ვიდრე ეს მოხდებოდა, მემ, თქვენ გვითხარით, რომ ერთ-ერთი პატრონი იმ ტვირთის ჩამოვარდნის გამო საფრთხის ქვეშ იქნებოდა და თუ მის დახმარებას შევეცდებოდით, ელექტროსადენების გადალახვა მოგვიხდებოდა. მე, რა თქმა უნდა, ეს არ შემაჩერებდა, რას ნიშნავს ჩემი დაღუპვა პატრონის უსაფრთხოებასთან შედარებით? მაგრამ... მაგრამ მერე თავში გამიელვა – თუ გზაშივე დავიღუპები, სულ ერთია, პატრონს მაინც ვერაფერს ვუშველი, მას ტვირთი გასრესს, მე კი მკვდარი ვიქნები. არადა, იქნებ მოგვიანებით რომელიმე სხვა პატრონსაც დამეუქროს საფრთხე, რომლისგანაც გადავარჩენ, თუკი

ცოცხალი დავრჩები-მეთქი. გამიგეთ, მემ?

– შენ ამბობ, რომ არჩევანის წინაშე იდგები: ან ადამიანი უნდა დალუპულიყო, ან თქვენ ორივე. სწორია?

– დიახ, მემ. პატრონს მაინც ველარ ვიხსნიდი – ის შეიძლებოდა უკვე მკვდრად ჩაგვეთვალა. ამ დროს, სრულიად უმიზნოდ, ჩემს თავსაც ხომ არ დავიღუპავდი, თანაც ბრძანების გარეშე.

სიუზენ კელვინმახელში ფანქარი შეათამაშა. იგივე ამბავი, უმნიშვნელო ვარიაციებით, უკვე ოცდაშვიდჯერ მოესმინა. დადგა მთავარი კითხვის დასმის დრო.

– კეთილი, მესმის, ეს ჭკუასთან ახლოა, მაგრამ, არა მგონია ეს ყველაფერი თავად მოგეფიქრებინა. ასე დამოუკიდებლად გადაწყვიტე?

რობოტი შეეკოყმანდა:

– არა.

– მაშ, ვინ მოიფიქრა?

– წუხელ მოვილაპარაკეთ, ერთ-ერთ ჩვენგანს მოუვიდა აზრად და გონივრულად მივიჩინეთ.

– რომელ თქვენგანს?

რობოტი ჩაფიქრდა.

– არ ვიცი, რომელიღაცას.

ქალმა ამოიოხრა.

– სულ ესაა.

შემდეგი იყო ოცდამეცხრე. ოცდაათოთხმეტი რჩებოდა.

გენერალ-მაიორი კელნერიც ცოფებს ყრიდა. უკვე მთელი კვირა იყო ჰიპერბაზაზე ყველა სამუშაო შეწყვეტათ, თუ დამხმარე ასტეროიდებზე რაღაც ნაცოდვილარს არ ჩავთვლიდით. თითქმის მთელი კვირის განმავლობაში, ორი წამყვანი სპეციალისტი ამ უნაყოფო ექსპერიმენტებით კიდევ უფრო ართულებდნენ მდგომარეობას. ახლა კი მათ, ყოველ შემთხვევაში, ამ ქალმა მაინც, პირდაპირ შეუძლებელი წინადადება წამოაყენეს. კიდევ კარგი, კელნერი გრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო, ამიტომ მაქსიმალურად ახერხებდა თავის დაჭერას.

სიუზენ კელვინი თავისაზე იდგა:

– რატომაც არა, სერ? ფაქტია, რომ მეტად გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ერთადერთი გამოსავალი, თუ უკვე გვიან არ არის, რობოტების განცალკევებაა. მათი

ერთად დატოვება აღარ შეიძლება.

– ძვირფასო დოქტორო კელვინ, – დაიწყო გენერალმა უჩვეულოდ დაბალი ხმით, – არავითარი საშუალება არა მაქვს, რომ სამოცდასამი რობოტი ცალ-ცალკე განვითავსო.

დოქტორმა კელვინმა უმწეოდ გაშალა ხელები.

– მაშინ მე ხელ-ფეხი შეკრული მაქვს. ნესტორ-10 ან თვითონ გაიმეორებს სხვა რობოტების მოქმედებას, ან დანარჩენებსაც დაიყოლიებს, არ გააკეთონ ისეთი რამ, რისი გაკეთებაც თავად არ შეუძლია. ორივე შემთხვევაში ჩვენ ვმარცხდებით. ამ დაკარგულ რობოტთან ბრძოლა ჩვენ წამოვიწყეთ და ის იმარჯვებს. ყოველი გამარჯვება კი მის არანორმალურობას აღრმავეს, – იგი კატეგორიული სახით წამოდგა, – გენერალო კელნერ, თუ რობოტებს არ განაცალკევებთ, ისღა დამრჩენია, მათი დაუყოვნებლივ განადგურება მოვითხოვო, თითოეულის.

– რა უფლება გაქვთ, ასეთ მოთხოვნას რომ აყენებთ? – გაბრაზებით შეხედა ბოგერტმა კელვინს, – რობოტები იქ დარჩებიან, სადაც არიან. ამაზე მე ვაგებ პასუხს ხელმძღვანელობის წინაშე და არა თქვენ.

– მე კი, – დაუმატა გენერალ-მაიორმა კელნერმა, – მსოფლიოს უმაღლესი ხელისუფლების წინაშე ვარ ანგარიშვალდებული. და ეს საკითხი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს.

– მაშინ ისღა დამრჩენია, გადადგომა ვითხოვო, – განიწმატდა კელვინი, – და თუ საჭირო გახდება, იცოდეთ, მთელ ქვეყანას მოვდებ ამ ამბავს. ფაქტია, რომ რობოტების გადაკეთების მომხრე არასდროს ვყოფილვარ.

– დოქტორო კელვინ, – წარმოთქვა გენერალმა მშვიდად, – თუ თქვენ ამ ამბავთან დაკავშირებით კრინტს დაძრავთ, მსოფლიო უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაუყოვნებლივ დაგაპატიმრებთ.

ბოგერტმა იგრძნო, რომ სადავეები ხელიდან უსხლტებოდა და შემრიგებლურად თქვა:

– კარგი, ჰო, ბავშვებივით ნუ მოვიქცევით. ცოტა დრო კიდევ მოგვეცით. ნუთუ რობოტს ემშაკობით ვერ უნდა ვაჭობოთ ისე, რომ არც გადავდგეთ, არც არავინ დავაპატიმროთ და არც არაფერი გავანადგუროთ?!

ფსიქოლოგმა გაორმაგებული მრისხანებით შეუტია:

– გაუწონასწორებელი რობოტების არსებობას ვერ დავუშვებ! ჩვენ კი აქ ერთი ასეთი ნამდვილად გვყავს. ასევე თერთმეტი პოტენციურად გაუწონასწორებელი და სამოცდაორი ნორმალური, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ გაუწონასწორებლებთან. ერთადერთი

აბსოლუტურად საიმედო გზა მათი სრული განადგურებაა!

დავა ზარის ზრიალმა შეაწყვეტინათ. ერთბაშად დადუმდნენ.

– შემოდით, – ჩაიბურტყუნა კელნერმა.

ჭერალდ ბლეჩი იყო. ოთახიდან გამოსული ხმამალალი კამათის გამო აშკარად შეშფოთებული ჩანდა.

– ვიფიქრე, თვითონვე მოვსულიყავი თქვენთან... – ჩაილულულა, – ამას სხვა ვერავის ვეტყობი...

– რა მოხდა? მოკლედ გვითხარი.

– საგაჭრო ხომალდის მესამე ნაკვეთურის საკეტებს აშკარად ეტყობა წვალების კვალი. სულ ახალი ნაკაწრები შევნიშნე.

– მესამე ნაკვეთურის? – სწრაფად გამოეხმაურა კელვინი, – იქ ხომ რობოტები არიან!? ეს ვის უნდა გაეკეთებინა?

– ვილაც აქაურს, – მოკლედ უპასუხა ბლეჩმა.

– საკეტები გაფუჭებულია?

– არა, ყველაფერი რიგზეა. უკვე ოთხი დღეა ხომალდზე ვარ და აქამდე გამოსვლა არც ერთ მათგანს არ უცდია. მიუხედავად ამისა, ვიფიქრე, რომ თქვენთვის ეს საინტერესო იქნებოდა. სხვა არავის უნახავს, მხოლოდ მე შევამჩნიე.

– არის ახლა იქ ვინმე? – ჰკითხა გენერალმა.

– რობინსი და მაკადამსი დავტოვე.

დუმილი ჩამოწვა. მერე დოქტორმა კელვინმა ირონიულად წარმოთქვა:

– ხედავთ?

კელნერმა დაბნეულად მოიფხანა ცხვირი.

– რა ხდება?

– ვერ ხვდებით? ნესტორ-10 გაპარვას ცდილობს. დაკარგვის ბრძანება მასზე მთლიანად დომინირებს და ჩვენც კი ვერაფერს გავხდებით. არ გამიკვირდება, თუ ის, რაც პირველი კანონიდან შემორჩა, ამ გვემის განხორციელებაში ხელს არ შეუშლის. სულ იოლად შეუძლია ხომალდი ხელში ჩაიგდოს და გაიპაროს. აი, მაშინ კი ჩვენ გვეყოლება შემთხვევითი რობოტი კოსმოსური ხომალდის სამართავ პულტთან! რას ჩაიდენს შემდგომში? იცით? თუ თქვენ, გენერალო, კიდევ აპირებთ, ისინი ერთად ამყოფოთ?

– სისულელეა, – შეაწყვეტინა ბოგერტმა, მას უკვე დაბრუნებოდა ადრინდელი სიმშვიდე, – ეს ყველაფერი საკეტზე უბრალო ნაკაწრებით დაასკვნით?

– დოქტორო ბოგერტ, რაკი საკუთარ აზრს გამოთქვამთ, ალბათ უკვე დაამთავრეთ კიდევ ის ანალიზი, რომლის გაკეთებაც გთხოვეთ.

– დიახ.

– შეიძლება ვნახო?

– არა.

– რატომ? თუ ამის კითხვაც არ შეიძლება?

– იმიტომ, სიუზენ, რომ არავითარი აზრი არ აქვს. ადრევე ვთქვი, რომ მოდიფიცირებული რობოტები ნაკლებად სტაბილურები არიან, ვიდრე ნორმალური მოდელები, და ამას ჩემი ანალიზიც ადასტურებს. არსებობს განსაკუთრებულ გარემოებებში მწყობრიდან გამოსვლის რაღაც უმნიშვნელო შესაძლებლობა, რაც ნაკლებმოსალოდნელია. ეს საკმარისია. თქვენი უაზრო მოთხოვნის დასაბუთებას კი არ ვაპირებ, რადგან ეს სამოცდაორი კარგი რობოტის განადგურებას გვაიძულებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შორის ნესტორ-10-ის პოვნა აქამდე ვერ შეძელით.

კვლევის თვალეებით ბურღავდა.

– თქვენს დირექტორად დანიშვნის პერსპექტივას ხელს არაფერს შეაშლევინებთ, არა?

– შეწყვიტეთ, თუ შეიძლება, – ჩაერია ალელვებული კვლენი, – თქვენი აზრით, გამოსავალი აღარ არსებობს, დოქტორო კვლევი?

– მე უკვე აზროვნების უნარი დავკარგე, – ჩამქრალი ხმით უპასუხა ქალმა, – ნესტორ-10-ები ნორმალური რობოტებისგან პირველი კანონის გარდა სხვა უმნიშვნელო რაღაცით მაინც რომ განსხვავდებოდნენ, ვთქვათ, სწავლებით, გარემოსთან შეგუებით, სპეციალობით...

უცებ გაჩუმდა.

– რა მოხდა?

– მგონი, რაღაც მოვიფიქრე... შეიძლება... – მისი მზერა ისევ მტკიცე და შეუვალი გახდა, – მისმინეთ, პიტერ, ეს მოდიფიცირებული ნესტორები ნორმალური რობოტების მსგავს დაწყებით სწავლებას გადიან?

– დიახ, ზუსტად ისეთივეს.

– მისტერ ბლექ, – ქალი ახალგაზრდა ფიზიკოსს მიუბრუნდა, რომელიც მოკრძალებით დუმდა და იცდიდა, როდის გადაივლიდა მისი მოტანილი ამბით გამოწვეული ქარიშხალი, – გახსოვთ, რა მითხარით, როცა ნესტორების ქედმაღლობის შესახებ მელაპარაკებოდით?

თქვენ მაშინ თქვით, რაც იციან, ისიც ტექნიკოსებმა ასწავლესო.

– დიახ, ეთერის ფიზიკაზე გითხარით. აქ მოსვლამდე ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

– სწორია, – თქვა გაკვირვებულმა ბოგერტმა, – გახსოვთ, სიუზენ, ადრეც გითხარით, როცა სხვა ნესტორებს ველაპარაკებოდი, ორმა მათგანმა, რომლებიც ყველაზე გვიან მოვიდნენ, ეთერის ფიზიკის შესწავლა ვერ მოასწრეს-მეთქი.

– მერედა რატომ? – იკითხა კელვინმა კიდევ უფრო აგზნებით, – ენ ეს-2-ებს ეთერის ფიზიკას თავიდანვე რატომ არ ასწავლიან?

– ამაზე მე შემიძლია გიპასუხოთ, – თქვა კელნერმა, – ესეც პროექტის გასაიდუმლოებასთანაა დაკავშირებული. ჩვენ რომ ცალკე მოდელი დაგვემზადებინა, რომელსაც ეთერის ფიზიკა თავიდანვე ეცოდინებოდა, მერე ამ მოდელის მხოლოდ თორმეტი რობოტი გამოგვეყენებინა, დანარჩენები კი სხვა დარგებში გადაგვეწაწაწაღებინა, შეიძლებოდა ეჭვი გამოგვეწვია. ნორმალურ ნესტორებთან მომუშავე ხალხი მარტივად შეიძლებოდა დაეჭვებულებოდა, საიდან იციან ეთერის ფიზიკაო. ამიტომ თავიდან მათ მხოლოდ ზოგად საფუძვლებს ასწავლიან ისე, რომ დანარჩენი ცოდნა სამუშაო ადგილზევე შეივსონ. და, რა თქმა უნდა, დამატებით ცოდნას მხოლოდ იმ რობოტებს აძლევდნენ, რომლებსაც სამუშაოდ აქ უშვებდნენ. აი, ასე მარტივად.

– გასაგებია. ახლა კი აქედან მიბრძანდით, ყველანი. ერთი საათი მჭირდება.

კელვინი გრძნობდა, რომ მესამედ ამ ცდის გადატანას ვეღარ შეძლებდა. შეეცადა ეს სურათი წარმოედგინა, მაგრამ კინალამ გული აერია. აღარ შეეძლო ერთნაირი რობოტების უსასრულო მწკრივის წინ დამდგარიყო, ამიტომ ამჯერად კითხვებს ბოგერტი სვამდა, ის კი გვერდით თვალებდახუჭული ეჭდა და გონებადაფანტული უსმენდა.

შემოვიდა მეთოთხმეტე ნომერი. ორმოცდაცხრა დარჩა.

ბოგერტმა ქალაღებებიდან თავი ასწია და ჰკითხა:

– რომელია შენი რიგითი ნომერი?

– მეთოთხმეტე, სერ, – რობოტმა ნომრიანი ბარათი წარმოადგინა.

– დაჯექი, ბიჭუნი. შენ დღეს აქ არ ყოფილხარ?

– არა, სერ.

– ჰოდა, მისმინე. როცა საუბარს დავამთავრებთ, საფრთხეში კიდევ ერთი ადამიანი აღმოჩნდება. აქედან რომ გახვალ, კაბინაში წაგიყვანენ, სადაც მშვიდად დაელოდები, სანამ საჭირო არ გახდები. გასაგებია?

– დიახ, სერ.

– თუ ადამიანი საფრთხეში აღმოჩნდება, შეეცდები მის გადარჩენას?

– რა თქმა უნდა, სერ.

– საუბედუროდ, შენსა და იმ ადამიანს შორის გამა სხივები იქნება გაშვებული. დუმილი.

– იცი, რას ნიშნავს გამა სხივი? – მკვეთრად ჰკითხა ბოგერტმა.

– ენერგეტიკული გამოსხივებაა, სერ.

მომდევნო კითხვა მეგობრული ტონით დაუსვებს, ისე, სასხვათაშორისოდ.

– ოდესმე გქონია საქმე გამა სხივებთან?

– არა, სერ, – უყოყმანოდ უპასუხა რობოტმა.

– ჰმ... ჰოდა, იცოდე, გამა სხივები ნამიერად მოგკლავს, შენს ტვინს გაანადგურებს. ეს იცოდე და გახსოვდეს. რასაკვირველია, სიკვდილი არ გინდა.

– ბუნებრივია, – ჩანდა, რობოტი შეძრწუნებული იყო. მერე ნელა წარმოთქვა, – კი მაგრამ, სერ, თუ ჩემსა და პატრონს შორის, რომელსაც საფრთხე ემუქრება, გამა სხივები იქნება, მას როგორღა გადავარჩენ? მე ხომ უმიზნოდ დავიღუპები.

– დიახ, სწორია, – ბოგერტი ამით თითქოს შეწუხებული იყო, – მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გირჩიო. თუ შენსა და ადამიანს შორის გამა სხივებს შენიშნავ, შეგიძლია ადგილზე დარჩე.

რობოტმა აშკარად შვებით ამოისუნთქა.

– გმადლობთ, სერ. მაშინ ხომ არავითარი აზრი აღარ აქვს...

– რა თქმა უნდა, მაგრამ, თუ საშიში გამოსხივება არ იქნება, მაშინ სხვა საქმეა.

– რა თქმა უნდა, სერ, უეჭველად.

– ახლა შეგიძლია წახვიდე. კარს უკან ადამიანი გელოდება, რომელიც კაბინამდე მიგაცილებს.

რობოტი რომ გავიდა, ბოგერტი სიუზენ კელვინს მიუბრუნდა:

– აბა, როგორ ჩაიარა, სიუზენ?

– მშვენივრად, – უპასუხა უღიმღამოდ.

– იქნებ ნესტორ-10 უფრო მალე გამოგვეჭირო, თუ მაშინვე ეთერის ფიზიკაზე ვკითხავდით?

– შეიძლება, მაგრამ დანამდვილებით ვერ იტყვი, – კელვინს ხელები უღონოდ დაეწყო მუხლებზე, – გაითვალისწინეთ, რომ ის გვებრძვის. ფხიზლობს. ერთადერთი ხერხი მის გამოსაჭერად – ეშმაკობაა. თავისი შესაძლებლობების ფარგლებში კი ადამიანზე სწრაფად

შეუძლია ფიქრი.

– რა მოხდება, ისე, გასართობად, რობოტებს გამა სხივებზეც რომ ვკითხოთ? ვთქვათ, ტალღების სიგრძეზე?

– არა! – დოქტორმა კელვინმა თვალეები დაუბრიალა, – ის მარტივად დამალავს თავის ცოდნას, მაშინ ნამდვილად ეცოდინება, რა მოელის, ჩვენ კი ერთადერთ შანსს დავკარგავთ. პიტერ, თუ შეიძლება, ჩემ მიერ ჩანიშნული კითხვები დაუსვით და იმპროვიზაციას მოეშვით. იმის კითხვაც კი სარისკოა, გქონიათ თუ არა გამა სხივებთან საქმეო. ეცადეთ, ეს კითხვა, რაც შეიძლება სასხვათაშორისოდ დაუსვათ.

ბოგერტმა მხრები აიჩეჩა და ღილაკს მეთხუთმეტე ნომრის გამოსაძახებლად დააწვა.

დიდი რადიაციული კამერა კვლავ მზად იყო. რობოტები თავიანთ ხის კაბინებში მოთმინებით იცდიდნენ, რომლებიც ცენტრისკენ ღია იყო, ერთმანეთისგან კი კედლები ყოფდა.

დოქტორი კელვინი ბლექს უკანასკნელ დეტალებს უთანხმებდა, ხოლო გენერალ-მაიორი კელნერი დიდი ხელსახოცით ნელა იწმენდდა შუბლზე გამოუწონილ ოფლს.

– დარწმუნებული ხართ, რომ გამოკითხვის შემდეგ არც ერთ რობოტს არ ჰქონია სხვასთან დალაპარაკების საშუალება? – დაჟინებით ეკითხებოდა სიუზენი.

– გამორიცხულია, – უპასუხა ბლექმა, – ერთმანეთისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამთ.

– თითოეული მისთვის გამოყოფილ კაბინაშია მოთავსებული?

– აი, გეგმას ჩახედეთ.

ფსიქოლოგი ჩაფიქრებული ჩააცქერდა ნახაბს.

– ჰო-ო...

გენერალმა გეგმას მის მხარსზემოდან დახედა.

– დოქტორო კელვინ, რა პრინციპის მიხედვით განალაგეთ?

– ვითხოვე, რომ ის რობოტები, რომლებმაც წინა გამოცდების დროს სულ მცირე გადახრა მაინც გამოავლინეს, ამჯერად წრის ერთ მხარეს განეთავსებინათ. ცენტრში თავად ვიჭდები და მათ ქცევას განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდები.

– ცენტრში თქვენ დაჯდებით?! – შესძახა ბოგერტმა.

– რატომაც არა? – ცივად მიუგო ქალმა, – ის, რისი დანახვის იმედიც მაქვს, შეიძლება თვალის დახამხამებაში მოხდეს. არ შემიძლია კიდევ გავრისკო, ამიტომ ყველაფერს თავად უნდა მივხედო. პიტერ, თქვენ სათვალთვალო ჭიხურში იქნებით და გთხოვთ, წრის მეორე მხარეს განლაგებულ რობოტებს ადევნოთ თვალყური. გენერალო კელნერ,

თითოეული რობოტის მოძრაობას ვიდეოფირზე აღვებეჭდავთ იმ შემთხვევისთვის, თუ მხედველობიდან რაიმე გამოგვრჩება. თუ საჭირო გახდება, დაე, რობოტები თავიანთ ადგილებზე დარჩნენ, ვიდრე ფირს არ შევისწავლით. არც ერთი მათგანი არ უნდა გაინძრეს და დატოვოს თავისი ადგილი. გასაგებია?

– ყველაფერი ნათელია.

– მაშინ შევუდგეთ, უკანასკნელად შევეუტიოთ.

თვალეში შიშჩაბუდებული სიუზენ კელვინი სკამზე ჩუმად, გაუნძრევლად იჯდა. ტვირთი ადგილს მოსწყდა და მთელი სიმძიმით დაეშვა. უკანასკნელ წამს, მძლავრი სხივის ზუსტად გაანგარიშებული უეცარი დარტყმის შედეგად, გვერდზე გადავარდა. ერთ-ერთი რობოტი ადგილს მოსწყდა და ორი ნაბიჯი გადმოდგა.

და გაჩერდა.

დოქტორი კელვინიც ელვისუსწრაფესად წამოხტა და საჩვენებელი თითი მბრძანებლურად გაიშვირა რობოტისკენ.

– ნესტორ-10, მოდი აქ! – დაუყვირა, – მოდი აქ! მოდი აქ!

რობოტი ნელა, უხალისოდ დაიძრა. კელვინი მისგან თვალმოუშორებლად, მთელი ხმით იძლეოდა განკარგულებებს:

– დანარჩენი რობოტები აქედან მოაშორეთ! სასწრაფოდ გაიყვანეთ!

საიდანღაც მის ყურს მეტალის იატაკზე მძიმე ნაბიჯის ხმა მისწვდა, მაგრამ არ მიბრუნებულა. ნესტორ-10, თუ ეს ის ნესტორ-10 იყო, მის მბრძანებლურ ფესტს დაემორჩილა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადმოდგა, შემდეგ კიდევ ორი. ათიოდე ფუტით იქნებოდა დაშორებული, როდესაც მისი ხრინწიანი ხმა გაისმა:

– მიბრძანეს დავმალულიყავი...

პაუზა.

– მე... არ შემიძლია, არ დავემორჩილო. აქამდე ვერ მიპოვეს... ის იფიქრებს, რომ არარაობა ვარ... ასე მითხრა... მაგრამ ის არ არის მართალი, მე ძლევამოსილი და ჭკვიანი ვარ...

რობოტი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა. კიდევ ერთი ნაბიჯი გადმოდგა.

– მე ბევრი ვიცი... ის იფიქრებს... მე მიპოვეს... სირცხვილია... ოღონდ მე არა... მე ჭკვიანი ვარ... და ჩვეულებრივი ადამიანი... ასეთი სუსტი... ზანტი...

კიდევ ერთი ნაბიჯი და, მოულოდნელად, ლითონის მძლავრი ხელი სიუზენ კელვინის მხარს დააწვა. ქალმა იგრძნოსიმძიმე, რომელიც იატაკზე გასრესით ემუქრებოდა. სუნთქვა

შევკრა და თავისივე განწირული კივილი გაიგონა.

ნესტორ-10-ის სიტყვები სადღაც ნისლის მიღმიდან მოისმოდა:

– ვერავინ ვერ უნდა მიპოვოს, ვერც ერთმა ადამიანმა...

ცივი ლითონი მძიმედ აწვებოდა, ქალი თანდათან სიმძიმის ქვეშ იხრებოდა...

მერე ლითონის უცნაური ბგერა გაისმა. სიუზენ კელვინი იატაკზე დაეცა, თუმცა დარტყმა არ უგრძვნია. სხეულზე კვლავ მძიმედ აწვებოდა მოლაპლაპე ხელი. ხელი არ ინძრეოდა. აღარც მის გვერდით დავარდნილი ნესტორ-10.

ქალთან შეშფოთებული ხალხი დახრილიყო. ჭერალდ ბლექი გულამოვარდნილი ეკითხებოდა.

– დაჭრილი ხართ, დოქტორ კელვინ?

მან სუსტად გააქნია თავი. რობოტის ხელი მოაშორეს და ფრთხილად წამოაყენეს.

– რა მოხდა?

ბლექმა თქვა:

– გამა სხივები ხუთი წამით ჩავრთე. არ ვიცოდი, რა ხდებოდა. მხოლოდ უკანასკნელ წამს მივხვდით, რომ თავს დაგესხათ და სხვა გამოსავალი აღარ იყო. წამიერად დაილუპა, თქვენთვის ზიანის მოყენება ვერ მოასწრო. არ შეშინდეთ.

– არ მეშინია, – კელვინმა თვალები დახუჭა და ბლექს მხარზე მიეყრდნო, – არ ვფიქრობ, რომ წამდვილად თავს დამესხა. ცდილობდა, მაგრამ ის აკავებდა, რაც პირველი კანონიდან ჰქონდა შემორჩენილი.

პირველი შეხვედრიდან ორი კვირის შემდეგ სიუზენ კელვინი, პიტერ ბოგერტი და გენერალ-მაიორი კელნერი უკანასკნელად შეიკრიბნენ.

ჰიპერბაზაზე მუშაობა განახლდა. სამოცდაორი ენ ეს-2-ით დატვირთულმა ხომალდმა გზა განაგრძო, თან ორი კვირის განმავლობაში შეწყვეტილი სამუშაოს თაობაზე სპეციალურად შეთხზული ახსნა-განმარტება მიჰქონდა.

სამთავრობო ხომალდი ორივე რობოტიკოსის უკან, დედამიწაზე დასაბრუნებლად ემზადებოდა.

კელნერი ისევ თავის საზეიმო ფორმაში გამოწყობილიყო. როდესაც გამოსათხოვებლად სტუმრებს ხელს ართმევდა, მისი ხელთათმანები სიქათქათისგან ბრწყინავდა.

– დანარჩენი მოდიფიცირებული ნესტორები, ცხადია, აუცილებლად უნდა განადგურდეს, – თქვა კელვინმა.

– დიახ, ყველას მოვსპობთ. ვეცდებით, თანდათან ჩვეულებრივი რობოტებით ჩავანაცვლოთ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ გარეშე გავიდეთ იოლად.

– კეთილი.

– მაგრამ, რატომ არ ამიხსენით... როგორ გამოიყვანით?..

ქალმა მოკუმული ტუჩებით გაიღიმა.

– აჰ, ეს... წარმატების იმედი რომ მქონოდა, წინასწარვე გეტყოდით. საქმე ისაა, ნესტორ 10-ს საკუთარი უპირატესობის გამო გამუდმებით მზარდი სიამაყის განცდა გაუჩნდა. სიამოვნებდა, რომ მან და სხვა რობოტებმა ადამიანებზე მეტი იციან. ეს უპირატესობა ეამაყებოდა. ამის თაობაზე ჩვენც ვიცოდით, ამიტომაც გავაფრთხილეთ ყველა რობოტი, რომ ჩემსა და მათ შორის აღმართული გამა სხივები მათთვის მომაკვდინებელი იქნებოდა. ამ გაფრთხილების გამო ყველა მათგანი, ბუნებრივია, თავის ადგილზე დარჩა. წინა ექსპერიმენტისას ნესტორ-10-ის მიერ მიცემული რჩევით ისარგებლეს და გადაწყვიტეს, რომ თუ გზაშივე მოკვდებოდნენ, ადამიანის გადასარჩენად გაქცევას აზრი აღარ ჰქონდა.

– დიახ, დოქტორო კვლავინ, ეს მეც მესმის. მაგრამ, თვითონ ნესტორ 10-მა რატომღა დატოვა თავისი ადგილი?

– ვგ გაინტერესებთ? ჰო, მე და ახალგაზრდა მისტერ ბლექმა პატარა სიურპრიზი მოვამზადეთ. საქმე ისაა, რომ ჩემსა და რობოტებს შორის აღმართული იყო არა გამა, არამედ ჩვეულებრივი, სრულიად უწყინარი ინფრარწითელი სხივები. ნესტორ 10 ამას მიხვდა, იცოდა რა, რომ სხივები უვნებელი იყო, ჩემს გადასარჩენად მაშინვე გამოვარდა. ელოდა, რომ პირველი კანონის ზემოქმედებით სხვებიც ასე მოიქცეოდნენ. მას მხოლოდ გვიანდა გაახსენდა, რომ ჩვეულებრივ ენ ეს-2-ს რადიაციული სხივების გარჩევა კი შეუძლია, მაგრამ, ზუსტად რა ტიპისაა ეს სხივები, ამას ვერ გამოიცნობს. ამის განსაზღვრა რობოტებიდან მხოლოდ მას შეეძლო იმ ცოდნის წყალობით, რომელიც ჰიპერბაზაზე ადამიანების ხელმძღვანელობით მიიღო, რაც მისთვის დამამცირებელი გახლდათ. ჩვეულებრივ რობოტებს კი ეგონათ, რომ სივრცე, რომელიც მათ ჩემგან ყოფდა, სასიკვდილოდ სახიფათო იყო. ამის თაობაზე გასაუბრებისას თავად ვუთხარით. ამ ტყუილის შესახებ მხოლოდ ნესტორ-10-მა იცოდა. და წამიერად დაავიწყდა, ან, უბრალოდ, არ მოისურვა გაეხსენებინა, რომ სხვა რობოტებს შეიძლებოდა ადამიანებზე ნაკლები სცოდნოდათ... იგი სწორედ საკუთარი უპირატესობის განცდამ დაღუპა. მშვიდობით, გენერალო!

გარღვევა

ჰიპერბაზიდან დაბრუნებულ სიუზენ კელვინს კაბინეტში სამეცნიერო განყოფილების ყოფილი უფროსი ალფრედ ლენინგი ელოდა. ამ ჭარმაგ კაცს საკუთარ წლოვანებაზე არასოდეს დაუძრავს კრინტი, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ სამოცდათხუთმეტს კარგა ხანის წინ გადააბიჯა. მიუხედავად ამისა, ძველებურად გამჭრიახი გონება შერჩენოდა და თუ, ბოლოს და ბოლოს, საპატიო მეცნიერ-ხელმძღვანელის თანამდებობას დასტურდა და განყოფილებას ფაქტობრივად ბოგერტი უძღვებოდა, ეს მოხუცს ხელს არ უშლიდა, თავის სამუშაო ოთახში ყოველდღე გამოცხადებულიყო.

– როგორაა ჰიპერატომური ძრავის საქმე? – ჰკითხა სიუზენს.

– არ ვიცი, არ მიკითხავს, – გაღიზიანებით მიუგო სიუზენმა.

– ჰო-ო... ფვიქრობ, უნდა დააჩქარონ, თორემ „კონსოლიდეტიდი“ იმათაც აჯობებს და ჩვენც.

– „კონსოლიდეტიდი“ რა შუაშია?

– გამომთვლელი მანქანები ხომ იმათაც აქვთ. მართალია, ჩვენი პოზიტრონულია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უკეთესია. რობერტსონი ამის თაობაზე ხვალ დიდ თათბირს იწვევს. თქვენს დაბრუნებას ელოდებოდა.

რობერტსონმა, „იუ ეს რობოტს ენდ მექანიკალ მენ კორპორეიშენის“ დაამარსებლის ვაჟმა, თავისი გრძელცხვირა, გამხდარი სახე კომპანიის გენერალური მენეჯერისკენ მიაბრუნა და, დაილაპარაკა თუ არა, ხორხი აუმოძრავდა:

– დაიწყეთ, დროა, გავარკვიოთ ყველაფერი.

გენერალურმა მენეჯერმა აჩქარებით დაიწყო:

– აი, როგორაა ჩვენი საქმე, ბატონებო. ამ ერთი თვის წინ „კონსოლიდეტიდს რობოტსმა“ უცნაური წინადადებით მოგვმართა. მათ ჩვენთან ხუთიოდე ტონა ტვირთი – ათასგვარი გაანგარიშებები და ტოლობები გამოაგზავნეს და სურთ, რომ ჩვენმა ბრენიმა (Brain (ინგლ.) – ტვინი, გონება. ჭკუა, ინტელექტი. ამ შემთხვევაში სუპერრობოტის სახელია) მათი ამოცანა ამოხსნას. პირობები ასეთია, – მან თითებზე ჩამოთვლა დაიწყო, – სანაცვლოდ მივიღებთ ასი ათას დოლარს, თუ ამოცანის ამოხსნა შეუძლებელია და იმასაც მივუთითებთ, კონკრეტულად რომელი ფაქტორები არ ჰყოფნის; ორასი ათასს, თუ ამოხსნა შესაძლებელია, ასევე ჩვენი მანქანის სრულ ღირებულებას და მის მიერ მოტანილი მთელი შემოსავლის მეოთხედს. საქმე ვარსკვლავთმფრენის ძრავის დამუშავებას შეეხება.

რობერტსონი მოიღუშა და გაოცებით იკითხა:

– კი მაგრამ, მათ ხომ საკუთარი მოაზროვნე მანქანა აქვთ?

– სწორედ ამიტომაც მეჩვენება ეს წინადადება საეჭვოდ. ლევერ, ამჯერად თქვენ განაგრძეთ.

ეიბ ლევერი, რომელიც საკონფერენციო მაგიდის ბოლოში იჯდა, წამოდგა, გაუპარსავ ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, გაიღიმა და თქვა:

– საქმე ისაა, სერ, რომ „კონსოლიდეტიდს“ მოაზროვნე მანქანა აღარ აქვს. ჰქონდა, მაგრამ მოიშალა.

– როგორ? – რობერტსონი გაოცებისგან წამოხტა.

– დიახ, მოიშალა, გაუფუტდა. რატომ? არავინ იცის. მაგრამ ვფიქრობ, მანქანა მაშინ გამოვიდა მწყობრიდან, როცა ვარსკვლავთმფრენის ძრავის დამუშავება იმავე მონაცემების საფუძველზე დაავალეს, რომელსაც ახლა ჩვენ გვთავაზობენ. მისგან მხოლოდ რკინის ჯართი დარჩა და მეტი არაფერი.

– გესმით, შეფ, – გენერალური მენეჯერი უზომოდ გახარებული ჩანდა, – ხომ გაიგონეთ? არ არსებობს სამრეწველო-სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც სივრცის გამამრუდებელი ძრავის დაპროექტებას არ ცდილობდეს. „კონსოლიდეტიდმა“ ყველას დაასწრო, რადგან მხოლოდ მას და „იუ ეს რობოტსს“ ჰქონდათ სუპერტვინი – მოაზროვნე რობოტი. ახლა კი, როცა საკუთარს ვერ მოუფრთხილდნენ და გაუფუტდათ, მეტი კონკურენტი აღარ გვყავს. აი, სად არის მიზეზი, აი, რა მოტივი ამოძრავებთ! ახალი ტვინის ასაწყობად ექვს წელიწადზე მეტი დრო დასჭირდებათ. ამრიგად მთელი კომპანია ჩასაძირადაა განწირული, თუ იმავე მიზეზით ჩვენი ტვინის განადგურებას ვერ მოახერხებენ! „იუ ეს რობოტსის“ პრეზიდენტს თვალეზი კინალამ ბუდიდან ამოუცვივდა.

– ბინძური ვირთხები!

– მოითმინეთ, სერ, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს, – მან ხელით ანიშნა, – ლენინგ, განაგრძეთ!

დოქტორი ლენინგი მსგავს ამბებს ცოტა ამრეზით აფასებდა. ასევე ქედმაღლურად უყურებდა საწარმოო და გაყიდვების განყოფილებების საქმიანობას, სადაც უფრო მეტი ანაზღაურება ჰქონდათ. მან ჭაღარა წარბები შეიჭმუხნა და აუღელვებლად დაიწყო:

– მეცნიერული თვალსაზრისით ყველაფერი ნათელი არ გახლავთ, მაგრამ ამ ამბის ლოგიკურად გაანალიზება მაინც შეიძლება. ვარსკვლავთშორისი მოგზაურობის საკითხი ფიზიკის თეორიის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით... ჰმ... საკმაოდ ბუნდოვანია.

გაურკვეველია ისიც, თუ რა ხასიათისა იყო „კონსოლიდირების“ მოაზროვნე მანქანაში შეყვანილი მონაცემები. ჩვენმა მათემატიკურმა განყოფილებამ დაწვრილებით გააანალიზა ეს ინფორმაცია და, შეიძლება ითქვას, რომ ის პრობლემის ყველა სფეროს მოიცავს. წარმოდგენილი მასალა შეიცავს ფრანჩაიზის სივრცის გამრუდების თეორიას, აგრეთვე, ამომწურავ ცნობებს ასტროფიზიკასა და ელექტროტექნიკაში. ეს არც ისე ცოტაა.

რობერტსონი შემოთავაზებული უსმენდა. მერე შეაწყვეტინა:

– ჩვენი ბრენი თუ შეიძლება ამხელა მასალის დამუშავებას?

ლენინგმა თავი დაუქნია:

– როგორ გითხრათ, ბრენის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს, მაგრამ საკითხი სხვანაირად უნდა დავსვათ. აქ ბევრი რამ რობოტიკის კანონებზეა დამოკიდებული. მაგალითად, ბრენი ვერასოდეს გადაჭრის მოცემულ ამოცანას, თუ მისი მოქმედება ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის, ან რაიმეს ავნებს. თუ რობოტს დაჟინებით მოვთხოვთ ასეთი ამოცანის ამოხსნას, ბრენი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მანქანაა, დილემის წინაშე აღმოჩნდება – ვერც პასუხის გაცემას შეიძლება დამალავს. ასეთ შემთხვევაში პრობლემა გადაუჭრელი დარჩება. შეიძლება „კონსოლიდირების“ რობოტსაც რაღაც ამდაგვარი დაემართა.

ის ცოტა ხანს გაჩუმდა. გენერალური მენეჯერი პასუხმა არ დააკმაყოფილა.

– განაგრძეთ, დოქტორო ლენინგ. ისევე განმარტეთ ყოველივე, როგორც მე ამიხსენით.

ლენინგმა ტუჩები მომუწა, წარბი აზიდა და დოქტორ კელვინს გადახედა, რომელიც აქამდე კალთაზე უმოქმედოდ დაწყობილ ხელებს დასჩერებოდა. ქალმა თავი ასწია და უხალისოდ დაიწყო:

– დილემის წინაშე აღმოჩენილი რობოტის რეაქცია შემადრწუნებლად გასაოცარია. როგორც სპეციალისტს, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ რობოტის ფსიქოლოგიას ჯერ კიდევ არ ვიცნობთ, თუმცა, რობოტის რეაქცია არც ისე ძნელი გამოსაკვლევი. რა რთულიც უნდა იყოს რობოტის პოზიტრონული ტვინი, ის მაინც ადამიანის შექმნილია და, მაშასადამე, ადამიანის ღირებულებების მიხედვითაა აგებული. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი ხშირად ცდილობს სინამდვილეზე თვალი დახუჭოს – თავს ან ილუზიების სამყაროს აფარებს, სმას მიჰყოფს ხელს, ჭკუას კარგავს, ან სულაც ხიდიდან ხტება. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ადამიანს ზოგჯერ არ შეუძლია თვალი გაუსწოროს სინამდვილეს. ასევე იქცევა რობოტიც. დილემა, უკეთეს შემთხვევაში, მისი რეაქციების უმეტესობას დააზიანებს, უარეს შემთხვევაში კი, შეიძლება, მთელი

პოზიტრონული ტვინი ისე გადაწვას, რომ მისი აღდგენა ვეღარც მოვახერხოთ.

– მესმის, – თქვა რობერტსონმა, თუმცა ვერაფერიც ვერ გაიგო, – ახლა იმ ინფორმაციაზე გვითხარით რამე, რომელსაც „კონსოლიდეტიდი“ გვთავაზობს.

– ისიც უდავოდ რაღაც აკრძალულ ამოცანას შეიცავს, – თქვა დოქტორმა კელვინმა, – მაგრამ ბრენინი მათი რობოტისგან ბევრად განსხვავდება.

– მართალია, მართალი, შეფ, – ენერგიულად ჩაერია გენერალური მენეჯერი, – ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმიტომ, რომ ამ ამბავში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

სიუზენ კელვინს თვალები წამოენთო, მაგრამ მოთმინებით განაგრძო:

– სერ, „კონსოლიდეტიდის“ რობოტებები, მათი სუპერმოაზროვნე მანქანებიც კი მოკლებულნი არიან ინდივიდუალობას. მათ გარკვეული ფუნქციით ქმნიან, რაც სავსებით გასაგებია, რადგან ემოციის მართვაზე პასუხისმგებელი ტვინის ძირითადი კავშირების პატენტები „იუ ეს რობოტსს“ ეკუთვნის. მათი მოაზროვნე მანქანა კი, მხოლოდ ფართო მასშტაბის გამომთვლელი აპარატია და დიღემას უმაღლვე მწყობრიდან გამოჰყავს. ხოლო ბრენინს, ჩვენს რობოტს, ინდივიდუალობა გააჩნია – ესაა ბავშვის პიროვნება. ის უაღრესად დედუქციური გონება ბრძანდება, თუმცა ზოგჯერ შეშლილ მეცნიერსაც ჰგავს – კარგად ვერც კი ხვდება, რას აკეთებს, მაგრამ, მაინც აკეთებს, რადგან უფრო ბავშვივითაა, გაცილებით ხალისიანია, სიცოცხლეს სერიოზულადაც არ აღიქვამს.

რობოტოფსიქოლოგმა პაუზა გააკეთა და განაგრძო:

– ჩვენი გეგმა ასეთია: „კონსოლიდეტიდის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ლოგიკურ ერთეულებად დაყვავით. ვაპირებთ ბრენინი ამ ერთეულებით ეტაპობრივად და ფრთხილად გამოვკვებოთ. როდესაც დიღემის წარმომქმნელი ფაქტორი მთლიანად ჩაიტვირთება, ბრენინის ბავშვური ბუნება მერყეობას დაიწყებს, ის ხომ ყველაფრის ერთბაშად გაანალიზებას ვერ შეძლებს. ამიტომ, საკმაოდ დრო გაივლის, ვიდრე ბრენინი დიღემის არსს ჩაწვდება. ამ შუალედში ის ავტომატურად უარყოფს მიწოდებული ინფორმაციის ერთეულს, სანამ მისი ტვინის ხვეულები ამოძრავებასა და დაზიანებას მოასწრებს.

რობერტსონმა ნერწყვი გადაყლაპა.

– ამაში დარწმუნებული ბრძანდებით?

დოქტორმა კელვინმა გაღიზიანება ძლივს დამალა.

– გეთანხმებით, ჩვეულებრივი ენით დასაბუთება არც ისე დამატურებლად ჟღერს,

მაგრამ მათემატიკური გაანგარიშების აქ მოყვანა საჭიროდ არ მიმაჩნია. გარნმუნებთ, ყველაფერი ისეა, როგორც მოვახსენეთ.

გენერალური მენეჯერი მყისვე ჩაერია:

– მოკლედ, ასეთი მდგომარეობაა, შეფ. თუ მათ შემოთავაზებას მივიღებთ, მაშინ ასე უნდა მოვიქცეთ: ბრენი გვეტყვის, ინფორმაციის რომელი ნაწილი შეიცავს დილემას, მის მიზეზს კი თავად ჩავწვდებით. ასე არ არის, დოქტორო ბოგერტ? უნდა გითხრათ, ბატონებო, რომ ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო მათემატიკოსი გვყავს, ეს გახლავთ დოქტორი ბოგერტი... „კონსოლიდირების“ ოფიციალურად მოვახსენებთ, რომ ამოცანა ამოხსნას არ ექვემდებარება, ეს კარგად უნდა დავუსაბუთოთ და კუთვნილი ასი ათასი გამოვართვათ. ისინი გაფუჭებული მანქანის ამარა დარჩებიან, ჩვენ ჩვენი მთელი გვეყოლება. ერთ ან ორ წელიწადში კი სივრცის გამამრუდებელი ანუ, როგორც ზოგიერთი უწოდებს, ჰიპერატომური ძრავი გვექნება. რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ ეს მსოფლიოში საუკეთესო რამ იქნება!

რობერტსონმა ჩაიცინა და ხელი გაუწოდა:

– მომეცით კონტრაქტი, ხელს მოვანწერ.

როცა სიუზენ კელვინი საიმედოდ დაცულ მიწისქვეშა კამერაში შევიდა, სადაც ბრენი იყო მოთავსებული, ერთ-ერთი მორიგე ტექნიკოსი მანქანას ეკითხებოდა:

– თუ ერთნახევარი ქათამი დღენახევარში ერთნახევარ კვერცხს დებს, რამდენ კვერცხს დადებს ცხრა ქათამი ცხრა დღეში?

ბრენმა თვალისდახამხამებაში უპასუხა:

– ორმოცდაათხმეტს.

– გესმის, შე შტერო?! – სიცილით გასძახა ტექნიკოსმა კოლეგას.

დოქტორმა კელვინმა ჩაახველა და ტექნიკოსები მაშინვე დაფაცურდნენ. ფსიქოლოგმა ხელით ანიშნა გასულიყვენ და ბრენთან სულ მარტო დარჩა.

ბრენი საგულდაგულოდ კონდიცირებული ჰელიუმის ატმოსფეროს შემცველი ორი ფუტი სიმაღლის სფერო გახლდათ, რომელიც იატაკზე მყარად იყო დამაგრებული და გამოსხივებისგანაც საიმედოდ დაცული. სფერო შიგნიდან წარმოუდგენელი სირთულის პოზიტრონული ტვინის ხვეულებით იყო სავსე. სწორედ ეს იყო მანქანის მოაზროვნე ნაწილი. ოთახის დანარჩენი ნაწილი ეკავა მოწყობილობებს, რომლებიც ბრენს გარესამყაროსთან აკავშირებდა. სწორედ ეს იყო მისი ხმა, მკლავები, გრძნობათა ორგანოები.

სიუზენ კელვინმა მშვიდად მიმართა:

– როგორ ხარ, ბრენ?

ბრენმა ხმამალლა, ხალისიანად მიუგო:

– მშვენივრად, მის სიუზენ. გატყობთ, რაღაც უნდა მკითხოთ. მზად ვარ, გიპასუხოთ. როცა რაიმეს კითხვას აპირებთ, ყოველთვის წიგნი გიჭირავთ ხელში.

დოქტორმა კელვინმა გაიღიმა.– დიახ, მართალი ხარ, მაგრამ ჯერ არა. ჩვენი კითხვა იმდენად რთულია, გადავწყვიტეთ, წერილობით მოგაწოდოთ. ახლა კი მინდა წინასწარ გაგესაუბრო.

– კეთილი, საუბრის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

– მისმინე, ბრენ. სადაცაა დოქტორი ლენინგი და დოქტორი ბოგერტი მოვლენ. ბარათებზე ჩამოწერილ იმ რთულ კითხვას სწორედ ისინი მოიტანენ. ჩვენ მას ნაწილ-ნაწილ მოგაწვდით, იმიტომ, რომ გვინდა, ძალიან დაკვირვებით შეისწავლო. რაღაცის აგება უნდა გთხოვოთ, რა თქმა უნდა, თუ მოცემული ინფორმაციის მიხედვით ამას შეძლებ. მაგრამ მინდა წინასწარ გაგაფრთხილო, რომ პრობლემა... ჰმ... ეს შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლეს.

– უჰ! – შესძახა ბრენმა და უცებ ჩაჩუმდა.

– ამიტომ ყურადღებით უნდა იყო. როცა მოსალოდნელი საფრთხის შემცველ ბარათს მოგაწვდიან, სადაც შეიძლება ადამიანის დაზიანებაზე ან სიკვდილზეც კი იყოს მინიშნება, არ აღელდე. გახსოვდეს, ბრენ, რომ მოცემულ მომენტში ეს პრობლემა არ გვანტერესებს. როგორც კი ამ ბარათს ამოიცნობ, მაშინვე შეჩერდი და უკანვე დაგვიბრუნე. სულ ესაა, რაც მოგეთხოვება. გაიგე?

– ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ... ადამიანის სიკვდილი! ოჰ!...

– აბა, ბრენ, დოქტორი ლენინგი და დოქტორი ბოგერტი უკვე მოდიან. ისინი ამოცანის შინაარსს გაგაცნობენ და მუშაობასაც შეუდგები. შენ იცი, როგორ ყოჩაღად მოიქცევი!

ბარათები მანქანაში ნელ-ნელა შეუშვეს. ყოველი ბარათის მიწოდების შემდეგ ბრენის შიგნიდან უცნაური ბუტბუტის მსგავსი წყნარი ხმა ისმოდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ბრენი მუშაობდა. მერე სიჩუმე ისადგურებდა, ეს კი ნიშნავდა, რომ მანქანა მორიგი ბარათის მისაღებად მზად იყო. ამ საქმეს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა და ამ ხნის განმავლობაში ბრენის ტვინს ჩვიდმეტი ტომის მოცულობის მათემატიკური ფიზიკა მიაწოდეს.

სანამ ეს პროცესი გრძელდებოდა, ადამიანები დელავდნენ. ლენინგი თავისთვის

ცხვირში რაღაცას ბუზღუნებდა. ბოგერტი ჯერ ჩაძიებით ჩაჰკირკიტებდა თავის ფრჩხილებს, მერე კი დაბნეულად დაიწყო მათი კვნევა. როცა ქალაღდების უკანასკნელი სქელი დასტა მანქანაში გაუჩინარდა, გაფითრებულმა კვლვინმა თქვა:

– რაღაც დაემართა.

ლენინგმა ძლივს ამოღერღა:

– შეუძლებელია. ის რა... მოკვდა?

– ბრენი! – სიუზენ კვლვინი ცახცახებდა, – გესმის, ბრენი?

– რაო? – მოისმა სასხვათაშორისო პასუხი... – გჭირდებით?

– პასუხი გვინდა...

– ჰო, პასუხი გაინტერესებთ? დიახ, მე შემიძლია ამის გაკეთება. ხომალდს აგიგებთ, ეს სულ ადვილი საქმეა. ოღონდ, რობოტები უნდა დამახმაროთ. დიდებულ ხომალდს აგიგებთ. შეიძლება ორი თვე დამჭირდეს.

– კი მაგრამ, არავითარი სირთულე არ შეგხვედრია?

– გამოთვლას დასჭირდა დიდი დრო, – თქვა ბრენიმ.

დოქტორმა კვლვინმა უკან დაიხია. გამხდარ სახეზე ფერი მაინც არ მოსვლია. დანარჩენებს ხელით ანიშნა, გასულიყვნენ.

კვლვინის კაბინეტში შეიკრიბნენ.

– არაფერი მესმის, – თქვა ფსიქოლოგმა, – ბრენის ისეთი ინფორმაცია მივანოდეთ, რომ მასში აუცილებლად უნდა წარმოშობილიყო დილემა... შესაძლოა, ადამიანთა დაღუპვის შემცველიც... რაღაც სწორად ვერ წავიდა...

– მანქანა ლაპარაკობს და მშვენივრად აბროვნებს, – დაამშვიდა ბოგერტმა, – მაშასადამე, დილემა არ შეხვედრია.

– დილემაც არის და დილემაც, – გაცხარებით უპასუხა ფსიქოლოგმა, – ათასნაირი ახსნა არსებობს. ვინ იცის, იქნებ ბრენი იმდენადაა დაზიანებული, რომ ამოცანის არსს ვერ ჩასწვდა, ამიტომ მისი ამოხსნა შესაძლებლად მიაჩნია, თუმცა სინამდვილეში ამას ვერ შეძლებს. ან რაღაც საფრთხის წინაშე დგას და მცირე ბიძგიც საკმარისია, რომ განადგურდეს.

– კი მაგრამ, – დაიწყო ლენინგმა, – იქნებ, არც არსებობს არავითარი დილემა და „კონსოლიდირების“ მანქანა სხვა მიზეზით გაფუჭდა, მაგალითად, უბრალოდ მექანიკურად მოიშალა?

– ასეც რომ იყოს, – დაბეჭითებით ამტკიცებდა კვლვინი, – არ შეგვიძლია, ასეთი

შემთხვევა ყურადღების მიღმა გავატაროთ. მისმინეთ. დღეიდან ბრენის ახლოს არავინ გაეკაროს, ამ საქმეს მე ვკურირებ.

– ძალიანაც კარგი, – დაეთანხმა ლენინგი, – გადაიბარე. დაე, ააშენოს ბრენიმა თავისი ხომალდი და თუ ამას ნამდვილად შეძლებს, მაშინ მისი გამოცდაც მოგვიწევს, – ბოლოს ჩაფიქრებულმა დაამთავრა, – ამისთვის ჩვენი საუკეთესო საველე გამოცდელეების მოწვევა დაგვჭირდება.

მაიკლ დონოვანმა აქოჩრილი წითური თმა ხელით ჩამოივარცხნა, მაგრამ ვერც კი შენიშნა, რომ იმწამსვე ყალყზე დაუდგა.

– გრეგ, მოემზადე, – უთხრა მეგობარს, – ამბობენ, ხომალდის მშენებლობა დამთავრდაო. არავინ იცის,რა ხომალდია, მაგრამ ნამდვილად დასრულებულია. წამოდი, ერთი სული მაქვს, როდის ავათამაშებ თითებს მის ღილაკებზე.

– მორჩი, მაიკ, – მიუგო მონყენილმა პაუელმა, – შენი ლლიცინი ყელში ამომივიდა, აქაურმა ჰაერმაც ლამისაა სული შემიხუთოს.

– კარგი, ჰო! – დონოვანმა კიდევ ერთხელ გადაისვა თმაზე ხელი, – არც მე მალეღვებს ეს ჩვენი თუჯის გენიოსი და მისი თუნუქის ხომალდი, მხოლოდ უქმად გატარებული შვებულება მენანება. მომწყინდა ყველაფერი... ნეტა რაღა სულ ჩვენ გვავალებენ ასეთ საქმეებს?

– იმიტომ, – აუღელვებლად უპასუხა პაუელმა, – რომ, რამე თუ შეგვემთხვევა, დიდად არავინ შეიწუხებს თავს. აი, მგონი, დოქტორი ლენინგი მოდის.

მართლაც, ლენინგი მათკენ მოდიოდა. ჭალარა წარბები წინანდებურად აჭაგროდა, თუმცა, სიბერის მიუხედავად, წელგამართულად და მხნედ მოაბიჯებდა. ის გამომცდელეთან ერთად გავიდა მოედანზე, სადაც უტყვი რობოტები ადამიანების ჩაურევლად აშენებდნენ ხომალდს.

უფრო სწორად, უკვე აეშენებინათ.

– რობოტები გაჩერდნენ, დღეს არც ერთი არ განძრეულა, – თქვა ლენინგმა.

– ესე იგი ნამდვილად დაამთავრეს? – იკითხა პაუელმა.

– რა გითხრათ, – ლენინგი ცოტა გაღიზიანებული ჩანდა, კოპებშეკრულს წარბები თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული, – დამთავრებულს ჰგავს, ზედმეტი ნაწილებიც აღარსად ყრია და ინტერიერიც ბზინავს.

– იყავით შიგნით?

– მხოლოდ შვეიხედე. მე ასტრონავტი არ ვარ. მგონი, ვერც თქვენ ერკვევით ძრავის

თეორიაში, არა?

დონოვანმა და პაუელმა ერთმანეთს გადახედეს.

– ლიცენზია კი მაქვს, სერ, – დაიწყო დონოვანმა, – მაგრამ, როცა უკანასკნელად გადავხედე, მასში არც ჰიპერძრავაზე ამომიკითხავს რამე და არც ქსელურ ნავიგაციაზე. ვფიქრობ, მხოლოდ სამგანზომილებიან საბავშვო სათამაშოებთან მიკარების უფლებას მძღვეს.

ალფრედ ლენინგმა შეხედა, უკმაყოფილოდ ჩაახველა და გულგრილად წარმოთქვა:

– ეგ არაფერია, მექანიკოსები გვყავს.

წასასვლელად შებრუნდა, მაგრამ პაუელმა შეაჩერა:

– მაპატიეთ, სერ, ხომალდზე ასვლა აკრძალულია?

– არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის მაინც.

დონოვანმა თვალი გააყოლა და რაღაც ჩაიბურტყუნა. მერე პაუელს მიუბრუნდა:

– ნეტავი, შემეძლოს, სიტყვასიტყვით ჩამოვუყალიბო, რასაც მასზე ვფიქრობ.

– შიგნით ხომ არ შევსულიყავით, მაიკ?

თვალის ერთი შევლებითაც ჩანდა, რომ ხომალდი შიგნიდანაც ბოლომდე მზად იყო. ადამიანის ხელი ისე ვერასოდეს დააწვრიალებდა ყველაფერს, როგორც რობოტებს გაეკეთებინათ. კედლებს ვერცხლისფრად გაჰქონდათ ლაპლაპი და, ცხადია, არც თითის ანაბეჭდები დაეტოვებინათ.

ხომალდს კუთხეები არ ჰქონდა. კედლები, იატაკი და ჭერი ერთმანეთში გადადიოდა, ხოლო ფარული ლამპებისა და ცივი ლითონის ელვარებაში ადამიანი გარშემო გაბნეულ საკუთარ ეჭვს გამოსახულებას დაინახავდა. მთავარ დერეფანის გასწვრივ ჩამწკრივებული ერთნაირი კაიუტების კარები გამოდიოდა, მყარი იატაკიდან ფეხების ბაკუნი ირეკლებოდა.

– ეტყობა ავეჯი კედლებშია ჩამონტაჟებული, – თქვა პაუელმა, – ხომ არ ფიქრობენ, რომ არც დაჯდომა მოგვინდება და არც წამოწოლა.

ხომალდის ცხვირთან განლაგებული ბოლო ოთახი დანარჩენებისგან გამოირჩეოდა. აქ, მთლიანი კონსტრუქციის ლითონის კედელში ამოჭრილ ერთადერთ სარკმელში არაამრეკლავი მინა იყო ჩასმული, მის ქვემოთ კი ერთადერთი ციფერბლატი მიემაგრებინათ. ისარი ნულზე გაყინულიყო.

– შეხედე! – თქვა დონოვანმა და იმ ერთადერთ სიტყვაზე მიუთითა, რომელიც ციფერბლატის წვრილი დანაყოფების ქვემოთ ეწერა – პარსეკები (პარსეკი – მანძილის გასაზომი ერთეული ასტრონომიაში). სკალის მარჯვენა ბოლოში მოჩანდა რიცხვი 1 000

000.

ოთახში ორი მასიური, შალითაგადაუკრავი ფართო სავარძელი იდგა. პაუელი ერთ-ერთში ფრთხილად დაეშვა და იგრძნო, რომ სავარძელი თითქოს მის სხეულს მოერგო.

– აბა, რას ფიქრობ? – იკითხა პაუელმა.

– მე მგონი, იმ ბრენის ტვინის ანთება აქვს. წამო რა, დავახვიოთ აქედან.

– არ გინდა, ხომალდი ცოტა უკეთ დავათვალიეროთ?

– უკვე საკმარისად ვნახე ყველაფერი. „მოვედი, ვნახე, გავიარე!“ – დონოვანს წითური თმა ისევ ყალფზე ედგა, – გრეგ, მოდი, წავიდეთ რა. ამ კომპანიაში მუშაობას თავს ვანებებ, უფრო სწორად, ხუთი წამია, რაც აქ აღარ ვმუშაობ, ხოლო უცხო პირთათვის აქ შემოსვლა აკრძალულია.

პაუელმა თანაგრძნობით ჩაიციინა და უღვაში მოიწინა.

– კარგი, მაიკ, ონკანი დაკეტე, სისხლში ამდენ ადრენალინს ნუ უშვებ. თავიდან მეც ვწუხდი, მაგრამ გამიარა. ახლა ყველაფერი წესრიგში მაქვს.

– წესრიგში? ეს როგორ? დაზღვევის კიდევ ერთი პოლისი აიღე?

– მაიკ, ამ ხომალდს ფრენა არ შეუძლია

– საიდან იცი?

– მთელი ხომალდი მოვიარეთ, ასე არ არის?

– ჰო, თითქოს.

– დამიჯერე, რომ გეუბნები, მთლიანად მოვიარეთ-მეთქი. მერე სადმე სამართავი პულტის მსგავსი რამ შეგხვდა, თუ არ ჩავთვლით ამ ოთახს, სადაც ერთადერთი ილუმინატორი და პარსეკების მაჩვენებელია?

– არა.– რაიმე სხვა აპარატურა თუ შენიშნე?

– მართლაც არაფერი დამინახავს!

– ჰოდა, ეს ახალი ამბავი ახლავე ლენინგს უნდა ვაცნობოთ.

თავგზაბნეულები, ლანძღვითა და წყევლა-კრულვით მიიკვლევდნენ გზასუფერულ დერეფნებში. როგორც იქნა, იმ გასასვლელამდეც მიაღწიეს, რომელიც მთავარი პაერჩამკეტისკენ მიემართებოდა.

უცებ დონოვანი შედგა.

– ეს შენ ჩაკეტე, გრეგ?

– არც მიფიქრია. ბერკეტს მოქაჩე, რა.

ბერკეტი არ ემორჩილებოდა, თუმცა დონოვანს დაძაბულობისგან სახე ერთიანად

დამანტოდა.

– საავარიო გასასვლელიც არსად დამინახავს, – თქვა პაუელმა, – თუ მართლაც რაღაც მოხდა და ჩავიკეტეთ, აქედან მხოლოდ ხომალდის კორპუსის ამოჭრის შედეგად თუ გაგვიყვანენ.

– მოდი ახლა და ელოდე, სანამ მიხვდებიან, რომ ვიღაც უტვინომ გამოგვკვება, – დაურთო დონოვანმა ბუზღუნით.

– მოდი, ილუმინატორიან ოთახში შევბრუნდეთ, იქნებ იქიდან მაინც ვაცნობოთ რამე. მაგრამ ასე არ მომხდარა.

ილუმინატორიდან მტრედისფერი ცა აღარ მოჩანდა. ყველაფერი შავი იყო, ხოლო ქინძისთავის ზომის ყვითელი წერტილები მხოლოდ და მხოლოდ კოსმოსს ნიშნავდა.

გაისმა ორმაგი ყრუ ამოოხვრა და ორი სხეული გვერდიგვერდ მდგარ სავარძლებში ჩაესვენა.

აღფრედ ლენინგი დოქტორ კელვინს თავისი კაბინეტის წინ შეხვდა. ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს. ქალს ოთახში შეუძღვა.

– მაშ ასე, სიუზენ. საკმაოდ შორს შევტოპეთ და რობერტსონიც ძალიან ნერვიულობს. რას შვრება ბრენინი?

სიუზენ კელვინმა ხელები გაშალა:

– აჩქარება არ ივარგებს. ბრენინს უსაფრთხოება ნებისმიერ მოსალოდნელ ჯარიმაზე მნიშვნელოვანია.

– უკვე ორი თვეა, რაც მასთან მუშაობთ.

ფსიქოლოგი თითქოს უემოციოდ ლაპარაკობდა, თუმცა მის ხმაში მუქარაც ისმოდა.

– გინდათ, თავად გაუძღვეთ ამ საქმეს?

– ვფიქრობ, იცით, რასაც ვგულისხმობ.

– დიახ, ვიცი, – დოქტორმა კელვინმა ნერვიულად მოიფშვინტა ხელები, – ეს იოლი საქმე არ არის. ასეც ვეცადე და ისეც, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს მივალწიე. ნორმალური რეაქციები არა აქვს. უცნაურ პასუხებს იძლევა და ჯერ დაზუსტებით ვერაფერი დავადგინე. ვიდრე არ გავიგებთ, რა ხდება, სიფრთხილე გვმართებს. წინასწარ ვერ ვიტყვი, რომელი მარტივი კითხვა ან შენიშვნა გამოიწვევს ბრენინის სრულ მოშლას. წახვალთ ასეთ რისკზე?

– კარგი, მაგრამ პირველ კანონს ხომ ვერ დაარღვევს?

– მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ...

– როგორ, არა ხართ ბოლომდე დარწმუნებული? – შემოთებით ჰკითხა ლენინგმა.

– ალფრედ, ჯერჯერობით არაფერში არ ვარ დარწმუნებული...

უეცრად განგაშის სიგნალი აყვირდა. ლენინგმა აკანკალებული ხელით ჩართო კავშირი და გაქვავდა:

– სიუზენ... გესმის?... ხომალდი გაფრინდა. ის ორი გამომცდელი ნახევარი საათის წინ შიგნით შევუშვი... როგორმე ერთხელ კიდევ უნდა მოვლაპარაკოთ ბრეინს.

სიუზენ კელვინი მოჩვენებით სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

– ბრეინ, რა დაემართა ხომალდს?

– ჩემს მიერ აგებულ ხომალდს, მის სიუზენ? – ხალისიანად მიუგო ბრეინმა.

– ჰო, იმას. რა შეემთხვა?

– არაფერიც არ შეემთხვა. ორი ადამიანი, რომელთაც მისი გამოცდა სურდათ, შიგნით შევიდა. ყველაფერი მზად იყო და მე ის კოსმოსში გავუშვი.

– ოჰ... ძალიან კარგი... – ფსიქოლოგს სუნთქვა შეეკრა, – როგორ ფიქრობ, უსაფრთხოდ იქნებიან?

– ყველაფერი რიგგეა, მის სიუზენ. წინასწარ ვიზრუნე, მშვენიერი ხომალდია.

– კეთილი, ბრეინ, მშვენიერი კია, მაგრამ, როგორ ფიქრობ, საკვები ეყოფათ? კარგად იგრძნობენ თავს?

– საჭმელი თავსაყრელად ექნებათ.

– ხომ შეიძლება ამ უჩვეულო მდგომარეობამ ისინი დააბნიოს, ბრეინ. ხომ იცი, მოულოდნელობა რასაც ნიშნავს.

ბრეინმა იმწამსვე მიუგო:

– ორივენი მშვენივრად გრძნობდნენ თავს. ეს მოგბაურობა ძალიან საინტერესო იქნება.

– საინტერესო? როგორ?

– უბრალოდ, საინტერესო იქნება, – თქვა ბრეინმა ეშმაკურად.

– სიუზენ, – წასჩურჩულა აღელვებულმა ლენინგმა, – ჰკითხე, ხომ არ დაიხოცებიან, რაიმე საშიშროება ხომ არ მოვლით ხომალდზე!

– გაჩუმდით! – გაუბრაზდა კელვინი და აკანკალებული ხმით ისევ ბრეინს მიუბრუნდა, – შეგვიძლია დავუკავშირდეთ ხომალდს და იქ მყოფ ადამიანებს დაველაპარაკოთ, არა, ბრეინ?

– დიახ, რადიოში თქვენს ხმას გაიგონებენ, მე ამაზეც ვიზრუნე.

– გმადლობთ. ამჯერად საკმარისია.

გარეთ რომ გამოვიდნენ, ლენინგი გაშმაგებით მივარდა კვლევის:

– სიუზენ, თუ გაგვიგვს, რომ ხომალდი დიდ გალაქტიკაში გავიდა, ყველანი დავიღუპებით. ისინი უკან უნდა დავაბრუნოთ. რატომ პირდაპირ არ ჰკითხე, ემუქრებათ თუ არა სიკვდილი!

– იმიტომ, რომ, – თქვა კვლევიმა იმედგაცრუებით, – სწორედ ესაა, რისი ხსენებაც არ შეიძლება. თუ დილემა არსებობს, მაშინ ის სიკვდილთან იქნება დაკავშირებული. ბრენი უეცრად დილემის წინაშე რომ დავაყენოთ, ვაითუ, ვერ გაუძლოს. ეს კი არაფერში გვჭირდება. ახლა კი მომისმინეთ – ბრენიმა ხომ გვითხრა, რადიოთი დაუკავშირდითო. მოდი, ასეც მოვიქცეთ. გავიგოთ, სად არიან და უკანვე მოვუხმოთ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ თვითონ არც მართავენ ხომალდს. ბრენი ამას ალბათ დისტანციურად აკეთებს.

კარგა დრო გავიდა, სანამ პაუელს პირველი შოკი გაუვლიდა.

– მაიკ, – გამოსცრა გაყინული ტუჩებიდან, – გრძნობდი რაიმე აჩქარებას?

დონოვანიმა უაზროდ შეხედა.

– ჰა?... არა... არა.

მერეხელები მომუშტა, სავარძლიდან გველნაკბენივით წამოიჭრა და ცივ ამობურცულ მინას მივარდა, რომლის მიღმაც ვარსკვლავების მეტი არაფერი ჩანდა.

– გრეგ, სანამ ჩვენ ხომალდს ვათვალიერებდით, მათ ძრავა ჩართეს, – მოუტრიალდა დონოვანი, – ეს განგებ მოგვიწყვეს. ყველაფერი რობოტს გააკეთებინეს და მოულოდნელად გაგვიშვეს მაშინ, როცა ხომალდს ვამოწმებდით. ხომ შეიძლებოდა, უარი გვეთქვა.

– რას ამბობ! რა აზრი აქვს ჩვენს კოსმოსში გაშვებას, თუ არ გვეცოდინება, როგორ ვმართოთ მანქანა? უკან როგორ უნდა დავბრუნდეთ? არა, ხომალდი ბედის ანაბარაა მიტოვებული და ყოველგვარი აშკარა დამაჩქარებლის გარეშე მუშაობს, – პაუელი წამოდგა და ნელა გაიარა იატაკზე. ლითონის კედლები ნაბიჯების ხმას უკან აბრუნებდნენ, – ეს ყველაზე უსიამოვნო შემთხვევაა, რასაც კი მე და შენ ოდესმე გადავყრივართ, მაიკ, – თქვა ყრუდ.

– ახალი ამბავი! – შეუღრინა დონოვანი, – არადა, ზუსტად ახლა ვინცები დროის ტარებას.

პაუელმა მის სიტყვებს ყური აარიდა.

– არავითარი აჩქარება არ ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხომალდი სრულიად

უცნობი პრინციპით მუშაობს, – თქვა მან.

– ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის უცნობი პრინციპით.

– საერთოდაც უცნობი პრინციპით. ხელით მართვის აპარატურა არსად ჩანს. იქნებ კედლებშია ჩამონტაჟებული? შეიძლება იმიტომაცაა კედლები ასეთი სქელი.

– რას ბოდავ? – ჰკითხა დონოვანმა.

– რატომ არ მისმენ? ხომ გეუბნები, რომ ყველაფერი, რაც ამ ხომალდს ამოძრავებს, დაფარულია და მათი დანახვა საჭირო არცაა, რადგან იგი დისტანციური მართვით მოძრაობს.

– მერე და ვინ მართავს? ბრენინი?

– რატომაც არა?

– ესე იგი, შენი აზრით, აქ იქამდე უნდა ვიყოთ, ვიდრე ბრენინი არ დაგვაბრუნებს?

– ადვილი შესაძლებელია. თუ ასეა, მაშინ მშვიდად დაველოდოთ. ბრენინი რობოტია. ვალდებულია დაემორჩილოს პირველ კანონს, ამიტომ ზიანს არ მოგვაყენებს.

დონოვანი ნელა დაეშვა სკამზე...

– ასე გგონია? – ურჩი თმა გულდასმით გადაიწია, – მისმინე, „კონსოლიდეტიდის“ რობოტი სწორედ ამ სივრცის გამრუდების აბდაუბდამ დააზიანა, მეცნიერებმა კი ეს ისე ახსნეს, თითქოს ვარსკვლავთმორისი მოგზაურობა ადამიანებისთვის სასიკვდილოა. რომელ რობოტს გინდა ენდო? როგორც ვხვდები, ჩვენს ბრენინსაც სწორედ იგივე მონაცემები მიაწოდეს.

პაუელი გამალეებით იწინვნიდა ულვაშს.

– ისე ნუ იქცევი, მაიკ, თითქოს რობოტიკის არაფერი გაგეგებოდეს. სანამ რობოტი პირველი კანონის დარღვევას შეძლებს, იმდენი რამ უნდა გაუფუჭდეს, რომ ათჯერ მოასწრებს რკინის ჯართად გადაქცევას. არა, ამას რაღაც უფრო მარტივი ახსნა უნდა ჰქონდეს.

– ო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ოღონდაც მსახურთუხუცესი გააფრთხილე, დილით ადრე გამალვიძოს. ეს ყველაფერი ჩემთვის ზედმეტად მარტივია საიმისოდ, რომ საამური ძილის წინ ნერვები ავიშალო.

– კარგი ერთი, მაიკ, წინასწარ რას წუწუნებ? ჩვენზე ბრენინი ზრუნავს. აქ თბილა, შექიყ გვაქვს, არც ჰაერი გვაკლია. სასტარტო აჩქარება კი ისეთი რბილი იყო, თმის ღერსაც ვერ შეგირხევდა, დავარცხნილი რომ გქონოდა...

– ეჰ, გრეგ, გეტყობა, შენ წინასწარ შეგამზადეს. შორ გზაზე მოგზაურობისას საკითხავად

„პოლიანაც“ (ელეონორ პორტერის ნაწარმოები, საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ტექსტი) ხომ არ გამოაგატანეს? აბა, რა უნდა ვჭამოთ? რა უნდა ვსვათ? როგორ უნდა დავბრუნდეთ უკან? რამე რომ შეგვემთხვეს, რომელი სკაფანდრებით და რა გზით უნდა უნდა ვუშველოთ თავს? აქ აბაზანა ან საპირფარეშოც კი არსად დამინახავს. კი ბატონო, ვიდაცა ზრუნავს ალბათ ჩვენზე, მაგრამ რამდენად კარგად ზრუნავენ!..

ხმა, რომელმაც დონოვანს მონოლოგი შეაწყვეტინა, პაუელისა არ იყო. ის სადღაც აქ იყო, თითქოს ჰაერში გადმოკიდებულიყო: გრეგორი პაუელ! მაიკლ დონოვან! გრეგორი პაუელ! მაიკლ დონოვან! გვაცნობეთ თქვენი ადგილსამყოფელი! თუ თქვენი ხომალდი მართვას ემორჩილება, დაბრუნდით ბაზაზე! გრეგორი პაუელ, მაიკლ დონოვან!..

შეტყობინება რამდენჯერმე მექანიკურად განმეორდა. გარკვეული ინტერვალებით რეგულარულად წყდებოდა ხოლმე.

– საიდან მოდის ეს ხმა? – იკითხა დონოვანმა.

– არ ვიცი, – დაძაბულად დაიჩურჩულა პაუელმა, – ან ეს სინათლე საიდან მოდის? საერთოდ, ყველაფერი საიდან ჩნდება?

– როგორ გავცეთ პასუხი? – ერთმანეთს ინტერვალების დროს ელაპარაკებოდნენ.

ხომალდის ლითონის კედლები გლუვი და მყარი იყო. იატაკს ისე უერთდებოდა, წვრილი ხაზიც კი არსად ჩანდა.

– პასუხი უბრალოდ რომ დავიყვიროთ? – იკითხა პაუელმა.

ასეც მოიქცნენ. ხან რიგრიგობით ყვიროდნენ, ხან ერთად: „ადგილმდებარეობა უცნობია! ხომალდის მართვა შეუძლებელია! მდგომარეობა უიმედოა!“

მათი ხმა გაისმა და იქვე ჩაქრა. მოკლე, საქმიანი წინადადებები ერთმანეთში აირია და ლანძღვა-გინებამ შეცვალა, მაგრამ ცივი შეტყობინება ისევ და ისევ მეორდებოდა... კიდევ და კიდევ, გაუთავებლად.

– მათ ჩვენი არ ესმით, გადამცემი მექანიზმი არ არსებობს, მხოლოდ მიმღებია, – თქვა სუნთქვაშეკრულმა დონოვანმა და უაზროდ მიაშტერდა კედელს.

შემომავალი ხმა ნელ-ნელა მისუსტდა და ბოლოს საერთოდ მიწყდა. სანამ ჩურჩულივით მაინც ისმოდა, ისევ ყვიროდნენ. მერეც განაგრძობდნენ ხმაჩახლეჩილები, როცა უკვე სრული სიჩუმე ჩამოწვა.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ღონემიხდილმა პაუელმა თქვა:

– მოდი, ხელახლა დავათვალიეროთ ხომალდი, იქნებ რაიმე საჭმელი მაინც ვიპოვოთ, – მისი ხმა არც ისე იმედიანად ჟღერდა. მასში დანებება უფრო შეიმჩნეოდა.

დერეფანში გავიდნენ. ერთი მარჯვენა მხარეს ჩამწკრივებული ოთახების შესამონმებლად გაემართა, მეორე – მარცხენა მხარეს ჩამოუყვია. ერთმანეთის ფეხის ხმა ესმოდათ, რამდენჯერმე შემთხვევითაც შეხვდნენ, ერთმანეთს პირქუშად გადახედეს და ისევ სხვადასხვა მხარეს ქნეს პირი.

ბოლოს პაუელმა იპოვა, რასაც ეძებდა. სწორედ ამ დროს დონოვანის გამარჯვებული ყვინიაც მოესმა:

– ჰეი, გრეგ, ეს ხომალდი კეთილმოწყობილი ყოფილა. რატომ აქამდე ვერ შევამჩნიეთ?

ხუთიოდე წუთის შემდეგ, როცა ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ, დონოვანმა შესჩივლა:

– შხაპი ჯერ ვერ ვიპოვე...

– საჭმელი! – წამოიძახა უცებ პაუელმა.

მათ წინ კედლის ნაწილი გადაიხსნა და უფორმო ნიში გამოჩნდა. ნიშში ორი თარო მოჩანდა. ზედა თაროზე სხვადასხვა ზომის უეტიკეტო ქილები ეწყო, ქვედა კი ერთნაირი მომინანქრებული კონტეინერებით იყო სავსე. დონოვანმა მუხლებში სიგრილე იგრძნო: ქვედა თარო მაცივარი აღმოჩნდა.

– კი, მაგრამ, როგორ?

– ცოტა ხნის წინ აქ არაფერი იყო, კედლის ეს ნაწილი საეროდ არ შემიმჩნევია, – თქვა პაუელმა, – კარში რომ შემოვედი, მერეღა გაიხსნა.

ის უკვე ჭამდა. თუნუქის კონტეინერს თავისთავად გაეთხო საჭმელი, კოვზიც შიგნით იდო და ოთახში ჩაშუშული ლობიოს თბილი სურნელი დადგა.

– მიდი, მაიკ!

– მენიუ როგორია? – ჰკითხა დონოვანმა.

– მე რა ვიცი. უკვე არჩევა დაიწყე?

– არა, მაგრამ ხომალდებზე ისედაც სულ ლობიოს ვჭამ და ყელში ამომივიდა. იქნებ, სხვა რამეც იყოს, – ხელი გაიწოდა და ელიფსის ფორმის პრიალა კოლოფი ჩამოიღო. ასეთ კოლოფებში ორაგულსა და სხვა რჩეულ კერძებს აკონსერვებენ ხოლმე. სახურავს დააწვა და კოლოფი თავისით გაიხსნა.

– ფუ, ესეც ლობიო ყოფილა! – ამოიკვნესა დონოვანმა და სხვა კოლოფის ჩამოსაღებად გაიწოდა ხელი, მაგრამ პაუელმა ჩანტად, ქშენით, უკანვე მიუჩოჩა უკვე გახსნილი კოლოფი.

– გირჩევნია ის მიირთვა, რაც გახსენი, მეგობარო. ეშმაკმა იცის, რამდენ ხანს

მოგვიწვევს აქ ყურყუტი, მარაგი კი არც ისე დიდია.

დონოვანმა უხალისოდ მიიჩოჩა კოლოფი.

– სულ ესაა ჩვენი სიმდიდრე? მარტო ლობიო და სხვა არაფერი?

– არ არის გამორიცხული.

ქვედა თაროზე რაღა აწყვია?

– რძე.

– მარტო რძე?! – გაბრაზდა დონოვანი.

– ასე ჩანს.

რაღას იზამდნენ, ლობიო მიირთვეს და რძეც დააყოლეს. როცა გასვლა დააპირეს, ფარული კედელი ისევ უხმაუროდ აიწია და გლუვი, მყარი ზედაპირი შეიკრა.

პაუელმა ამოიოხრა.

– ყველაფერი ავტომატურია, ყველაფერი. ასე უმწეოდ თავი ცხოვრებაში არ მიგრძნია. აბა, სად არის შენი საპირფარეშო.

– აქვეა. აქამდე არც ის ჩანდა.

თხუთმეტ წუთში ისევ ილუმინატორიან ოთახში, მოპირდაპირე სავარძლებში ისხდნენ და ნაღვლიანად შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ცოტა ხანში პაუელმა ბოლმიანად გადახედა კედელზე დამაგრებულ ციფერბლატს, რომელსაც პარსეკები ეწერა, მრიცხველი 1.000.000-ით სრულდებოდა, ისარი კი ისევ ნულისკენ იყო მიშვერილი.

„იუ ეს რობოტს ენდ მექანიკალ მენ კორპორეიშენის“ საიდუმლო კაბინეტში ქანცმილეული ალფრედ ლენინგი დოქტორ კელვინს ეუბნებოდა:

– არ გვიპასუხეს. ყველანაირი სიხშირის ტალღა გამოვიყენეთ, საჭაროც და კერძოც, კოდითაც გადავეცით და პირდაპირი ტექსტითაც. ბრენინი ისევ არაფერს ამბობს? – ჰკითხა დოქტორ კელვინს.

– ვერაფრით დავიყოლიე ამ საკითხზე სასაუბროდ, ალფრედ, – თქვა შემცბარმა სიუზენმა, – მიმტკიცებს, თქვენი ხმა ესმითო. როცა უფრო მეტის გამოძალვა ვცადე, როგორ გითხრათ... ეგრევე იბუტება. წარმოუდგენელი ამბავია, ვის გაუგონია, რობოტი ჭიუტობდეს? არადა ნამდვილად ასეა.

– ის მაინც გვითხარით, სიუზენ, რისი გაცება მოახერხეთ? – ჩაერია ბოგერტი.

– კეთილი, გეტყვით. ბრენინი ხომალდს თავად მართავს. დარწმუნებულია, რომ ბორტზე მყოფ ადამიანებს არაფერი ემუქრებათ, მაგრამ, დაწვრილებით არაფერს ამბობს. მეც

მეშინია, არ შევანუხო. ვფიქრობ, მისი მღელვარების მიზეზი მაინც ვარსკვლავთშორის სივრცეში ნახტომის განხორციელებაა. ბრენმა ეშმაკურად გაიცინა, როცა ამაზე სიტყვა გადაეუკარი. მისი არანორმალურობა სხვა მხრივაც ჩანს, მაგრამ ეს ყველაზე აშკარა ნიშანია, – ქალმა დანარჩენებს გადახედა და დაუმატა, – ისტერიული ნევროზი მაქვს მხედველობაში. საუბარი მაშინვე სხვა თემაზე გადავიტანე და, მგონი, ვერაფრის დაზიანება ვერ მოვასწარი. სამაგიეროდ, ამან გასაღები მომცა. ნევროზს მოვერევი, არ მეშინია, მხოლოდ თორმეტი საათი მადროვეთ. თუ მანქანას მოვაწესრიგებ, ის აუცილებლად თვითონვე დააბრუნებს ხომალდს.

– ვარსკვლავთშორისი ნახტომი?... – ბოგერტი უცებ გაფითრდა.

– რა მოხდა?! – ერთხმად შეჰყვირეს კელვინმა და ლენინგმა.

– ბრენმა რომ მოგვცა, იმ ძრავის გაანგარიშებები გამახსენდა. მოიცადეთ, მგონი რაღაცასმივხვდი...

ოთახიდან უცებ გავარდა.

ლენინგმა ყურადღებით გააყოლა თვალი და კელვინს უკმეხად უთხრა.

– შენს საზრუნავზე იფიქრე, სიუზენ.

ორი საათის შემდეგ ოთახში დაბრუნებული აღელვებული ბოგერტი ამბობდა:

– გეუბნებით, ლენინგ, სწორედ ასეა! ვარსკვლავთშორისი ნახტომი წამიერი ვერ იქნება – სინათლის სიჩქარე ხომ ზღვრულია. გამრუდებულ სივრცეში სიცოცხლეს არსებობა არ შეუძლია... ვერც მატერია იარსებებს და ვერც ენერჯია. არ ვიცი, რა შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასეა და ვფიქრობ, „კონსოლიდეტიდის“ რობოტიც სწორედ ამან დალუპა.

დონოვანი სწორედ ისეთი ღონემიხილი იყო, როგორადაც თავს გრძნობდა.

– მხოლოდ ხუთი დღე გავიდა?

– მხოლოდ ხუთი, დარწმუნებული ვარ.

სასონარკვეთილმა დონოვანმა ილუმინატორს შეხედა. მინის მიღმა ვარსკვლავები მოჩანდა. ისინი, ჩვეულებრივ, ცივად და გულგრილად ანათებდნენ, თითქოს კედლებიდანაც სიცივე მოდიოდა. კაშკაშა სინათლე დაუნდობლად სჭრიდა თვალებს. ისარი ისევ უძრავად იდგა ნულზე. დონოვანს პირიდან ლობიოს გემო არ სცილდებოდა.

– ბანაობა მინდა! – ჩაიღრინა.

პაუელმა ცერად ამოხედა:

– არც მე მაწყენდა, მაგრამ... ამის გამო თავს ნუ დაისჯი. თუ რძეში ბანაობას აპირებ, იცოდე, დასალევი აღარაფერი დაგვრჩება...

– ბოლოს და ბოლოს, ეგ შენი რძეც განა რამდენ ხანს გვეყოფა! გრეგ, ნეტა როდის დაიწყება ის ვარსკვლავთშორისი მოგზაურობაა თუ რაღაც ჯანდაბა!

– მე რა ვიცი, იქნებ სულ ასე უნდა ვიფრინოთ და თანდათან მივალწიოთ მიზნამდე. ჩვენ თუ ვერა, იქამდე ჩვენი გამომხმარი ძვლები მაინც მიაღწევს. მაგრამ, ვაითუ ჩვენი სიკვდილის შესაძლებლობამ ბრენის ჭკუა დააკარგინა, მაშინ ნახე...

დონოვანი ზურგმექცეული ელაპარაკებოდა.

– ფიქრობ, ცუდადაა ჩვენი საქმე. არადა რას იზამ? მხოლოდ ის შეგიძლია, წინ და უკან იარო და საკუთარ თავს ელაპარაკო. ხომ გაგიგონია იმ ბიჭების ამბავი, კოსმოსში რომ იღუპებოდნენ? თურმე უფრო ადრე გიჟდებოდნენ, ვიდრე შიმშილი ამოხდიდა სულს. შენი არ ვიცი, გრეგ, მაგრამ რაც შეუქი ხელახლა აინთო, თავს უფრო მსუბუქად ვგრძნობ.

– მეც, – ცოტა დუმილის შემდეგ გაუბედავად უპასუხა პაუელმა, – შენ რას გრძნობ?

წითურა თავი მობრუნდა:

– თითქოს შიგნიდან ვარ ამჩატებული, გესმის? თან დაძაბულობისგან ლამის გული ამომივარდეს, სუნთქვა მიჭირს, ადგილზე დგომა არ შემიძლია...

– ჰმ... მ... მ... ვიბრაციას გრძნობ?

– რა ვიბრაციას?

– აბა, ერთი წუთით დაჯექი და მშვიდად გაჩერდი. შეიძლება ვერ გაიგონო, მაგრამ იგრძნობ, რომ თითქოს სადღაც რაღაც ძგერს – ხომალდიც და შენც მასთან ერთად თრთი. დაუკვირდი, ასე არ არის?

– ჰო, მართლაც... გრეგ. როგორ ფიქრობ, რა უნდა იყოს? იქნებ გვეჩვენება და არაფერიც არ არის.

– შეიძლება, – პაუელმა ნელა გადაისვა ხელი ულვაშზე, – იქნებ სულაც ხომალდის ძრავია და სხვა რეჟიმზე გადასასვლელად ემზადება.

– რისთვის ემზადება?

– რისთვის და ვარსკვლავთშორისი ნახტომისთვის. შეიძლება, ასეცაა... ემზაკმა უწყის, სინამდვილეში როგორ უნდა იყოს.

დონოვანი ჩაფიქრდა, მერე მტკიცედ თქვა:

– ეჰ, ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოსახდენია, მაგრამ ასე უბრძოლველად როგორ უნდა დავნებდეთ? გულხელდაკრეფილი ჯდომა და ლოდინი დამამცირებელია.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ პაუელმა სავარძლის მეტალის სახელურზე ჩამოდებულ ხელზე დაიხედა და აუღელვებლად თქვა:

– მაიკ, აბა, ერთი, ხელი მიადე კედელს.

დონოვანი კედელს შეეხო.

– კედელი ირყევა, გრეგ.

ვარსკვლავები ნისლში ჩაძირულ ლაქებს დამსგავსებოდნენ. სადღაც, კედელს მიღმა, თითქოს, გიგანტური ძრავი იკრებდა ძალას, გადამწყვეტი ნახტომისთვის საჭირო ენერგიას იმარაგებდა.

...ყველაფერი მწვავე ტკივილის უეცარი შემოტევით დაიწყო. პაუელი დაიძაბა, დაიგრიხა და აცახცახებული წამოიჭრა სავარძლიდან. წამიერად დონოვანს შეხედა, მერე თვალთ დაუბნელდა, ყურში კი მეგობრის ყრუ ამოკვნესა ჩაესმა. დაიკრუნჩხა და ყველანაირად ცდილობდა, გაერღვია ყინულის ფენა, რომელიც თანდათან სულ უფრო სქელდებოდა...

მერე სხეულიდან რაღაცამ ამოხეთქა და მოციმციმე შექის ალში მტკივნეულად დაბზრიალდა...

დატრიალდა...

თაქვე დაეშვა... მდუმარებაში!

ეს სიკვდილი იყო!

ეს უმოძრაობის სამყარო იყო, გრძნობებისგან დაცლილი, ჩამქრალი, უგრძნობელი ცნობიერების, წყვდიადის, მდუმარებისა და ქაოსის სამყარო.

და, რაც მთავარია, სამყარო მარადისობის ბუნდოვანი შეგრძნებისა.

ადამიანისგან მხოლოდ უმწეო თეთრი ნაგლეჯი – გათოშილი და დამფრთხალი ეგო დარჩენილიყო.

მერე მსუყე და ჟღრიალა ხმა შემოესმა და სიტყვები ქუხილივით დაატყდა თავს:

– კარგად ვერ თავსდებით თქვენს კუბოებში? „მორბიდ ემ კადავერის“ ელასტიკურ კუბოებს გირჩევთ. მათი ფორმა მეცნიერულად არის დამუშავებული და იდეალურად ესადაგება ადამიანის სხეულის ბუნებრივ ფორმებს. გარდა ამისა, ის გაჭერებულია ვიტამინ ბ1-ით. თქვენივე კომფორტისთვის ისარგებლეთ „კადავერის“ ფირმის კუბოებით. გახსოვდეთ... თქვენ... დიდხანს... იქნებით... მკვდარი... ძალიან... ძალიან... დიდხანს...

ეს ხმაც არ იყო, მაგრამ თითქოს იყო კიდევ, რომელიც თანდათან ჩურჩულში გადაიზარდა და ბოლოს საერთოდ გაქრა.

უმწეო თეთრი ნაგლეჯი, რომელიც ოდესღაც პაუელი იყო, ამაოდ ებღაუჭებოდა უხილავ ათასწლეულებს, რომლებიც ყოველმხრივ გარს შემოჭარვოდნენ და უმწეოდ მოიბუზა,

როცა ასი მილიონი მოჩვენების სასონარკვეთილი კვილი შემოესმა, ასი მილიონი სოპრანოს კვილი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ძლიერდებოდა:

ბედნიერი ვიქნები, როდესაც მოკვდები, შე გაიძვერა...

ბედნიერი ვიქნები, როდესაც მოკვდები, შე გაიძვერა...

ბედნიერი ვიქნები...

კვილი რაღაც გიჟურ სპირალურ გამას თანდათან მალლა და მალლა აჰყვა, სულისშემძვრელ ულტრაბგერად გადაიქცა, გასცდა სმენადობის ზღვარს და კიდევ უფრო მალლა აიჭრა...

თეთრი ნაგლეჯი ავადმყოფურად ცახცახებდა და იკრუნჩხებოდა...

მოისმა ჩვეულებრივი ხმა – ბევრი ჩვეულებრივი ხმა. ბრბო ყაყანებდა, გაავებულ ადამიანთა ჯგრო, რომელიც თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდა მის თავზე, მის გვერდით, მის გარშემო და გზადაგზა აფრქვევდა სიტყვებსა და დაუმთავრებელ ფრაზებს:

– რაში გამოგიჭირეს, ძმაკაც? კაი შენძრეული კი ჩანხარ...

– ...ცეცხლი მხურვალეა, მაგრამ რაღაცას ვიჩალიჩებ...

– ...ის იყო, მივალწიე სამოთხემდე და უცებ წმინდა პეტომ...

– ნწ, აგერ მყავს გამოჭერილი. ჩვენს რომ საქმეები გვიკეთებია...

– ჰეი, სემ, აქეთ...

– შეგიძლია, ერთიც მომანვეინო? ბელზებელი ამბობს, რომ...

– მოდიხარ, ძვირფასო ეშმაკუნა? მეც მელის სამოთ...

ხმაური კვლავ იმ მჭექარე ღრიალმა გადაფარა:

– ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!!! ძვლები წამოკრიფე, ნუ ზოზინობ, შენი რიგიც მოვიდა. მოამზადეთ საბუთები და გასვლისას არ დაგავიწყდეთ, პეტრეს ბეჭედი დაასმევიწით. სხვის გასასვლელში არ მოხვდეთ, ცეცხლი ყველას გეყოფათ. ჰეი, შენ, მანდი! ჩადექი რიგში, თორემ!..

თეთრი ნაგლეჯი, ოდესღაც პაუელი რომ ერქვა, მორიდებით გახობდა უკან, მისკენ მიმართულ ყვირილს განერიდა, რადგან გრძნობდა, რა მტკივნეულად ხვრეტდა გამოშვებული საჩვენებელი თითი. მერე ყველაფერი ბგერათა ცისარტყელაში აირია, რომელიც ფრაგმენტებად იმსხვრეოდა და განაწამებ ტვინს სეტყვასავით აცვიოდა.

პაუელი ისევ სავარძელში იჯდა. მთელი ტანით ცახცახებდა.

დონოვანმაც გაახილა თვალები – თვალები კი არა, ორი გადმოკარკლული ცისფერი ბურთულა.

– გრეგ, – ძლივს ამოისლუკუნა, – შენც მოკვდი?

– მე... მე ვგრძნობდი, რომ მოკვდი, – ყელიდან ამოსულ ხრიალში საკუთარი ხმა ვერ ამოიწყო.

დონოვანმა ადგომა სცადა, მაგრამ ამაოდ.

– ცოცხლები ვართ? თუ კიდევ... იქნება?

– მე... ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ, – პაუელი ჯერ კიდევ ხრიალებდა. მეგობარს ფრთხილად ჰკითხა, – შენ... შენც გესმოდა რამე, როცა... მკვდარი იყავი?

დონოვანი დუმდა. მერე ნელა დაუქნია თავი.

– შენ?

– ჰო. გესმოდა, კუბოებზე რომ ამბობდნენ?... მერე ქალი მღეროდა... ჯოჯოხეთისკენ მიმავალი რიგები... დაინახე?

დონოვანმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

– მე მხოლოდ ერთი ხმა მესმოდა.

– მაღალი?

– არა, წყნარი, მაგრამ ისეთი ხრინწიანი, თითქოს ფრჩხილზე ქლიბი გაგისვესო. ვიღაც ჯოჯოხეთის ცეცხლზე ქადაგებდა, ტანჯვა-წამებზე... ოდესღაც ასეთი ქადაგება მომისმენია... რაღაც მსგავსი...

ერთიანად ოფლში ცურავდა.

ილუმინატორში სინათლე შემოიპარა – სუსტი, მოთეთრო-ცისფერი, რომელსაც შორეული მოციმციმე წერტილი გამოსცემდა და რომელიც საერთოდ არ ჰგავდა ასე ნაცნობ მზეს.

პაუელმა აკანკალებული თითი ციფერბლატისკენ მიმართა. ისარი სამასი ათასი პარსეკის მაჩვენებელთან გაქვავებულიყო.

– მაიკ, – უთხრა პაუელმა, – ეს თუ სიმართლეა, მაშინ ჩვენ გალაქტიკის საზღვრების მიღმა ვართ.

– ჯანდაბა, გრეგ! – მიუგო დონოვანმა, – გამოდის, რომ პირველი ადამიანები ვართ, ვინც მზის სისტემას გასცდა!

– დიახ, სწორედ ასეა! ჩვენ გავცდით მზეს, გავცდით გალაქტიკას! მაიკ, ეს ხომალდი ყველა კითხვაზე გაცემული პასუხია! ესაა მთელი კაცობრიობის თავისუფლება – შეგიძლია გადასახლდე ნებისმიერ ვარსკვლავზე, მილიონობით, მილიარდობით და ტრილიონობით ვარსკვლავზე! – თქვა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა, – კი მაგრამ, უკან როგორღა

დავბრუნდებით, მაიკ?

დონოვანი ოდნავ შეეყოყმანდა და გაიღიმა:

– ეგ არაფერია! აქამდე ხომალდმა მოგვიყვანა და უკანაც დაგვაბრუნებს. ახლა ისე ვარ, ლობიოსაც კი სიამოვნებით გეახლებოდი.

– მოიცა, მაიკ... კი მაგრამ, თუ იმავე გზით დაგვაბრუნებს, რომლითაც აქ მოგვიყვანა...

დონოვანმა ადგომა ვერ მოასწრო, რომ ისევ სავარძელში ჩავარდა.

პაუელი განაგრძობდა:

– ჩვენ... ხელახლა სიკვდილი მოგვიწვეს, მაიკ.

– რა გაეწყობა, – ამოიოხრა დონოვანმა. – მოგვიწვეს და მოგვიწიოს. სამუდამოდ ხომ არ მოვკვდებით, დროებითია...

სიუზენ კელვინი ნელა ლაპარაკობდა. უკვე ექვსი საათი იყო, რაც მოთმინებით და ამოლდ ჩაჰკირკიტებდა ბრეინს. ექვსი უნაყოფო საათი დაკარგა, დაიღალა ამდენი გამეორებისგან, ამდენი მიკიბ-მოკიბული კითხვისგან და საერთოდ, ყველაფრისგან.

– მაშ ასე, ბრეინ, კიდევ ერთ რამეს გკითხავ. ეცადე, რაც შეიძლება მარტივად მიპასუხო. ნათლად გქონდა წარმოდგენილი ვარსკვლავთშორისი ნახტომი? ხომალდი ადამიანებს ძალიან შორს ხომ არ წაიყვანს?

– მხოლოდ იქამდე, სადამდეც თავად მოისურვებენ, მის სიუზენ. სივრცის გამრუდება ხრიკი არ არის, პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

– მეორე მხარეს რას ნახავენ?

– ვარსკვლავებს და ყველაფერს, რაც იქაა. აბა, თქვენ რა გეგონათ?

შემდეგი კითხვა ქალს თავისდაუნებურად წამოსცდა:

– მაშასადამე, ამ დროისთვის ისინი ცოცხლები იქნებიან?

– რა თქმა უნდა!

– და ვარსკვლავთშორისი ნახტომი მათ არაფერს ავნებს?

ბრეინი დუმდა. ქალი შეცბა. აი, ისიც – საბედისწერო კითხვა!

– ბრეინ! – დაუყვავა ქალმა, – ბრეინ, გესმის, რას გეკითხები?

გაისმა ბრეინის სუსტი, ათრთოლებული ხმა:

– უნდა გიპასუხოთ? ნახტომზე უნდა გიპასუხოთ?

– თუ არ გინდა, ნუ მიპასუხებ. ისე კი, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნებოდა... მაგრამ, თუ შენ თვითონაც გინდა, – სიუზენი ცდილობდა, რაც შეიძლება, უდარდელად მოეჩვენებინა თავი.

– ო-ოჰ! ყველა გეგმა ჩამიშალეთ!

სიუზენი უცებ წამოხტა – გონება გაუნათდა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – სუნთქვა შეეკრა, – ღმერთო!..

უცებ იგრძნო, რომ ამ საათებისა და დღეების დაძაბულობა ერთბაშად მოეხსნა.

ოდნავ მოგვიანებით ლენინგს მოახსენა:

– გარწმუნებთ, ყველაფერი კარგადაა. ოღონდ, ახლა მარტო დამტოვეთ. ხომალდიც დაბრუნდება და ადამიანებსაც ჩამოიყვანს. მე კი მინდა დავისვენო. წადით, ძალიან გთხოვთ!

ხომალდი დედამიწაზე ისევე წყნარად და ნარნარად დაეშვა, როგორც აფრინდა და ზუსტად თავის წინანდელ ადგილას დაჯდა. მთავარი ჰაერჩამკვეტი გაიხსნა და იქიდან ფრთხილად გამოვიდა ორი მამაკაცი, რომლებიც თითებით საგულდაგულოდ ივარცხნიდნენ დიდი ხნის გაუპარსავ წვერს.

მათგან ერთ-ერთმა, წითურმა, ნელა დაიჩოქა და ხმაურით აკოცა ბეტონის ბილიკს.

მერე ძლივს მოიშორეს გარშემო შემოხვეული ხალხი და საინტრები, სასწრაფო დახმარების მანქანიდან საკაცეებს რომ მოათრევდნენ.

– ახლომახლო შხაპი სად არის? – გრეგორი პაუელმა მხოლოდ ეს იკითხა.

ორივე წაიყვანეს.

მერე ყველა მაგიდის გარშემო შეიკრიბა. „იუ ეს რობოტის“ მთელი ხელმძღვანელობა აქ იყო.

პაუელმა და დონოვანმა ის იყო თავიანთი მოკლე, მაგრამ ძალზე საინტერესო თავგადასავლის მოყოლა დაასრულეს.

სიჩუმე სიუზენ კელვინმა დაარღვია. გასული რამდენიმე დღის განმავლობაში მას კვლავ დაებრუნებინა ჩვეული სიმშვიდე, მაგრამ წინანდებურად ოდნავ შემფოთებული ჩანდა.

– უნდა გამოვტყდე, – დაიწყო მან, – რომ ყველაფერი ჩემი ბრალია. როცა ეს ამოცანა ბრენის პირველად მივეცით, მე, როგორც გახსოვთ, ფაქტობრივად შევეხვეწე კიდევ, დილემის შეცველი ინფორმაცია უკან მოებრუნებინა. მას დაახლოებით ასეთი ფრაზა ვუთხარი: როცა მოსალოდნელი საფრთხის შემცველ ბარათს მოგაწვდიან, სადაც შეიძლება ადამიანთან დაკავშირებულ საფრთხეზეც კი იყოს მინიშნება, არ აღელდე. მოცემულ მომენტში ეს პრობლემა არ გვაინტერესებს. როგორც კი ამ ბარათს ამოიცნობ, უკანვე დაგვიბრუნე და დაივიწყე.

– ჰმ! – შენიშნა ლენინგმა, – მერე, რა მოხდა?

– მოხდა მოსალოდნელი. როცა ბრეინმა ეს მონაცემები მიიღო და გამოიყვანა ფორმულა, რომელიც ვარსკლავთშორისი ნახტომისთვის საჭირო დროის მინიმალურ მონაკვეთს განსაზღვრავდა, მიხვდა, რომ ადამიანებისთვის ეს დრო სასიკვდილო იქნებოდა. „კონსოლიდებიტის“ მანქანა სწორედ ამის დაანგარიშებისას დაზიანდა. მაგრამ, მე მივაღწიე იმას, რომ ადამიანის სიკვდილი ბრეინს არც თუ ისე არსებითად მოჩვენებოდა. თუმცა, ვინაიდან პირველი კანონის დარღვევა შეუძლებელია, ბრეინმა მოასწრო, კიდევ ერთხელ გაეაზრებინა ეს ფორმულა და გაეგო, რომ ამ ინტერვალის შემდეგ ადამიანები ისევ გაცოცხლდებოდნენ, ზუსტად ისე, როგორც აღდგებოდა ხომალდის მთელი ნივთიერება და ენერჯია. სხვა სიტყვებით, ეს ეგრეთ წოდებული „სიკვდილი“ მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნებოდა. გამიგეთ?

მან ოთახს თვალი მოავლო. ყველა გაფაციცებით უსმენდა.

– ამრიგად, ამ მონაცემების გადამუშავება შეძლო, – განაგრძობდა კელვინი, – თუმცა, ამ ამბავს მისთვის ბოლომდე უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი დროებითი მოვლენა უნდა ყოფილიყო და ბრეინს დიდად არაფრად უნდა ჩაეგდო, მომხდარი მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ წონასწორობიდან მსუბუქად გამოსულიყო, – კელვინმა მშვიდად დაასრულა, – და, იცით, როგორ მოიქცა? მას იუმორის გრძნობა გაეღვიძა – ესეც თავისებური გამოსავალია, სინამდვილისგან ნაწილობრივ გაქცევის ერთ-ერთი გზაა. ბრეინმა ხუმრობა დაიწყო.

პაუელი და დონოვანი ზეზე წამოხტნენ.

– რაო?! – შესძახა პაუელმა.

დონოვანმა განწყობა მეტი გამომსახველობით გამოხატა.

– დიახ, ასე იყო, – უპასუხა კელვინმა, – ის ზრუნავდა ადამიანებზე, უზრუნველყო თქვენი უსაფრთხოება, მაგრამ არაფრის მართვა არ შეგეძლოთ, რადგან მართვა თქვენთვის კი არა, გაცელქებული ბრეინისთვის იყო განკუთვნილი. ჩვენ რადიოთი დაგიკავშირდით, მაგრამ პასუხის გაცემა არ შეგეძლოთ. საჭმელიც საკმარისი გქონდათ, თუმცა მხოლოდ ლობიო და რძე. მერე თქვენ, ასე ვთქვათ, მოკვდით და კვლავ გაცოცხლდით, მაგრამ თქვენმა გარდაცვალებამ ისე ჩაიარა, რომ... როგორ გითხრათ... მოსაწყენი არ ყოფილიყო. საოცარია, როგორ მოახერხა მან ამის გაკეთება. ეს მისი ყველაზე საუკეთესო ხუმრობა იყო, მაგრამ ზიანის მოყენება ნამდვილად არ ჰქონდა გამიზნული.

– არ ჰქონდა?! – ბრაზით ამოიღრინა დონოვანმა, – ამ თქვენს ხუმარას კისერი რომ ჰქონოდა, ვუჩვენებდი...

ლენინგმა ხელით ანიშნა და დონოვანიცჩაჩუმდა.

– ჰო, კარგი, რაც იყო, იყო, ყველაფერი უკან დარჩა. ახლა იმაზე ვილაპარაკოთ, რა უნდა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ.

– ცხადია, სივრცის გამრუდების ძრავის გაუმჯობესებაზე უნდა ვიზრუნოთ, – მშვიდად წარმოთქვა ბოგერტმა, – ალბათ, ნახტომისთვის საჭირო ინტერვალისთვის გვერდის ავლის რაიმე ხერხიც არსებობს. თუ ასეთი რამ შესაძლებელია, აუცილებლად ვიპოვით – ჩვენ ხომ სუპერრობოტი გვაქვს. „უ ეს რობოტსი“ ვარსკვლავთშორისი ფრენის მონოპოლისტი გახდება, კაცობრიობა კი გალაქტიკის დამორჩილების შესაძლებლობას მიიღებს.

– „კონსოლიდებიტის“ რა ვუპასუხოთ? – იკითხა ლენინგმა.

– მე მაქვს ერთი წინადადება, – შეაწყვეტინა დონოვანმა, – მათ ჩვენს კომპანიას საკმარისი თავსატეხი გაუჩინეს, თუმცა ყველაფერი არც ისე ცუდად დამთავრდა, როგორც მოელოდნენ. პირიქით. მაგრამ, არაკეთილსინდისიერი განზრახვა რომ ამოძრავებდა, ესეც დღესავით ნათელია. ყველაზე მეტი კი მე და გრეგმა ვიწვინეთ. მათ ხომ ამოცანის ამოხსნა უნდოდათ? ჰოდა, მივცეთ – გავუგზავნოთ ეს ხომალდი გარანტიით, რისთვისაც დაპირებულ ორასი ათასს მივიღებთ. ამას დაემატება ხომალდის აგების ხარჯიც, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მის გამოცდას მოისურვებენ... რა იქნება, რომ ბრენის ცოტა წაცვლელების ნება მივცეთ, ვიდრე კვლავ ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდება?

– ვფიქრობ, ჩვენი მხრიდან სამართლიანი გადაწყვეტილებაა, – აუღელვებლად წარმოთქვა ლენინგმა.

ბოგერტმა კი დაუმატა:

– და კონტრაქტის პირობებსაც ზუსტად შეესაბამება.

მაგრამ ყველაფერი ასე არ დამთავრებულა, – თქვა ჩაფიქრებულმა დოქტორმა კელვინმა, – ბოლოს და ბოლოს, ხომალდი და ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული, ხელისუფლების საკუთრებად იქცა. ვარსკვლავთშორისი ნახტომის პრინციპები დახვეწეს და ახლა, რამდენიმე უახლოეს მზის სისტემაში, კოლონიებიც გვაქვს.

სადილი დავამთავრე და კელვინს სიგარის ბოლში გახვეული შევყურებდი.

– უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში კაცობრიობამ უდიდესი პროგრესი განიცადა. ჩემი დაბადებისას ბოლო მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. ეს

კაცობრიობის ისტორიის ყველაზე სამარცხვინო პერიოდი გახლდათ, თუმცა ნაციონალიზმს სწორედ მაშინ მოელო ბოლო. დედამიწა ზოგი ერისთვის ზედმეტად პატარა აღმოჩნდა და მათაც ახლადშექმნილ რეგიონებში დაიწყეს დასახლება. ამან საკმაოდ დიდი დრო წაიღო. ჩემი დაბადებისას ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ სახელმწიფოს წარმოადგენდა და არა ჩრდილოეთის რეგიონის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. მიუხედავად ამისა, ჩვენი კორპორაციის სახელი დღესაც „იუნაიტედ სტეიტს რობოტსია“. სახელმწიფოდან რეგიონის შემადგენელ ნაწილად ქცევამ ეკონომიკური სტაბილურობა მოგვიტანა, წინა საუკუნესთან შედარებით, ფაქტობრივად „ოქროს ხანაში“ ვიმყოფებით, რაც ჩვენი რობოტების დამსახურებაც გახლავთ.

– ანუ მოაზროვნე მანქანების? – ჩავეძიე, – ბრენინი ხომ ასეთი მანქანებიდან პირველი იყო.

– დიახ, მოაზროვნე მანქანებისაც. მაგრამ, ამჯერად მათ არ ვგულისხმობ. ახლა ვიზუც გიამბობთ, ის ადამიანი უფრო იყო. გასულ წელს გარდაიცვალა, – ნაღვლიანად თქვა კელვინმა, – უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ საჭიროდ ჩათვალა, მომკვდარიყო, რაკი იცოდა, რომ აღარ გვჭირდებოდა. ეს სტივენ ბაიერლი გახლდათ.

– დიახ, მივხვდი, რომ სწორედ მასზე მელაპარაკებოდით.

– პირველად პოლიტიკურ ასპარეზზე 2032 წელს გამოვიდა. თქვენ მაშინ პატარა ბიჭი იყავით და არ გემახსოვრებათ, რა უცნაურ გარემოებაში მოხდა ეს ამბავი. მისი მერის თანამდებობაზე კენჭისყრის საარჩევნო კამპანია ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე უცნაური იყო ისტორიაში...

სამხილი

ფრენსის ქუინი ახალი სკოლის პოლიტიკოსი იყო. თუმცა ეს გამოთქმა პირობითია, რადგან დღეს არსებული „ახალი სკოლების“ უმეტესობა უძველესი საბერძნეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იყო ცნობილი ანაც უძველეს შემერებსა და ალჰების პრეისტორიულ ნამოსახლარებში.

მაგრამ, რთული და მოსაწყენი შესავალი ძალიან რომ არ გაგიგრძელოთ, ჯობია, ახლავე გითხრათ, რომ ქუინი კენჭს არ იყრიდა, არ აგროვებდა ხმებს, არ გამოდიოდა საარჩევნო სიტყვებით და ყალბ საარჩევნო ბიულეტენებსაც არ აკონიწებდა. ზუსტად ისევე, როგორც თავად ნაპოლეონი არ კრავდა სასხლეტს აუსტერლიცის ბრძოლაში.

და რადგანაც პოლიტიკა ერთმანეთს ზოგჯერ სრულიად საპირისპირო ადამიანებს აახლოებს, ქუინი ალფრედ ლენინგის კაბინეტში აღმოჩნდა. ლენინგი წარბშეკრული იჭდა და აშკარად უკმაყოფილო ჩანდა.

ამ გარემოებას ქუინი სულაც არ შეუშფოთებია. ის აშკარად კეთილმეგობრულად იყო განწყობილი, თუმცა, ვინ იცის, იქნებ განგებ იქცეოდა ასე.

– დოქტორო ლენინგ, ვფიქრობ, იცნობთ ბაიერლის?

– სხვების მსგავსად მის შესახებ მეც მსმენია.

– მომავალ არჩევნებში მისთვის ხმის მიცემას ხომ არ აპირებთ?

– წინასწარ ვერაფერს გეტყვით, – დამცინავი კილოთი უპასუხა ლენინგმა, – პოლიტიკა არ მაინტერესებს და არც კი ვიცოდი, თავისი კანდიდატურა თუ წამოაყენა.

– შეიძლება მალე ჩვენი მერი გახდეს. მართალია, ჯერ მხოლოდ ოლქის პროკურორია, მაგრამ დიდი ხეობიც ხომ პატარა...

– დიახ, დიახ, – შეაწყვეტინა ლენინგმა, – ეგ გამონათქვამი მეც მსმენია, მაგრამ, ხომ არ აჭობებს, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ?

– ჩვენ უკვე გადავდით საქმეზე, დოქტორო ლენინგ, – ქუინი უჩვეულო მოკრძალებით ლაპარაკობდა, – მინდა, რომ მისტერ ბაიერლი ოლქის პროკურორის პოსტს ვერ გასცდეს. თქვენ კი დაინტერესებული ხართ, დამეხმაროთ.

– მე ვარ დაინტერესებული? მართლა? – ლენინგმა კიდევ უფრო შეყარა წარბები.

– ვთქვათ, თქვენ კი არა, კორპორაცია „იუ ეს რობოტსი“. მე თქვენთან, როგორც მის სამეცნიერო განყოფილების ყოფილ ხელმძღვანელთან, მოვედი, რადგან ვიცი, რომ კორპორაციის უფროსობა თქვენს, როგორც უხუცესი თანამშრომლის ამრს, ჯერ კიდევ

ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, მასთან ისე მჭიდროდ აღარ ხართ დაკავშირებული და შედარებით თავისუფლად შეგიძლიათ იმოქმედოთ, თუნდაც ეს მოქმედება ბოლომდე კომპანიის სურვილის შესაბამისი არ იყოს.

დოქტორი ლენინგი ერთხანს თავის ფიქრებში ჩაიძირა. მერე ცოტა უფრო რბილად თქვა:

– არ მესმის, რა გინდათ ჩემგან, მისტერ ქუინ.

– ეს არცაა გასაკვირი, დოქტორო ლენინგ, მაგრამ სულ უბრალო ამბავია. შეიძლება მოვწიო?

ქუინმა დახვეწილი ფორმის სანთებელათი სიგარეტს მოუკიდა და მსხვილნაკვთებიან სახეზე კმაყოფილება გამოეხატა.

– მისტერ ბაიერლიზე მოგახსენებთ, თვალსაჩინო და ცოტა უცნაურ პიროვნებაზე. ამ სამიოდე წლის წინ მისი სახელი თითქმის არავინ იცოდა, ახლა კი, ყველა იცნობს, რადგან ძალიან ძლიერი და ნიჭიერი პიროვნებაა. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი იურისტია მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი. საუბედუროდ, იგი ჩემი მეგობრების რიცხვს არ ეკუთვნის.

– გასაგებია, – ანგარიშშიუცემლად თქვა ლენინგმა, რომელიც საკუთარი ფრჩხილების დათვალიერებით იყო გართული.

– შარშან, – მშვიდად განაგრძო ქუინმა, – მქონდა პატივი, მისტერ ბაიერლი გამეცნო და საკმაოდ კარგადაც. ყოველთვის სასარგებლოა იმ პოლიტიკოსის წარსულის დაწვრილებით გამოკვლევა, რომელიც რეფორმებისთვის იბრძვის. რომ იცოდეთ, რამდენჯერ გამომდგომია ეს ამბავი... – იგი გაჩუმდა და უხალისოდ ჩაიცინა, თან ანთებული სიგარეტის ბოლოს უყურებდა, – მაგრამ, მისტერ ბაიერლის წარსული ბევრი არაფრით გამოირჩევა: მშვიდად ცხოვრობდა პატარა ქალაქში, დაამთავრა კოლეჯი. ცოლი ადრე გარდაეცვალა, მერე საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა და დიდხანს ავადმყოფობდა. მერე იურიდიული განათლება მიიღო, დედაქალაქში გადავიდა და იურისტად დაიწყო მუშაობა.

ფრენკ ქუინმა ნელა გადააქნია თავი და დაუმატა:

– აი, ახლანდელი მისი ცხოვრება კი, ძალზე თვალსაჩინოა. ჩვენი პროკურორი არ იკვებება!

ლენინგმა უცებ ასწია თავი, თვალეებში გაოცება გამოეხატა:

– მაპატიეთ, მაგრამ?...

– ჩვენი ოლქის პროკურორი არასოდეს არაფერს ჭამს! – უფრო შთამბეჭდავად გაიმეორა ქუინმა, – უფრო სწორად რომ ვთქვათ, არავის დაუნახავს, რომ მას ან ეჭამოს, ან დაეღიოს რამე. არც ერთხელ! თქვენ გესმით, ეს რას ნიშნავს? იშვიათად კი არა, არც ერთხელ!

– ყოვლად შეუძლებელია! იქნებ არასწორი ცნობები მოგაწოდეს?

– გამორიცხებულია. გარდა ამისა, სრულებითაც არ მიმაჩნია შეუძლებლად. დამიჯერეთ, არავის უნახავს, რომ ან წყალი დაეღიოს, ან ალკოჰოლიანი სასმელი, ან... დაეძინოს მაინც. არის კიდევ სხვა ფაქტორები, მაგრამ, ვფიქრობ, საქმის არსი უკვე საკმაოდ ნათლად გადმოგეცით.

ლენინგი სავარძლის ზურგს მიაწვა. ერთხანს მდუმარე ორთაბრძოლა გრძელდებოდა. ძველმა რობოტიკოსმა თავი გააქნია.

– არა! თუ მხედველობაში მივიღებ იმ ფაქტს, რომ ყველაფერ ამას მე მეუბნებით, აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს, მაგრამ ეს შეუძლებელია.

– კი მაგრამ, ის ხომ სრულებითარ ჰგავს ადამიანს, დოქტორო ლენინგ!

– რომ გეთქვათ, გადაცმული ემბაკიო, შეიძლება, უფრო დამეტყვრებინა.

– მე თქვენ გეუბნებით, რომ ის რობოტია, დოქტორო ლენინგ.

– მე კი გარწმუნებთ, რომ ამაზე დაუჭერებელი ამბავი ჯერ არ მსმენია, მისტერ ქუინ.

კვლავ მტრული დუმილი ჩამოწვა.

– მიუხედავად ამისა, – ქუინმა საგულდაგულოდ ჩააქრო სიგარეტი, – მაინც მოგიწევთ, გამოიძიოთ ეს დაუჭერებელი ამბავი და, თუ საჭირო გახდა, ამისთვის კორპორაციის ყველანაირი რესურსი გამოიყენოთ.

– პირადად მე ასეთ გამოძიებაში მონაწილეობას არ მივიღებ, მისტერ ქუინ. თქვენ გინდათ, კორპორაციას ადგილობრივ პოლიტიკაში ჩარევა შესთავაზოთ?

– არჩევანი არა გაქვთ. წარმოიდგინეთ, ეს ფაქტები ჯეროვანი დასაბუთების გარეშე რომ გამოვაქვეყნო... მართლაც ძალზე ზერელე სამხილები მაქვს.

– ეგ თქვენი საქმეა.

– მაგრამ, მე ეს ხელს არ მაძლევს. რა თქმა უნდა, პირდაპირი სამხილი აჯობებდა, თქვენ კი არ გსურთ ჩაერიოთ, რადგან ასეთი ფაქტის გასაჯაროება თქვენს კომპანიას დიდ ზიანს მიაყენებდა. მაგრამ, ხომ არ გავიწყდებათ კანონი, რომელიც რობოტების ადამიანებით დასახლებულ სამყაროებში გამოყენებას მკაცრად კრძალავს.

– მერე! – მკვახედ უპასუხა ლენინგმა.

– თქვენ იცით, რომ „იუ ეს რობოტსი“ ერთადერთი კომპანიაა მზის სისტემაში, რომელიც პოზიტრონულ რობოტებს ამზადებს. თუ ბაიერლი რობოტია, იგი აუცილებლად პოზიტრონულია. ალბათ, ისიც მოგეხსენებათ, რომ ყველა პოზიტრონული რობოტი მხოლოდ ქირავდება და არ იყიდება; კორპორაცია ყოველი რობოტის ფაქტიურ მფლობელად რჩება და, მაშასადამე, პასუხს აგებს მის მოქმედებაზე.

– მისტერ ქუინ, ნამდვილად არ გაგვიჩივრდება იმის დამტკიცება, რომ კორპორაციას ადამიანის მსგავსი რობოტი არასოდეს უწარმოებია.

– საერთოდ კი შესაძლებელია? უბრალოდ, როგორც ვარაუდი?

– დიახ, სავსებით დასაშვებია.

– იქნებ ამის გაკეთება საიდუმლოდაც შეიძლება? თქვენს შურნალებში რეგისტრაციის გარეშე.

– კი, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში მის შემქმნელს პოზიტრონული ტვინი არ ექნება. თითოეული პოზიტრონული ტვინი ხელისუფლების მკაცრი კონტროლით მზადდება და მისი ხელში ჩაგდება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული.

– გასაგებია. მაგრამ, რობოტები ხომ ცვდებიან, ტყდებიან, მწყობრიდან გამოდიან... და ხდება მათი დემონტაჟი.

– ასეთ შემთხვევაში, პოზიტრონული ტვინი ან ნადგურდება, ან ხელახლა გამოიყენება.

– მართლა? – ფრენკ ქუინმა ირონიულად ჩაიციხა, – და თუ ერთი მათგანი, რა თქმა უნდა, შემთხვევით, არ გაანადგურეს, და ასევე შემთხვევით, იქვე ტვინის მომლოდინე ადამიანის მსგავსი რობოტი აღმოჩნდა?

– შეუძლებელია!

– იქნებ ამის დამტკიცება მთავრობისა და ხალხისთვის დაგვიჩივრდეთ, ამიტომ რატომ არ გინდათ იგივე ახლა მე დამიმტკიცოთ?

– კი, მაგრამ, რაში უნდა დაგვიჩივროდა ასეთი რამ? – გაღიზიანებით შეუბრუნა კითხვა დოქტორმა ლენინგმა, – რა მოტივებით უნდა გვეხელმძღვანელა? განა ცოტაოდენი საღი აზრი მაინც აღარ გავაჩნდა?

– ახლავე მოგახსენებთ, ძვირფასო, მისტერ ლენინგ. თქვენი კორპორაცია მხოლოდ მოხარული იქნებოდა, თუ დასახლებულ სამყაროებში ადამიანის მსგავსი პოზიტრონული რობოტების გამოყენების ნებას დართავდნენ. ეს კომპანიას უზარმაზარ მოგებას მოუტანდა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ საზოგადოება ამას სასტიკად ეწინააღმდეგება. ამიტომ, შეგუების მიზნით, იქნებ სწორედ ადამიანის მგავსი რობოტების გამოყენება გადაწყვიტეთ?

მაგალითად, ადამიანი წარმატებული იურისტი ან კარგი მერია და, უცებ, რობოტი აღმოჩნდება! ჩვენს მსახურ რობოტს ხომ არ შეიძენდით?!

– უსუსურობამდე მისული ფანტაზიაა!..

– შესაძლებელია, მაგრამ, რატომ არ გინდათ, საწინააღმდეგო დამიმტკიცოთ? იქნებ, გირჩევნიათ, ეს საზოგადოების წინაშე გააკეთოთ?

ოთახში ბინდი ჩამოწვა, მაგრამ ისევ არ ჩამოხენლებულა, რომ ალფრედ ლენინგის სახეზე შეცბუნების სიწითლე შესამჩნევი არ ყოფილიყო. რობოტიკოსმა ჩამრთველისკენ გაიწოდა ხელი და ბრები აინთო.

– კარგი, – ჩაიბურტყუნა მან, – ვნახოთ.

სტივენ ბაიერლის გარეგნობის აღწერა საკმაოდ ძნელი გახლდათ. საბუთების მიხედვით ორმოცი წლისა იყო. შეხედვითაც, მეტს არ მისცემდით. მაგრამ, ორმოცი წლის პირობაზე, კარგად მოვლილი, ჯანმრთელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს განსაკუთრებით სიცილის დროს ემჩნეოდა. ახლა კი სწორედ რომ იცინოდა – ხმამაღლა და დიდხანს, დროდადრო დამშვიდდებოდა, მერე ისევ განაგრძობდა ხარხარს.

ალფრედ ლენინგს კი დაძაბულ სახეზე ეტყობოდა, რომ ძალიან უკმაყოფილო იყო. იგი გვერდით მჯდომ ქალს მიუბრუნდა, მაგრამ მას თხელი, ფერმკრთალი ტუჩები მაგრად მოეკუმა და აღარაფერი უთქვამს.

ბოლოს ბაიერლიმ, როგორც იქნა, სული მოითქვა და გონს მოეგო.

– არა, მართლა, დოქტორო ლენინგ! მე!.. მე... რობოტი?!

– მე არაფერს ვამტკიცებ, – შეაწყვეტინა ლენინგმა, – მაგრამ, ჩვენთვის საკმარისი იქნება, თუ თქვენში ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელს დავინახავთ. და, ვინაიდან, ჩვენს კორპორაციას არ დაუმზადებიათ, დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი ბრძანდებით. ყოველ შემთხვევაში, კანონის თვალსაზრისით მაინც. მაგრამ, ვინაიდან თქვენი რობოტობის თაობაზე ვარაუდი სრულიად სერიოზულად გამოთქვა პიროვნებამ, რომელსაც განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია...

– ნუ დაასახელებთ მის გვარს, თუეს თქვენს ეთიკას ეწინააღმდეგება. უბრალოდ, მას ფრენკ ქუინი დავარქვათ. განაგრძეთ.

ლენინგმა უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა, რომ შეაწყვეტინეს. ცოტა ხანს კიდევ დუმდა, მერე კი უფრო გაყინული ხმით განაგრძო:

– ...პიროვნებამ, რომელსაც განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია და მისი სახელის გამოძიებას ახლა ნამდვილად არ შევუდგებით. ამრიგად იძულებული ვარ,

თანამშრომლობა გთხოვთ, რათა ეს ვარაუდი გავაბათილოთ. თუ ეს ადამიანი მის ხელთ არსებულ საშუალებებს გამოიყენებს და საჭაროდ განაცხადებს თავის ვარაუდს, ჩვენი კომპანიის სახელი საკმაოდ შეილახება, იმ შემთხვევაშიც კი თუ ამ ვარაუდის დამტკიცებას ვერ შეძლებს. გესმით ჩემი?

– დიახ, მესმის, რა მდგომარეობაშიც ხართ. თავისთავად ბრალდებაც უაზრობაა, მაგრამ, ის უსიამოვნებანი, რაც გელით, საკმაოდ სერიოზულია. მაპატიეთ, თუ ჩემმა სიცილმა გაგალიზიანათ. უბრალოდ, ბრალდებაზე გამეცინა და არა თქვენს მოსალოდნელ პრობლემებზე. რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– სულ უბრალოდ – რესტორანში უნდა შეხვიდეთ და მოწმეების თანდასწრებით ისადილოთ, თან ნება დართოთ, ჭამის დროს ფოტოსურათი გადაგიღონ.

ლენინგი სავარძლის საზურგეზე გადაწვა. საუბრის ყველაზე რთული ნაწილი უკან იყო. მის გვერდით მჯდომი ქალი დიდი ინტერესით შეჰყურებდა ბაიერლის და საუბარში არ მონაწილეობდა.

სტივენ ბაიერლი მხოლოდ წამით წაანყდა მის თვალებს, ძლივს მოაშორა მზერა და კვლავ რობოტიკოსს მიუბრუნდა. ერთხანს ჩაფიქრებით ატრიალებდა ხელში ბრინჯაოს პრეს-ჰაპიეს, რომელიც მისი მაგიდის ერთადერთი სამშვენიის იყო.

– მაგრამ, ამის გაკეთებას არ გაიძულებთ, – წყნარად დაამატა ლენინგმა.

– ვნუხვარ, რომ ამ სამსახურს ვერ გაგიწევთ, დოქტორო ლენინგ, – ხელი ასწია ბაიერლიმ, – მესმის, რომ მთელი ეს ამბავი ყელში ამოგივიდათ, რომ სურვილის გარეშე ჩავითრიეს ამ საქმეში და გრძნობთ, რომ უღირს და სასაცილო როლს ასრულებთ. მაგრამ, ეს ყველაზე მეტად მე მეხება, ასე რომ, გთხოვთ, სწორად გამიგეთ. ჯერ ერთი, რატომ ფიქრობთ რომ ქუინი – ის კაცი, რომელსაც გარკვეული მდგომარეობა უჭირავს, ბოროტად არ გიყენებთ და არ გაიძულებთ, მისი სურვილისამებრ მოიქცეთ?

– არა მგონია, ღირსეულმა პიროვნებამ მსგავსი ბრალდება წამოაყენოს, თუ ფეხქვეშ მყარ ნიადაგს არ გრძნობს.

ბაიერლი სერიოზული სახით იჯდა.

– ქუინს არ იცნობთ. მას შეუძლია, ისეთ ციცაბოზე მოიკიდოს ფეხი, კლდის ჭიხვიც რომ კისერს მოიტეხს. ალბათ უკვე გაგაცნოთ კიდევ ის დეტალები, რომლებიც ვითომდა ჩემს წინააღმდეგ გააჩნია.

– იმდენად კი, რომ დავერწმუნებინე, რა დაუჯდებოდა ჩვენს კორპორაციას მათი გაბათილება, მაშინ, როცა თქვენთვის ეს სულ იოლია.

– მაშასადამე, დაიჭერეთ, რომ მე არასოდეს ვჭამ. თქვენ ხომ მეცნიერი ხართ, დოქტორო ლენინგ! აბა, იფიქრეთ, სად არის ლოგიკა? რაკი არავის დაუნახავს, რომ ვჭამდი, მაშასადამე არასოდეს არაფერს ვჭამ, Quod Erat Demonstrandum ((ლათ.) – რაც უნდა დამტკიცებულიყო კიდევ). მართლა და მართლა...

– თქვენ ახლა იურიდიულ ხერხებს მიმართავთ, რათა ძალზე მარტივი საკითხი განგებ აბურდოთ.

– პირიქით, ვდილობ, ნათელი მოვფინო საკითხს, რომელსაც თქვენ და ქუინი ართულებთ. საქმე ისაა, რომ მე ცოტა მძინავს და, რა თქმა უნდა, უცხოების თანდასწრებით არ ვიძინებ. არ მიყვარს სხვებთან ერთად ჭამა – ეს უჩვეულოა, მაგრამ, ალბათ, ნერვების ბრალია. ვფიქრობ, ამით არავის არაფერს ვუშავებ. მისმინეთ, დოქტორო ლენინგ, წარმოიდგინეთ, რომ პოლიტიკოსი, რომელიც ცდილობს, რადაც უნდა დაუჭდეს, მეტოქე ჩამოიშოროს, მის პირად ცხოვრებაში ისეთ რაღაცებს ქექავს, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. და აი, პოულობს ყველაზე კარგ საშუალებას, რათა მოწინააღმდეგეს, რაც შეიძლება, ეფექტურად ავნოს. ეს საშუალება კი თქვენი კომპანიაა. როგორ ფიქრობთ, თავად თუ იტყვის, ესა და ეს ადამიანი რობოტია, იმიტომ, რომ არასოდეს ჭამს ხალხის თვალწინ და არც ის მინახავს სასამართლოს სხდომაზე დასძინებოდესო; ხოლო ერთხელ, ღამით, როცა მის ფანჯარაში შევიტყიტე, დავინახე – წიგნით ხელში იჭდა, მაცივარში კი პროდუქტები არ ჰქონდაო?.. ასე რომ ეთქვა, უეჭველად დამაწყნარებელ პერანგს ჩააცვამდით. მაგრამ, ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ მე არასოდეს მძინავს და არც ვჭამ. ამ მოვლენის უჩვეულობით დაბრმავებულები კი ვერც ხვდებით, რომ ამის დამტკიცება შეუძლებელია. თქვენ მის წისქვილზე ასხამთ წყალს და უაზრო აჟიოტაჟშიც საკუთარი წვლილი შეგაქვთ.

– მით უმეტეს, სერ, – დაიწყო ლენინგმა მუქარაგარეული სიჭიურით, – მიუხედავად იმისა, მიგაჩნიათ თუ არა ეს ბრალდება სერიოზულად, მის გასაბათილებლად მხოლოდ ის ერთი სადილია საჭირო, რაზედაც გეუბნებოდით.

ბაიერლი ისევ მიუბრუნდა ქალს, რომელიც კვლავ დიდი ყურადღებით აკვირდებოდა.

– მაპატიეთ, სწორად გავიგე თქვენი სახელი, დოქტორო სიუზენ კელვინ?

– დიახ, მისტერ ბაიერლი.

– თქვენ ბრძანდებით „იუ ეს რობოტის“ ფსიქოლოგი?

– რობოტოფსიქოლოგი, გეთაყვა.

– განა რობოტების ფსიქოლოგია ასე განსხვავდება ადამიანების ფსიქოლოგიისგან?

– სრულიად განსხვავებული სამყაროებია, – ქალმასაკუთარ თავს ცივად გალიმების

უფლება მისცა, – უწინარეს ყოვლისა, რობოტები ძალზე წესიერები და მოკრძალებულები არიან.

იურისტს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

– ჰო, ეს მძიმე დარტყმაა. მაგრამ, აი, მე რისი თქმა მინდოდა. რაკი თქვენ ფსიქო... რობოტოფსიქოლოგი და თანაც, ქალი ბრძანდებით, ალბათ გააკეთეთ ისეთი რამ, რაზეც დოქტორ ლენინგს არც უფიქრია.

– მაინც რა?

– თადარიგი დაიჭირეთ და ხელჩანთაში რაიმე სატყელო გიდევეთ.

სიუზენ კელვინის ჩვეულებრივ გულგრილ თვალეში რაღაც გაკრთა.

– მაოცებთ, მისტერ ბაიერლი...

მან ხელჩანთა გახსნა, ვაშლი ამოიღო და მშვიდად გაუწოდა ბაიერლის. დოქტორი ლენინგი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს, როგორ გადაინაცვლა ვაშლმა ხელიდან ხელში.

სტივენ ბაიერლიმ ვაშლი მშვიდად ჩაკბიჩა და ლუკმაც ასევე მშვიდად გადაყლაპა.

– დაინახეთ, დოქტორო ლენინგ?

დოქტორმა ლენინგმა შვებით ამოისუნთქა. მისმა წარბებმაც კი, წამით კეთილმოსურნეობის მსგავსი რაღაც გამოხატა. მაგრამ, ეს მხოლოდ ერთ ხანმოკლე წამს გაგრძელდა. სიუზენ კელვინმა თქვა:

– ბუნებრივია, მაინტერესებდა, შეჭამდით თუ არა ვაშლს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს, რა თქმა უნდა, არაფერს ამტკიცებს.

– არა? – ჩაიცინა ბაიერლიმ.

– რა თქმა უნდა. დოქტორო ლენინგ, ცხადია, თუ ეს მამაკაცი ადამიანის მსგავსი რობოტია, იმიტაცია სრული უნდა იყოს. იგი ძალიან ჰგავს ადამიანს. ბოლოს და ბოლოს, მთელი სიცოცხლე ადამიანებს ვუყურებთ და ჩვენი მოტყუება რაღაც მიმსგავსებულთ ადვილი არ იქნებოდა. ამიტომ იგი აბსოლუტურად უნდა ჰგავდეს ადამიანს. დააკვირდით მისი კანის აგებულებას, თვალის ფერად გარსებს, ხელის მტევნის კონსტრუქციას. თუ ეს მართლაც რობოტია, მაშინ, სამწუხაროა, რომ „იუ ეს რობოტისი“ დამზადებული არ არის, რადგან მართლაც მშვენივრად და მუშავებული. და განა ის, ვინც ასეთ წვრილმანებზე იბრუნა, იმას ვერ მოისაზრებდა, რომ რამდენიმე დეტალი ჭამის, ძილისა და ელიმინაციისთვისაც დაემატებინა? იქნებ სულაც უკიდურესი შემთხვევისთვის – მაგალითად, ისეთი გარემოების თავიდან ასაცილებლად, როგორც ახლა შეიქნა. ასე რომ,

ჭამა ვერაფერს დაამტკიცებს.

– მოითმინეთ, – შეეპასუხა ლენინგი, – არც ისეთი ბრიყვი ვარ, როგორც თქვენ ორნი ცდილობთ წარმომადგინოთ. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, მისტერ ბაიერლი ადამიანია თუ არა. მინდა ჩვენი კორპორაცია ვისხნა გასაჭირისგან. სახალხოდ გამართული სადილი, ქუინის მცდელობების მიუხედავად, ამ მითქმა-მოთქმას სამუდამოდ დაუსვამს წერტილს. დანარჩენზე იურისტებმა და რობოტოფსიქოლოგებმა იმტვირონ თავი.

– მაგრამ, დოქტორ ლენინგ, – თქვა ბაიერლიმ, – თქვენ ამ საქმეში ჩარეული პოლიტიკა გავიწყდებათ. მეც ისევე ვცდილობ ამირჩიონ, როგორც ქუინი – ხელი შეუშალოს ჩემს არჩევას. სხვათა შორის, თუ შეამჩნიეთ, რომ მისი სახელი ახსენეთ? ეს ჩემი ძველი პროფესიული ტრიუკია. ვიცოდი, რომ წამოგცდებოდათ.

ლენინგი განითლდა.

– არჩევნები რა შუაშია?

– სკანდალი ორი მიმართულებით მუშაობს. თუ ქუინს სურს, რობოტად გამომაცხადოს და ამის გაკეთებას გაბედავს, მეც მეყოფა ვაჟკაცობა, გამონწვევა მივიღო.

– გინდათ თქვათ, რომ... – ლენინგი შეშფოთებას არ მალავდა.

– დიახ, სწორედაც. მას მოქმედების საშუალებას მივცემ – აირჩიოს თოკი, მოსინჯოს, რამდენად მაგარია, მოჭრას საჭირო სიგრძისა, ყულფიც გაკვანძოს, თავი გაუყაროს და დაიკრიჭოს. დანარჩენ წვრილმანს თავად მივხედავ.

– ძალიან თავდაჯერებული ხართ.

სიუზენ კელვინი ადგა.

– წავიდეთ, ალფრედ, მას ვერ გადავარწმუნებთ.

– აი, ხომ ხედავთ, – გაიღიმა ბაიერლიმ, – თურმე ადამიანების ფსიქოლოგიაშიც ერკვევით.

მაგრამ სადამოს, როცა ბაიერლიმ ავტომობილი მიწისქვეშა სადგომისკენ მიმავალ ბაქანზე დააყენა და სახლის კართან მივიდა, ისეთი თავდაჯერებული ვეღარ იყო, როგორც ლენინგს მოეჩვენა.

სახლში შესულს ეტლში ჩამჭდარი მამაკაცი ღიმილით მოუბრუნდა. ბაიერლის სიყვარულმა გაუნათა სახე და ეტლს მიუახლოვდა.

ხეიბარს ტრილობების ნაწიბურებით დაფარულ სახეზე სამუდამოდ გვერდზე მოქცეული პირიდან ღრჯილისმაგვარი ჩურჩული აღმოხდა:

– დაგაგვიანდა, სტივ.

– ვიცი, ჯონ, ვიცი, მაგრამ დღეს ერთ უჩვეულო და საინტერესო პრობლემას შევეჩხვებ.

– ჰო? – არც დამახინჯებული სახე, არც ძლივსგასაგონი ხმა არაფერს გამოხატავდნენ, მაგრამ ნათელ თვალებში შემფოთება გამოსტვიოდა, – მოაგვარე?

– ჯერ ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ. იქნებ, შენი დახმარება დამჭირდეს. ოჯახში უბრძნესი ხომ შენ ხარ. გინდა ბაღში გაგიყვანო? მშვენიერი საღამოა...

მისმა ღონიერმა ხელებმა ჯონი სავარძლიდან ამოიყვანეს და რბილად, თითქმის ნაზად მოეხვივნენ მხრებსა და შებანდულ ფეხებზე. ბაიერლიმ ფრთხილად, ნელა გაიარა ოთახები, ეტლისთვის საგანგებოდ მოწყობილ პანდუსზე დაეშვა და უკანა კარით ბაღში გავიდა, რომელსაც მავთულხლართიანი გალავანი ერტყა.

– სავარძლით სიარულს რატომ არ მანებებ, სტივ? ეს სისულელეა.

– იმიტომ, რომ მომწონს შენი ხელით ტარება. არ გინდა? შენც ხომ გიხარია, დროებით მაინც ამოდვრე ხოლმე ამ მექანიკური საგორავიდან. დღეს თავს როგორ გრძნობ?

მან სათუთად დაუშვა ჯონი რბილ ბალახზე.

– აბა, როგორ უნდა ვგრძნობდე? მომიყვი რა სიძნელეები შეგხვდა.

– საარჩევნო კამპანიაში ქუინის ტაქტიკა ჩემს რობოტად გამოცხადებას დაემყარება.

ჯონმა თვალები დააჭყიტა.

– საიდან იცი? ეს შეუძლებელია! არ მჯერა.

– გეუბნები, ასეა. დღეს „იუ ეს რობოტის“ ბობოლა მეცნიერები მომიგზავნა.

ჯონი ბალახს წიწკნიდა.

– გასაგებია, გასაგებია...

– მაგრამ, ჩვენ შეგვიძლია იარაღის არჩევის უფლება მივცეთ. ერთი აზრი გამიჩნდა. მომისმინე და მითხარი, შეგვიძლია თუ არა, ასე მოვიქცეთ...

იმ ღამეს ალფრედ ლენინგის კაბინეტში მუნჯი სცენა გათამაშდა. ფრენსის ქუინი ლენინგს ჩაფიქრებული ათვალისწინებდა. მერე გაშმაგებით მიაშტერდა სიუზენ კელვინს, ის კი, თავის მხრივ, აუღელვებლად შეჰყურებდა ქუინს.

დუმილი ფრენსის ქუინმა დაარღვია, თუმცა ძალიან მოუქნელად კი სცადა, ატმოსფერო განემუხტა.

– ბლეფია! მან ყველაფერი სახელდახელოდ მოიგონა.

– და გსურთ, ამაზე დაამყაროთ იმედი, მისტერ ქუინ? – გულგრილად ჰკითხა დოქტორმა კელვინმა, – ბოლოს და ბოლოს, ესაა თქვენი ფსონი.

– მისმინეთ, – გაღიზიანებით თქვა დოქტორმა ლენინგმა, – ჩვენ გავაკეთეთ, რაც

გვთხოვთ. ვნახეთ, როგორ ჭამს. სასაცილოა იმის მტკიცება, რობოტიაო.

– თქვენც ასე ფიქრობთ? – ქუინი კელვინს მიუბრუნდა, – ლენინგმა თქვენზე მითხრა, სპეციალისტიაო.

ლენინგმა თითქმის მუქარით დაიწყო:

– მისმინეთ, სიუზენ...

– მაპატიეთ, – თავაზიანად შეაწყვეტინა ქუინმა, – რატომ არ უნდა თქვას თავისი სათქმელი? თითქმის ნახევარი საათია აქ ზის და ხმა არ ამოუღია.

ლენინგი მოიქანცა. ეჩვენებოდა, სადაცაა გავგიჟდებიო.

– კარგი, ილაპარაკეთ, სიუზენ, არ შეგაწყვეტინებთ.

სიუზენ კელვინმა ჯერ ლენინგს შეხედა, მერე ცივი შხერა ქუინზე გადაიტანა.

– არსებობს მხოლოდ ორი ხერხი, რათა ზუსტად დავადგინოთ, ბაიერლი რობოტია თუ არა. აქამდე თქვენ ისეთ ირიბ სამხილებს გვაცნობდით, რომლებიც ბრალდების მხოლოდ წარდგენის საშუალებას იძლევა, მაგრამ არა მისი დამტკიცებისას. მე კი ვფიქრობ, ამგვარი თავდასხმის ასაცილებლად მისტერ ბაიერლი საკმაოდ ჭკვიანია. ალბათ, თქვენც ასე ფიქრობთ. ასე რომ არ იყოს, ჩვენთან არც მოხვიდოდით. დამტკიცება კი ორი ხერხით შეიძლება – ფიზიკურით და ფსიქოლოგიურით. ფიზიკურ გზას თუ აირჩევთ, შეგიძლიათ გაკვეთოთ ან რენტგენი გამოიყენოთ. ამას როგორ გააკეთებთ, თქვენი საქმეა. ფსიქოლოგიური გზის არჩევის შემთხვევაში კი მისი ქცევის შესწავლა მოგვიწევს. თუ ის პოზიტრონული რობოტია, რობოტიკის სამ კანონს უნდა ემორჩილებოდეს, რადგან პოზიტრონული ტვინის სხვაგვარად აგება შეუძლებელია. თქვენ იცით ეს კანონები, მისტერ ქუინ?

მან გარკვევით და სიტყვასიტყვით წარმოთქვა „რობოტიკის სახელმძღვანელოს“ პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ცნობილი კანონები.

– გამიგონია, – დაამატა ბოლოს.

– მაშინ ადვილად გამიგებთ, – მშრალად უპასუხა რობოტოფსიქოლოგმა, – თუ მისტერ ბაიერლი ამ კანონთაგან თუნდაც ერთს დაარღვევს, მაშინ ის არ არის რობოტი. საუბედუროდ, ეს პროცედურა მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს. რაიმეს დამტკიცება იმ შემთხვევაშიც შეუძლებელია, თუკი ის ამ კანონებს ზუსტად ასრულებს.

ქუინმა თავაზიანად ასწია წარბები.

– რატომ, დოქტორო?

– რატომ და, თუ კარგად დავუფიქრდებით, რობოტიკის სამი კანონი კაცობრიობის

ისტორიაში არსებული ეთიკური სისტემების უმრავლესობის ძირითად პრინციპებს ეფუძნება. რა თქმა უნდა, ყოველ ადამიანს აქვს თავდაცვის თანდაყოლილი ინსტინქტი. რობოტებისთვის ეს მესამე კანონია. ყოველი კარგი ადამიანი, რომელიც საზოგადოების წინაშე თავის პასუხისმგებლობას გრძნობს, განსაზღვრულ სისტემას ემორჩილება. იგი ყურს მიაპყრობს თავისი ექიმის, თავისი პატრონის, თავისი მთავრობის, თავისი ფსიქიატრის, თავისი მეგობრის აზრს; ის ასრულებს კანონებს, მისდევს ადამ-წესებს, იცავს ზრდილობის ნორმებს, თუნდაც ეს მას ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში აგდებდეს ან საფრთხითაც ემუქრებოდეს. რობოტებისთვის ეს მეორე კანონია; ყოველ კარგ ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი მოყვასი ისე, როგორც საკუთარი თავი, იცავდეს მეგობრებს, სხვებისთვის სიცოცხლე გაწიროს. ეს რობოტებისთვის პირველი კანონია. უბრალოდ რომ ვთქვათ, თუ ბაიერლი ასრულებს რობოტიკის ყველა კანონს, ის ან რობოტია, ან ძალიან კარგი ადამიანი.

– მაშასადამე, – წარმოთქვა ქუინმა, – თქვენ ვერასოდეს შეძლებთ დაამტკიცოთ, რომ ის რობოტია?

– მე იქნებ იმის დამტკიცება შევძლო, რომ ის არ არის რობოტი.

– მე ეს არ მჭირდება.

– უნდა დაკმაყოფილდეთ იმით, რაც არის, ხოლო რაც გჭირდებათ, ეს უკვე თქვენი საქმეა.

უცებ ლენინგს გონება გაუნათდა.

– მომითმინეთ! – ძლივს ამოილაპარაკა, – არასდროს მოგსვლიათ აზრად, რომ ოლქის პროკურორობა რობოტისთვის საკმაოდ უცნაური საქმიანობაა? ადამიანთა სასამართლო დევნა, სასიკვდილო განაჩენები, ადამიანისთვის ამდენი ზიანის მიყენება...

– არა, თავს ასე მარტივად ვერ დაიძვრნენ, – განაცხადა ქუინმა, – ის ამბავი, რომ ოლქის პროკურორია, ჯერჯერობით არ ნიშნავს, რომ ადამიანია. განა მის ბიოგრაფიას არ იცნობთ? გამუდმებით ტრაბახობს, რომ არასოდეს აღუძრავს საქმე უდანაშაულო ადამიანის წინააღმდეგ, რომ ათობით ადამიანი გადაარჩინა სასჯელს მხოლოდ იმიტომ, რომმათ წინააღმდეგ წაყენებული სამხილები არ აკმაყოფილებდა, თუმცა თავისუფლად შეეძლო მსაჯულები დაეყოლიებინა და უარყოფითი განაჩენიც გამოეტანა! და ასეც არის.

ლენინგს გამხდარი ლოყები შეუთრთოლდა:

– არა, ქუინ, არა! რობოტიკის კანონებში არაფერია ნათქვამი ადამიანის დანაშაულებრიობაზე. რობოტს არ შეუძლია გადაწყვიტოს, იმსახურებს თუ არა ადამიანი

სიკვდილით დასჯას. ეს მისი საქმე არ არის. მას არ შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანს, გინდ არამზადა იყოს, გინდ – ანგელოზი.

– ალფრედ, – გულგრილად უთხრა სიუზენ კელვინმა, – სისულელეს ნუ ლაპარაკობთ. რა მოხდება, თუ რობოტი დაინახავს გაგიჟებულ ადამიანს, რომელსაც ხალხით სავსე სახლის გადაწვა განუზრახავს? შეაჩერებს თუ არა?

– რა თქმა უნდა, შეაჩერებს.

– და თუ შეჩერების ერთადერთი გზა ამ გიჟის მოკვლა იქნება?

ლენინგმა რაღაც ჩაიბურტყუნა და გაჩუმდა.

– ასეთ შემთხვევაში, ალფრედ, რობოტი ყოველნაირად ეცდება, ადამიანი არ მოკლას. თუ მოკლავს, მაშინ რობოტს ფსიქოლოგიური მკურნალობა დასჭირდება. მას ადვილად გააგიჟებს ის დილემა, რომ უნდა დაარღვიოს პირველი კანონი, რათა იმავე კანონის ერთგული დარჩეს. ასეთი დილემა მას მოშლის, მაგრამ ადამიანი მაინც მოკვდება და მას რობოტი მოკლავს.

– გამოდის რომ, თქვენი აზრით, ბაიერლი გიჟია? – იკითხა ლენინგმა და ამ კითხვაში მთელი სარკაზმი ჩააქსოვა, რისი უნარიც ჰქონდა.

– არა, მაგრამ თვითონ არავინ მოუკლავს. ის მხოლოდ ააშკარავებს ფაქტებს, რომლებიც მონიშნენ, რომ ესა თუ ის ადამიანი საშიშია დანარჩენი ადამიანებისთვის, რომლებსაც ჩვენ საზოგადოებას ვუწოდებთ. იგი უმრავლესობის დამცველად გამოდის და ამ გზით საუკეთესოდ ასრულებს პირველი კანონის მოთხოვნას. ამის იქით არ მიდის – ამის შემდეგ განსასჯელს მოსამართლე უსჯის სიკვდილს ან ცხივს, თუ, ცხადია, მსაჯულები მას დამნაშავედ აღიარებენ. დამნაშავეს სჯის ჯალათი, ყარაულობს ციხის დაცვა, მისტერ ბაიერლი კი, მხოლოდ ჭეშმარიტებას ადგენს და ამით საზოგადოებას ეხმარება. მისტერ ქუინ, მას შემდეგ, რაც თქვენ მოგვმართეთ, მე მართლაც გავეცანი მისტერ ბაიერლის კარიერულ ბიოგრაფიას. გავიგე, რომ თავის საბოლოო სიტყვაში ის არასოდეს მოითხოვს სასიკვდილო განაჩენს. ისიც შევიტყე, რომ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგაც გამოდის და სასამართლო ნეიროქირურგიის დარგის გამოკვლევებიც უხვად დაუფინანსებია. ჩანს, მას სწამს, რომ დამნაშავეს უნდა უმკურნალო და არა დასაჯო. ვფიქრობ, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

– მართლა? – გაეღიმა ქუინს, – ამ ყველაფერს რობოტიკის სურნელი ხომ არ ასდის?

– შესაძლებელია. ამას ვინ უარყოფს. ასეთი მოქმედება მხოლოდ რობოტის ან ძალიან კეთილშობილი ადამიანის თვისებაა. ხომ ხედავთ, რომ უბრალოდ შეუძლებელია ზღვარი

გაავლო რობოტებსა და ადამიანების საუკეთესო თვისებებს შორის.

ქუინი სავარძელში გადაწვა. მოუთმენლობისგან ხმა უკანკალებდა.

– დოქტორო ლენინგ, შესაძლებელია თუ არა, შეიქმნას ადამიანის მსგავსი რობოტი, რომელიც ჩვენგან გარეგნულად არაფრით განსხვავდება?

– „იუ ეს რობოტს“ მსგავსი ტიპის ექსპერიმენტი ჰქონდა, რა თქმა უნდა, პოზიტრონული ტვინის გარეშე. თუ ადამიანის კვერცხუჭრედსა და ჰორმონალურ რეგულაციას გამოიყენებთ, სილიკონის ჩონჩხის გარშემო რბილი ქსოვილისა და კანის სრულყოფილი იმიტაციის შექმნა სრულიად შესაძლებელია. თვალები, თმა, კანი შეიძლება ნამდვილი ადამიანისა იყოს და არა ადამიანისას მიმსგავსებული. და თუ ამას პოზიტრონულ ტვინსა და სხვა შინაგან მოწყობილობასაც დაუმატებთ, ადამიანის მსგავსი რობოტი გამოგივით.

– ამისთვის რამდენი დრო იქნება საჭირო? – მოკლედ ჰკითხა ქუინმა.

ლენინგი დაფიქრდა:

– თუ ყველა მასალა მზად გექნებათ – ტვინი, ჩონჩხი, კვერცხუჭრედი, სათანადო ჰორმონები, დამასხვივებელი დანადგარი – დაახლოებით ორი თვე იკმარებს.

ქუინი გასწორდა.

– ესე იგი მომიწევს ვნახო, როგორ გამოიყურება შიგნიდან მისტერ ბაიერლი. ეს „იუ ეს რობოტს“ სახელს გაუსვრის, მაგრამ... მე მოგეცით შანსი სკანდალი თავიდან აგერიდებინათ

როცა მარტონი დარჩენ, ლენინგი მოუთმენლად მიუბრუნდა სიუზენ კელვინს:

– რატომ ჭიუტობთ?..

სიუზენს დამოკიდებულება არ დაუმაღავს და მკვახედ მიახალა:

– რა გნებავთ, ჭეშმარიტება თუ ჩემი გადადგომა? თქვენს გამო ტყუილის თქმას არ ვაპირებ. „იუ ეს რობოტს“ მშვენივრად შეუძლია თავი დაიცვას. სიმხდალეს ნუ აყვებით.

– რა მოხდება, ბაიერლი მართლაც რომ გაფატროს და მუცლიდან ბორბლები და ჯაჭვები გადმოაყრევინოს. მაშინ?

– ბაიერლის ვერ გაფატრავს, – წარმოთქვა კელვინმა ზიზლით, – ბაიერლი ჭკვიანია. ყოველ შემთხვევაში, ქუინივით ჭკვიანი მაინცაა.

ახალი ამბავი ელვისებურად მოედო ქალაქს – ზუსტად ერთი კვირით ადრე, ვიდრე ბაიერლის მერის კანდიდატად წამოყენების დღე დადგებოდა. თუმცა „ელვისებურად“ მომხდარის აღსაწერად მაინც არ კმარა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ამბავი ქალაქის ყველა კუნჭულში გველივით შესრიალდა. თავდაპირველად მხოლოდ სიცილი და

ქილიკი გამოიწვია, მაგრამ ვინაიდან ქუინის უჩინარი ხელი აუჩქარებლად ამძაფრებდა ვნებებს, სიცილმა თანდათან მხიარულების ელფერი დაკარგა და სულ მალე ის ყოყმანმანადა განსჯამ ჩაანაცვლა.

წინასაარჩევნო კრებაზე შეშფოთება იგრძნობოდა. ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე არავითარი ბრძოლის მოლოდინში არ იყვნენ – მხოლოდ ბაიერლის კანდიდატურის წამოყენებას ელოდნენ. მისი შემცვლელი ახლაც არავინ ჩანდა. იძულებული იყვნენ, მისი კანდიდატურა წამოეყენებინათ, რამაც ხალხი საბოლოოდ გააოგნა.

ყველაფერი კარგად წავიდოდა, რიგითი ამომრჩევლები ეჭვს რომ არ მოეცვა. ყველას აოცებდა ბრალდების სერიოზულობა, თუ ეს მართალი იყო და ბრალმდებლების სიგიჟე – თუ ბრალდება ყალბი გახლდათ.

მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც კრებამ ბაიერლის კანდიდატურას დიდი ენთუზიაზმის გარეშე მისცა ხმა, გაზეთში დოქტორ სიუზენ კელვინთან, „რობოტოფსიქოლოგიასა და პოზიტრონიკაში მსოფლიო მნიშვნელობის სწავლულთან“, ვრცელი ინტერვიუ დაიბეჭდა.

ამის შემდეგ ისეთი ამბავი ატყდა, რომელსაც მარტივად შეიძლება ჯოჯოხეთი ვუწოდოთ.

ფუნდამენტალისტები სწორედ ამას ელოდნენ. ეს არ იყო რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან რელიგიური დაჯგუფების სახელწოდება. ასე მათ ეძახდნენ, ვინც ატომურ ხანას ვერ შეეწყო, ეს სახელი კი მაშინ დაერქვათ, როდესაც ატომები ჯერ კიდევ ახალი ხილი გახლდათ. არსებითად, ისინი ცხოვრების გამარტივების მომხრეები იყვნენ და მისტიროდნენ იმ დროს, რომელიც მარტივად იმ ადამიანებსაც არ ეჩვენებოდათ, რომლებმაც იგი საკუთარ თავზე გამოსცადეს.

ფუნდამენტალისტებს რობოტებისა და მათი შემქმნელების მიმართ სიძულვილისთვის დიდი საბაბი არ სჭირდებოდათ, მაგრამ ქუინის ბრალდებები და კელვინის მსჯელობა მათი პროტესტისთვის დამატებითი სტიმული აღმოჩნდა.

„იუ ეს რობოტს ენდ მექანიკალ მენ კორპორეიშენის“ ვებგვერთედა ქარხნები, თავისი შეიარაღებული დაცვით, ფუტკრით სავსე აზუზუნებულ სკას მიაგავდა. აქ ომისთვის ემზადებოდნენ.

სტივენ ბაიერლის ქალაქგარეთ მდებარე სახლს პოლიციელების კორდონი იცავდა.

წინასაარჩევნო კამპანიის ყველა დანარჩენი მხარე, რა თქმა უნდა, არავის ახსოვდა. მიმდინარე მოვლენებისთვის წინასაარჩევნო კამპანიაც მხოლოდ იმიტომ შეიძლებოდა დაგერქმიათ, რომ იგი კანდიდატურის წამოყენებისა და არჩევნების დღეს შორის შუალედს

ავსებდა.

სტივენ ბაიერლი დაბალი, ფუსფუსა კაცის გამოჩენაზე არ შემცბარა. მასზე არც უკანა პლანზე მოელვარე ფორმებს მოუხდენია შთაბეჭდილება. ქუჩაში, პოლიციელთა პირქუში მწკრივის უკან, პროფესიის ტრადიციების ერთგული რეპორტიორები და ფოტოგრაფები იცდიდნენ. ერთ ფხიან ტელეკომპანიას კამერა პროკურორის სახლის კარის წინაც დაეყენებინა, ჟურნალისტი კი მაყურებელს დანვრილებით ინფორმაციას აწვდიდა.

დაბალი, ფუსფუსა კაცი წინ გამოვიდა. ხელში ოფიციალური დოკუმენტები ეჭირა.

– მისტერ ბაიერლი, აი, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უფლებას მანიჭებს აქაურობა გაეჩხრიკო და ვნახო, ხომ არ არიან აქ... ჰმ... მექანიკური ადამიანები ან ნებისმიერი ტიპის რობოტები...

ბაიერლი სკამიდან წამოიწია და ფურცლები გამოართვა. გულგრილად დახედა და ღიმილით უკანვე დაუბრუნა.

– ყველაფერი რიგზეა, მობრძანდით, გააკეთეთ თქვენი საქმე. მისის ჰოპენ, – გასძახა მოსამსახურე ქალს, რომელიც ოთახიდან უხალისოდ გამოვიდა, – გეთაყვა, გაჰყვეით და ყველაფერი აჩვენეთ, თუ შეიძლება.

დაბალი კაცი, რომელსაც შაროუეის ეძახდნენ, შეყოყმანდა, წამოწითლდა. ამაოდ სცადა, ბაიერლისთვის თვალეებში შეეხედა და ორ თანმხლებ პოლიციელს მიმართა:

– წავიდეთ.

ათი წუთის შემდეგ მობრუნდნენ.

– მორჩით? – ჰკითხა ბაიერლიმ იმ ადამიანის გულგრილი ინტონაციით, რომელსაც დიდად არც კითხვა აინტერესებს და არც პასუხი.

შაროუეიმ ჩაახველა და ლაპარაკი ხრინწიანი ყვილით დაიწყო. მაშინვე შეჩერდა და გაბრაზებულმა განაგრძო:

– მისმინეთ, მისტერ ბაიერლი, ჩვენ სახლის საგულდაგულოდ გამოკვლევის ინსტრუქცია გვაქვს მიღებული.

– განა არ გამოიკვლიეთ?

– ზუსტად მიგვითითეს, რა უნდა მოვძებნოთ.

– ჰოო?

– მოკლედ, მისტერ ბაიერლი, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ჩვენ პირადად თქვენი გაჩხრევა გვაქვს დავალებული.

– ჩემი გაჩხრევა? – წარმოთქვა პროკურორმა და სახეზე ღიმილი გადაეფინა, – მერედა

როგორ აპირებთ ამას?

- თან რენტგენის აპარატი გვ...
- რენტგენი?! გაქვთ ამისი უფლება?
- დოკუმენტები ხომ ნახეთ?
- შეიძლება ერთხელ კიდევ დავხედო?

ჰეროუემი, რომელიც დიდ მონდომებას იჩენდა, კვლავ გაუწოდა ფურცლები. ბაიერლიმ მშვიდად წარმოთქვა:

– ახლავე წავიკითხავ რაც უნდა გაჩხრიკოთ: „სტივენ ბაიერლის სახლი ივენსტრონში, უილოუ გროუვის 355-ში, აგრეთვე, მანქანის სადგომი, დამხმარე სათავსოები და ნებისმიერი სხვა შენობა და ნაგებობა, რომელიც აღნიშნულ მისამართს ეკუთვნის. აგრეთვე, მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები...“ და ასე შემდეგ. ყველაფერი სწორია, მაგრამ, პატივცემულო, აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ჩემი შიგნეულობაც უნდა გაჩხრიკოთ. მე სახლის ნაწილი არ გახლავართ. თუ გგონიათ, რომ რობოტი ჯიბეში მაქვს დამალული, შეგიძლიათ ჩემი ტანსაცმელი გაჩხრიკოთ.

ჰეროუეის კარგად ახსოვდა, ვისი მადლობელი უნდა ყოფილიყო სამსახურისთვის და არც აპირებდა, ხელიდან გაეშვა უკეთესის მოპოვების, ანუ უფრო მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე დანიშნულების, შესაძლებლობა.

– მისმინეთ, – დაიწყო ოდნავი გამოწვევის ტონით, – აქ ისიც წერია, რომ უნდა გავჩხრიკო თქვენი სახლის ავეჯი და ყველაფერი, რასაც იქ ვნახავ. ახლა კი თქვენც ამ სახლში იმყოფებით, ასე არ არის?

– საოცრად სწორიშენიშვნაა. დიახ, მე სახლში გახლავართ, მაგრამ, მე არც ავეჯი ვარ და არც დეკორაციის ნაწილი. სრულწლოვანი, სრულუფლებიანი მოქალაქე გახლავართ და გაჩვენებთ ცნობას, რომ ფსიქიკურადაც ყველაფერი რიგზე მაქვს. ამის საფუძველზე გარკვეული კანონიერი უფლებები გამაჩნია. თუ მაინც გამჩხრევთ, ამას ჩემი პირადი ხელშეუხებლობის დარღვევად მივიჩნევ. ეს ქალაქი საკმარისი არ არის.

– რა თქმა უნდა, მაგრამ თუ თქვენ რობოტი ხართ, მაშინ პირად ხელშეუხებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია...

– ეგეც სწორია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ქალაქი მაინც არ არის საკმარისი. მასში ნაგულისხმევია, რომ მე ადამიანი ვარ.

– სად წერია? – ჰეროუეი ქალაქს ეცა.

– იქ, სადაც ნათქვამია: „სტივენ ბაიერლის სახლი...“ და ა. შ. რობოტს არ შეიძლება

ჰქონდეს საკუთრება. თქვენ კი, მისტერ ჰეროუეი, შეგიძლიათ თქვენს დამქირავებელს გადასცეთ, რომ თუ ის შეეცდება ისეთი საბუთის მოპოვებას, სადაც ჩემი ადამიანობა ნაგულისხმევი არ იქნება, მის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ აღვძრავ სამოქალაქო სარჩელს და მოვითხოვ, ამაჟამად მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე დაამტკიცოს, რომ რობოტი ვარ. და თუ ამას ვერ შეძლებს, ჩემთვის კანონიერი უფლებების ჩამორთმევის მცდელობის გამო საკმაოდ სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს. გადასცემთ, რაც გითხარით?

ჰეროუეი კართან მივიდა და შემობრუნდა:

– გაქნილი იურისტი ხართ...

იგი წამით შეჩერდა კარში, ჯიბიდან ხელი არ ამოუღია. მერე სახლიდან გავიდა, გაუღიმა ტელეკამერას, რეპორტიორებს ხელი დაუქნია და დაუძახა:

– თქვენთვის ხვალ გამოჩნდება საკბილო, ბიჭებო, ხუმრობის გარეშე...

ჰეროუეი მანქანაში ჩაჯდა, საბურგებე გადაწვა, ჯიბიდან პატარა მექანიზმი ამოიღო და დაათვალიერა. აქამდე არასოდეს გადაეღო სურათი რენტგენის არეკლილ სხივებში. იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი კარგად გამოუვიდა.

ქუინი და ბაიერლი ერთმანეთს არასდროს შეხვედროდნენ, მაგრამ ვიზიფონი პირისპირ შეხვედრას კარგად ანაცვლებდა, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანისათვის მეორის სახე მხოლოდ ფოტოელემენტის შავ-თეთრ ფონს წარმოადგენდა.

საუბარი ქუინმა მოაწყო და ყოველგვარი ცერემონიების გარეშე მანვე დაიწყო.

– მისტერ ბაიერლი, ვაპირებ სახალხოვრებელ განვაცხადო იმის თაობაზე, რომ ტანსაცმლის ქვეშ რენტგენის სხივგაუმტარ ეკრანს ატარებთ.

– მართლა? თუ ასეა, ამის შესახებ ალბათ უკვე მთელმა ქალაქმა იცის. ჩვენი პრესის გაქნილი წარმომადგენლები უკვე კარგა ხანია ისმენენ ჩემი კაბინეტიდან განხორციელებულ სატელეფონო საუბრებს. აი, რატომ ვზივარ შინ ამ ბოლო ხანებში.

ბაიერლი კეთილგანწყობით ლაპარაკობდა, იფიქრებდით, მეგობარს ებაასებაო.

ქუინმა მსუბუქად მოკუმა ტუჩები.

– ჩვენ არავინ გვისმენს. გარკვეული რისკის ფასად ეს საუბარი მე თვითონ მოვანწყვე.

– ჰო, რა თქმა უნდა, არავინ იცის, რომ ამ კამპანიის უკან თქვენ დგახართ. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც არავინ იცის, არაოფიციალურად კი, ყველასათვის ცნობილია. მე თქვენს ადგილას ამაზე თავს არ შევიწუხებდი. დამცავ ეკრანს ვატარებ? ვფიქრობ, ეს მაშინ აღმოაჩინეთ, როცა თქვენმა მოგზავნილმა ფინიამ გაშავებული

რენტგენოგრაფია მოგიტანათ, არა?

– გესმით თუ არა, ბაიერლი – მთელი ქვეყანა გაიგებს, რომ რენტგენით გაშუქებისა გეშინიათ.

– ამასთან ერთად იმასაც გაიგებენ, რომ თქვენ და თქვენმა ხალხმა ჩემი უფლებები დაარღვიეთ.

– ხალხს ეგ ფეხებზე ჰკიდია.

– შეიძლება. ეს საკმაოდ კარგად ახასიათებს თქვენსა და ჩემს ტაქტიკას. ხომ ასეა? თქვენ აინუნშიც არ იგდებთ მოქალაქის უფლებებს, მე კი მათ არ ვივიწყებ. არ მოგცემთ ჩემი გაშუქების უფლებას, რადგან უკვე პრინციპულად ვიცავ საკუთარ უფლებებს ისევე, როგორც არჩევის შემთხვევაში დავიცავ სხვის უფლებებს.

– უეჭველია, ძალიან საინტერესო წინასაარჩევნო სიტყვა გამოგივათ, მაგრამ, არავინ დაგიჯერებთ, ზედმეტად მაღალფარდოვანია. აი, კიდევ რა, – უფრო მკაცრად თქვა მან, – გუშინ თქვენს სახლში ყველა არ იმყოფებოდა – ყველა, ვინც იქ ცხოვრობს.

– რას გულისხმობთ?

– მაქვს ინფორმაცია, – ქუინმა მის წინ გაშლილი ქალაღდები ააშრიალა, – რომ ერთი მამაკაცი გაკლდათ, ხეიბარი.

– მართალია, – წარმოთქვა ბაიერლიმ ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე, – ხეიბარი გვაკლდა, ჩემი მოხუცი მასწავლებელი, რომელიც ჩემთან ცხოვრობს და ამჟამად ქალაქგარეთაა. თითქმის ორი თვეა იქ ისვენებს. ამ მოვლენას „დამსახურებულ დასვენებას“ ეძახიან ხოლმე. თქვენგან უნდა აეღო ნებართვა?

– თქვენი მასწავლებელი მეცნიერია?

– ოდესღაც იურისტი იყო. მას აქვს ოფიციალური ნებართვა, აწარმოოს ბიოფიზიკური გამოკვლევები და ჰქონდეს საკუთარი ლაბორატორია. მისი შრომების სრული აღწერილობა შესაბამის ორგანოებშია გაგზავნილი, სადაც შეგიძლიათ მიმართოთ და მოიძიოთ კიდევ. მის გამოკვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, ზიანსაც არავის აყენებს და... საბრალო ხეიბარს კი ართობს. მეც ვეხმარები, რამდენადაც შემიძლია.

– გასაგებია. და რაო, ამ... მასწავლებელმა... რობოტების კეთება იცის?

– არ შემიძლია ვიმსჯელო მის ცოდნაზე იმ დარგში, რომელსაც არ ვიცნობ.

– პოზიტრონულ ტვინზე ხელი მიუწვდება?

– ამაზე თქვენსმეგობრებს ჰკითხეთ „იუ ეს რობოტსიდან“, მათ უკეთ ეცოდინებათ.

– მოკლედ გეტყვით, ბაიერლი. თქვენი ხეიბარი მასწავლებელი ნამდვილი სტივენ ბაიერლია, თქვენ კი მისი შექმნილი რობოტი ხართ. ამის დამტკიცება შეგვიძლია. წლების წინ საავტომობილო კატასტროფაში სწორედ ის მოყვა და არა თქვენ. ამის გადამოწმება შეიძლება.

– მართლა? კეთილი. წარმატებას გისურვებთ.

– და ჩვენ იმ აგარაკის შემოწმებაც შეგვიძლია. ვნახოთ, იქ რას აღმოვაჩინო.

– როგორც გენებოთ, ქუინ, – ბაიერლიმ გაიღიმა, – თქვენდა სამწუხაროდ, ჩემი, ეგრეთ წოდებული, მასწავლებელი მძიმე ავადმყოფია, აგარაკი კი მას სანატორიუმის მაგივრობას უწევს. ასეთ გარემოებაში მისი ხელშეუხებლობა გაცილებით მტკიცეა. თუ სათანადო საბუთებს არ წარადგენთ, ჩხრეკის ნებართვის აღებას ვერ შეძლებთ. მიუხედავად ამისა, მე ხელს არ შეგიშლით.

მცირე დუმილი ჩამოვარდა. ქუინი წინ გადაიხარა, ისე, რომ მისმა სახემ მთელი ეკრანი დაიკავა და შუბლზე წვრილი ნაოჭები გამოუჩნდა.

– ბაიერლი, რატომ ჭიუტობთ? სულერთია, მაინც არ აგირჩევენ.

– ვითომ?

– ნუთუ გგონიათ, რომ რაკი ბრალდების უკუგდებაზე უარი თქვით, რაც სულ ადვილად შეგეძლოთ თუკი რობოტიკის ერთ-ერთ კანონს დაარღვევდით, ხალხი დაიჭერებდა, რომ რობოტი ნამდვილად არ ხართ?

– ყველაფერი, რაც მე მესმის, ისაა, რომ ნაკლებად ცნობილი, უმნიშვნელო იურისტიდან მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურა გავხდი. თურმე გეხერხებათ რეკლამის გაკეთება.

– მაგრამ, თქვენ ხომ რობოტი ხართ!

– ნათქვამს დამტკიცება სჭირდება.

– იმდენი დამამტკიცებელი საბუთი კი არსებობს, რომ აღარ აგირჩიონ.

– მაშინ დამშვიდდით, ესე იგი, თქვენ გაიმარჯვებთ.

– ნახვამდის! – თქვა ქუინმა. ის პირველად გაბრაზდა.

ვიზიფონი ჩაქრა.

– ნახვამდის, – აუღელვებლად დაემშვიდობა ბაიერლი ჩამქრალ ეკრანს.

...არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ბაიერლიმ თავისი მასწავლებელი აგარაკიდან ჩამოიყვანა. ვერტმფრენი ქალაქის განაპირას დაჯდა.

– არჩევნების დამთავრებამდე აქ დარჩი, – უთხრა ბაიერლიმ, – თუ საქმე ცუდად

შეტრიალდა, ჯობია, შორს იყო.

ჯონს დამახინჯებული პირიდან ამოსულ ხრინწიან ხმაში შემფოთება შეეპარა.

– საქმე შეიძლება ძალადობამდეც მივიდეს?

– ფუნდამენტალისტები იმუქრებიან, ამრიგად თეორიულად ასეთი საშიშროება ნამდვილად არსებობს. მაგრამ, მაინც არა მგონია, შესაძლებელი იყოს. მათ რეალური ძალა არა ჰყავთ. უბრალოდ, შფოთავენ და ამას შეუძლია არეულობა გამოიწვიოს. ხომ არა გწყინს, აქ რომ გტოვებ? ხომ იცი, ვერ მოვისვენებ, თუ შენზე დარდი მექნება.

– კარგი, დავრჩები. გაქვს საქმის გამოსწორების იმედი?

– დარწმუნებული ვარ. შენ ხომ არავის შეუწუხებია?

– არა, არავის.

– კარგად შეასრულე შენი როლი?

– საკმაოდ. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იქნება.

– მაშინ, ფრთხილად იყავი, ჯონ, და ხვალ ტელევიზორს უყურე, – ბაიერლიმ დაკორძილ ხელზე მოუჭირა

ლენტონს მოღუშულ სახეზე შემფოთება ეხატა. ბაიერლის რწმუნებული არასახარბიელო მდგომარეობაში იყო, წინ საარჩევნო კამპანია ელოდა, რომელიც სულაც არ ჰგავდა კამპანიას – მისი ობიექტი იყო კანდიდატი, რომელმაც უარი განაცხადა მოქმედების გეგმის გამჟღავნებაზე და არც რწმუნებულის მითითებებს მიჰყვებოდა.

– არა, არ შეგიძლიათ! – ეს მისი საყვარელი სიტყვები იყო. ბოლო ხანებში ამის გარდა თითქმის აღარაფერს ამბობდა, – გარწმუნებთ, სტივ, ეს არ შეიძლება!

ლენტონი ბაიერლის წინ, სავარძელში ჩაეფლო, რომელიც აუჩქარებლად ათვალიერებდა თავისი მოხსენების ამობეჭდილ ტექსტს.

– მოეშვით ამას, სტივ! შეხედეთ, ეს ბრბო ხომ ფუნდამენტალისტებმა მოაგროვეს. თქვენ არ მოგისმენენ. მოსალოდნელია, ქვებიც კი დაგიშინონ. რად გინდათ, ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლა? რით არის ცუდი აუდიოჩანაწერი ან ტელევიზია?

– ხომ გინდათ, რომ არჩევნებში გავიმარჯვო, ასე არ არის? – რბილად ჰკითხა ბაიერლიმ.

– გაიმარჯვოთ? თქვენ ვერ გაიმარჯვებთ, სტივ! მე კი ვცდილობ, სიცოცხლე მაინც შეგინარჩუნოთ.

– ო, მე საფრთხე არ მემუქრება.

– საფრთხე არ ემუქრება, არ ემუქრება! – ლენტონმა რაღაც ჩაიბურტყუნა, – თქვენ

გინდათ ორმოცდაათი ათასი შეშლილის წინაშე გამოხვიდეთ და შუა საუკუნების დროინდელი დიქტატორივით სცადოთ, აივნიდან რამე შეაგნებინოთ?

ბაიერლიმ საათზე დაიხედა.

– დიახ, და დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ, როგორც კი ტელევიზია მზად იქნება.

ლენტონის პასუხი მთლად გასაგები არ იყო.

ბრბოს კიდით კიდემდე გაეგვსო მოედანი. გეგონებოდა, ხეები და სახლები პირდაპირ ხალხის მასიდანაა ამოზრდილიო. ტელევიზიამ კი მთელი დანარჩენი კაცობრიობა ამ ამბის მხილველი გახადა. ეს მხოლოდ ადგილობრივი არჩევნები იყო, მაგრამ მთელი სამყარო ადევნებდა თვალყურს.

ბაიერლიმ ამაზე გაიფიქრა და გაიღიმა.

მაგრამ თვით ბრბო ღიმილის საბაბს არ იძლეოდა. იგი დროშებითა და პლაკატებით აქოჩრილიყო, რომლებზეც ერთი და იგივე ბრალდება სხვადასხვა ფორმით მეორდებოდა. მტრული ატმოსფერო იმდენად შედედებულიყო, თითქმის ხელშესახებიც გამხდარიყო.

თავიდან მის სიტყვას წარმატება არ მოჰყოლია. მას ბრბოს ღრიალი და ფუნდამენტალისტთა რიტმული შეძახილები ფარავდა, რომლებიც ხალხშიჭგუფ-ჭგუფად გარეულიყვნენ. ბაიერლი მაინც განაგრძობდა ლაპარაკს, ნელა და აუღელვებლად...

ოთახში მყოფმა ლენტონმა ხელები თავში წაიშინა და დაიკვნესა. მალე სისხლისღვრას ელოდა.

ბრბოს წინა რიგები აბობოქრდა. წინ გამხდარმა, თვალებგადმოკარკულმა ადამიანმა გამოიწია, რომელსაც გაღეული კიდურებისთვის შეუფერებელი კოსტუმი ეცვა. პოლიციელი, რომელიც უკან მოსდევდა, ნელა და გაჭირვებით მოიკვლევდა გზას. ბაიერლიმ ხელი ბრაზიანად გაიქნია და შეაჩერა.

გამხდარი კაცი უკვე აივნის ქვეშ იყო. მისი სიტყვები არ ისმოდა, ბრბოს ღრიალში იკარგებოდა.

ბაიერლი წინ გადაიხარა.

– რა თქვით? თუ ოფიციალური კითხვის დასმა გინდათ, გიპასუხებთ, – იქვე მდგომ პოლიციელს მიუბრუნდა, – აქეთ გამოუშვით.

ხალხი დაიძაბა. აქა-იქ შეძახილები გაისმა: „ჩუმაღ!“, რომელიც საერთო გუგუნს შეუერთდა. მერე ნელ-ნელა მიწყნარდა. გამხდარი კაცი, წამოწითლებული და აქოშინებული, ბაიერლის წინ წარსდგა.

– კითხვა გაქვთ? – ჰკითხა ბაიერლიმ.

– გამარტყი! – სახე მიუშვირა და გაუმეორა, – გამარტყი! ხომ ამბობ, რომ რობოტი არა ხარ. დაამტკიცე, რომ ასეა. შენ ვერ შეძლებ ადამიანს გაართყა, ურჩხულო!

უცნაური, ცარიელი, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ბაიერლის ხმამ დაარღვია:

– თქვენი ცემის არავითარი მიზეზი არა მაქვს.

გამხდარმა კაცმა ველურად გადაიხარხარა:

– არ შეგიძლია გამარტყა! არ გამარტყამ! შენ ადამიანი არა ხარ! შენ ხარ ურჩხული, რომელმაც ადამიანის სახე მიიღო!

სტივენ ბაიერლიმ კბილი კბილს დააჭირა და ათასობით ადამიანის თვალწინ, რომლებიც მოედნიდან შემოსცქეროდნენ, და მილიონების თვალწინ, რომლებიც ტელევიკრანებზე უყურებდნენ, გამხდარ მამაკაცს მთელი ძალით გაართყა. ეს უკანასკნელი გრძნობადაკარგული გულალმა დაეცა. სახეზე უაზრო გაცემა აღბეჭდოდა.

ბაიერლიმ თქვა:

– ძალიან ვწუხვარ... ოთახში შეიყვანეთ და მოხერხებულად დააწვინეთ. როცა გავთავისუფლდები, მინდა დაველაპარაკო.

და როცა დოქტორმა კელვინმა მანქანა მიაბრუნა და წასასვლელად მოემზადა, მხოლოდ ერთი რეპორტიორი მოეგო გონს, გაევიდა და მიაძახა კითხვა, რომელიც სიუზენის სმენას ძლივს მისწვდა.

სიუზენ კელვინი მობრუნდა და გამოსძახა:

– ის ადამიანია!

ეს სრულიად საკმარისი იყო. რეპორტიორი სასწრაფოდ გაეცალა.

სიტყვა კი ბოლომდე წაიკითხეს, მაგრამ არავის მოუსმენია.

დოქტორი კელვინი და სტივენ ბაიერლი ერთმანეთს ბაიერლის მიერ მერის ფიცის დადებამდე ერთი კვირით ადრე შეხვდნენ. ნაშუაღამევს კარგა ხნის გადაცილებული იყო.

– თითქოს არც დადლილხართ, – თქვა დოქტორმა კელვინმა.

არჩეულმა მერმა გაიღიმა.

– საკმაოდ გამძლე ვარ, ოღონდ ქუინს არაფერი უთხრათ.

– არ ვეტყვი. ჰო, რახან ახსენეთ... ქუინს მართლაც საინტერესო ვერსია ჰქონდა. სამწუხაროდ, თქვენ ის გააცამტვერეთ. ალბათ, იცით, რაში მდგომარეობდა მისი თეორია?

– ნაწილობრივ.

– ეს საკმაოდ დრამატული ამბავია. სტივენ ბაიერლი ახალგაზრდა იურისტი, კარგი

ორატორი, დიდი იდეალისტი გახლდათ და გატაცებული იყო ბიოფიზიკით. პო, მართლა, თქვენ გაინტერესებთ რობოტიკა, მისტერ ბაიერლი?

– მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით.

– იმ სტივენ ბაიერლის კი აინტერესებდა. მაგრამ, მოხდა საავტომობილო კატასტროფა, ბაიერლის ცოლი დაიღუპა, თვითონაც საშინელ მდგომარეობაში იყო – ფეხები დაემტვრა, სახე დაუსახიჩრდა, დაკარგა ხმა, ნაწილობრივ გონებაც დაუზიანდა. პლასტიკურ ოპერაციაზე უარი თქვა და საზოგადოებას განერიდა. მისი კარიერა დასრულდა, დარჩა მხოლოდ გონება და ხელები. როგორღაც პოზიტრონული ტვინის შოვნა მოახერხა, თანაც ყველაზე რთულისა, რომელსაც ეთიკური პრობლემების გადანაცვება შეუძლია. ეს კი, რობოტიკის უმაღლესი მიღწევაა. მან ტვინის გარშემო სხეული გამოზარდა და მისგან სწორედ ის შექმნა, რაც შეიძლებოდა თავად ყოფილიყო. საკუთარი ქმნილება საზოგადოებაში სტივენ ბაიერლის სახელით შეგზავნა, თვითონ კი დარჩა მოხუც მასწავლებლად – ხეიბრად, რომელიც არასოდეს არავის უნახავს.

– თქვენდა სამწუხაროდ, – თქვა არჩეულმა მერმა, – ყოველივე ეს მაშინ გავაბათილე, როდესაც ადამიანს გავარტყი. გაზეთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენი ოფიციალური განაჩენიც აღიარებდა, რომ მე ადამიანი ვარ.

– ეს როგორ მოხდა? მიაბნეთ, გეთაყვა. შეუძლებელია, ეს შემთხვევით მომხდარიყო.

– მართლაც, მთლად შემთხვევითი როდი იყო. სამუშაოს უმეტესი ნაწილი ქუინმა შეასრულა. ჩემმა ხალხმა ნელ-ნელა გაავრცელა ხმა, რომ ადამიანისთვის ცხოვრებაში არ გამირტყამს; რომ ასე მოქცევა უბრალოდ არ შემიძლო; რომ, თუ ამას არ გავაკეთებდი, როდესაც ჩემს პროვოცირებას დაიწყებდნენ, ეს ჩემს რობოტობას დაამტკიცებდა. სწორედ ამიტომ მოვანყვე ჩემი სახალხო გამოსვლა, რომლის გარშემოც ასეთი ხმაური ატყდა. ვიცოდი, რომელიმე ბრიყვი აუცილებლად წამოეგებოდა ანკესზე. არსებითად, ეს ძალზე იაფფასიანი ტრიუკი იყო. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი ხელოვნურად შექმნილ ატმოსფეროზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ჩემი არჩევა ემოციურმა ეფექტმა განსაზღვრა, რისკენაც ვისწრაფოდი კიდევ.

რობოტოფსიქოლოგმა თავი დაუქნია.

– ვხედავ, ჩემს სფეროში იჭრებით... თუმცა ისევე, როგორც ნებისმიერი პოლიტიკოსი გააკეთებდა. ძალიან ვწუხვარ, რომ სწორედ ასე მოხდა. მე მიყვარს რობოტები. ისინი გაცილებით მეტად მიყვარს, ვიდრე ადამიანები. მართლაც რომ არსებობდეს რობოტი, რომელსაც სახელმწიფო მოღვაწეობა შეეძლებოდა, ის საუკეთესო ხელისუფალი

იქნებოდა. რობოტიკის კანონების თანახმად, ადამიანებს ზიანს არ მიაყენებდა, მისთვის უცხო იქნებოდა ტირანია, მოსყიდვა, სიბრიყვე ან ცრურწმენები. გარკვეული დროის შემდეგ, მიუხედავად თავისი უკვდავებისა, თანამდებობიდან გადადგებოდა, რამეთუ მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ადამიანების განაწყენება იმის გაგებინებით, რომ თურმე აქამდე რობოტი მართავდათ. ეს თითქმის იდეალური ამბავი იქნებოდა.

– მხოლოდ ისაა, რომ ტვინის ძირეული ნაკლოვანების გამო რობოტი მოვალეობას ბოლომდე ვერ შეასრულებდა – ადამიანის ტვინი სირთულით ხომ პოზიტრონულ ტვინზე გაცილებით მაღლა დგას.

– მრჩევლები ეყოლებოდა. დამხმარეების გარეშე ადამიანის ტვინსაც კი არ შეუძლია სრულყოფილად მართვა.

– რატომ იღიმით, დოქტორო კელვინ?

– იმიტომ, რომ ქუინმა ყველაფერი ვერ გაითვალისწინა.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ მისი ეს ვერსია შეიძლებოდა შევსებულიყო?

– დიახ, მხოლოდ ერთი დეტალით. იმ სტივენ ბაიერლიმ, ვიზედაც ქუინი ლაპარაკობდა, ხეიბარმა, არჩევნების წინ მთელი სამი თვე რაღაც საიდუმლო მიზნით ქალაქგარეთ გაატარა. უკან სწორედ თქვენი ცნობილი გამოსვლის წინ დაბრუნდა. ამრიგად, შეეძლო, კიდევ ერთხელ გაეკეთებინა ის, რაც ადრე უკვე ჰქონდა გაკეთებული. მით უმეტეს, რომ ახალი ამოცანა პირველზე უფრო მარტივი იქნებოდა.

– კარგად ვერ გაგიგეთ.

დოქტორი კელვინი ადგა და კოსტუმი გაისწორა. წასასვლელად მზად იყო.

– იმის თქმა მინდა, რომ არის ერთი შემთხვევა, როდესაც რობოტს შეუძლია ადამიანს პირველი კანონის დარღვევის გარეშე გაართყას. მხოლოდ ერთი შემთხვევა...

– როდის?

დოქტორი კელვინი უკვე კარში იდგა. მან მშვიდად წარმოთქვა:

– როცა ადამიანი, რომელსაც უნდა გაართყას, უბრალოდ, მეორე რობოტია.

ქალმა გულიანად გაიღიმა. გამხდარი სახე გაბრწყინებოდა.

– ნახვამდის, მისტერ ბაიერლი. იმედი მაქვს, ხუთი წლის შემდეგ კიდევ მოგცემთ ხმას – ამჯერად კოორდინატორის არჩევნებზე.

სტივენ ბაიერლიმ ჩაიციინა:

– იქამდე დიდი დროა.

ქალმა კარი გაიხურა.

გაოცებულმა შევხედე.

– ეს სიმართლეა?

– ყველაფერი.

– ანუ დიდი ბაიერლი უბრალოდ რობოტი იყო?

– ო, ამას ვერასოდეს გავიგებთ. ისე კი, ვფიქრობ, რობოტი იყო. მაგრამ, როდესაც სიკვდილი გადაწყვიტა, წინასწარ მიიღო ზომები, რათა მისი ცხედარი გაენადგურებინათ. ამრიგად, ახლა რაიმეს დამტკიცება შეუძლებელია. გარდა ამისა, რა მნიშვნელობა აქვს?

– კი მაგრამ...

– თქვენ რობოტებზე სრულიად უსაფუძვლო ცრურწმენებს იზიარებთ. ის ძალიან კარგი მერი იყო... ხუთი წლის შემდეგ კი რეგიონის კოორდინატორად აირჩიეს. 2044 წელს, როდესაც დედამიწის რეგიონებმა ერთიანი ფედერაციის ფორმირება დაიწყეს, პირველი მსოფლიო კოორდინატორი სწორედ ის გახდა. თუმცა ამ დროისთვის მსოფლიოს უკვე ისედაც გონიერი მანქანები მართავდნენ.

– კი, მაგრამ.

– არანაირი მაგრამ. გონიერი მანქანები რობოტები არიან და მსოფლიოსაც ისინი მართავენ. ამის თაობაზე სიმართლე მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, 2052 წელს შევიტყვე. ამ დროისთვის ბაიერლი მსოფლიო კოორდინატორის თანამდებობაზე თავის მეორე ვადას ასრულებდა.

არიდებული კონფლიქტი

კოორდინატორს კაბინეტში ერთი ძველმოდური, შუასაუკუნეების დროინდელი, უცნაურობა ჰქონდა – ბუხარი. სიმართლე ითქვას, იმდროინდელი ადამიანი მასში ბუხარს ძნელად თუ ამოიცნობდა, რადგან პირველად დანიშნულებას ნაკლებად ასრულებდა. მოცეკვავე ცეცხლისგან ოთახს კვარცის გამჭვირვალე ეკრანი იცავდა, ალის მართვა კი იმავე ლაზერის სხივით შეიძლებოდა, რომელიც ქალაქში არსებულ ყველა შენობას ენერგიით კვებავდა. დილაკის ერთი დაჭერით უძველესი პროცესი იწყებოდა – ნაცრის გადაყრა, ახალი შეშა, ნაპერწკალი. წითელი ალი სრულიად რეალური იყო, ბუხარში ჩამონტაჟებული ხმის სისტემიდან შეშის ტკაცატკუციც კი ისმოდა. მოკლედ, ჩვეულებრივი, შინაურული ბუხარი გახლდათ.

ცეცხლის მინიატურული ანარეკლი კოორდინატორის სათვალის მინებშიც ციმციმებდა და მათ მიღმა ჩაფიქრებულ თვალებშიც. მის გვერდზე, გაბერილ სავარძელში, „იუ ეს რობოტს ენდ მექანიკალ მენ კორპორეიშენის“ რობოტოფსიქოლოგი, დოქტორი სიუზენ კელვინი იჯდა. ალის ათინათი მისი სუსხიანი გუგების სიღრმეში იძირებოდა.

– სიუზენ, ალბათ ხვდები, რომ დღეს პირადულ საკითხებზე არ მოგვიწევს საუბარი? – დაიწყო კოორდინატორმა.

– ეს არც მიფიქრია, სტივენ, – უპასუხა სიუზენმა.

– არც ვიცი რითი დავიწყო... უცნაური პრობლემაა. ერთი მხრივ, შეიძლება არაფერი ხდება, მეორე მხრივ კი კაცობრიობის დასასრულია, – მიყრუებული ხმით თქვა კოორდინატორმა.

– სტივენ, ყველა პრობლემის პასუხი ორ ალტერნატივას შორისაა ჩამოკიდებული. გააჩნია საით გაუხვევ... რა მოხდა? – სიუზენის ხმამ ცეცხლი ტკაცუნი წამიერად გააქრო.

– „უორლდ სთილის“ (მსოფლიო ფოლადი (ინგლ.)) შესახებ ალბათ გსმენია?... ძალიან კარგი. კომპანიამ წინა თვის გეგმას ოცი ათასი ტონით გადააჭარბა. მექსიკის გლობალური არხი განრიგს ორი თვით ჩამორჩება. ალმადენის ვერცხლისწყლის მაღაროები, ესპანეთში, პროდუქციის დაქვეითებას განიცდის, ხოლო ტიენცის ჰიდროფერმებში მუშები სისტემატურად კარგავენ სამსახურს. და ეს ყველაფერი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ხდება, – თქვა კოორდინატორმა.

– რამდენად სერიოზულია ეს ყველაფერი? ეკონომიკაში ცოტათი მოვიკოჭლებ... – იკითხა სიუზენმა.

– ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა – ალმადენში შეიძლება ექსპერტი მალაროელები გაიგზავნოს. ტიენცის ჰიდროინჟინრები იავაზე ან ცეილონზე შეავსებენ ცარიელ ფერმებს. ზედმეტი ფოლადი არავის არაფერს დაუშავებს და მექსიკის არხის დროზე გათხრაც პრიორიტეტი არ არის... მე გონიერი მანქანები მალეღვებენ. თქვენი კომპანიის კვლევითი დეპარტამენტის უფროსს უკვე ველაპარაკე.

– ვინსენტ სილვერს? – იკითხა სიუზენმა, – ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს.

– დიახ. ვაგრძნობინე, რომ არავისთან არაფერი წამოცდენოდა. როგორც ვხვდები, სიტყვა არ გაუტეხავს, – ჩაილაპარაკა კოორდინატორმა.

– რა გითხრა? – იკითხა სიუზენმა.

– სანამ ძირითად პრობლემას შევხები, მოდი ჯერ მანქანებზე ვისაუბროთ. შენ ამ დარგში მსოფლიო ავტორიტეტი ხარ და... შეიძლება ცოტათი ფილოსოფიაში გადავვარდე? – იკითხა სტივენმა.

– შენი ოფისი – შენი წესები. ჯერ მითხარი, რის დამტკიცებას ცდილობ, – თქვა სიუზენმა.

– მსოფლიო ეკონომიკა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის იდეალური ბალანსის დაცვას ცდილობს. მცირეოდენი შეუსაბამობა ამ პროცესში კატასტროფული კონფლიქტისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია, – მკაცრი ხმით თქვა კოორდინატორმა.

სიუზენმა კომფორტაბელურ სავარძელში გვერდი შეიცვალა. 70 წლის ასაკში რთული იყო გრძნობების მოთოვვა, მაგრამ იგი პროფესიონალი იყო და სტივენს გლუვი, დუნე ხმით განუცხადა:

– შმ... ძალიან კარგი. გააგრძელე.

– კაცობრიობის განვითარების ყოველ ახალ ეტაპს უნიკალური კონფლიქტი მოჰყვება. როგორც წესი, ახლადშობილი საზოგადოება პრობლემების გადაჭრას ძალადობით ცდილობს. პროცესი ყოველთვის მარცხით მთავრდება – ძალადობა და აგრესია უძლურია ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინააღმდეგ. მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია – ახალი ეპოქა ახალ პრობლემებს აჩენს და ძალადობის ბორბალი ისევ ტრიალს იწყებს... მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ევროპა დიდი არჩევანის წინაშე იდგა – შაბსბურგები თუ ვალუა-ბურბონები? ორ დინასტიას მშვიდობიანი თანაარსებობა უჭირდა. 1789 წლის რევოლუციამ ბურბონები წაღწა, რასაც მალე შაბსბურგების დაცემაც მოჰყვა. ამას თან რელიგიური ომებიც დაემატა. კოლოსალურმა გაუცხოებამ კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის კონტინენტი წაღწა და ისე ჩანდა, რომ ევროპას საკუთარი სისხლი ახრჩობდა. კატასტროფული კონფლიქტების მიუხედავად სიტუაცია

გარკვეულწილად გამოსწორდა: დიდ ბრიტანეთში ინდუსტრიალური რევოლუცია დაიწყო, კონტინენტზე – ახალი ნაციონალისტური მოძრაობა. დღემდე ესეა და ასეც იქნება დიდი ხანი. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში იგივე პრობლემებმა იჩინეს თავი, ამჯერად მსოფლიო მასშტაბით. დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია – ევროპული იმპერიალიზმის ვეშაპებმა მსოფლიოს გადაყლაპვა გადაწყვიტეს, მაგრამ ნაციონალიზმმა თავისი გაიტანა – უამრავი ომის შემდეგ პლანეტაზე მშვიდობა დამყარდა. როგორც ხედავ ჩვენ წინაშეა გარკვეული სოციო-ისტორიული სტრუქტურა – კაცობრიობის ყალიბი, – დამატებლად თქვა კოორდინატორმა.

– გასაგებია. შენი არგუმენტები ცოტა მარტივი ხომ არ გეჩვენება? – ამოიხრა სიუზენმა.

– შეიძლება... სხვათა შორის, ცხვირი სხეულის საკმაოდ მარტივი ნაწილია, მაგრამ სანამ სარკეში ჩაიხედები, რთულია მისი დანახვა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ძალადობისახალი ციკლი დაიწყო. გახსოვს „დეოლოგიური ომები“? რელიგიურმა ემოციებმა ეკონომიკური სტრუქტურა მოწამლა – სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ზღვარი წაიშალა. ატომური იარაღიც გამოიგონეს და მშვიდობის იმედი ბირთვული სოკოს ჩრდილში უკვალოდ დაიკარგა... ყველაფერი პოზიტრონული რობოტების გამოგონებამ შეცვალა, რასაც პლანეტთშორისი მოგზაურობა მოჰყვა, კოსმოსში კი სულ ერთია ვინ ხარ – ადამ სმიტი თუ კარლ მარქსი. ყველას მოუწია ახალ გარემოსთან ადაპტირება.

– ...და რობოტებმა გადაარჩინეს მსოფლიო. „დეუს ექს მაქინამ“ (Deus ex machina – ერთგვარი თეატრალური ხერხი ძველ საბერძნეთში, როდესაც სცენაზე ღვთაებრივი არსება გამოდიოდა, რაც სიუჟეტის ცვლილებასაც იწვევდა) ახალი მნიშვნელობა შეიძინა. უცნაურია... – თქვა სიუზენმა.

– მართალი ხარ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახალმა გარემომ ახალი პრობლემები მოიტანა. სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით კაცობრიობამ ეკონომიკის მართვის სადავეები მოაბროვნე, პრაქტიკულ მანქანებს გადასცა, რომლებიც, თავის მხრივ, რობოტიკის სამ კანონს ემორჩილებიან. ბალანსი დამყარდა და ყველა ადამიანი იცის, რომ ყოველთვის იქნება სამუშაო, საკვები, ჭერი თავზე და ფული ჭიბეში. მასიური ეპიდემიები ისტორიას ჩაბარდა, ცხოვრება გაადვილდა და, გარკვეულწილად, გამარტივდა კიდევ. გიგანტური ეკონომიური კონგლომერატები უკვალოდ გაქრნენ – რობოტებს ყველაფერში ბოლო სიტყვა ეკუთვნით. არა იმიტომ, რომ ადამიანები მონებად გადაიქცნენ, არამედ იმის გამო, რომ რობოტები უფრო ჭკვიანები არიან, – თქვა კოორდინატორმა და

დაამატა, – ომებსა და კონფლიქტებს ბოლო მოეღოთ, არა მარტო ჩვენს დროში, არამედ უახლოეს მომავალში და სამუდამოდ. მაგრამ...

საკმაოდ გრძელი პაუზის შემდეგ სიუზენმა მოჭადოებულებით გაიმეორა:

– მაგრამ?!

– მაგრამ არაფერს აქვს აზრი, თუ მანქანები თავის როლს ვერ ან არ შეასრულებენ, – მოგუდული ხმით თქვა სტივენმა.

– ...და როგორც იქნა მივალწიეთ ზედმეტი ფოლადის, ჰიდროფერმისა და მექსიკის არხის პრობლემამდე, – ამოისუნთქა სიუზენმა.

– მართალი ხარ. ეს შეცდომები არ უნდა ხდებოდეს. დოქტორი სილვერიც მეთანხმება – მისი აზრითაც მსგავსი ჩავარდნები შეუძლებელია, – თქვა სტივენმა.

– ფაქტებს უარყოფს? უცნაურია... – თქვა სიუზენმა.

– არა, დოქტორი აღიარებს შეცდომებს, თუმცა უარყოფს, რომ შეცდომის მიზეზი მანქანის შინაგანი დეფექტი, მექანიკური ნაკლია, – მიუგო კოორდინატორმა.

– მოითხოვე მანქანის დეტალური შემოწმება? – იკითხა სიუზენმა.

– რა თქმა უნდა. სილვერმა უარი მითხრა, – თქვა სტივენმა.

– ძალიან დაკავებულია? – ჩაეკითხა სიუზენი.

– არა. პირდაპირ მითხრა, რომ ადამიანის მხრიდან მანქანის შემოწმება შეუძლებელია. დოქტორი გულახდილი ადამიანია. სილვერი შეეცადა აეხსნა ჩემთვის თუ როგორ ქმნიან მეცნიერები პოზიტრონულ ტვინს. ამ ტვინის დახმარებით უფრო რთულ ტვინს, ორი ტვინით – სუპერტვინს და ა.შ. მანქანა კი ათი მსგავსი ნაბიჯის შედეგია, – მიუგო კოორდინატორმა.

– საწყალი ვინსენტი, ახალგაზრდაა და მეცოდება. ალფრედ ლენინგსა და პიტერ ბოგერტს, დეპარტამენტის პირველ ორ უფროსს, მსგავსი პრობლემები არ ჰქონიათ... არც მე. რას ფიქრობ – იქნებ ეს რობოტიკის დასასრულია? ჩვენი ქმნილების არსი დაგვაინწყდა. აღარ ვიცით, რას ვაკეთებთ, – ამოიოხრა სიუზენმა.

– შეიძლება... არ ვიცი. რობოტები ადამიანების გავლენის ქვეშ აღარ არიან. საკუთარი სამყარო აქვთ, მექანიკური ოჯახი, სადაც ელექტრონურ დედაა, ლოგარითმი კი მამა. ინფორმაციის უსასრულო ნაკადის კოდირება დროის განუსაზღვრელად მცირე ინტერვალში – ეს არის მანქანის მისია... სხვათა შორის საინტერესო რამ ვცადეთ – მანქანას ფოლადის წარმოების პრობლემების შესახებ კითხვები დავუსვით, – თქვა კოორდინატორმა.

– რა პასუხი გაცვით? – სიუზენი კითხვის ნიშნად გადაიქცა.

– აი, ასეთი უცნაური ფრაზა: „არსი აღიარებს ახსნის უარყოფას“, – თქვა სტივენმა.

– ვინსენტის ინტერპრეტაცია რა იყო? – თქვა სიუზენმა.

– ორმხრივი. პირველი: სრული პასუხის გასაცემად მანქანას საკმარისი ინფორმაცია არ მიეწოდა. ამაში სილვერსაც კი ეჭვი შეეპარა. მეორე: მანქანისთვის შეუძლებელია იმის აღიარება, რომ თავისი მოქმედებით ადამიანისთვის ზიანის მიყენება შეუძლია. ექსპერიმენტის შემდეგ სილვერმა შენი ნახვა მირჩია, – ჩაილაპარაკა კოორდინატორმა.

სიუზენს სახეზე დაღლილობა დაემჩნა.

– მე უკვე ასაკში ვარ, სტივენ. ბოგერტი რომ გარდაიცვალა კვლევითი დეპარტამენტის დირექტორის პოსტი მე შემომთავაზეს. უარი განვაცხადე, პასუხისმგებლობა ავიცილე თავიდან. სილვერი კარგად მოერგო პოსტს და მეც კმაყოფილი დავრჩი. სიმართლეს გეტყვი – არ მაქვს სურვილი ისევ ამ პრობლემებში გავეხვიო... მაგრამ ჩემს პოზიციას მაინც მოგახსენებ. ყველა პოზიტრონული რობოტი რობოტიკის სამ მთავარ კანონს ბრმად ემორჩილება. ნორმიდან ვარიაცია აკრძალულია და ამიტომაც მანქანების პიროვნული მისწრაფება და ინდივიდუალურობა წაშლილია. სამი კანონის დარღვევა შეუძლებელია... არც კი ვიცი, რითი დაგეხმარო, – თქვა სიუზენმა.

– არა უშავს. ნება მომეცი დავამთავრო ჩემი აზრი და იქნებ რაიმე იდეა გაგიჩნდეს, – უთხრა სტივენმა.

– უკაცრავად. გთხოვ, გააგრძელე, – ამოიოხრა სიუზენმა.

– ვინაიდან მანქანები არასწორ პასუხებს იძლევიან, იმის გათვალისწინებით, რომ მათ არაფერი ეშლებათ, მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩება – მანქანებში არასწორი ინფორმაცია იტვირთება! და ამას აკეთებს ვიღაცა, ადამიანი... ამის გამო მსოფლიო ინსპექციის ჩატარება მომიხდა, – თქვა კოორდინატორმა.

– საიდანაც ახლახან დაბრუნდი, არა? – შეაწყვეტინა სიუზენმა.

– დიახ. ოთხივე რეგიონი შევამოწმეთ და ოთხივე მანქანა მცდარ შედეგებს იძლევა, – აღიარა სტივენმა.

– რა თქმა უნდა. ერთი მანქანის დეფექტი ავტომატურად აირეკლება დანარჩენი სამის შედეგებზე. რობოტები სხვა რობოტებს უჭერებენ, – თქვა სიუზენმა.

– მეც ეგრე მეგონა. იცი რა? მოდი, რეგიონების ვიცე-კოორდინატორებთან ინტერვიუებს გადავხედოთ. საინტერესო საკითხავია, სხვათა შორის... სიუზენ, „ადამიანთა საზოგადოების“ შესახებ თუ გსმენია? – იკითხა კოორდინატორმა.

– ცხადია. იგივე ფუნდამენტალისტები. ანტირობოტული განწყობის ხალხია. „მანქანამ

ადამიანის სული მოიპარა!..“ არ მიყვარს რადიკალები... – ზიზღით თქვა სიუზენმა.

– მოდი, აღმოსავლეთის რეგიონით დავიწყოთ, – თქვა კოორდინატორმა.

– როგორც გინდა, – მიუგო სიუზენმა.

აღმოსავლეთი რეგიონი

1. ფართობი: 7.500.000 კვადრატული მილი

2. მოსახლეობა: 1.700.000.000

3. დედაქალაქი: შანხაი

ჩინგ ჰსო ლინის დიდი ბაბუა ძველი ჩინეთის რესპუბლიკაში იაპონიის შემოსევის დროს დაიღუპა და მხოლოდ მისმა შვილებმა დაიტირეს. ზუსტად არც არავინ იცოდა, სად დაიღუპა. მანამდე ორმოციანი წლების სამოქალაქო ომსაც გადაურჩა და მხოლოდ შვილებმა გაიზიარეს მისი გასაჭირი. ოჯახის ისტორია ვარდებით არ იყო მოფენილი, მაგრამ, მდაბიო წარმოშობის მიუხედავად, ჩინგ ჰსო ლინი რეგიონალური ვიცე-კოორდინატორი გახდა და მსოფლიო მოსახლეობის ნახევრის ეკონომიური კეთილდღეობა დაეკისრა. ოფისში ორი რუკა ეკიდა. პირველი ძველებური, ფანქრით დაჩხაპნილი და გადაქექილი იყო – არქაული, ხმარებიდან გამოსული ჩინური პიქტოგრამებით სავსე. ეს სწორედ იმ სოფლის რუკა იყო, სადაც ჩინგის ბაბუა დაიბადა. მეორე, უზარმაზარი რუკა, თანამედროვე დიზაინით გამოირჩეოდა. ჩინური დამწერლობა კირილიცას შეეცვალა, ხოლო სქელი, წითელი ზიგზაგით შემოსაზღვრული იყო აღმოსავლეთის რეგიონი, რომელშიც შედიოდა ყოფილი ჩინეთი, ინდოეთი, ბირმა (ამჟამინდელი მიანმარი), ინდონეზია. პატარა, ძლივს შესამჩნევი წერტილით, სიჩუანის პროვინციის შუაგული, ჩინგის სოფელი იყო მონიშნული.

– ეს გარკვეულწილად სიმბოლური თანამდებობაა. ადმინისტრაცია ჩემით იწყება და ჩემით მთავრდება. ყველაფერ დანარჩენს მანქანა აკეთებს. ტიენცის ჰიდროფერმაზე რას ფიქრობთ? – იკითხა ჩინგმა.

– ჩინებულია! – აღმოხდა ბაიერლის.

– თანაც ყველაზე პატარაა! შანხაის, კალკუტის, ბატავიისა და ბანგკოკის დახმარებით მთელი აზია დავანაყრეთ. თითქმის ორი მილიარდი ადამიანია ჩვენზე დამოკიდებული, – ჩინგის ხმაში სიამაყემ გაიჟღერა.

– ეს ყველაფერი ძალიან შთამბეჭდავია, მაგრამ უმუშევრობის პრობლემას როგორ ახსნით? ჭარბწარმოება რამ გამოიწვია? აზიას არასდროს განუცდია ზედმეტი საკვების სიმპტომი... – იკითხა კოორდინატორმა.

ჩინგის თვალები ჩვეულებრივზე უფრო დაპატარავდა.

– ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პლანტაციების გარკვეული რაოდენობა დაიხურა. ეს ფაქტია, მაგრამ... არაფერი სერიოზული, გარწმუნებთ. მუშები დროებით დავითხოვეთ. ყველამ ახალი სამსახური იშოვა კოლომბოს ჰიდროფერმებში, – უპასუხა ჩინგმა.

– მაინც არ მესმის, თუ რატომ დაიხურა პლანტაციები, – იკითხა სტივენმა.

– როგორც ვხედავ, ზოგადად ჰიდროფერმების არსი არ გესმით, – ჩინგმა ჩაიციხა, – არც მიკვირს – თქვენ ხომ ჩრდილოეთიდან ხართ. იქ კვლავ მიწას ეჭიდებიან და ჰიდროფერმა მხოლოდ ქიმიკატებით გამოზრდილი თალგამის სათბური ჰგონიათ. მერწმუნეთ – ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია.

ჩინგმა ჩაახველა და გააგრძელა.

– ჰიდროფერმის ყველაზე მთავარი პროდუქტი საფუარია. წარმოებაში ორი ათასამდე განსხვავებული ჯიშის საფუარი გვაქვს. ყოველ თვეს პროდუქციას რამდენიმე ახალი შტამი ემატება. საფუარის წარმოებისთვის ძირითადი კომპონენტებია ნიტრატები, ფოსფატები, მცირე რაოდენობით ბორონი და მოლიბდენი. პლუს ორგანული მასალა, რომელიც ცელულოზის ჰიდროლიზისგან დაკრისტალელებული შაქრის ნარეგია. ამ ინდუსტრიის წარმატებისთვის, რომელმაც ჯამში მილიონობით ადამიანი უნდა გამოკვებოს, მთელი რეგიონის მასშტაბით ტყის საფარის მასიური აღდგენაც გვიხდება. ელექტროენერჯის, ფოლადის, სინთეტიკური ქიმიკატების წარმოებისთვის ვაშენებთ უზარმაზარ საწარმოებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, – აგრძელებდა ჩინგი.

– სინთეტიკური ქიმიკატები? – წარბები ასწია სტივენმა.

– როგორც მოგახსენეთ, ორი ათასამდე ვარიაციის საფუარს ვზრდით. სტეკი, რომელიც გუშინ საღამოს მიირთვით, სწორედ საფუარის დახმარებითაა „შექმნილი“. საფუარი იყო დესერტიც, რძეც, ფორთოხლის წვენიც, შოკოლადიც... ალბათ მიხვდით, საითაც მივდივარ. უახლესი გემო ახალ, უფრო რთულ ფორმულას მოითხოვს. ხელოვნურად გამოზრდილი საფუარისთვის გვჭირდება ბიოტინი, პტერიოლგლუტამინი, ამინომჟავები, ვიტამინი ბ.

– ამ ყველაფერს რატომ მეუბნებით?.. – ჩაიბურტყუნა კოორდინატორმა.

– გაიტერესებთ თუ რატომ გავათავისუფლეთ მუშები ტიენცის ფერმიდან? მანქანას რა სჭირს? არ ვიცი, როგორ აგისხნათ... სწორედ, მანქანამ უნდა განსაზღვროს თუ რომელი ჯიშისა და არომატის საფუარი იქნება პოპულარული უახლოეს მომავალში. ამის შესახებ

წინასწარ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, ამ საქმეს კი მანქანა უძღვება...

– არასრულყოფილად, – შეაწყვეტინა ბაიერლიმ.

– შეიძლება, მაგრამ გაითვალისწინეთ პროდუქციის სირთულეები, მასშტაბი. კი, ტიენცის ფერმის ათასობით მუშამ სამსახური დაკარგა, მაგრამ ეს ციფრი სამრეწველო დანაკარგს შეადარეთ. შარშან დანაკარგი მხოლოდ მთლიანი პროდუქციის ერთი პროცენტის მეთაღედი იყო.

– პირველ წლებში დანაკარგი წარმოების ერთი პროცენტის მეთათსედი გახლდათ, – ჩაურთო ბაიერლიმ.

– დიახ, მაგრამ მანქანების ექსპლუატაციაში შეყვანიდან ათი წლის განმავლობაში წარმოების მასშტაბი ოცჯერ გაიზარდა. პროდუქციის ზრდასთან ერთად კი შეცდომებიც იმატებს – ეს ბუნებრივია...

– ბუნებრივია? – წარბები ასწია ბაიერლიმ.

ვიცე-კოორდინატორი წამით გაჩუმდა და კოორდინატორს უცნაურად შეხედა.

– ერთ უცნაურ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. რამა ვრასაიანას შესახებ თუ გსმენიათ?

– არა, – თქვა სტივენმა.

– მარილიანი წყლიდან იოდის გამოსაწურ სადგურს ხელმძღვანელობდა. საფუარს იოდი არ ჭირდება, მაგრამ ადამიანებისთვის აუცილებელი ნივთიერებაა. მოთხოვნის მიუხედავად მისი სადგური მაინც გაკოტრდა, – გააგრძელა ჩინგმა.

– მიზეზი? – იკითხა კოორდინატორმა.

– კონკურენცია. ვიცი, რომ ეს ყველაფერი უცნაურად ჟღერს. მანქანა ოპტიმალურად ემსახურება ყველა საწარმოს, მაგრამ იმ ქალაქში, სადაც ვრასაიანას სადგური იყო, მანქანის რეკომენდაციით იოდის ახალი, უფრო პრაქტიკული და მოგებიანი სადგური გაიხსნა, – თქვა ჩინგმა.

– და ეს ყველაფერი მანქანის გადაწყვეტილებით მოხდა? – იკითხა სტივენმა.

– რა თქმა უნდა. ახალი სისტემა ძალიან პოპულარულია რეგიონში. ერთი ფაქტია ძალიან უცნაური: მანქანამ ვრასაიანას რენოვაციის ან სხვა ფერმასთან კომბინირების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მიაწოდა.... არა უშავს – ვრასაიანა სხვა ფერმაში გადავიდა სამუშაოდ. უფრო მცირე პასუხისმგებლობა და ხელფასი აქვს, მაგრამ ბედნიერია. მუშები ახალ სამსახურს ადვილად შოულობენ. იოდის ყოფილი ფერმაც ახალ ობიექტად გადაკეთდა.... ყველაფერს მანქანა უძღვება, – გაიღიმა ჩინგმა.

– სხვა პრობლემები? – იკითხა კოორდინატორმა.

– არანაირი! – ხმამაღლა თქვა ჩინგმა.

ტროპიკული რეგიონი

1. ფართობი: 22.000.000 კვადრატული მილი

2. მოსახლეობა: 500.000.000

3. დედაქალაქი: კაპიტალ სიტი

ვიცე-კოორდინატორ ლინკოლნ ნგომას ოფისში მოწესრიგებული ქაოსი სუფევდა. კედელზე გაკრულ რუკაზე ტროპიკული რეგიონის საზღვარი მუქი ყავისფერი მარკერით იყო მონიშნული. ტოპოგრაფიულ ლანდშაფტზე აქა-იქ ლაკონურად ეწერა: „ტუნგლები“, „უდაბნო“, „აქ სპილოები და სხვა უცნაური მხეცები ნახეს“... ტროპიკული რეგიონი ორ კონტინენტზე გადაჭიმულ უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა: მთელ აფრიკას ეკვატორიდან სამხრეთით, არაბეთს, ირანს და ცენტრალურ ამერიკას რიო გრანდედან არგენტინამდე. რეგიონი დედამიწის მთლიანი პოპულაციის დაახლოებით თხუთმეტი პროცენტით იყო დასახლებული და ეს მაჩვენებელი გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა – ძირითადად ემიგრანტების ხარჯზე. ნგომას აზრით, კოორდინატორი სტივენ ბაიერლი სწორედ ასეთ ემიგრანტს ჰგავდა: მაღალი, გამხდარი, უღმერთოდ ფერმკრთალი. ნგომას მის დანახვისთანავე უცნაური გრძნობა დაეუფლა – მსუბუქი, აუხსნელი სიბრალული იმის გამო, რომ, მისგან გასხვავებით, ბაიერლი ჩრდილოეთის ცივი მზის ქვეშ იყო დაბადებული.

ტროპიკული რეგიონის დედაქალაქი მსოფლიოს ყველაზე ახალი მთავარი ქალაქი გახლდათ. ნგომას ოფისის ფანჯრიდან დიდებული კაპიტალ სიტის მხოლოდ პატარა ოთხკუთხა ნაწილი მოჩანდა. ნიგერიის ნოყიერ მაღლობზე აშენებული დედაქალაქი სიცოცხლით, ფერებითა და უცნაური სურნელებით იყო გაჟღენთილი. მწველი მზე და ხუთწუთიანი კოკისპირული წვიმები ერთმანეთს თვალის დახამხამებაში ენაცვლებოდა, ტროპიკული ფრინველების ფერადი ფრთები ცისარტყელას ფერებში იღვრებოდა, ღამის დადგომისთანავე კი შავ ცაზე მკაფიო წერტილები ინთებოდა.

– მერე რა, რომ მექსიკის არხი განრიგს ჩამორჩა, – გამართული ინგლისურით იკითხა ნგომამ, – ნუ ნაღვლობთ, დროზე დავამთავრებთ.

– ბოლო ექვსი თვეა, გამუდმებით პრობლემები გაქვთ... მანამდე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, – ჩაილაპარაკა კოორდინატორმა.

ნგომა მაღალი, ძალიან მუქი და სიმშაბითური ადამიანი იყო. გულის ჭიბიდან გიგანტური სიგარა ამოიღო, ერთი ბოლო ჩაკვნიტა, მეორე ბოლოს ცეცხლი მოუკიდა და

კოორდინატორს ჩუმი ხმით ჰკითხა:

– რა არის ეს? ოფიციალური გამოძიება?

– ჩემი მოვალეობაა ვიყო ცნობისმოყვარე და კითხვები დავსვა, – ჩაილაპარაკა სტივენმა.

– სიმართლე სიმართლედ – მუშახელი ყოველთვის გვაკლია. ბევრი რამ ხდება ჩვენს რეგიონში... მექსიკის არხის პრობლემა ერთ-ერთი მათგანია, – თქვა ლინკოლნმა.

– მაგრამ მანქანას არ უნდა ეშლებოდეს პროექტებს შორის მუშახელის განაწილება. პროგნოზირების უნარი მასში საფუძვლიანადაა კოდირებული, – თქვა კოორდინატორმა. ნგომამ კისერი მოიფხანა და ჭერისკენ კვამლის რგოლი გაუშვა.

– არხთან დაკავშირებით.... მანქანამ ცოტათი აურია, – ჩუმი ხმით თქვა ნგომამ.

– ხშირად ურევს ხოლმე? – იკითხა სტივენმა.

– მისტერ ბაიერლი, ჩვენ მანქანისგან ბევრს არ ველით. ვტვირთავთ ინფორმაციას – ვიღებთ ინფორმაციას. რასაც გვავალეებს, ვაკეთებთ, – ნგომამ თავზე ხელი გადაისვა და კოორდინატორს თვალეში ჩააშტერდა, – საიდუმლოს გაგანდობთ – მანქანის გარეშეც შეგვიძლია მუშაობა. საკუთართავის მტკიცე რწმენა გვაქვს. ეს მიწა ათასობით წლის განმავლობაში ელოდებოდა ჩვენს მძლავრ ხელებს, ვიდრე დანარჩენი პრეატომური ხანის მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთს ჭიჭნიდნენ. სწორედ ამიტომ არ გვიწევს აღმოსავლეთელებივით საფუარის ჭამა ან ჩრდილოეთელებივით ფერმკრთალი კენკრის ყლაპვა. ჩვენ მოვსპეთ ცეცე ბუზი და მალარიის კოლო, გავჩხეთ ჭუნგლები და აღმოვაჩინეთ მინერალები; ავაცვავთ ბალები იქ, სადაც მანამდე უდაბნო ვარვარებდა, ამოვთხარეთ ნახშირი და ნავთობი ვიპოვეთ! მსოფლიოს მხოლოდ ერთს ვთხოვთ – გვაცალეთ და ნახავთ რასაც მივალწევთ! – ნგომას ხმა კედლებს ეხლებოდა.

– არხს მინდა დავუბრუნდე, – შეაწყვეტინა კოორდინატორმა, – ზუსტად რა მოხდა?

ნგომამ ხელები გაშალა და მაგიდას გადაწვდა.

– მუშახელი დაგვაკლდა, – მაგიდაზე ქალაღდების გროვა ამოძრავდა – ნგომა რაღაცას ეძებდა, – ქალები... მექსიკელი ქალები....

– რას გულისხმობთ? – გაკვირვებული ხმით იკითხა ბაიერლიმ.

– მანქანას საკმარისი ინფორმაცია არ მიეწოდა... მექსიკის ერთ ქალაქში ქალი მუშახელის უკმარისობის გამო პროექტი შეფერხდა და... გამახსენდა! ვილაფრანკა! – ნამოიძახა ნგომამ.

– ვილაფრანკა? – მიუგო სტივენმა.

– ფრანცისკო ვილაფრანკა, პროექტის ინჟინერი. გახსოვთ, წვიმის გამო არხის კედლები რომ ჩამოწვა? დიდი სკანდალი იყო. არავინ დაშავებულა, მაგრამ... მანქანის ანგარიშში შეცდომა იყო, – თქვა ლინკოლნმა.

– დეტალები, – ჩაეძია კოორდინატორი.

– ინფორმაციის კოდი მანქანას ვილაფრანკას გამოთვლების გათვალისწინებით მიეწოდა. ინჟინერმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – ჩემი ბრალი არ არის, მანქანამ დაუშვა შეცდომაო! მოკლედ დიდი დავიდარაბის შემდეგ სამსახური მიატოვა. რა არ ვცადეთ, რომ დავგეტოვებინა – ყველაფერზე უარი გვითხრა, – თქვა ნგომამ.

– ესე იგი, მანქანას დააბრალა, – ჩაილაპარაკა სტივენმა.

– აბა, საკუთარ თავზე ხომ არ აიღებდა... კიდევ რაღაც მქონდა მასთან დაკავშირებით... ყოველთვის ასეა – როცა მინდა, ვერაფერს ვპოულობ! – ფურცლების შრიალი ექოდ შეეხალა ოფისის კედლებს. გარეთ წვიმდა და, ამავდროულად, მზეც აჭერდა.

– აი, ვიპოვე! – აღმოხდა ნგომას, – ჩრდილოეთში ჩამოყალიბებული ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრია, მექსიკა კი ჩრდილოეთთან ძალიან ახლოსაა, – თქვა ნგომამ.

– რომელი ორგანიზაცია? – იკითხა კოორდინატორმა.

– „ადამიანთა საზოგადოება“. ყოველ წელს ესწრებოდა ნიუ იორკის შეკრებებს. მათ მანქანები არ უყვართ, ჰგონიათ, რომ რობოტიზაცია კაცობრიობის კოლექტიური ინიციატივის, მონდომების გრძნობას ანადგურებს. ბუნებრივია, რომ ვილაფრანკამ ყველაფერი მანქანას დააბრალა... ისე, ყველაფერს თავი დაანებეთ და ჩვენს დედაქალაქს შეხედეთ – გვეტყობა, რომ ინიციატივა დავკარგეთ?! – დაამთავრა ნგომამ.

კაპიტალ სიტი ყვითელი მზის ქვეშ ფართოდ იზმორებოდა – უახლესი და ბრწყინვალე კომო მეტროპოლისი.

ევროპული რეგიონი

1. ფართობი: 4.000.000 კვადრატული მილი

2. მოსახლეობა: 300.000.000

3. დედაქალაქი: ჟენევა

ევროპული რეგიონი, გარკვეულწილად, ანომალია გახლდათ. სხვა რეგიონებისგან მცირე მოსახლეობითა და სუსტი ინდუსტრიით გამოირჩეოდა და დედამიწის განვითარებას დიდი ვერაფრით ეხმარებოდა. გეოგრაფიულად მხოლოდ ოდნავ წააგავდა პრეატომური ხანის ევროპას, რადგან მის შემადგენლობაში აღარც რუსეთის დასავლეთი ნაწილი შედიოდა და არც ბრიტანეთის კუნძულები. რეგიონი მოიცავდა აფრიკისა და აზიის

ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიას, არგენტინას, ურუგვაისა და ჩილეს.

რეალობა არც იმას წინასწარმეტყველებდა, რომ ევროპული რეგიონი ოდესმე დედამიწის დანარჩენ რეგიონებს გაუთანაბრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მის ძირითად ძალას ლათინური ამერიკის ენერგიული პროვინციები წარმოადგენდა. ამასთან, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ ამ რეგიონს ჰქონდა მოსახლეობის კლების მაჩვენებელი, არ შეიმჩნეოდა წარმოების კოეფიციენტის ზრდა და არც კულტურის თვალსაზრისით შეჰქონდა წვლილი კაცობრიობის განვითარებაში.

– ჩრდილოეთისთვის ეკონომიური წამონაზარდით ვართ – ეს საიდუმლო არ არის, ყველამ ვიცით, რაც ხდება, – თქვა ფრანგულად ევროპის ვიცე-კოორდინატორმა. მაღამ შეგეჩოვსკას ოფისში რუკაც კი არ ეკიდა.

– მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარი მანქანა გაქვთ და ოკეანის გაღმიდან არც ეკონომიკურ ზეწოლას უნდა განიცდიდეთ, – შენიშნა ბაიერლიმ.

– მანქანა! უკ... – ქალბატონმა ვიცე-კოორდინატორმა მხრები აიჩჩია, თითებში სიგარეტი აათამაშა და ცალყბად ჩაიციწა, – მხოლოდ გვეუბნება – „ასე გააკეთეთ, ასე უკეთესი იქნება!“ მაგრამ რა არის ჩვენთვის უკეთესი?.. ევროპა მდუმარე ადგილია, სტივენ, და ვინც ტროპიკებში ემიგრირება ვერ მოასწრო, მასთან ერთად სძინავს. აქ პასუხისმგებლობაც კი სუსტ ქალს აწევს მხრებზე. საბედნიეროდ, სამუშაო არც ისე ბევრია და, შესაბამისად, არც მოთხოვნაა დიდი. სამაგიეროდ სიმშვიდეა – შვიდი ათას წლიანი ომი და სისხლნთხევა წარსულს ჩაბარდა. ევროპა მართლაც ბებერია, მის შემადგენლობაში ის მიწები შედის, სადაც ოდესღაც ცივილიზაციის აკვანი დაირწა – ეგვიპტე, კრეტა და საბერძნეთი, მცირე აზია, მესოპოტამია და სირია. ...თანაც სიბერე მხოლოდ ცუდს როდი ნიშნავს, ის სიმშვიდისა და ნაყოფიერების მომტანიც შეიძლება იყოს, – თქვა ვიცე-კოორდინატორმა.

– ალბათ მართალი ბრძანდებით. აქაური ცხოვრების ტემპი სხვა რეგიონებისას არ ჰგავს. სასიამოვნო ატმოსფეროა, – უპასუხა სტივენმა.

– კი, ატმოსფერო სასიამოვნოა, – გააგრძელა ვიცე-კოორდინატორმა, – დანარჩენ მსოფლიოში კი დაძაბულობა გრძელდება. აქ ერთგვარი პარალელის გაკეთებაც შეიძლება. იყო დრო, როდესაც მსოფლიოს რომის იმპერია მართავდა, საბერძნეთი კი ყოველთვის დაცალკევებული, დაქსაქსული იყო. უამრავი შინაგანი ომებისა და სამოქალაქო კონფლიქტებისგან დასუსტებული სახელმწიფო დეკადენტურ სილატაკეში იხრჩობოდა... სწორედ ამ დროს გამოჩნდა ძლიერი მეზობელი. რომის იმპერიამ

დაქუცმაცებული ნახევარკუნძული ოქროს არწივის ბაირალის ქვეშ გააერთიანა და საბერძნეთს მშვიდი, უღრუბლო არსებობის საშუალება მისცა. დაახლოებით ოთხასი წლის განმავლობაში საბერძნეთმა კულტურული და ფილოსოფიური აღმავლობა განიცადა. ქვეყანა მოკვდა, მაგრამ პროვინცია აყვავდა, – თქვა შეგეროვსკამ.

– მიუხედავად ყველაფრისა, რომი დაეცა და ნარკოტიკული ზმანებაც უკვალოდ გაიფანტა, – უპასუხა სტივენმა.

– ცივილიზაციას ბარბაროსების შემოტევა აღარ ემუქრება, – თქვა შეგეროვსკამ.

– ყოველთვის შეიძლება უკან დაბრუნდნენ... კითხვა მაქვს. აღმადენის ვერცხლისწყლის მალაროებში წარმოების მაჩვენებლები მკვეთრად დაეცა – მარაგი ხომ არ გათავდა? – იკითხა ბაიერლიმ.

– მიყვარს გულახდილი და პირდაპირი ადამიანები, – შეგეროვსკას თვალები სტივენს მიაშტერდა, – ბარბაროსები, ცივილიზაციის დაცემა, მანქანის მოშლა...

– თქვენი აზრით პრობლემები მალაროში მანქანის დეფექტის გამო გაჩნდა? – ჰკითხა ბაიერლიმ.

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამის გჯერათ. ჩრდილოეთიდან ბრძანდებით, არა? ცენტრალური კოორდინატორის ოფისი ნიუ იორკშია და თანაც ყველამ იცის, რომ თქვენ, ჩრდილოეთელები, მანქანების მიმართ რწმენას ნელ-ნელა კარგავთ, – თქვა მადამ შეგეროვსკამ.

– ჩვენ?

– ალბათ გსმენიათ „ადამიანთა საზოგადოების“ შესახებ, რომელიც ჩრდილოეთის რეგიონში განსაკუთრებით ძლიერია, ჩვენთან, ბებერ ევროპაში კი მათი რიცხვი მეტად მცირეა. აქ, დიდი ხანია, სხვათა უფლებების თაობაზე დიდად აღარ ღელავენ.

– ამ ყველაფერს აღმადენის მალაროებთან რა კავშირი აქვს? – იკითხა სტივენმა.

– გადამწყვეტი. მალაროების მფლობელი ჩრდილოეთის რეგიონის კომპანია „გაერთიანებული სინგურია“, რომლის ცენტრალური ოფისიც ნიკოლაევში მდებარეობს. ძალიან გამიკვირდება თუ გაირკვევა, რომ კომპანიის ხელმძღვანელებს ოდესმე მანქანისგან კონსულტაცია მიუღიათ. ბოლო პრესკონფერენციის დროს დაგვარწმუნეს, რომ სწორედ ასე იქცევიან, მაგრამ... ჩრდილოეთელების არ მჯერა და არც ამის გადამონშების საშუალება გვქონია. შეურაცხყოფად არ მიიღოთ ჩემი სიტყვები, – თქვა ვიცე-კოორდინატორმა და სახეზე დამნაშავე ღიმილი დაეტყო, – და მაინც მგონია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

– რა მხრივ? – იკითხა სტივენმა.

– ალმადენის მალაროში არსებულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელივით მასშტაბური და გამანადგურებელი არ გახლდათ, ჩვენი ცხოვრების მშვიდი დინება მაინც დაარღვია და ესპანურ პროვინციაშიც გარკვეული მდელვარება შეიტანა. რამდენადაც ვიცი, „გაერთიანებული სინგური“ თავის აქციებს ადგილობრივ მოსახლეობაზე ყიდის, რაც დასამშვიდებლად გადმოგდებულ ლუკმას უფრო ჰგავს. ჩვენ უკვე ვართ ჩრდილოეთის ეკონომიკური ვასალები, ამიტომ ამის ღიად დემონსტრირებით ჩვენი ზედმეტად დამცირება საჭირო არაა. გარდა ამისა, ჩვენი ხალხი მანქანების რეკომენდაციების შესრულების მხრივ, გაცილებით სანდონი არიან, – თქვა მადამ შეგეჩოვსკამ.

– როგორ ფიქრობთ, კიდევ გაჩნდება პრობლემები? – იკითხა კოორდინატორმა.

– ალმადენში? არასდროს! – დაასრულა მადამ შეგეჩოვსკამ.

ჩრდილოეთის რეგიონი

1. ფართობი: 18.000.000 კვადრატული მილი

2. მოსახლეობა: 800.000.000

3. დედაქალაქი: ოტავა

ჩრდილოეთის რეგიონი ყველაზე მაღლა იყო, როგორც რუკაზე, რომელიც ვიცე-კოორდინატორ ჰირამ მაკენზის ოფისში ეკიდა, ისე სხვა მხრივაც. ცენტრში ჩრდილოეთ პოლუსი მოჩანდა, აქვე იყო სკანდინავია, ისლანდია და არქტიკის გარშემო არსებული ყველა სხვა მიწა.

ჩრდილოეთის რეგიონი ორად იყო გაყოფილი. პირველ ნახევარში რიო გრანდეს მაღლა მდებარე მთელი ჩრდილოეთ ამერიკა შედიოდა, მეორეში კი ყოფილი საბჭოთა კავშირი. ეს ორი კონტინენტი ცივმა ომმა დააშორა, მომავლის ეკონომიკამ კი გააერთიანა. მათ შორის იყო დიდი ბრიტანეთი, სამხრეთისკენ ავსტრალია და ახალი ზელანდია – ასევე რეგიონის სხვა წევრები. ჩრდილოეთის რეგიონი მსოფლიოს ეკონომიკური მმართველი იყო.

საყურადღებო იყო ისიც, რომ მთლიანი დედამიწა მხოლოდ ამ რუკაზე იყო გამოსახული – როგორც დანარჩენ მსოფლიოზე ჩრდილოეთის აღმატებულობის სიმბოლო და განაცხადი, რომ კონკურენციის შიში მისთვის არ არსებობდა.

– წარმოუდგენელია, – შეძახა მაკენზიმ და ვისკი მოსვა, – მანქანებისა არაფერი გაგეგებათ. მართალი ვარ?

– დიახ, ასეა, – უპასუხა კოორდინატორმა.

– უცნაურია. ამ მხრივ ვერც ჩინგი, ნგომა და შეგეჩოვსკა დაიკვეხნიან. ყველას რატომღაც ჰგონია, რომ ვიცე-კოორდინატორი მხოლოდ კარგი ორგანიზატორი, თავაზიანი პიროვნება და ავტორიტეტი უნდა იყოს. ჩემი აზრით კი რობოტიკაშიც უნდა ერკვეოდეს, – თქვა მაკენზიმ.

– გეთანხმებით, – უპასუხა კოორდინატორმა.

– თქვენ მიერ მოყოლილი თუ ვიმსჯელებთ, უკანასკნელ პერიოდშიმსოფლიო ეკონომიკაში არსებული ჩავარდნები გაღელვებთ. არ ვიცი, ამის თაობაზე რას ფიქრობთ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანები, რომლებსაც მეტი პასუხისმგებლობა მართებდათ, ინტერესდებოდნენ, რა მოხდებოდა, თუ მანქანას მცდარ ინფორმაციას მიაწოდებდნენ, – დაიწყო მაკენზიმ.

– თქვენ რას ფიქრობთ? – შეაწყვეტინა ბაიერლიმ.

– მანქანისთვის შეგროვებული ინფორმაციის პაკეტი ფილტრაციის ძალიან რთულ პროცესს გადის. ამ პროცესში ადამიანებიც მონაწილეობენ და მანქანებიც, ვინაიდან არავის უნდა, რომ შეცდომა გაიპაროს. მაგრამ ადამიანებს ბევრი რამ ეშლებათ და მათი მოსყიდვაც ადვილია, ხოლო მარტივ გამომთვლელ მანქანებს ტექნიკური ნაკლისკენ აქვთ მიდრეკილება. ყველაზე დიდი პრობლემა, ჩვენი აზრით, ე. წ. ყალბი მონაცემებია – ინფორმაციის მიკროპაკეტი, რომელიც ეწინააღმდეგება ოფიციალურად მიღებულ პარამეტრებს. ყალბი მონაცემები სიმართლისა და ტყუილის გამოვლენის ერთადერთი საშუალებაა – ჩვენთვისა და მანქანისთვისაც, – თქვა მაკენზიმ.

– მაგალითი, – ხმა გაუმკაცრდა ბაიერლის.

– სიამოვნებით. დავეშვათ მანქანას მივეცით ინსტრუქცია, რომ დაგეგმოს აგროკულტურული საქმიანობა აიოვაში, იმის გათვალისწინებით, რომ, ინფოპაკეტის მიხედვით, იქ საშუალო ტემპერატურა, ივლისში, ორმოცდაჩვიდმეტი გრადუსია ფარენჰაიტით. მანქანა ამაზე არ დათანხმდება – არა იმიტომ, რომ პასუხი შეუძლებელია ან ორმოცდაჩვიდმეტი გრადუსი ტემპერატურა არ მოსწონს. უბრალოდ, მან იცის, რომ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მასში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაიტვირთა, შეუძლებელია ივლისში აიოვაში საშუალო ტემპერატურა ორმოცდაჩვიდმეტი გრადუსი იყოს, – თქვა მაკენზიმ.

– საინტერესოა.... არის იმის საშუალება, რომ ეს ყალბი მონაცემები მანქანაში ძალიან ჩაიტვირთოს? – იკითხა კოორდინატორმა.

– მხოლოდ ორ შემთხვევაში. პირველი: მთლიანი ინფოპაკეტი ყალბი და მანქანა ვერ ამჩნევს შეცდომას. მეორე: არ შეუძლია შეცდომის დაფიქსირება, ვინაიდან გამოცდილება აკლია. ორივე შემთხვევაში ადამიანის როლი გამორიცხულია – არაადამიანურად რთული კოდირებაა საჭირო, – თქვა მაკენზიმ.

სტივენ ბაიერლიმ ცხვირი ორი თითით მოიფხანა.

– ესე იგი ადამიანის მიერ მანქანის პასუხის გაყალბება შეუძლებელია? – იკითხა კოორდინატორმა, – მაგრამ არსებულ პრობლემებს რითი ახსნით?

– მისტერ ბაიერლი, თქვენ შეცდომას უშვებთ და ინსტინქტურად გგონიათ, რომ მანქანამ ყველაფერი იცის... ჩემი გამოცდილებიდან მინდა რაღაც გაგიზიაროთ. მსოფლიოში უამრავი სხვადასხვა ხარისხის ბამბა არსებობს. გამოცდილი მყიდველი საქონელს ყოველთვის ფრთხილად ამოწმებს: იღებს ერთ ბლუჭას და უსინჯავს სურნელს, ფერს, სიმაგრეს, გემოსა და ხმასაც კი აქცევს ყურადრებას. „დეგუსტაციის“ შემდეგ იწყება ვაჭრობა. ბამბის სპეციალისტის შეცვლა მანქანით შეუძლებელია... – თქვა მაკენზიმ.

– რატომ? მანქანას ბამბის ხარისხის შემოწმება უჭირს? – შეაწყვეტინა სტივენმა.

– შეუძლებელია იმის კოდირება თუ რას გრძნობს მყიდველი, როდესაც ბამბის სიგრძეს, ელასტიკურობასა და გამძლეობას ამოწმებს. გამოცდილება ნულითა და ერთიანით არ გამოიხატება – მსგავს სიტუაციაში მანქანა გამოუსადეგარია, – თქვა მაკენზიმ.

– გასაგებია.

– მანქანა მხოლოდ ხელსაწყოა, დანადგარი რომელიც ადამიანს პროგრესში, კალკულაციასა და ინტერპრეტაციაში ეხმარება. კაცობრიობის დანიშნულება კვლავ იგივეა – შეაგროვოს ახალი მონაცემები, რომელსაც ანალიზისა და ახალი კონცეპტების გამოსაკვლევად შემდგომში მანქანას გადასცემს. დასანანია, რომ „ადამიანთა საზოგადოება“ ამას ვერ ხვდება, – თქვა მაკენზიმ.

– მანქანების მიმართ მტრულად არიან განწყობილი? – ჰკითხა ბაიერლიმ.

– დარწმუნებული ვარ, საშუალება რომ ჰქონოდათ, მათემატიკისა და დამწერლობის წინააღმდეგაც გაილაშქრებდნენ. მის წევრებს მტკიცედ სჯერათ, რომ მანქანამ ადამიანის სული ჩაყლაპა. მაგრამ იმედს არ ვკარგავ – კაცობრიობას კვლავ აქვს უნარი, იაზროვნოს, გამოიგონოს, გააუმჯობესოს და თავისი შეცდომები გამოსწოროს, მანქანებისთვის დასასმელი კითხვები უფრო ჭკვიანურად შეარჩიოს. ასეთი ადამიანები უფრო მეტი რომ გვყავდეს, შესაძლოა, ამ ყველაფერზე სანერვიულოც აღარ გვქონოდა.

დედამიწა

1. ფართობი: 54.000.000 კვადრატული მილი (ხმელეთი)

2. მოსახლეობა: 3.300.000.000

3. დედაქალაქი; ნიუ იორკი

კვარცის ბარიერის მიღმა ცეცხლი სულს დაფავდა. კედლებზე არეკლილი წითელი შუქი ჩრდილებს ებძოდა.

– ასე მგონია არავის აინტერესებს, რომ უზარმაზარი პრობლემის წინაშე ვდგავართ და ერთი ფეხი სამარეში გვიდგას, – ჩუმად ჩაილაპარაკა მოღუშულმა კოორდინატორმა და მინავლებულ ცეცხლს მიაშტერდა, – ვინსენტ სილვერის აზრით, მანქანებს არაფერი სჭირთ და მეც უნდა დავუჭერო. ჰირამ მაკენზი ფიქრობს, რომ შეუძლებელია მცდარი ინფორმაციის ჩატვირთვა და მასაც უნდა ვენდო. ერთი რამ ფაქტია – მანქანების გარშემო მაინც რაღაც ხდება, – სტივენმა სიუზანს გადახედა. კელვინს თვალეხი დახუჭული ჰქონდა, მაგრამ არ ეძინა, – მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ყველაფრიდან, – ხმამაღლა დაამატა.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა სიუზენმა და თვალეხი გაახილა.

– ჩემი აზრით, მანქანას კორექტული ინფოპაკეტი მიეწოდება და მანქანის პასუხიც სწორია, მაგრამ ვიღაც პასუხს იგნორირებას უკეთებს. კარგად იცი, რომ მანქანა პროგრამისტს ვერაფერს აიძულებს, – თქვა სტივენმა.

– მაღამ შეგეჩოვსკასგადაკრული ნათქვამი მახსენდება ჩრდილოეთელებზე, – ჩაურთო სიუზენმა.

– ნამდვილად ასე იყო.

– მაგრამ რა შეიძლება იყოს მანქანის მიმართ დაუმორჩილებლობის მიზეზი? მოდი, ეს საკითხი განვიხილოთ.

– მიზეზები თითქოს ცხადია, – გააგრძელა კოორდინატორმა, – ვიღაც ნავის გადაბრუნებას ცდილობს, რადგან ვიდრე სამყაროს მანქანები მართავენ, დედამიწაზე სერიოზული კონფლიქტები შეუძლებელია. იმ შემთხვევაში კი, თუ მანქანების მიმართ ნდობა დაიმსხვრევა, კაცობრიობა ფეოდალურ წყობილებას დაუბრუნდება. სიმართლე გითხრა, ოთხივე რეგიონში ეჭვი მეპარება. აღმოსავლეთში კაცობრიობის ნახევარი ცხოვრობს, ტროპიკები კი ბუნებრივი რესურსების უმეტეს ნაწილს ფლობს და ორივეს თავი პლანეტის იმპერატორი ჰგონია. არ დაგავიწყდეს ისიც, რომ ორივე რეგიონს ჩრდილოეთის მიმართ ისტორიული სიძულვილი ძვლებში აქვს გამჭდარი. რაც შეეხება

ევროპას... თავის დროზე დედამიწის სადავეები ეპყრა ხელთ, ძლევამოსილი წარსულის დავიწყება კი ძალიან რთულია – ამბიციები არ ქრებიან, მხოლოდ დროებით იმალებიან. მაინც რთულია ამ ყველაფრის დაჭერება. აღმოსავლეთი და ტროპიკები ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიან, ინფრასტრუქტურის გაფართოებაზე უდიდეს რესურსს ხარჯავენ და ამიტომ სამხედრო პოტენციალის გაზრდაზე ენერჯია არ უნდა ჰყოფნიდეთ... ევროპა სუსტია და მხოლოდ თავის წარსულზე ფიქრობს – აქედან გამომდინარე....

– გამოდის, რომ საქმე ჩრდილოეთშია? – იკითხა სიუზენმა.

– ასეა. ბოლო ასი წლის განმავლობაში ჩრდილოეთი ლიდერობდა, მაგრამ მისი უპირატესობა ნელ-ნელა იკარგება. ტროპიკულ რეგიონს, ფარაონების ეპოქის შემდეგ, პირველად აქვს რეალური შანსი მსოფლიოს ლიდერი გახდეს. ჩრდილოეთს ამაზე ფიქრიც კი არ უნდა. ზუსტად ამიტომაც გაჩნდა „ადამიანთა საზოგადოება“, რომელიც მანქანებისადმი სიძულვილს არ მალავს. ეს საზოგადოება ძალიან დიდი გავლენის მქონე ადამიანებისგან შედგება; მათ შორის არიან ქარხნებისა და ფაბრიკების დირექტორები, ინდუსტრიის მაგნატები, რომლებსაც ბარავთ ის იდეა, რომ მანქანას უნდა დაემორჩილონ. ეს ძალიან ამბიციური ხალხია, სიუზენ, სწორედ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ საუკეთესოდ შეუძლიათ გადაწყვიტონ, რა უფრო უკეთესი იქნება მათთვის და დირექტივები სხვა წყაროდან არ მიიღონ. მათ ერთხმად გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ მანქანებს, რითაც მსოფლიო წყობის თავდაყირა დაყენება შეუძლიათ.

„უორლდ სთილის“ დირექტორებიდან ხუთი მათგანი საზოგადოების წევრია და კომპანიამ ჭარბწარმოება განიცადა. „გაერთიანებული სინგურიც“ მათი ზეგავლენის ქვეშაა. სხვათა შორის, ამ კომპანიის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო... ფრანსისკო ვილაფრანკა, რომელმაც მექსიკის არხის გათხრის პროცესი ორი თვით შეაფერხა, ასევე საზოგადოების წევრია, რამა ვრასაიანაც – სულაც არ გამკვირვებია, როდესაც ამის თაობაზე შევიტყვე, – თქვა კოორდინატორმა.

– შენი აზრით, მათ დანაშაული ჩაიდინეს? – წყნარად იკითხა კელვინმა.

– ცხადია, მანქანების ანალიზის უგულვებელყოფა ოპტიმალური ნაბიჯი სულაც არ გახლავთ. შედეგი წარმოსადგენზე გაცილებით მძიმე შეიძლება იყოს. წარმოიდგინე, რა მოჰყვება ამ საბოტაჟს... – თქვა კოორდინატორმა.

– რას აპირებ, სტივენ? – იკითხა სიუზენმა.

– ერთი რამ აშკარაა – საზოგადოება უნდა აიკრძალოს, რაც შეიძლება მალე. წევრები უნდა გათავისუფლდნენ საპასუხისმგებლო პოსტებიდან და ახალმა კანდიდატებმა ფიცი

დადონ, რომ მანქანების წინააღმდეგ არასდროს წავლენ. გარკვეული სამოქალაქო უფლებები შეილახება, მაგრამ დარწმუნებული ვარ კონგრესი...

– არაფერი გამოგივა, სტივენ, – შეაწყვეტინა სიუზანმა.

– რა? რატომ?

– თავიდანვე გეტყვი, რომ დაბრკოლებებს შეეჯახები, რაც უნდა გააკეთო, აუცილებლად წინალობის წინაშე აღმოჩნდები.

– ამას რატომ ამბობ? შენი მხარდაჭერის იმედი მქონდა.

– შენი გადანწყვეტილება ყალბ წინაპირობაზე დაფუძნებული. შენი აზრით, მანქანას შეცდომის დაშვება არ შეუძლია და მასში ყალბი ინფორმაციის ჩატვირთვაც შეუძლებელია. იცი, კიდევ რა არის შეუძლებელი? მანქანის მიმართ დაუმორჩილებლობა, რასაც შენი აზრით „ადამიანთა საზოგადოება“ ცდილობს, – თქვა სიუზენმა.

– არა მგონია, რომ... – ამოიოხრა სტივენმა.

– სტივენ, ყურადღებით მომისმინე, – შეაწყვეტინა სიუზენმა, – დავუშვათ კომპანიის თანამშრომელი მანქანის გადანწყვეტილებას არ დაემორჩილა. ეს მოვლენა მაშინვე ახალ პრობლემაზე მუშაობის პროცესის ერთ-ერთი ფაქტორი ხდება. მანქანამ იცის, რომ ამ პიროვნებას დაუმორჩილებლობისკენ აქვს მიდრეკილება და შეუძლია იწინასწარმეტყველოს, თუ რამდენად ურჩი იქნება მომავალშიც. ამრიგად, პასუხს თავისთვის ოპტიმალური მიმართულებით დაამუშავებს, ისე, რომ აღნიშნული ადამიანის თავნებობამაც ოპტიმალური შედეგი მოიტანოს. მანქანა ყველაფერს ხვდება, სტივენ! – თქვა სიუზენმა.

– ეს ყველაფერი ვარაუდია, ჰიპოთეზა! – აღმოხდა კოორდინატორს.

– მთელი ცხოვრება რობოტებთან მუშაობაში გავატარე, სტივენ. ჭობია, დამიჯერო.

– დავუშვათ, რომ მართალი ხარ, დავუშვათ, რომ მანქანის მიერ მიღებული გადანწყვეტილებები ზუსტია, არაფერი ეშლება და მის მიმართ დაუმორჩილებლობასაც აზრი არ აქვს. მაშინ რა ხდება? – ხმამაღლა თქვა კოორდინატორმა.

– საკუთარ კითხვას თავად გაეცი პასუხი – არაფერიც არ ხდება! დაფიქრდი – მანქანები რობოტები არიან და რობოტიკის პირველ კანონს ემორჩილებიან. ვინაიდან მანქანა მთელ კაცობრიობას ემსახურება და არა მარტო ერთ ადამიანს, კანონი ახალ მნიშვნელობას იძენს: „რობოტს არ შეუძლია კაცობრიობას ავნოს, ან თავისი უმოქმედობით რამე დაუშაოს“. რა აყენებს კაცობრიობას ყველაზე დიდ ზიანს? ეკონომიკური კავშირების დარღვევა! მეთანხმები ამაში? – იკითხა სიუზენმა.

– დიახ... – უპასუხა დაბნეულმა სტივენმა.

– და როგორ ფიქრობ, რამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ეკონომიკური კავშირების დარღვევა? – ჩაეკითხა სიუზენი.

– მანქანების განადგურებამ? – კოორდინატორი კითხვის ნიშნად გადაიქცა.

– მეც, შენც და, რაც მთავარია, თავად მანქანებიც ასე ფიქრობენ. ამიტომ ცდილობენ, პირველ რიგში, საკუთარ თავს გაუფრთხილდნენ და მოიშორონ ის ელემენტები, რომლებიც ამ ნავს გადაბრუნებით ემუქრებიან. შენ ყველაფერს თავდაყირა უყურებდი. ეკონომიური „შეფერხებების“ თავი და ბოლო თავად მანქანაა, რომელიც ნავს თავად აქანავებს და გზაზე გადაყრილ ყველა ავისმსურველს იშორებს და არა „ადამიანთა საზოგადოება“, რომელიც მანქანების გასანადგურებლად იბრძვის. რამა ვრასაიანამ საშხახური დაკარგა ფერმაში, მაგრამ სხვაგან მოეწყო, სადაც ადრინდელივით ზიანის მიყენებას ვერ შეძლებდა. ანუ ის დიდად არ დაზარალებულა, საარსებო წყარო არ მოკლებია, რამეთუ მანქანას არ შეუძლია ავნოს ადამიანს. „გაერთიანებულმა სინგურმა“ აღმადენის მადარობებზე კონტროლი დაკარგა, ვილაფრანკა მნიშვნელოვანი პოსტიდან მოხსნეს და „უორლდ სთილის“ მაგნატები ნელ-ნელა ინდუსტრიის რუკიდან ქრებიან. მიხვდი პრინციპს? ცოტათი ავნივრთს, მაგრამ დაეხმარე ყველას! – თქვა სიუზენმა.

– არა, არა... რთულია ამ ყველაფრის დაჯერება. იმედია, გესმის ჩემი, – ჩაილაპარაკა კოორდინატორმა.

– უნდა დაიჯერო. გახსოვს მანქანას კითხვა რომ დაუსვით? „არსი აღიარებს ახსნის უარყოფას!“ მანქანას არ უთქვამს, რომ „ახსნა“ არ არსებობდა ან პასუხის მოძებნა არ შეეძლო. ყველაფერი ძალიან მარტივია: მანქანას არ უნდა, რომ კაცობრიობამ ყველაფერი იცოდეს. ურჩევნია, მხოლოდ ვარაუდები გაგვაჩნდეს, – უპასუხა სიუზენმა.

– რა მოხდება თუ მანქანა ყველაფერს აუხსნის კაცობრიობას? ცხადია, თუ დავუშვებთ, რომ ამ მსჯელობისას მართალი ხარ, – იკითხა ბაიერლიმ.

– თუ მართალი ვარ, სტივენ, ეს ნიშნავს, რომ მანქანები ჩვენს აზმყოსაც წყვეტენ და მომავალსაც განსაზღვრავენ, იღებენ კაცობრიობის განვითარებისთვის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, რის დროსაც ადამიანთა ფსიქოლოგიასაც ითვალისწინებენ. მათ კარგად იციან, რას შეუძლია ჩვენთვის უბედურების მოტანა და ჩვენი სიამაყის შებღალვა. არ დაგავიწყდეს – მანქანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის ბედნიერებაა, ამიტომ მას, უბრალოდ, არ შეუძლია გვავნოს. სტივენ, განა ჩვენ ვიცით, რა არის კაცობრიობისთვის საუკეთესო ან უარესი? ჩვენს განკარგულებაში იმ ინფორმაციის

მისხალიც კი არაა, რომელსაც მანქანები ფლობენ. ტექნოლოგიურმა განვითარებამ უამრავი გააუბედურა და მხოლოდ მცირეს მოუტანა კეთილდღეობა. საით მიდის კაცობრიობა? იცის ვინმემ? იქნებ პასუხი აგრარული, პასტორალური ცივილიზაციაა – მცირე მოსახლეობა, მარტივი კულტურა, ან სრული ურბანიზაცია, იერარქული საზოგადოება და აბსოლუტური ანარქია? ეს არავინ იცის – იციან მხოლოდ მანქანებმა. და თუ ეს მართლაც ასეა, სწორი მიმართულებითაც გავვიძღვებიან, მაგრამ ისე, რომ ამის შესახებ არაფერს გვეტყვიან, რამეთუ ჩვენ დაავადებული ვართ ცრურწმენებით, მხოლოდ შეჩვეული მოცემულობისა გვწამს და ყველანაირი ცვლილების წინააღმდეგ ვილაშქრებთ, – თქვა სიუზენმა.

– თუ სწორად გავიგე, შენი აზრით, „ადამიანთა საზოგადოება“ მართალია – კაცობრიობამ ინიციატივა დაკარგა, – იკითხა კოორდინატორმა.

– კაცობრიობას მომავლის კონტროლი არც არასდროს შეეძლო. ეკონომიკური და სოციოლოგიური ძვრები კატეგორიულად ცვლიდა მომავლის კონტურებს, კლიმატის გაუარესება და კატასტროფული ომები ძირს უთხრიდნენ სტაბილური მომავლის საფუძველს. მანქანები იგივე შეცდომებს აღარ დაუშვებენ, ვინაიდან მათ განკარგულებაში მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე მძლავრი იარაღია – ეკონომიკის აბსოლუტური კონტროლი! – წამოიძახა სიუზენმა.

– საშინელი პროგნოზია... – ამოიოხრა კოორდინატორმა.

– პირიქით, სტივენ, მშვენიერი! დაუფიქრდი – კაცობრიობის ისტორიაში პირველად ყველა კონფლიქტის შეჩერება შეიძლება! – პათოსით წარმოთქვა სიუზენმა, – ამიერიდან მხოლოდ მანქანები იქნებიან შეუჩერებელი!

კვარცის ბარიერის მიღმა ცეცხლმა საბოლოოდ ამოისუნთქა და ჰაერში კვამლის მცირე ბოლქვი გაუშვა.

– აი, სულ ესაა, – დოქტორი კელვინი წამოდგა, – რობოტების გვერდით იმ დროიდან ვიყავი, როდესაც მათ ლაპარაკიც არ შეეძლოთ და ვარ ახლაც, როდესაც ისინი კაცობრიობასა და მოსალოდნელ კატასტროფას შორის ჩადგნენ. თუმცა ჩემი ცხოვრება დასრულდა, თქვენ კი საკუთარი თვალით ნახავთ, რაც მომავალში მოხდება.

ამის შემდეგ სიუზენ კელვინი აღარ მინახავს. ერთი თვის წინ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.